

1991  
nr3

ISSN—0132—6058



საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის

# მასპნა

ისტორიის  
ეთნოგრაფიისა და  
ხელოვნების  
ისტორიის  
სერია

3

1991

ისტორიის,  
ეთნოგრაფიისა და  
ხელოვნების ისტორიის  
სერია

СЕРИЯ  
ИСТОРИИ,  
ЭТНОГРАФИИ И  
ИСТОРИИ ИСКУССТВА



თბილისი  
ТБИЛИСИ

3. 1991

**სარედაქციო კოლეჯია:** ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე, გ. გიორგაძე, ვ. ითონიშვილი, ი. კაჭარავა, მ. ლორთქიფანიძე, გ. მელიქიშვილი, რ. მეტრეველი (რედაქტორი), დ. მუსხელიშვილი, ო. შორდანიას, ე. ხოშტარია-ბროსე (რედაქტორის მოადგილე), ო. ცვიტიშვილი, ლ. ჭილაშვილი, ნ. ჯანბერიძე.

**РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:** А. М. Апакидзе, В. В. Беридзе, Г. Г. Гиоргадзе, О. К. Жордания, В. Д. Итонишвили, Ю. М. Качарава, М. Д. Лордкипанидзе, Г. А. Меликишвили, Р. В. Метревели (редактор), Д. Л. Мухелишвили, Э. В. Хоштария-Броссе (заместитель редактора), О. В. Цкитишвили, Л. А. Чилашвили, Н. Ш. Джанберидзе.

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლორთქიფანიძე.  
Ответственный секретарь Г. Г. Лордкипанидзе

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19  
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19  
ტელეფონი 37-85-50 Телефон

გადიეცა წარმოებას 10.VI.91; ხელმოწერილია დასაბეჭდად. 27.IX.91; ანაწყოების ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>; ნაბეჭდი თაბახი 16,8; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 13,42; შეკვეთა № 1417; ტირაჟი 900; ფასი 2 ზან.

გამომცემლობა «მეცნიერება», თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Типография АН Грузии, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19



# შ ი ნ ა ა რ ს ი

## წიგნები

6. აფხაზება, ალანები და საქართველო . . . . .	7
მ. იმონიშვილი, ქართული ეთნოგრაფია ფეოდალიზმის ხანაში . . . . .	27
დ. ხაუტაიშვილი, რა მიხცა ავტონომიამ აქარას? . . . . .	51
ლ. ბარიაშვილი, ახალი მონაცემები საქართველოს ტერასული მიწათმოქმედების შესახებ . . . . .	66
ჯ. მათიშვილი, ნიკოლოზ ირბახის ნაკვალევზე . . . . .	77

## ცნობები და შენიშვნები

ზ. ბრატაძე, ფარნავაზის პოლიტიკა კოლხეთის მიმართ და საირხის ნაქალაქარის ისტორიის ზოგიერთი საკითხი . . . . .	86
ტ. აბაღალია, ქართლის (იბერთა) მეფის შემდეგ მეორე პირის ინსტიტუტის სოციალური ისტორია . . . . .	97
მ. დიასამიძე, ივანე ნებეირიძე და XIX საუკუნის სამხრეთ საქართველოს ისტორიის საკითხები . . . . .	118
დ. სარტანიანი, ცნება „რჭულის“ შინაარსისათვის . . . . .	184
მ. წიტიტელი, საირხეში აღმოჩენილი საიუველირო ნაწარმის მხატვრული გადაწყვეტის ზოგიერთი საკითხი . . . . .	189

## პუბლიკაცია

6. გიგლაშვილი, მეფე არჩილ II როგორც რუსეთის დიდი ფეოდალი . . . . .	164
--------------------------------------------------------------------	-----

## სინტორიო მაცნეებების გამოცენილი მონაწილეები

მ. თოფურაძე, მოსე ჯანაშვილის სახელმძღვანელო „საქართველოს ისტორია“ . . . . .	172
-----------------------------------------------------------------------------	-----

## რეპლიკა

6. ბრატაძე, უპასუხისმგებლობა თუ...? . . . . .	180
-----------------------------------------------	-----

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

6. აბიასაძე, ი. ანაბაძე, ნ. ვოლკოვა, ძველი თბილისი (ქალაქი და ქალაქელები XIX ს-ში) . . . . .	181
----------------------------------------------------------------------------------------------	-----

## ქრონიკა და ინფორმაცია

ჩვენი ჟურნალის შეთხველთა სურვილები . . . . .	187
6. ავალიანი, კონრად ადენაუერის ინსტიტუტი . . . . .	188

## СОДЕРЖАНИЕ

### СТАТЬИ

Н. АБХАЗАВА, Аляны в Грузии	7
В. Д. ИТОНИШВИЛИ, Грузинская этнография в эпоху феодализма	27
Д. А. ХАХУТАИШВИЛИ, Что дала автономия Аджарии?	51
Л. К. БЕРИАШВИЛИ, Новые данные о террасном земледелии Грузии	66
Дж. Л. ВАТЕИШВИЛИ, По следам Никифора Ирбаха	77

### ЗАМЕТКИ И СООБЩЕНИЯ

З. Д. БРАГВАДЗЕ, Политика Парнаваза в Колхиде и некоторые вопросы истории городища Саирхе	86
Т. З. АХАЛАИА, Социальная история института второго после Картлийского (Иберийского) царя лица	97
М. Д. ДИАСАМИДЗЕ, И. Небиеридзе и вопросы истории Южной Грузии	118
Д. Г. САРТАНИЯ, К содержанию понятия «Рджули»	134
М. В. ЦЕРЕТЕЛИ, Некоторые вопросы художественного решения ювелирных изделий из Саирхе	139

### ПУБЛИКАЦИИ

Н. М. ГЕГЕЛАШВИЛИ, Царь Арчил как крупнейший землевладелец России	154
-------------------------------------------------------------------	-----

### ВЫДАЮЩИЕСЯ ДЕЯТЕЛИ ИСТОРИЧЕСКОЙ НАУКИ

К. С. ТОПЧИРИДЗЕ, Учебник «История Грузии» Мозэ Джанашвили	172
------------------------------------------------------------	-----

### РЕПЛИКА

Н. А. БРЕГАДЗЕ, Безответственность или...?	180
--------------------------------------------	-----

### КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Н. Н. АБЕСАДЗЕ, Ю. А. Анчабадзе, Н. Г. Волкова, Старый Тбилиси, город и горожане в XIX в.	181
-------------------------------------------------------------------------------------------	-----

### ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

181. Пожелания читателей нашего журнала	187
Н. И. АВАЛИАНИ, Институт Конрада Аденауера	188



# CONTENTS

## ARTICLES

N. Abkhazava — Alans and Georgia . . . . .	7
V. Itonishvili — Georgian Ethnography in the Period of Feudalism . . . . .	27
D. Khakhutaishvili — What has the Autonomy Given to Adzaria . . . . .	51
L. Beriashvili — New Informations About Terrace Agriculture of Georgia . . . . .	66
J. Vateishvili — By the Steps of Nikiphor Irbakh . . . . .	77

## PROCEEDINGS AND NOTES

Z. Bragvadze — Parnavaz's Policy in Colches and Problems Relavant to the History of Ancient Town of Sairkhe . . . . .	86
T. Akhalaia — The Social History of the Institution of the Next to the King . . . . .	97
M. Diasamidze, — I. Nebieridze and the Questions of the History of the Nineteenth Century South Georgia . . . . .	118
D. Sartania — On Content of „Rdzhuli“ notion . . . . .	134
M. Tsereteli — Some Questions of Artistic Solutions in the Jewelry from Sairkhe . . . . .	139

## PUBLICATION

N. Gegelashvili — King Archil the Greatest Feudal of Russia . . . . .	154
-----------------------------------------------------------------------	-----

## AN OUTSTANDING STATESMEN OF HISTORICAL SCIENSE

K. Topuridze — Textbook „The History of Georgia“ by Mose Janashvili . . . . .	172
-------------------------------------------------------------------------------	-----

## REMARK

N. Bregadze — Unresponsibility or? . . . . .	180
----------------------------------------------	-----

## CRITICIZM AND BIBLIOGRAPHY

N. Abesadze — Iu. Anchabadze, N. Volkova — Old Tbilisi, Town and Towns-people . . . . .	181
-----------------------------------------------------------------------------------------	-----

## CHRONICLE AND INFORMATION

The Wishes of Readers of our Magazine . . . . .	187
N. Avaliani — The Institute of Konrad Adenauer . . . . .	188

1999

ნოე აფხაზავა

ალანები და საქართველო

(ოსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხისათვის)

ოსთა და ქართველთა ურთიერთობა რთული, არაერთგვაროვანია და მოიცავს საკითხთა მთელ კომპლექსს, რომელთაგან თითოეული ცალკე კვლევის საგანია. სანამ საქართველო-ოსეთის, ქართველ-ოსთა ისტორიულ კონტაქტებზე, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ეთნიკურ სიტუაციაზე და მასთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებზე ვისაუბრებდეთ, როგორცაა „ოსთა საქართველოში ჩამოსახლება, წინასწარ უნდა გვახსოვდეს წანამძღვრები ურომლისოდაც თავს ვერ დაეაღწევთ მძიმე შეცდომებს:

1. ქართული სახელმწიფო, რომლის სხვადასხვა ფორმასთან („ქართლის სამეფო“ (— იბერიის სამეფო), „ყოველი საქართველო“, „საქართველოები“), ძველი დროიდან დღემდე ვვაქვს საქმე, ყოველ შემთხვევაში, 1801 წლამდე რუსეთის მიერ მის ანექსიამდე, შექმნილია ძველი წელთაღრიცხვის IV ს-ის დასაბრუნება და III ს-ის დასაწყისში<sup>1</sup>. იგი მოიცავდა მთელი დღევანდელი საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიას და მასთან ერთად სულ ცოტა დღევანდელი ტერიტორიის 2/3-ს, რომელიც ახლა ეკუთვნის რსფსრ-ს, თურქეთის რესპუბლიკას, სომხეთის რესპუბლიკას და აზერბაიჯანის რესპუბლიკას, ამიტომ ამ ტერიტორიაზე წარმართული ყველა პროცესი უნდა განიხილებოდეს მომხდარი როგორც საქართველოში, საქართველოს მიმართ და არა ზოგად გეოგრაფიულ სივრცეში, როგორადაც ეს სურს წარმოადგინოს ის და სხვა ავტორთა, თუ გამოცემათა მთელ ნაწილს. მაგ., „... признание алан-осетин... в Закавказье происходит...“<sup>2</sup>, „...переселение алан-осов на юг Кавказского хребта“.<sup>3</sup>

2. საქართველო-ოსეთის და ქართველ-ოსთა ურთიერთობაზე მხოლოდ გარკვეული ისტორიული დროიდან შეიძლება საუბარი. კერძოდ, როგორც მეცნიერული კვლევის (ლინგვისტთა, არქეოლოგთა, ანთროპოლოგთა, წყაროთმცოდნეთა და სხვ.) შედეგად ირკვევა, მის დასაწყისად შეიძლება ჩავთვალოთ ადრეული შუა საუკუნეების ბოლო და განვითარებული შუა საუკუნეების დასაწყისი (IX—XI სს.), როცა ოსური ეთნოსის პირველსახე ასე თუ ისე გამოიკვეთა. ოსი ხალხი შეიქმნა ძირითადად ორი კომპონენტის, ჩრდილო კავკასიაში მოსული „ვიწროსახიანი — გრძელთავიანი“, ირანულენო-

<sup>1</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970, გვ. 436—444.  
<sup>2</sup> Р. Г. Дзаттиаты, Раннесредневековый могильник в селении Едыс, СА № 2, 1986, с. 208.  
<sup>3</sup> История Северо-Осетинской АССР, Орджоникидзе, 1987, с. 141.

საქართველოს  
მეცნიერული

ვანი ალანების და ადგილობრივი „ფართოსახიანი — ბრტყელთავიანი“ კავკასიურენოვანი ხალხების შერწყმით<sup>4</sup>. გაიმარჯვა დამხედურთა ანთროპოლოგიურმა ტიპმა და მოსულთა ენამ, ენის მხრივ ოსები ირანელები არიან, კულტურის მხრივ კი ტიპიური კავკასიელები — წერდა ე. კრუპნოვი<sup>5</sup>. ამის მაჩვენებელია ძლიერი კავკასიური სუბსტრატის არსებობა ოსურ ენაში: „კავკასიური ელემენტი ოსურ ენაში შევიდა არა როგორც უბრალო გარეგანი გავლენა თურქულის, არაბულის და სხვ., არამედ როგორც თავისთავადი სტრუქტურული ფაქტორი, როგორც თავისებური მისი მეორე ბუნება“<sup>6</sup>. ასევე „სახელი ხალხისა osi — ოსი, Oseti — ოსეთი, წარმოშობით ქართულია. ცალკეულ ოსურ ტომთა „თვითდასახელება“ ir, digor, tual ჩვენი აზრით, ადგილობრივი კავკასიური წარმოშობისაა“<sup>7</sup>. უფრო მეტიც, „...უცებ არ გამოქვეყნებულა მათი ეთნიკური ერთობის შეგნება და საერთო „საკუთარი სახელი“ (Самоназвание), ბოლო დრომდე თანამედროვე ოსებს არ ჰქონდათ საერთო „თვითდასახელება“<sup>8</sup>.

მოსულ ალანთა და კავკასიელთა შერწყმა კი, რამაც მოგვცა თვისობრივად ახალი ეთნიკური ერთეული ოსი ხალხი, მკვლევართა უმეტესობის მიხედვით, მოხდა დაახლოებით X—XII სს-ის. ამასვე, კვითხულობთ სულ ახლახან გამოცემულ „ჩრდილო ოსეთის ისტორიის“ პირველ წიგნში<sup>9</sup>.

ამდენად, შეცდომაა საუბარი I—VIII სს-თა მანძილზე ოს-ქართველთა ურთიერთობაზე, მით უმეტეს, „ოსურ მოსახლეობაზე“ ძვ. წ. III—I სს-ში, როგორც გვაუწყებს საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი წიგნი<sup>10</sup>. გვიანანტიკურ ხანასა და ადრეულ შუა საუკუნეებში შეიძლება საუბარი საქართველოსა

<sup>4</sup> „ანთროპოლოგიური მონაცემები ... გვიჩვენებს, რომ ოსთა ეთნოგრაფიაში ადგილობრივმა ელემენტმა არა მარტო მიიღო მონაწილეობა, არამედ გადაწყვეტი როლი შეასრულა — ოსების წინაპართა დიდი უმრავლესობა ადგილობრივი კავკასიელებია და არა მოსული სკითურ-სარმატულ-ალანური ტომები“ (В. П. Алексеев, Происхождение народов Кавказа, М., 1974, с. 198; Е. П. Алексеева, Древняя и средневековая история Карачаево-Черкесии, М., 1971, с. 97; В. Б. Ковалевская, Кавказ и Аланы, М., 1984, с. 169—172).

<sup>5</sup> К. И. Крупнов, Древняя история Северного Кавказа, М., 1960, с. 393.

<sup>6</sup> В. И. Абаев, Осетинский язык и фольклор, т. I, М.—Л., 1949, с. 103.

<sup>7</sup> ივეე, გვ. 45; ნ. კულაევი, ოსური ენის კავკასიური სუბსტრატის შესახებ, Annal of Ibero-Caucasian linguistics, № I, Тб. 1974, გვ. 320; И. М. Оранский, Иранские языки, М., 1963, გვ. 128.

<sup>8</sup> В. И. Абаев, დასახ. ნაშრომი, გვ. 34.

<sup>9</sup> „В X—XII вв. складывается раннесредневековая алано-осская общность осетинского народа и его культуры в последующий период“. История Северо-Осетинской АССР, გვ. 122.

„VII—VIII საუკუნეებისათვის ოსთა ეთნოგენეზისი სულაც არ იყო დასრულებული“ — А. О. Наглер, О датировке Хилакской оборонительной стены, ЛИВСИСК. Грозный, 1984, с. 57; С. А. Плетнёва, Кочевники средневековья, [М., 1982, с. 198; В. А. Кузнецов, Аланские племена Северного Кавказа, МИА, № 106, с. 132; А. В. Гадло, Этническая история Северного Кавказа IV—X вв., Л., 1979, с. 9.

<sup>10</sup> გ. მელიქიშვილი, ქართული პოლიტიკური და ეთნიკური წარმონაქმნები ელინისტურ ხანაში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970, გვ. 461. ანტიკურ ხანაში, სხვა უცხოეთის ხალხთან ერთად (ბერძენ-რომაელები, სპარსელები, ებრაელები) ქალაქ მცხეთაში, ოსებიც ეგულება აკადემიკოს ანდრია აფაქიძეს — იხ. ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I, თბ., 1963.

და ალანთა ურთიერთობაზე. რა თქმა უნდა, გარკვეული აზრით ალანები წინაპრებია (ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი) ოსთა, მაგრამ პირდაპირი ტოლობის გატარება I—II სს-თა ალანებსა და XVI—XVIII სს-თა ოხებს შორის შეცდომაა<sup>10</sup>. ადრე შუა საუკუნეებში საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოსახლებული ალანთა მეტ-ნაკლები მასა სრულიად სხვა შედეგს მოგვეცემდა და მოგვეცა კიდევ „აფხაზეთის“ ქვეყანა „ალანის სახით“<sup>11</sup>. ნიშანდობლივია, რომ ქართული წყაროები, ქართული ტრადიცია მას „ალანს“ ეძახის და არა „ოსეთს“, თუმცა იგივე ტრადიცია, იმავე მწერლობას ბერძნულ-ბიზანტიურ წყაროთა თარგმნისას „ალანი“ გადმოაქვს ოსად<sup>12</sup>, ხოლო ეთნიკურად ჩამოყალიბებული ოსები XVII—XVIII სს-ში საქართველოში ჩამოსახლებამ XX სს-ის პოლიტიკურ პროცესების შედეგად მოგვეცა „სამხრეთ ოსეთი“<sup>13</sup>.

სანამ მიმოვიხილავდეთ უმთავრეს სამეცნიერო პრობლემებს, ალანთა კავკასიაში გამოჩენის, ქართლის სამეფოსთან მათი ურთიერთობისა და შემდგომ მოვლენებთან დაკავშირებულ საკითხებს, გვსურს შევეხეთ უცხო წყაროთაგან ერთ-ერთში დაფიქსირებულ „ცნობას“ ანტიკური ხანის ქართლის სამეფოს შესახებ, რომელიც ჩვენმა ეროვნულმა მეცნიერებამ სათანადო ანალიზის გარეშე მიიღო, დღემდე უცვლელად ფიგურირებს და ჩვენი ადრეული ისტორიის და ეთნოგენეზის ღერძად ქცეულა.

საქმე ეხება სტრაბონის ცნობას იბერიის შესახებ<sup>14</sup>; უფრო სწორად, აღწერის იმ ნაწილს, სადაც თითქოს დახასიათებულია მისი მოსახლეობა ეთნიკური ნიშნის მიხედვით: „დაბლობზე ცხოვრობენ იბერთაგან უფრო მეტად მიწათმოქმედნი. ესენი მშვიდობიანად არიან განწყობილი, არმენიელთა და ძიდიელთა მსგავსად ეწყობიან. უფრო დიდ ნაწილს, რომელიც მეზობლი ბუნების არის, უჭირავს მთიანი მხარე და ცხოვრობს სკვითებისა და სარმატების ყაიდაზე, რომელთა მეზობლებიც და ნათესავებიც არიან, თუმცა ეწვეიან მიწათმოქმედებასაც. და როდესაც ჩამოვარდება შფოთი, თავისი და მათი სასწრებით გამოჰყავთ მრავალი ათასი მეზობლი“<sup>15</sup>. ამ ცნობის მიხედვით ს. ჯანაშია ასკვნის: „მაშასადამე, ბარელები და მთიელები (იბერიელები — ხ. ა.) ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მარტო მეურნეობით, ცხოვრების წესით, ზნით, მორთულობით, არამედ მოდგმითაც — მთიელები სკვითებისა და სარმატების მონათესავენი იყვნენ“. ან „... ეს სხვადასხვა ტომით დასა-

<sup>10</sup> აბ. წ. დამდეგისათვის ჩამოყალიბდა ხალხი, ქართული წყაროებისათვის „ოცნების“ სახელწოდებით ცნობილი“ (გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან, ცხინვალი, 1958, გვ. 37), ან „ოსები ორიათს ხუთას წელზე მეტია კავკასიელი ხალხია“.

რაც შეეხება ლეონტი მროველის ნომენკლატურას იგი ჩვენი დაკვირვებით XI სს-სა და მის მახლობელ ხანებს (VIII—X სს) ასახავს. ამის მიმანიშნებელია „ხაზარი“, „პაქანიკი“, „ყივიჩი“ და სხვა ეთნონიმები.

<sup>11</sup> დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, თბ., 1980, გვ. 53—57.

<sup>12</sup> კ. ქეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VII, 1961, გვ. 18.

<sup>13</sup> რა თქმა უნდა, მის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა რუსეთის იმპერიალისტურმა პოლიტიკამ საქართველოს წინააღმდეგ.

<sup>14</sup> აქ განხილული მხოლოდ ნაწილია ნაკლევისა, რომლის პუბლიკაციას ავტორი ცალკე აპირებს.

<sup>15</sup> თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957, გვ. 128.

ხელეული ქვეყანა იბერების ქვეყანა? ცხადია, მხოლოდ, პოლიტიკური მნიშვნელობით<sup>16</sup>.

ნ. ბერძენიშვილის კონიექტურის მიხედვით, ყოველ შემთხვევაში მისი ხაზრობებიდან ასე ჩანს, სტრაბონის „სკვითებსა და სარმატებში“ მხოლოდ სარმატები უნდა ვიგულისხმობთ<sup>17</sup>, თუმცა არ განმარტავს რატომ. ჩვენთვის თვით ტექსტის მონაცემს აქვს არსებითი მნიშვნელობა, სადაც გარკვევით სწერია „სკვითიც“ და „სარმატიც“. რომ იყოს, მართლაც, მხოლოდ სარმატი, შესაძლო იქნებოდა ტექსტის სხვანაირი გაგება.

ნ. ბერძენიშვილს ყურადღება მიუქცევია, რომ სტრაბონი არას ამბობს იბერთა ენის რაობაზე, მაშინ როცა მეზობელი სომხეთისა და ალბანეთის შესახებ ამ დეტალებს აღნიშნავს. „სხვა ენის რომ ყოფილიყვნენ, დაპყრობილი რომ ყოფილიყვნენ (მთიელები — ნ. ა.) სტრაბონი ამას აღნიშნავდა, როგორც აღნიშნა მესხების დაპყრობა იბერიელთა და სომხების მიერ, ან სომხების მიერ იბერელთა ქვეყნის მიტაცება“<sup>18</sup>.

1958 წ. გამოსულ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს, რომლის ერთ-ერთი ავტორი და მთავარი რედაქტორია ნ. ბერძენიშვილი, ელინისტური ზანიისათვის საქართველოს ტერიტორიაზე ხედავს: „ცალკეული ჩრდილო-კავკასიური, ჩრდილო-ირანული, ხეთური, ხურიტული და სხვ. ტომები“<sup>19</sup>. აქ პირდაპირ არაა მითითებული წყაროდ სტრაბონი, მაგრამ ტექსტში „ჩრდილო ირანული“ ტომების დასახლება გვაფიქრებინებს, რომ აქ სტრაბონის ცნობის გავლენაა უთუოდ.

სტრაბონის იგივე ცნობა აქტიურად გამოიყენა აკად გ. მელიქიშვილმა ელინისტური და ანტიკური ხანის იბერიის მოსახლეობის ეთნოკულტურული რაობის განსაზღვრისას. კერძოდ, გ. მელიქიშვილის მიხედვით, იბერია შედგება კულტურულ-ეთნიკურად მნიშვნელოვანი ვანსხვავებული მოსახლეობისაგან<sup>20</sup>. მეცნიერის მიხედვით, სტრაბონისათვის იბერია პოლიტიკური ცნებაა და არა კულტურულ-ეთნიკური. სტრაბონმა იბერია „კულტურულ-ეთნიკური“ ხიშნით ორ განსხვავებულ ჯგუფად დაყო, ბარის და მთიელ იბერებად<sup>21</sup>.

ჭეშმარიტება ითხოვს აღვნიშნოთ, რომ გ. მელიქიშვილი ერთ მომენტში იყენებს ფრაზას: „თუ სტრაბონის ეს ცნობა ნამდვილად რეალურ ვითარებას ასახავს...“, მაგრამ მის მიერ ნაკვლევი მთელი მასალა მეტყველებს, რომ ცნობის სიზუსტეში მაინცდამაინც ეჭვი არ ეპარება, შემოაქვს რა ნ. ბერძენიშვილის კონიექტურა (რომლის მიხედვითაც აქ მხოლოდ „სარმატი“ უნდა ვიგულისხმობთ — დაუსაბუთებელია — ნ. ა.)<sup>22</sup>, ასკვნის, რომ „სარმატი“ მასთან (სტრაბონთან — ნ. ა.), ჩანს, ერთი მნიშვნელობით იხმარება, როდესაც იგი მოიცავდა აგრეთვე საკუთრივ ჩრდ. კავკასიელ ტომებსაც<sup>23</sup>.

16 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, ტ. 1, გვ. 148.

17 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 1975, გვ. 275, 404.

18 იქვე, გვ. 640. თუმცა უნდა ითქვას, რომ სტრაბონის ცნობები ენათა შესახებ გამოუსადეგარი ჩანს, რადგან მას მონათესავე ენებად მიუჩნევია სომხური, არაბული და სირიული, (Страбон, География, 1964, გვ. 29).

19 საქართველოს ისტორია, ნაკვ. 1, თბ., 1958 წ. გვ. 57.

20 იქვე, გვ. 458.

21 იქვე, გვ. 457.

22 იქვე, გვ. 461, სქოლიო, 3; ი. ნ. ბერძენიშვილი, VIII, გვ. 640.

23 იქვე, გვ. 461.

გ. მელიქიშვილის მიხედვით, „სისტემატიურად ჰქონდა ადგილი კავკასიონის სამხრეთის ჩრდილოეთიდან კავკასიელი თუ ოსური მოსახლეობის გადმოსვლას“. თუმცა „კავკასიელთა“ გვერდით მთიანეთში ამ დროს, რა თქმა უნდა, იქნებოდა საკუთრივ ქართული მოსახლეობაც<sup>24</sup>.

ვგონებ კარგად ჩანს, რომ პატივცემულ მეცნიერს, მნიშვნელოვანწილად სტრაბონზე დაყრდნობით, უეჭველად მიაჩნია ქართლის სამეფოს (იბერიის) მთიანეთის უცხო ეთნოსით (მათ შორის „ოვსებით“) დასახლება<sup>25</sup>. არც ერთ მკვლევართან (ნ. ბერძენიშვილი, გ. მელიქიშვილი) სათანადოდ არ არის არგუმენტირებული სტრაბონის „გეოგრაფიის“ მონაცემის ასეთი ინტერპრეტაცია, ვფიქრობთ, მხოლოდ არგუმენტირებული ტექსტოლოგიური ძიების საფუძველზე შეიძლება „სკვით-სარმატთაგან“ „სკვითის“ ამოგდება და „სარმატის“ დატოვება, რადგან, ჩვენი აზრით, ტექსტის ანალიზისას სწორედ ეთნონიმ „სკვითს“ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, რადგან „სკვითი“ ძველ ავტორებთან გარკვეული კულტურულ-ისტორიული კოდის შემცველია.

უნდა ითქვას, რომ ნარატიულ წყაროთა გამოყენებისას ზოგჯერ იჩრდილება წყაროთმცოდნეობითი-ტექსტოლოგიური მხარე, რის გამოც ხშირად მკდარი დასკვნებია გაკეთებული. ასე მაგალითად, ოვიდიუსის ნაწარმოებთა შესწავლით მკვლევარი ა. პოდოსინოვი მივიდა დასკვნამდე, რომ ოვიდიუსის ისტორიული ცნობები არ შეიძლება მივიღოთ როგორც „მოვლენათა ჭეშმარიტი აღწერა“, როგორც თვლიდა მკვლევართა უმეტესობა, როცა წერდნენ ბერძნული პოლისის, „ძლიერ ბარბაროზაციასზე“, ქალაქსა და მის ოლქში გეტების, სკვითების და სარმატების „მასობრივ“ შეღწევაზე და სხვ.<sup>26</sup>

იგივე ითქმის სტრაბონზეც. ისიც თავისი ეპოქისა და კულტურული გარემოს წარმომადგენელია. სტრაბონისთვის „ეთნოგრაფიული აღწერა“ თვით-მინანი არ არის. სტრაბონთან გვხვდება ელინურ-რომაული სამყაროსათვის დამახასიათებელი სტერეოტიპები. მაგ., სტრაბონისათვის უხეშობას, ველურობას და არაცივილიზებულობას აქვს რამდენიმე მიზეზი: ძირითადია არა-ზოშიერი კლიმატი, ნიადაგის სიმწირე, მთაში ცხოვრება, მომთაბარეობა (ნომადობა) და სიმორე „ჩვენგან“, ე. ი. რომაულ-ელინური სამყაროსაგან. პი-

24 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1, გვ. 461. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ელინისტურ-ანტიკურ ხანაში „ოსური მოსახლეობის“ გადმოსვლაზე ზედმეტია საუბარი.

აქ, ალბათ, იგულისხმება ნინოს მიერ ძალით მოქცეული მთიელები „... მთელთა პირუტყუთა სახეთა მთა კაცთა, ჭართალელთა, ფხოველთა, წილკანელთა და გუდამაყრელთა“, ქცა, 1, 1955, გვ. 125.

25 სტრაბონის აღნიშნული ცნობა „გაიზიარა“ დ. მუსხელიშვილმაც. (დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ., 1977, გვ. 225). თუმცა, როგორც ჩანს, მასში იგულისხმება ჭისტურ-ბაცბური დალესტნური ტომების არსებობა ქართლის მთიანეთში.

რა თქმა უნდა, სტრაბონის ეს „ცნობა“ და მისი მელიქიშვილისეული გაგება გაიზიარა ცხინვალულმა არქეოლოგმა ბ. ტეგოვმა. დაიწყო კიდევ ქართლის მთიანეთის (სამხრეთ ოსეთის აო) ელინისტური ხანის ძეგლებში სარმატული ელემენტების ძიება. ასეთად მიიჩნია ბრინჯაოს ჭვირთული ბალთები, მაგრამ არც მათი დათარიღებაა მის მიერ სწორად შემოთავაზებული და არც გენეზისის სურათი — Г. В. Техов, Счерки древней истории и археологии Юго-Осетии, Тб., 1971, с. 247.

<sup>26</sup> А. В. Подосинов, Произведения Овидия как источник по истории Восточной Европы и Закавказья, М., 1985, с. 25.



რქით, ნაყოფიერი დაბლობის ქვეყნებში მცხოვრებნი რბილი ხასიათის არიან<sup>27</sup>. გარდა ამისა, სტაბონთან „სკვითი“ ნიშნავს ჩრდილოელ ბარბაროსს, ხოლო „ეთიოპი“ — სამხრეთელ ბარბაროსს<sup>28</sup>.

როგორც ჩანს, ყველა ეს სტერეოტიპი იბერიის სტრაბონისეულ აღწერი-  
სას „მოქმედებს“. მთიელი იბერი ბერძნულ-ელინური სტერეოტიპის მიხედვით,  
რა თქმა უნდა, მკაცრი ბუნებისა და უხეში უნდა ყოფილიყო. ბუნებრივია,  
რომ ისინი უმეტესნიც არიან ქვეყანაში, რადგან იბერიის მეტი ნაწილი მთი-  
ანია. რადგან იბერთა დიდი ნაწილი მთიელია, ამდენად, უხეში და ბარბაროსი,  
მისი ყველაზე ზუსტი მახასიათებელი შეიძლება იყოს ტერმინი „სკვითურ“  
ყაიდაზე ცხოვრება. მაგრამ სტრაბონს შემოაქვს მეორე ცნებაც — „სარმატი“.  
მთელ იბერებს ადარებს „სკვითებს“ და „სარმატებს“ ერთად. მართალია,  
დასახელებული სახელები ენობრივად და კულტურულად მონათესავე ტომე-  
ბისაა, მაგრამ ისინი მაინც სხვადასხვა ხალხია<sup>29</sup>. სწორედ ესეც მიგვიჩვენებს,  
რომ სტრაბონის ცნობაში შესაძარებელ კონკრეტულ ეთნოსზე არაა ლაპა-  
რაკი. სტრაბონის ტექსტის ამ ნაწილის მიხედვით, აღნიშნული „ხალხები“ —  
„სკვითები“ და „სარმატები“ იბერთა მეზობლებიც არიან. სტრაბონის მთელი  
თხრობის ყველაზე „გამჭვირვალე“ ტექსტებში „პირკანასა და პონტოს შო-  
რის კავკასიონამდე, იბერებამდე და ალბანებამდე“ დასახელებული არიან  
„საერომატები, სკვითები, აქვეელები, ზიგები, ჰენიოხები“<sup>30</sup>. საერომატებში  
რომ სარმატებს სკვითების სტრაბონი, ნათელია, რადგან მან იცის ცალკე  
„სარმატები“, რომლებიც არიან დასახელებული „ბუნდოვან კონტექსტში“.  
აქ ზოგადი სურათია აღწერილი და ორიენტირებაც ზოგად შთაბეჭდილებას

<sup>27</sup> Д. И. Грацианская, „География“ Страбона, Проблемы и источниковедение, Древнейшие государства на территории СССР, М., 1988, с. 128.

<sup>28</sup> იქვე, გვ. 115, სქოლიო 83.

<sup>29</sup> შევდომია პირდაპირი იგივეობის აღიარება სკვით-საერომატ-სარმატ-ალანს შორის. მართალია, ისინი ენობრივად და წარმოშობით მონათესავე, მაგრამ საკუთარი ეთნიკური სახის მქონე ტომებია, რომლებიც სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში ჩნდებიან ისტორიის სარბიელზე. ნიშანდობლივია, რომ, როგორც ჩანს, ისინი იმდენად თავისთავადები იყვნენ, რომ შუასაუკუნეთა დასაწყისამდეც კი მოაღწიეს თავიანთი ეთნონიმებით. მაგ., IV ს.

II ნახევარში დღეიხე შემოპრილ ტომთა შორის იხსენიებიან „Эгу реку занимают, с арматы, германци, геты, жестокие бастарны и народы даков, храбрый алан и скиф, обитатель берега таврического“. ВДИ, № 4 (ხაზი აქაც და ყველაზე ჩვენია —

ნ. აფხაზაჯა), 1949, გვ. 237, 229 (ერთი ეკუთვნის რუფუს ფესტავიენს, მეორე ევსები იერიონიმს). მათი თითქმის სრული იდენტიფიკაციის ცდა ჩანს ი. გაგლოთის ნაშრომში (გვ. 241). „წერილობით წყაროებში ჩრდილო კავკასიაზე არ შეიმჩნევა რამდენიმე შესამჩნევო წყვეტილი სკვითებსა და სარმატ-ალანებს შორისო“. ამით ავტორი ამტკიცებს ოსთა 2500-წლიან ისტორიას. აქ ამ დროს ანტიკურ წყაროებში სწორედ ურთიერთსაწინააღმდეგო ცნობებია. მაგალითად, პლინიუსი სარმატებს მიდიელთა შთაშობალებს უწოდებს

К. Ф. Смирнов, Савроматы, М., 1984). სკვითებად შიანია „უდინები“, რომელთა „კავკასიელთა“ უქვეელია; თავის მხრივ, სტრაბონი „ლუგებსა“ და „გულებს“ სკვითებს უწოდებს. ბერძენ-რომაელ ავტორთა მიხედვით, „კოლხიც“ კი სკვითთა ხანდახან (თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, V, თბ., 1983, გვ. 130). ჯერ კიდევ პეროლოტე ენობრივადაც კი, ასხვევდა სკვითებსა და საერომატებს. „საერომატები სკვითების ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ ძველთაგანვე ამხინჯებენ მას“ (IV, 117). მ. როსტოვეცი კი საერომატებს და სარმატებს მოლიანად ასხვევდა ერთმანეთისაგან — М. П. Ростовцев, Эллины и иранцы на юге России, Тб., 1918, с. 34.

<sup>30</sup> სტრაბონი, 1957, გვ. 94.

ახდენს, ყოველ შემთხვევაში, სარმატთა ლოკალიზაციისათვის არცთუ სასურველ გეზოს.

„ამრიგად, ასეთი დანაწილების შემდეგ ბირველ ნაწილში (დაახლოებით აღმ. ნაწილს შეესაბამება — ნ. ა.) მოსახლეობენ ჩრდილოეთისა და ოკეანის მცხოვრებთაგან ზოგი სკვითები: მომთაბარეები და ეტლში მცხოვრებნი, უფრო შიგნით ამთაგან სარმატები: ესენი არიან სკვითები, აორსები და სირაკები, რომლებიც სამხრეთისკენ ვიდრე კავკასიონის მთებამდე აღწევენ“<sup>31</sup>. სტრაბონი ერთგან აკონკრეტებს აორსთა და სირაკთა საცხოვრისს: „აორსები მოსახლეობენ ტანაისთან, ხოლო სირაკები აქარდენთან, რომელიც კავკასიონიდან მომდინარეობს და ერთვის მეოტისს“<sup>32</sup>. ამის მიხედვით სრულიად ნათელია, რომ ნამდვილად ჩრდ. კავკასიის დასავლეთით, ალბათ ველის ზონაში, ძდ. ყუბანთან (აქარდენი), ცხოვრობენ სირაკები. ისინი რომ მთებამდე აქ აღწევენ, ჩანს თუ გავაგრძელებთ ბირველი „ნაწყვეტის“ თხრობას: „ხოლო ტბის ახლოს ცხოვრობენ მეოტები... ამას შემდეგ არიან აქველები, ზიგები, პენიოხები — კერკეტებიც და მყარობოგინებიც. კამათ ზემოთ მდებარეობს ფთუჟროფაგების ვიწროები. პენიოხების შემდეგ კოლხიდა კავკასიონსა და შოსხურ მთების ქვემოთ“<sup>33</sup>. ესე იგი ტანაისიდან კოლხეთამდე ჩამოთვლილ რამდენიმე ტომში, რომელიც, როგორც ჩანს, მთიან ზოლსაც მოიცავს, არაა დასახელებული იმავე მიმართებით მდ. აქარდენთან ლოკალიზებული სირაკები. ამ ცნობათა შეგვრებით მხოლოდ ის შეიძლება ვიფიქროთ, რომ სირაკები დაბლობზე, სადღაც ყუბანის შუა დინებასთან მოსახლეობენ<sup>34</sup>. ამრიგად, მოტანილი თითქოს ნათელია, რომ სტრაბონისვე ცნობების მიხედვით, „სარმატები“ იბერთა უშუალო მოსახლერედ, მეზობლად არ ჩანან. რაც შეეხება „სკვითებს“, რომლებიც დამახასიათებელი იყვნენ სავრომატებთან ერთად, მათი ზუსტი ლოკალიზაცია, ყოველ შემთხვევაში ჩამოთვლის თანმიმდევრობა, იბერიის მახლობლობას არ გულისხმობს. ისინი აქველების წინ არიან დასახელებული<sup>35</sup>. იბერიასთან შორიახლოს სტრაბონს დასახელებული ჰყავს ალბანებსა და ამაძონებს შორის (თითქმის დაღესტნის მთიანეთში) მცხოვრები „სკვითი გელები და ლეგები“<sup>36</sup>. გელები და განსაკუთრებით კი ლეგები რამდენხად არიან „სკვითები“ ცხადი უნდა იყოს. ამრიგად, გამომდინარე სტრაბონისავე ცნობებიდან (1), „სკვითთა“ (ეთნიკური მასივი) იბერიასთან უშუალო მეზობლობა საეჭვოა. როგორც ჩანს, იგი ზოგადი „ეპითეტია“ და არა ეთნონიმი (სკვითი ლეგი, სკვითი უდინი და სხვ.)<sup>37</sup>.

რაც შეეხება სარმატის ხსენებას დიოსკურიში „შეკრებილ“ ტომებთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, აქ მოდიოდნენ ტომები არა უშუალოდ ამ ქალაქის მეზობლები, არამედ უთუოდ უფრო შორიდანაც. ხოლო მათი და-

31 სტრაბონი, გვ. 110.  
 32 იქვე, გვ. 142.  
 33 იქვე, გვ. 111.  
 34 ყარაჩაი-ჩერქეზეთში სკვითური არქეოლოგიური ძეგლები არ ჩანს — К. П. Алексеев, დასახ. ნაშრომი, გვ. 65.  
 35 იხ. თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 261. სკვითების განსხვავებული ინტერპრეტაცია.  
 36 სტრაბონი, გვ. 136.  
 37 „სტრაბონის“ „გეოგრაფიის“ ტიპის ნარატიული წყაროსაგან, რომლის ძირითადი მი-  
 41 იქვე, გვ. 44 (ასეთი შეუსაბამოები იხ. გვ. 53, სქოლიო 16, 17), დ. მუსხე-  
 (J. I. Грацианская, დასახ. ნაშრომი, გვ. 124).



ხასიათება ტექსტში „ველური“ და სხვ. გვაფიქრებინებს, რომ აქაც „სკეითის“ მსგავს განსაზღვრებასთან შეიძლება გვქონდეს საქმე, მით უმეტეს, რომ მათ ყველას ხაზგასმით „კავკასიელებს“ უწოდებს<sup>38</sup>.

ამრიგად, სკეითთა და სარმატთა იბერიის „უშუალო“ მეზობლობა სტრაბონისავე ტექსტით საეჭვოა.

გარდა ამისა, სტრაბონი აღწერს რა „საქართველოს სამხედრო გზას“, ჩანს, რომ ჩრდილოეთით გზის ბოლოს დაახლოებით სამი დღის სავალზე ჯვრის უღელტეხილიდან, რაც ემთხვევა დაახლოებით თერგ-სუნჯის დაბლობის ტერიტორიას, მომთაბარეები ცხოვრობენ<sup>39</sup>. კავკასიონის და, კერძოდ, იბერიის მთიანეთში არასოდეს უცხოვრიათ მომთაბარეებს (ამაზე მეტყველებს ყველა ტიპის ისტორიული წყარო — ნარატიული, ნივთიერი, ეთნოგრაფიული და სხვა ძეგლები). ამრიგად, სტრაბონისავე ცნობების მიხედვით, სკეით-სარმატთა ტომების უშუალო „კავშირი“ იბერიასთან არ დგინდება; არ დგინდება ცხოვრების საერთო წესიც. ჩრდილოეთით ველზე მომთაბარეები არიან, ხოლო იბერიელი მთიელები მიწათმოქმედებასაც მისდევენ.

ამრიგად, სტრაბონის ცნობა მთიელ იბერთა „სკეით-სარმატებთან“ „ნათესაობის“ შესახებ არ უნდა იყოს „ეთნიკური ინფორმაციის“ მქონე. იგი მიუთითებს მათ ერთგვარ, სტრაბონის — როგორც ელინის პოზიციიდან „კულტურულ“ კუთვნილებას. ეს ჩანს თვით სტრაბონისავე ტექსტიდან.

სტრაბონის ამ „ცნობის“ შემოწმება შეიძლება სხვა ბერძენ-რომაელ ავტორებთანაც, თუნდაც კლავდიოს პტოლემეიოსით, როელსაც აგრეთვე შედარებით დაწვრილებით აქვს მიმოხილული იბერია და მისი მეზობლები. მისი აღწერით, იბერია ერთფეროვანი ქვეყანაა თავისი ქალაქებითა და სოფლებით. სხვათა შორის, იგი როცა ქვეყანაში, მაგ., კოლხეთში, ეთნიკურად არაერთგვაროვან სურათს ხედავს, აღნიშნავს კიდევ: „კოლხეთის ზღვისპირა ხაწილში მოსახლეობენ ლაზები, ზევით მდებარე ადგილებში მანრალეები და ეკრიტიკის ქვეყნის მცხოვრებნი“<sup>40</sup>. აქვე უნდა ითქვას, რომ პტოლემეიოსი, როგორც ჩანს, ქვეყნის პოლიტიკურ საზღვრებს ყოველთვის არ ითვალისწინებს. მას, მაგალითად, კოლხეთის, იბერიის (და შესაძლოა ალბანიის) ჩრდილო ნაწილში (რომელიც ქედს იქით გადადიოდა?) შეჰყავს აზიის სარმატიის ნაწილში, ამიტომაც სუანოკოლხები კოლხეთს გარეთ აღმოჩნდნენ. ასევე იბერიის საზღვრებს გარეთ აღმოჩნდნენ ტუსკები და სანარები. მთავარი ისაა, რომ ტომები, რომლებიც ტრადიციულად იბერიის (ქართლის) მთიანეთს უკავშირდებიან ხოლმე, აქ დაფიქსირებულია „სარმატიაში“; „ხოლო იბერიის ჩრდილოეთით სარმატიის დასახლება სხვა არაფერია, თუ არა გეოგრაფიული ტერმინი“<sup>41</sup>. პტოლემეიოსის მიხედვით, ტანაისის დასავლეთით ევროპის სარმატია, აღმოსავლეთით კი აზიის სარმატია<sup>42</sup>.

<sup>38</sup> სტრაბონი, გვ. 122.

<sup>39</sup> სტრაბონი, გვ. 129. აქვე უნდა ითქვას, რომ იბერიის მთიელებზე სტრაბონი უმატებს, რომ ისინი მიწათმოქმედებასაც მისდევენო (გვ. 128).

<sup>40</sup> ნ. ლომოური, კლავდიოს პტოლემეიოსი, გეოგრაფიული სახელმძღვანელო“, მსკი, 32, თბ., 1955, გვ. 45.

<sup>41</sup> იქვე, გვ. 44 (ასეთი შეუსაბამოებები იხ. გვ. 53, სქოლიო 16, 17), დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ., 1977, გვ. 181.

<sup>42</sup> Юлиан Куликовский, Карта Европейской сарматии по Птоломею, Киев, 1899.

რაც შეეხება არქეოლოგიურ მონაცემებს, ისიც თვალნათლივ მტკიცე-  
 ლებს, რომ იბერიის ჩრდილოეთით უშუალოდ მეზობლად სკვითურ-სარმა-  
 ტული მოსახლეობა არ გაჩენილა. აქ თითქმის ადრეულშუასაუკუნეებამდე  
 არსებობს ადგილობრივი „ყოხანური კულტურის“ ტრადიციები, რომელშიც  
 უცხო ელემენტი მცირეა<sup>43</sup>.

სრულიად „ქართული“ სიტუაციაა არქეოლოგიური მასალების მიხედვით  
 ანტიკური და ადრეშუასაუკუნეების ქართლის მთიანეთსა და მთისწინეთში. ამას  
 მოგვითხრობს ყანჩათის, საძეგურის, არკნეთის, სოხთას, მონასტრის, სტარ-  
 ფახის, ედისის, კორინთის, ალვეის და სხვა სამაროვნები. აქ „იბერიულია“  
 როგორც დაკრძალვის წესი, ისე ნივთიერი კულტურა და სხვა არქეოლო-  
 გიური მონაცემები<sup>44</sup>.

„სამხრეთ ოსეთში“ მომუშავე ისტორიკოსთა შორის შეიმჩნევა ტენდენცია  
 სკვითურ-სარმატულ-ალანური ელემენტები ჯომოჩინონ ყოფილ „სამხრეთ  
 ოსეთის“ ტერიტორიაზე შესწავილ ძეგლებში, თუ ისტორიულ წყაროებში.  
 ასე მაგალითად, ი. ვაგლოთის, მიუხედავად ჰეროდოტეს აშკარა მითითებისა,  
 რომ სკვითებს აზიაში ჩამოსვლისას კავკასიონის მთები მარჯვნივ  
 ჰქონდათ და ეს შეესაბამება კასპიის გზას, სურს მაინცდამაინც დაამტკიცოს,  
 რომ სკვითები დარიალით შეიჭრნენ აზიაში და ამისთვის ათასგვარ „შემოვ-  
 ლით გზას“ ეძებს. ჯერ ამტკიცებს, თითქოს კავკასიის მთები აქ ნიშნავს  
 იალბუზს<sup>45</sup>, მაგრამ როგორც არ უნდა „აიძულოს“ ტექსტი, იქ გარკვევითაა  
 აღხიშნული რომ სკვითებმა მოკლე გზა ამჯობინეს („გაცილებით გრძელ  
 გზას“), რომლის გავლისას კავკასიის მთები მარჯვნივ ჰქონდათ<sup>46</sup>. (1—104).  
 რაც მთავარია, მეცნიერი ტყუის, რომ თითქოს: „ჰეროდოტეს მიხედვით  
 სკვითები ამიერკავკასიაში 28 წელი ბატონობდნენ (1, 106“). ჰეროდოტეს  
 მსგავსი რამ არ უწყრია. იქ ვკითხულობთ, რომ სკვითები აზიაში ბატო-  
 ნობდნენ 28 წელი<sup>47</sup>. დიახ, ასეთი „მეთოდებით“ ამტკიცებს ვაგლოთი ოსთა

<sup>43</sup> იგი თითქმის ადრეულშუასაუკუნეებამდე ეკუთვნის ადგილობრივ კავკასიურ ტომებს —  
 М. П. Абрамова, Памятники горных районов центрального Кавказа, рубежа и  
 первых веков нашей эры, АИНЮВЕ, М., 1974, გვ. 28. ყოხანური კულტურის ტრადიციებს  
 და ძლიერ გავლენას, განსაკუთრებით მთიანეთში, აღიარებს В. Б. Ковалевская, Кав-  
 каз и аланы, М., 1984, გვ. 65—67, 79. „რაც უფრო ღრმად ვიხედებით“ მთებში, მით უფრო  
 ნაკლებს ეპოქობობს ადგილობრივ კულტურაში სარმატულ ნიშნებს“.

<sup>44</sup> „გვიანბრინჯაო-ადრერკინის პერიოდის აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიური  
 კულტურა არსებითად სწორედ აღმოსავლელი ქართველის ტომების ეკუთვნილი უნდა ყო-  
 ფილიყო“. დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 72. აღმოსავლურქართული და  
 საერთო სტალითი აქემენური იერის არქეოლოგიურა მასალა აღმოჩენილა საძეგურსა და  
 ყანჩათში — ი. ვაგლოთის, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ., 1964,  
 გვ. 77, 78. სრულიად იბერიული ტიპის ქვევრსამარხები — და სხვა მასალა მობოვებული  
 არკნეთში — თ. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები არკნეთში, თსუ შრომები, 63,  
 1956, გვ. 188—193; იხ. აგრეთვე, В. Е. Техов, დასახ. ნაშრომი 1971, გვ. 219—273, ქსნის  
 ხეობის ზემო წელზე ბოლო წლებში აღმოჩნდა მტკვარ-არაქსის, შუაბრინჯაოს, გვიანბრინ-  
 ჯაოს, ანტიკური, ადრეული და განვითარებული საუკუნეების არქეოლოგიური მასალა, რო-  
 მელი არაფრით განსხვავდება ქართლის სხვა რეგიონებში აღმოჩენილთაგან. — იხ. ნ. აფხა-  
 ზაეა, ქვემო ალვეს ადრეულ შუა საუკუნეებში, თბ., 1988.

<sup>45</sup> В. С. Гаглойти, დასახ. ნაშრომი, 1966, გვ. 231.

<sup>46</sup> Геродот, История, Л., 1972, с. 45.

<sup>47</sup> ჰეროდოტე იცნობს კავკასიაში მცხოვრებ კოლხებს, სასპერებს (1—104), მაგრამ არსად  
 არ აქვს ნახსენები, რომ თითქოს სკვითებთან მათ რაიმე შეხება ჰქონოდათ. პირიქით, სკვი-



ყოფნას კავკასიაში 2500 წლის მანძილზე. ამ მკვლევრის დანარჩენ სამუშაო-ბოზას ქვემოთ, შესაბამის თავებში განვიხილავთ.

ამრიგად, სტრაბონის იანხილული ცნობა იბერიის მთიელთა შესახებ არ შეიცავს იმ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ინფორმაციას, რომელსაც მასში ხედავს ქართველ და სხვა მკვლევართა მოზრდილი ნაწილი<sup>48</sup>.

ჩვენ არა გვაქვს პრეტენზია, რომ ამ ცნობის სრული და ამომწურავი ინტერპრეტაცია შევძელით, მაგრამ ის კია, რომ ჩვენ გაცილებით ახლო ვართ ქეშმარიტებასთან, ვიდრე მისი უკრიტიკოდ, უანალიზოდ გამოყენებლები. ერთი რამ უქვევლია. არც სკვითი, არც სარმატი, თვით ალანებიც კი არ შეიძლება ჩაითვალოს ოსთა უშუალო წინაპრებად, რადგან როგორც ყველა ხალხის, ისე ოსი ხალხის იგენეზისი რთული და მრავალსაუკუნოვანი პროცესია, რომ ოსი ხალხის ორ მთავარ კომპონენტთაგან ერთ-ერთი ალანთა მოდგმას ეკუთვნის, მეორე „კავკასიურს“.

მათი შერწყმა მოხდა VI—X სს-ში დაახლოებით ჩრდილო კავკასიის ცენტრალურ მთისწინეთის და ნაწილობრივ მთიან ნაწილში, რომელიც თითქმის შეესაბამება „ქართლის ცხოვრების“ „უოზოსის“ სამკვიდროს.

ვ. აბაევის მიხედვით, „ოსები“ (როგორც ის უწოდებს) კავკასიაში მოვიდნენ არა უგვიანეს 2000 წლის წინ ჩრდილოეთიდან<sup>49</sup>.


„ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნიდან დონისპირეთში, ყუბანისპირეთში და ცენტრალურ კავკასიაში მკვიდრდებიან შუა აზიიდან გამოსული სარმატული ტომების მონათესავე ალანები“ — წერდა ვ. თოგოშვილი<sup>50</sup>. უქვევლად მიაჩნია ჩრდ. კავკასიაში ალანთა არსებობა ი. გაგლოითს I სს-ში ახ. წ. ამის საბუთად ძირითადად მოჰყავს ვალერიუს ფლავუსის და მარკუს ანეუს ლუკანის შესაბამისი აღგილები: ამასთანავე თავის ინტერპრეტაციას უკეთებს

თებმა მათ გზა აუქციეს და ისე შეიჭრნენ. მაგრამ ი. გაგლოითი ცდილობს სახელი „შირაქი“ (სომხეთში და სხვ.) დააკვიროს „სირაკთან“ — სარმატულ, მისი აზრით, ტომთან (გვ. 96—97). ს. ესაიანისა და მ. პოგრებოვას მიხედვით, „Степные просторы Ширака и Юго-Восточного Закавказья... не содержат памятников, свидетельствующих о сколько-нибудь длительном их здесь обитании.—С. А. Ксаян, М. Н. Погребова, Скифские памятники Закавказья, М., 1985, с. 134-135.

<sup>48</sup> სრულიად ორიგინალური და როგორც ჩანს, საფუძვლიანი პოზიცია უკავია ამ საკითხებზე მკვლევარ მ. ფირცხალავას; ასე მაგალითად, მისი აზრით, ჩრდილოეთისაკენ მსვლელობისას წინა აზიიდან მომავალმა სკვითურმა ტომებმა ამიერკავკასიაში განაგრძეს წინააზიური ფორმები და სიტყვები. მით უმეტეს რომ ძვ. წ. IV—III სს. სკვითებს მიერ კავკასიის ტერიტორიაზე არსებობა არქეოლოგიური მონაცემებით არ დასტურდება (შა რ ი ე ფ ი რ ც ხ ა ლ ა ვ ა, სკვითური კულტურის ძეგლების საქართველოში გავრცელების საკითხისათვის, სას., თბ., 1978, გვ. 31—51).

<sup>49</sup> В. А баев, 1949, გვ. 47—51. მდ. პრუტს ნეტარ იერონიმეს რუკაზე ჰქვია „ალანთა მდინარე“ (Alanus fluvius), იქვეა დასახლება Яссы. აბაევის მიხედვით, მათ მსვლელობას ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიუთითებს დარიალის ხეობის ოსური სახელი Arvy-kom-nebесное ущелье (გვ. 47, სქოლო 1). ლინგვისტური მასალის ანალიზით ვ. აბაევი ასკვნის, რომ მასთან, მის რელიეფთან, ფაუნასთან და ფლორასთან დაკავშირებული ბევრი ტიპიური სახელი ოსურში შესულია კავკასიური ენებიდან, განსაკუთრებით ქართველურიდან. მაგ- შევლი: ოს. syč'i/sk'e, მგვრ. skveri, ქართ. šveli (გვ. 49); ფიქვი: ოს. naэy/næzu შდრ. ქართ. nazvi, ოს. c'iti/c'ete—მიენიარი—ქართ. c'veti ოს. zai—ზეაიე—სვან. zai, ქართ. zvavi და სხვ. ვ. ი. ალანები თავდაპირველად მთის ბინადარნი არ ყოფილან. „მთიელობა“ მათ მიიღეს კავკასიურ სულტრატისაგან.

<sup>50</sup> ვ. თოგოშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 37.



სხვა წყაროთა ცნობებს (მაგ., კორნელიუს ტაციტუსის, პტოლემეოსის და სხვ. ცნობებს)<sup>51</sup>.

ი. გაგლოითის ცვლევის მეთოდში რომ გავერკვიოთ, განვიხილოთ ლუკანის ცნობის ხარისხი. ლუკანი პომპეუსის კავკასიური ლაშქრობის დროს დამარცხებულ ხალხებს შორის ჩამოთვლის ტავრებს, სომხებს, პართელებს, კილიკელებს და „დენიდა მკაცრ და მარად მებრძოლ ალანებს“<sup>52</sup>. კომენტატორი ტავრებთან დაკავშირებით უთითებს, რომ „Говоря о покорении Помпеем тавров Лукан допускает обычное поэтическое преувеличение“.<sup>53</sup> აქვე უნდა დავუმატოთ, რომ პომპეუსის ამ ლაშქრობის აღმწერთ დიონ კასიოსს, პლუტარქეს, სტრაბონს, აპიანეს ალანები ნახსენები არ ჰყავთ, სიმაგიეროდ ყველა ასახელებს ალანებს, რომლებთანაც დიდი შეტაკება მოუხდა პომპეუსს<sup>54</sup>. სხვათა შორის, დიონ კასიოსი სხვაგან ალბანებსა და ალანებს ერთად ახსენებს II ს-ის ამბებთან დაკავშირებით<sup>55</sup>. როგორც ჩანს, ლუკანს ახ აერია ეს ორი მსგავსი გეოგრაფიულ-ეთნიკური სახელი<sup>56</sup>, ან „განგებ“ გადააკეთა. როგორც ა. სკრიპკინი განმარტავს, „ლუკანმა როგორც ჩანს ასახა თავისი დროის რეალიები“. ა. სკრიპკინს მოაქვს კიდევ ერთი მსგავსი მაგალითი, კერძოდ, ამიანე მარცელინუსით — იმპერატორი იულიანე მიმართავს ჯარს და უყვება პომპეუსის შესახებ, რომელმაც დაიმარცხა „მასაგეტები, რომელთაც ჩვენ ახლა ალანებს ვუწოდებთ“ (Amm. Marc. XXIII, 5, 16)<sup>57</sup>. სკრიპკინი ეკამათება ი. გაგლოითის და არ ეთანხმება იმაში, რომ 35 წ. იბერიისა და პართიის ომში ალანები მონაწილეობდნენ. იოსებ ფლავიოსს და ტაციტუსს ალანები ტექსტში ნახსენები არ ჰყავთ. „Выводы о походе алан в это время в Закавказье умозрительны и отражают больше желание самих авторов видеть в этих событиях алан“.<sup>58</sup>

თვით ა. სკრიპკინს მიაჩნია, რომ ალანები აზოვისპირეთსა და კავკასიის-წინეთში (Предкавказье) გამოჩნდნენ სირაკ — აორსთა ომის შემდეგ (ახ. წ. 49 წ.)<sup>59</sup>. სენეკა ალანებს და როსკოლანებს ისტროსზე ათავსებს. იოსებ

<sup>51</sup> Ю. Гаглойти, დასახ. ნაშრომი, გვ. 70—85.

<sup>52</sup> ВДИ № 2, 1949, გვ. 324—325.

<sup>53</sup> იქვე, გვ. 322.

<sup>54</sup> სტრაბონი, გვ. 127—136; აპიანე, გვ. 199, 200, 223 225; პლუტარქე, გვ. 117, 118; დიონ კასიოსი, გვ. 62—65.

<sup>55</sup> დიონ კასიოსის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1966, გვ. 82.

<sup>56</sup> სხვათა შორის, ვ. აბაგივი აღნიშნავს, რომ ძველი მწერლები ხშირად ურევენ ქრონოლოგიას გეოგრაფიულ სახელებს.

<sup>57</sup> А. С. Скрипкин, Азиатская Сарматия в II—IV вв., СА, № 2, 1982, с. 50.

<sup>58</sup> იქვე, გვ. 50. სკრიპკინს მხედველობაში აქვს ი. გაგლოითის დასახელებული ნაშრომი. შტრ. გეოგრაფია, 1, გვ. 120, 158—159. კორნელიუს ტაციტუსის მიხედვით: ფარსმანმა მორთო ალანები, მოუწოდა სარმატებს... ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1973, გვ. 55 (VI, 33). სარმატებია ნახსენები 1969 წლის რუსულ გამოცემაშიც (Корнелий Тацит Сочинения в двух томах. I Анналы, Малые произведения, Ленинград, 1969, с. 170). ამიტომ უცნაურია ნ. ლომიძურის აზრი, რომ თითქოს ტაციტუსის მიხედვით 35 წ. ფარსან I ალანები გადმოიყვანა კასპიის გზით—იხ. დიონ კასიუსი, ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1966, გვ. 130.

<sup>59</sup> А. С. Скрипкин, დასახ. ნაშრომი, გვ. 50.

2. „მაცნე, ისტორიის სერია, 1991, № 3,

ფლავიოსი ახსენებს ახ. წ 72 წ. ალანთა მძლავრ შემოსევას ამიერკავკასიაში<sup>60</sup>.

ვ. კოვალევსკაიაც იზიარებს იმ აზრს, რომ ლუკანის ცნობა ჭეშმარიტია<sup>61</sup>. ასევე უმეპველი მიაჩნია მას ეალერუს ფლაკუსის მონაცემები<sup>62</sup>, სადაც იგი ალანებს ჰენიოხთა გვერდით ასახელებს და ამის ერთ-ერთ საბუთად თვლის იმას, რომ ტექსტში დასახელებულია მათი ბელადი „ანავსიოსი“, რომლის სახელს თურმე „ოსური“ ეტიმოლოგია მოუძებნა ი. გავლოთიმა<sup>63</sup>. ი. გავლოთი, სხვათა შორის თავის მონოგრაფიაში ჩშირად ეწევა ასეთ იოლ ეტიმოლოგიზირებას<sup>64</sup> თანაც იმავე ნაშრომში აცხადებს, რომ ირანული ენათმეცნიერების (ირანского языкознания) სპეციალისტი არ ბრძანდება<sup>65</sup>. ჩვენ ისიც ვნახეთ ჰეროდოტეს ინტერპრეტაციის მაგალითზე, თუ როგორი წყაროთმცოდნეა პატივცემული მეცნიერი<sup>66</sup>. არქეოლოგი არ ბრძანდება, არქეოლოგებს ეკაძათება<sup>67</sup>; ანთროპოლოგობას ვერ დაიჩემებს, ანთროპოლოგიურ საკითხებს არკვევს<sup>68</sup>. ამავე დროს კი ოსთა წარმოშობის დიდ და რთულ პრობლემას 250-გვერდიან მონოგრაფიას უძღვნის. რა ჰქვია ამას? აი, ასეთი „ლინგვისტის ეტიმოლოგია“ სიამოვნებით გაიზიარა ვ. კოვალევსკაიამ, ალბათ იმიტომ, რომ მასაც უყვარს ეტიმოლოგიები<sup>69</sup>. აქ პოზიციები ნათელია — რაც გვაწყობს ეიზიარებთ, რაც არ გვაწყობს — მას „ავღებულადაც“ კი მოვიხსენიებთ<sup>70</sup>.

რთულია და არცთუ ადვილად გასარკვევი ალანების მიდია-არმენიაში შესვვის საკითხი ახ. წ. 70-იან წლებში, რომელიც აღწერილი აქვს იოსებ ფლავიოსს. მას აღნიშნული აქვს, რომ ალანებს გზა მისცა ჰირკანელთა მეფემ<sup>71</sup>. ამის შემდეგ ალანები არბევენ და ძარცვავენ ჯერ მიდიას, მერე არმენიას. მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა, თუ რა გზით შეიჭრა ალანთა ურდო ირანში — დარიალის ხეობით, თუ კასპიის გზით. ქართველ და რუს მეცნიერთა შორის უფრო პოპულარულია აზრი, რომ ალანთა „ხელშემწყობი“ ჰირკანიის მეფე იგივე იბერთა მეფეა და, აქედან გამომდინარე, ისი-

<sup>60</sup> А. С. Скрипкин, გვ. 51. დასახ. ნაშრომი.

<sup>61</sup> В. Б. Ковалевская, დასახ. ნაშრომი, გვ. 85.

<sup>62</sup> ტოიბლერს და მასთან ერთად ვ. გამრეკელს ეს ცნობა სანდოდ არ მიაჩნიათ —

В. Гамрекели, დასახ. ნაშრომი, გვ. 63, სქოლიო 53.

<sup>63</sup> Ю. С. Гаглойти, დასახ. ნაშრომი, გვ. 80. „Анавсии, ст. Осет хенахфис—ненаситный“

<sup>64</sup> იქვე, გვ. 223, და სხვ.

<sup>65</sup> იქვე, გვ. 51.

<sup>66</sup> იქვე, გვ. 231.

<sup>67</sup> იქვე, გვ. 43—45, 105.

<sup>68</sup> იქვე, გვ. 244—249.

<sup>69</sup> მას მირვან I-ის დახასიათებისას ლეონტი მროველის მიერ დასახელებული „ჩიქი“ ადიღური ტომის სახელად მიაჩნია, თუმცა წყაროს კონტექსტიდან კარგად ჩანს, რომ ლაპარაკია ცხოველზე, ჩიქზე („პანტერაზე“), „ვითარცა ჩიქი სიფიცხითა, ვითარცა ვეფხი სიმენითა, ვითარცა ლომი ზახილითა“ (ცა, I, გვ. 28). — В. Б. Ковалевская, დასახ. ნაშრომი, გვ. 76.

<sup>70</sup> მაგ. „Негативные утверждения В. Н. Гамрекели малоубедительны, голословны и часто противоречивы“ ამის დასასაბუთებლად მაგალითი არ მოჰყავს.

<sup>71</sup> გეორგიკა I, გვ. 275. როგორც ჩანს, ჰირკანიის მეფე პართიის მეფეს ნომინალურად ემორჩილებოდა.



ხი ცენტრალური კავკასიონის უღელტეხილებით სარგებლობდნენ<sup>72</sup>. ასეთ ინტერბრეტაციაში ეჭვი შეიტანა ვ. გამრეკელმა, აღნიშნა, რა, რომ ალანთა ლაშქრობის გზა გარკვევითაა დასახელებული — ჯერ მიდია, შემდეგ სომხეთი. დარიალის და იბერიის გზით რომ ელაშქრათ, ჯერ სომხეთზე მოუწევდათ თავდასხმა, შემდეგ მიდიაზე (— ირანი).

მკვლევარნი, რომლებიც „პირკანიის მეფეში“ იბერთა მეფეს ხედავენ, ხოლო, „ქასპიის კარებში“ დარიალს, დამატებით საბუთად მოჰყავთ მოსე ზორენელის და მისგან მომდინარე (?) „ქართლის ცხოვრების“ ის ადგილები, სადაც მოთხრობილია ალან-ოსთა და კავკასიის ტომთა ლაშქრობაზე სომხეთში, ქართველებთან ერთად<sup>73</sup>. მართლაც, აქ რაღაც ცნობებია შემორჩეხილი, მაგრამ არცთუ ზუსტად. დამაფიქრებელია თუნდაც ის, რომ ამ ამბებთან დაკავშირებული სომეხთა მეფე არტაშესი ძე. წ. II საუკუნის მოღვაწეა<sup>74</sup>. ქართლის ცხოვრების მონათხრობში, რომელიც ზორენელისაზე ვაცილებით ვრცელია, შესაძლოა გაერთიანებულია რამდენიმე ამბავი და გამოყენებულია სხვა წყაროებიც<sup>75</sup>. ყოველ შემთხვევაში, ყველა წყაროდან ჩანს, რომ იბერიის მეფე ჩრდილო მომთაბარეთა, სარმატი იქმნება იგი თუ ალანი (ქართ. „ოესი“), მოქმედებას წარმართავს, უმეტესად თავის ინტერესთა შესაბამისად.

ასევე წარიმართა II ს-ის მეორე ნახევრის მოვლენები, როცა დიონ კასიუსის ცნობით, ფარსმან II იბერიის მეფეს ალანთა დიდ ლაშქრობა მოუწყვია, როგორც რომის, ისე პართის სამფლობელოებზე<sup>76</sup>.

ამრიგად, II ს-ის პირველ ნახევარშიც იბერია — ქართული ახერხებს კავკასიის ჩრდილოეთით მცხოვრებ მომთაბარე ალანთა თავის სასარგებლოდ გამოყენებას. კასიოსის ცნობით უეჭველია ვივარაუდოთ, რომ ალანები II ს-ის პირველ ნახევარში თითქმის ჩრდ. კავკასიაში ბინადრობენ. ყველაზე უფრო მოსალოდნელია, რომ ველის ზონაში. ამასთან, როგორც ჩანს, მათი სახელი გავრცელდა ჩრდ. კავკასიის ველზე (და მთისწინეთში?) უფრო ადრე მცხოვრებ ირანულენოვან ტომებზეც<sup>77</sup>. თითქოს ამავე დროს „ჩრდება“ თერგის სახელი „ალონთა“<sup>78</sup>. უნდა ითქვას, რომ წერილობითი წყაროების

72 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ. 517—518; გ. თ. გ. ო. შ. ე. ი. ლი, დასახ. ნაშრომი, გვ. 72-73; В. Б. Ковалевская, დასახ. ნაშრომი, გვ. 85-86.

73 ნარკვევები, ტ. I, გვ. 518—522; შდრ. გ. თ. გ. ო. შ. ე. ი. ლი, 1958, გვ. 72—78; В. Б. Ковалевская, დასახ. ნაშრომი, გვ. 86-87.

74 მოსკოვის ხორენაცი, სომხეთის ისტორია, თბ., 1984, გვ. 141, 272.

75 ტა, A. I, 1955, გვ. 45—49. საინტერესოა რომ ამ მონათხრობში ოსი მეფეების ბაზუჯის და ამბაზუჯის სახელი ჩვენში იწვევს ასოციაციას პროკოპი კესარიელის მიერ დასახელებულ დარიალის მფლობელ, შთამომავლობით პუნ ამბაზუჯთან (გეორგიკა, 2, გვ. 46).

76 ნარკვევები, ტ. I, გვ. 529. 134 წ.წ. მართალია, დიონ კასიოსი წერს თითქოს კაპადოკიის მმართველმა ფლავიუს არიანემ ალანები შეაშინა და ომი შეწყდა, ამასთან იბერატორმა ადრიანემ ფარსმანისთვის პასუხის მოთხოვნა ბრძანა, მაგრამ, როგორც ჩანს, ფარსმანის „დასჯა“ არც ისე ადვილი იყო. პირაქით, „მაღე, ანტონინე პიუსს (138—161) მისი სამფლობელოები გაუდიდებია“, ვიზიტად მიიწვია და სხვ. — დიონ კასიოსის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1966, გვ. 82—83.

77 М. П. Абрамов, К вопросу об аланской культуре Северного Кавказа, СА., № 1, 1972 е. 81.

78 В. Б. Виноградов, Аланы в Европе, ВИ, № 8, გვ. 112, მას უკავშირებენ ეთნონიმ ალანს. საერთოდ ეთნონიმისაგან ნაწარმოები პლრონიმები იშვიათია, მით უმეტეს, ამ ფორმით. საინტერესოა, რომ ძველ ინდოევროპულში გამოიყოფა მსგავსი პლრონიმები, მაგ., Alantia, Arantia, Awantia.—(ზომ არ უკავშირდება იგი რომელიღაც ძველ ფენას, მით უმეტეს,

მიხედვით, ალანთა ზუსტი ლოკალიზაცია ვერ ხერხდება<sup>89</sup>. დამატებითი ისტორიული მასალა კი, ისეთი, როგორცაა არქეოლოგია, მეტყველებს, რომ ჩრდილო კავკასიის მთიანეთში მხოლოდ VI-ის შემდეგ იწყებენ დამკვიდრებას<sup>80</sup>. „კავკასიისწინეთის“ ალანები გადავიდნენ მთისწინეთსა და მთიან ადგილებში, სადაც ადგილობრივ ტომებთან („აბორიგენებთან“) ერთად შექმნეს ცნობილი „ალანეთი, რომელმაც იარსება XII საუკუნემდე“<sup>81</sup>.

ე. ი. ახ. წელთაღრიცხვის I—II საუკუნეებში (სხვადასხვა მკვლევრის მიერ უპირატესობა ან I, ან II საუკუნეებს აქვს) ჩრდილო კავკასიის ველეებში (და ნაწილობრივ მთისწინეთშიც?) აღმოსავლეთის ტრამალებიდან<sup>82</sup> შოდის ალანთა ჩრდილოირანული ტომი, რომელიც აქ მკვიდრდება და თავის სახელს ავრცელებს ნაწილობრივ აქ დამხვედურ ზოგ მონათესავე (სარმატულ?) თუ არამონათესავე ტომზეც (იბერიულ-კავკასიური ენობრივი ჯგუფი). ეს პროცესი უფრო აქტიური ჩანს ჰუნთა შემოსევის შემდეგ (IV ს-ის 79-იანი წლები) და განსაკუთრებით კი V—VI საუკუნეებიდან<sup>83</sup>. ადგილობრივ ტომთა, თუ ხალხთა კულტურა კი იყო „გვიანყობანური კულტურა, ადგილობრივი ძირძველი მოსახლეობა უბირველესად „ყობანელთა“ შთამომავალია“<sup>84</sup>. დაახლოებით ასე მზადდება ოსთა ეთნოგენეზის წინაპირობები ახ. წ. პირველ საუკუნეებში. ამასთანავე, როგორც ვნახეთ, ალანები უკვე ამ დროს საკმაოდ მკვიდრო (პოლიტიკური) კონტაქტები აქვთ უმთავრეს ქართულ სახელმწიფოსთან — ქართლთან (ჟუტხოური წყაროების იბერია). ჰქონდა თუ არა ადგილი ალანთა მნიშვნელოვანი მასების ჩამოსახლებას ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე, მით უმეტეს, თითქოს, ენათმეცნიერული მასალა ადრეულ და ძლიერ კონტაქტზე მიგვიჩვენებს<sup>85</sup>. მაგრამ ისტორიული წერილობითი წყაროები ამის სასარგებლოდ არას ამბობს. ერთადერთი მოხსენიება I—II სს-თა შემდეგ „ოსთა“ ქართლისადმი მტრული დამოკიდებულებისა გვხვდება III

რომ ზოგი ენათმეცნიერის მიხედვით მეოტურს აქვს კავშირი ძველ ინდოევროპულთან (ტაპოროვი). —Т. В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, Тб., 1984, გვ. 953; თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, V, გვ. 132. ოსებ ფლოავისის მიხედვით ალანთა ტომი სკვითები არიან და ცხოვრობენ ტანისთან და მეოტისის ტბასთან—იქვე, გვ. 92; В. Б. Виноградов, დასახ. ნაშრომი, გვ. 111.

<sup>79</sup> В. Б. Виноградов, დასახ. ნაშრომი, გვ. 118. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ IV ს-დან არიან მთებში.

<sup>80</sup> Степи Европейской части СССР, в скифо-сарматское время. Археология СССР, М., 1989, с. 214.

<sup>81</sup> I ს-ში ჩრდ. კავკასიის ცენტრალურ ნაწილში დამკვიდრებულად მიიჩნიათ ალანები უკვე ი. ვაგლოის და გ. თოგოშვილს (1958, გვ. 37).

<sup>82</sup> Д. А. Мачинский, О времени первого активного выступления сарматов в Поднепровье по свидетельствам античных письменных источников, ДСЭ, № 13, 1973, გვ. 50. „ოსური მემკვიდრეა სარმატულ-ალანური დიალექტებისა, სარმატულ-ალანური ტომები კი სრულიად გარკვეულად დასავლეთში მოვიდნენ ვოლგისპირეთსა და უფრო აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნებიდან“.

<sup>83</sup> В. Б. Ковалевская, დასახ. ნაშრომი, გვ. 135.

<sup>84</sup> Е. В. Алексеева, დასახ. ნაშრომი, გვ. 96.

<sup>85</sup> შ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., 1966. პატივცემული მკვლევარიც ყოველთვის არ არის ზუსტი. როგორ შეიძლება მიგვიჩვენდეს ქართველთა მიერ „სკვით-ალან-ოსურიდან“ შეთვისებულ სახელებზე „კავტაია“, „ფეროში“, „ხუნახუა“ და სხვა, რომლებიც ქართველებს არ რქმევიათ (გვ. 136; 138, 139).



ს-ში. (შუა წლებში?). მეფე ამასასპის დროს „გარდმოვიდეს ოვსნი, სპანი დიდნი გზასა დვალეთისასა“. მცხეთამდე მოსულან და აქ დაუმარცხებიათ ისინი იბერიელებს. მეორე წელს კი თვითონ სომეხთა დახმარებით „გარდავიდა ოვსეთს... მოტყუენა ოვსეთი, და მოვიდა შინა გამარჯვებული“<sup>86</sup>.

ახლა ძნელია თქმა, თუ რამდენად ზუსტია წყაროს მონაცემები; ის კია, რომ თუ ადრეულ ხანებში „ოსები“ ქართული (უცხოური წყაროების ალანები) წყაროებით ქართველთა მოკავშირეები ჩანან უმეტესად, დაწყებული III ს-დან ორი-სამი ასეული წლის მანძილზე ხშირად თავდამსხმელის როლში გვევლინებიან (თუმცა ასეთი შემთხვევები და საერთოდ, კონტაქტის ფაქტებიც, წერილობით წყაროებში ძლიერ ცოტაა ფიქსირებული). ისიც უნდა ითქვას, რომ ჯერჯერობით ტერიტორიულადც არაა ახლოს ქართლთან მათი განსახლება; მხოლოდ VII—VIII სს-დან ჩნდება „ალანური კულტურის“ უტყუარი ნიშნები იბერიის სიახლოვეს ჩრდილოეთიდან, უპირველესად დარილის ხეობის მისადგომებთან — ჩიმიან<sup>87</sup>. სხვაგან, კავკასიონის ჩრდილოეთით, საქართველოსთან უშუალოდ მოსაზღვრე ტერიტორიაზე (—დვალეთი და სხვ.) ალანური კულტურის ნიშნები ან სულაც არ არის, ან ძალიან სუსტია<sup>88</sup>.

რამდენადაც, ჩვენი ვარაუდით, იგი საქართველოსაც ეხება, გვსურს შევხებით ზოგ მკვლევართა (აზერბაიჯანელი) ნაშრომებში დაფუძნებულ აზრს, რომ უკვე I საუკუნიდან ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ჩამოსახლდა ალანურ ტომთა მოზრდილი მასა. საქმე ეხება მინგეჩაურში გათხრილ კატაკომბურ სამარხთა და მისი შემცველი მასალის ატრიბუციას<sup>89</sup>. ამ იდეის ავტორებმა ი. ალიევმა და ტ. ასლანოვმა თავიანთი მოსაზრების მეტი საბუთი-

<sup>86</sup> ქცა, 1, 1955, გვ. 55—57; ნარკვევები, 1, გვ. 568; В. Б. Ковалевская, დასახ. ნაშრომი, გვ. 87, 88.

<sup>87</sup> М. П. Абрамова, Новые материалы раннесредневековых могильников Северного Кавказа, СА, № 2, 1982, с. 149—154.

<sup>88</sup> М. П. Абрамова, დასახ. ნაშრომი, გვ. 73; მისივე, Памятники горных районов..., 1973, გვ. 27; В. Б. Ковалевская, დასახ. ნაშრ., გვ. 155. თუმცა იგი ალან-ოსთა საქართველოსთან ადრეული კონტაქტის საბუთებს შიგნით ეძებს, ერთ-ერთ ასეთად მიაჩნია შაპურის წარწერა (III სს.), სადაც თითქოს ნახსენებია ალანთა კარი. აქ მკვლევართა შორის აზრთა დიდი სხვადასხვაობაა და მისი გადაწყვეტა, ვფიქრობთ, მხოლოდ დამატებით მასალას შეუძლია — იხ. გ. წერეთელი, შაპურის წარწერის „I<sup>1</sup>nnTk“, „კრებულში გიორგი ახვლედიანს“. თბ., 1969, გვ. 327—337. იგივე უნდა ითქვას ქართლის ცხოვრების მონაცემებზეც (ლეონტი მროველი), რომელიც ასევე სიღრთხილითაა გამოსაყენებელი. იგი ტექსტოლოგიურად ჯერაც სუსტადაა შესწავლილი. ამიტომ ლ. მროველის „ეთნოგენეტიკური ცნობების“ სათანადო ანალიზის და დამატებითი მასალის გარეშე გამოყენება ბევრი არასწორი აზრის სათავე გახდება. ჩვენ ასეთად მიგვაჩნია „სკვითთა“ და „ხაზართა“ იდენტიფიკაცია. ახლა ამ საკითხის გარკვევას არ ვაპირებთ, მიუვითებთ ერთ დეტალს, XI ს-ის ავტორის ლეონტი მროველისათვის ისტორიულ თვალსაწიერს „უბოხის“ რომელთა შთამომავალი არს ოვსი შვილი ნაზართა მეფისა“ (ქცა, II, გვ. 12). ეს სრულიად შეესაბამება ჩრდ. კავკასიის VII—X სს-თა სიტუაციას, როცა ხაზართა სახაკანოში შედიოდა ალანთა გაერთიანება, როგორც ქვეშევრდომი (იხ. С. А. Плотникова, დასახ. ნაშრომი, გვ. 108, 109, და სწორედ ამ დროს დაიპყდრეს ალანებმა ჩრდილო კავკასიის მთიანეთის ცენტრს „რომელ ნაწილ იყო კავკასიისა“ (ქცა, I, გვ. 12).

<sup>89</sup> Т. М. Асланов, Материальная культура Мингечаура I—VII вв., Баку (автореферат); Игр. А л и е в, Сармато-аланы на пути в Иран, ШТК, М., 1971, с. 198—201.



ნობისათვის „ქართლის ცხოვრების“ ცნობებიც მოიხმეს. მათი პუბლიკაციების საფუძვლიანი კრიტიკა უკვე მოგვცა მ. აბრამოვამ<sup>90</sup>, მაგრამ გასაგებ მიზეზთა გამო ქართლის ცხოვრების მონაცემთა მისეული შემოწმებაც მთლად სრული არ არის, კერძოდ „ქართლის ცხოვრების“ ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი ხაწილი (ქართველ-კავკასიელთა ლაშქრობა სომხეთში აზორკ და არმაზელის წინამძღოლობით).

აზერბაიჯანელ არქეოლოგთა თქმით, ალანები სომხეთზე ლაშქრობის შემდეგ „Стали лагерем в Камбечани на реке Иори и начали делить пленных и добычи“.<sup>91</sup> მათი აზრით, თითქოს ეს ცნობა მტყვევლებდა იმაზე, რომ ალანები სადღაც იორსა და მტკვრის ხეობაში დასახლდნენ. მ. აბრამოვამ თავის დროზე შენიშნა, რომ აქ დაბანაკებულნი ლაპარაკი და არა დასახლებულნი. ჩვენი მხრით დავამატებთ, რომ „ქართლის ცხოვრების“ ეს ადგილი ლეონტი მროველის მიერ: „მაშინ ამით მეფეთა ქართლისათა აზორკ და არმაზელ, მოუწოდეს ოვსთა და ლეკთა. ამით გარდმოატანეს თანა პაჭანიკნი და ჯიქნი და გარდმოვიდა მეფე ლეითა დ გარდმოიტანა დურძუქნი, დიდონი და ამით მეფთა ქართლისათა შეკრბეს სპანი თვისნი“<sup>92</sup>. ჩამოთვლილ ტომთა მიხედვით „ოსი“ მხოლოდ 1/7-ია. მთავარი კი ისაა, რომ სომხეთიდან გამობრუნებულ „კოალიციას“ დაბანაკებულს იორზე, წამოეწია სუმბატ ბივრტიანი და „მოსრნა ყოველნი ოვსნი და ლეკნი, რომელთაგან მცირედნი გადაურჩეს, ხოლო ქართველნი უფრო დარჩეს სამეოტთა გზათა მეცნიერებისაგან“<sup>93</sup>. ამრიგად, სუმბატს სწორედ ოვსნი გაუყუტია (და მათი დაკავშირება შინგეჩაურის კატაკომბებთან ვერ მოხერხდება). „ქართლის ცხოვრების“ ეს ხაწილი არ აძლევს საბაზს აზერბაიჯანელ მეცნიერებს თვის სასარგებლო დასკვნები გააკეთონ<sup>94</sup>.

ამრიგად, სრულიად გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ წერილობითი წყაროების და არქეოლოგიური მასალის მიხედვით I—III საუკუნეთა ქართლში და ამიერკავკასიაში ზარმატ-ალანური მოსახლეობის მნიშვნელოვანი მასიზ ჩამოსახლება არ მომხდარა. სხვა საქმეა საქართველოს (ქართლი, კოლხეთი) არისტოკრატიულ ფენებში ცალკეული „ალანური“ ტიპის სახელის ფიქსირება, რაც ბუნებრივიც უნდა იყოს, რადგან როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, I—II სს-ში იბერიასა და ალანებს შორის მჭიდრო სამხედრო-პოლიტიკური კავშირი იყო. ბუნებრივი ჩანს ცალკეული ალანური წარმოშობის პიროვნე-

<sup>90</sup> М. П. Абрамова, *დასა.*, ნაშრომი.

<sup>91</sup> И. Алиев, Г. Асанов, К вопросу о проникновении на территории Азербайджана сармато-аланского круга в первые века нашего летоисчисления, МАДИСО, т. III. 1975, с. 72—88.

<sup>92</sup> ქცა, I, გვ. 45.

<sup>93</sup> იქვე, გვ. 46.

<sup>94</sup> ჩვენთვის კარგადაა ცნობილი შინგეჩაურის სამარხთა არქეოლოგიური მასალა. ჩვენი აზრით, იქ არც I საუკუნის კატაკომბები და არც აგებული მთიანი გვიან იხილი ალანურებს (იქ გვხვდება კატაკომბში ჩადგმული ქვევრსამარხებიც). სხვადასხვა ტიპის სამარხთა ინვენტარი სრულიად ერთნაირია, მათ თითქმის არაფერი აქვთ საერთო „ალანურ კულტურასთან“. საინტერესოა, რომ ანთროპოლოგიური მასალაც აგრძელებს წინა პერიოდის ტრადიციას. ამავე ჯგუფს განეუთვნება დეფორმირებული თავიანი ინდივიდებიც—იხ. Р. М. Касимова, Антропологическое исследование черепов из Мингечаура, Баку, 1910, с. 61.

ბა, თუ მცირე რაზმი აქ დაფუძნებულიყო მუდმივ სამხედრო სამსახურში და კარიერაც გაეკეთებინა<sup>95</sup>.

ასეთია დაახლოებით ქართულ-ალანური ურთიერთობა IV ს-მდე. IV ს-ის მეორე ნახევარში ალანთა ცხოვრებაში დიდი ცვლილებები ხდება, რამაც ზაწილობრივ განსაზღვრა ქართულ-ალანური ურთიერთობანიც. დაახლოებით 370 წელს ჰუნებმა გაანადგურეს ტანაისთან (დონი, აზოვისპირეთი) მცხოვრები ალანები<sup>96</sup>. ასეთივე ბედი ეწიათ ჩრდ. კავკასიის ველებზე მცხოვრებ ალანებსაც<sup>97</sup>. ვადარჩენილ ალანთა ნაწილი შევიდა ჰუნთა კონფედერაციაში და დას. ევროპისაკენ დაიძრა, ნაწილი კი ჩრდ. კავკასიის სიღრმეებს შეეფარა<sup>98</sup>. აქ იწყება, ან უფრო სწორად, ფართოვდება მათი კონტაქტები კავკასიელ ავტოქტონებთან, რის შედეგადაც ისინი საბოლოოდ გადადიან ბინადარ ცხოვრებაზე<sup>99</sup>. თითქმის ყველა კატაკომბური სამაროვანი ოსეთის ტერიტორიიდან თარიღდება VI—IX სს-ით. ეს იყო ყველაზე ძნეტენსიური პერიოდი ალანთა შეჭრისა ცენტრალური კავკასიონის მთისწინეთსა და მთიან ზონაში<sup>100</sup>. ვ კოვალევსკაია უფრო აზუსტებს ამ პროცესის ქრონოლოგიას და მიაჩნია, რომ VI—VII სს-ში თუ ალანური სამაროვნები პიატიგორსკის მიდამოებსა და მთისწინეთში დომინირებ, VIII—IX სს-ში ჩნდება ჟუკვი მთიანეთშიც<sup>101</sup>. ე. ი. ფაქტობრივად ქართლის და ალანების მეზობლობა და კონტაქტების გაფართოება არ არის მოსალოდნელი VIII—IX სს-მდე. მართლაც, ამ მონაკვეთში ურთიერთობა იშვიათი და სხვადასხვაგვარია. ლეონტი მროველის მიხედვით, V ს-ის 40—50-იან წლებში ვახტანგის მეფობისას ქართლს ძლიერ დაახიანებს ალანთა ლაშქარი. რამდენიმე წლის შემდეგ ვახტანგი რევანშს იღებს „ოსებზე“. იგი დარიალანის კარით გადადის ჩრდილოეთით და თერგისპირას ამარცხებს ოცებს და მათ დამხმარე ხაზარებს<sup>102</sup>. უხდა ითქვას, რომ ამ ლაშქრობათა შესახებ სერიოზული ეჭვია გამოთქმული, რადგან ბიზანტიელი ავტორის პრისკე პანიონელის მიხედვით, დაახლოებით V ს-ის 60-იან წლებში იბერიასა და სომხეთზე ჰუნთა ტომებს ულაშქროით, რომელთაც კავკასიონის ვასასვლელები გადმოულახავთ (იუროპაახი

<sup>95</sup> Г. А. Меликишвили, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 472, 473; თუმცა ამ სახელთა შორის ზოგის ეტიმოლოგია საეჭვოა. მაგ., ასპარუჯი, რომელიც საშუალო-ირანული უნდა იყოს. — იხ. В. Бешевлиев, *Иранские элементы у ранних болгар; Античное общество*, М. 1967, с. 237—247.

<sup>96</sup> В. Б. Виноградов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 113; С. А. Плетнева, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 107—108.

<sup>97</sup> М. И. Артамонов, *История хазар*, Л., 1962, с. 51—54.

<sup>98</sup> В. Б. Виноградов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 118.

<sup>99</sup> ასე მაგალითად, თუ ამიანე მარცელინი ხაზს უსვამს მათ მომთაბარეობას (IV ს. ავტორი), VI ს-ის ბიზანტიელი ავტორები მათ ახასიათებენ როგორც ბინადარ ხალხს — Н. Г. Волкова, *Этнонимы и племенные названия Северного Кавказа*, М., 1973, с. 105—106; С. А. Плетнева, *დასახ. ნაშრომი*, 107.

<sup>100</sup> В. А. Кузнецов, *Аланские племена северного Кавказа*, МИА, 106, с. 117—118.

<sup>101</sup> В. Б. Ковалевская, *დასახ. ნაშრომი*, 1984, გვ. 79.

<sup>102</sup> ქცა, I, გვ. 145, 146, 151. საინტერესოა, რომ აქაც ოვსი ხაზართანაა გაიგივებული. ბუნებრივია XI ს-ის წყაროში ოვსები ხაზართა გარეშე არ იცის, მისი ისტორიული თვალსაწიერი უფრო ღრმა არ არის.

და სხვ.)<sup>103</sup>. პროკოპი კესარიელის მიხედვითაც ღრიალის ხეობაზე ჰუნთ აპბაუცი<sup>104</sup> ბატონობს. ამასთან ეს ავტორი მოსაზღვრე ჩრდილო ველების აღწერისასაც მხოლოდ ჰუნთა ტომებს ახსენებს, მაშინ როცა იგი ალანებსაც კარგად იცნობს და ზშირად ასახელებს კიდევ, ოღონდ უმეტესად ლაზიკასა და აბაზგიასთან დაკავშირებულ ცნობებში. ერთგან აღნიშნავს, რომ სვანები ალანთა მეზობლად ცხოვრობენ<sup>105</sup>. ალანები აქტიურად მონაწილეობენ ირან-ბიზანტიის ომებში: ხან ერთ, ხან მეორე მხარეს. ავათია სქოლასტიკოსი მოგვითხრობს, რომ (დაახლოებით 554 წლისთვის) ბიზანტიელებს გადაუწყვეტიათ მისიმიელების ციხე ბუკლონი ალანებისთვის გადაეცათ<sup>106</sup>. დაახლოებით 100 წლის შემდეგ იგი ალანთა ხელში ჩანს. ალბათ, ამ სიტუაციას ასახავს VII ს-ის სომხური გეოგრაფია: „სადაც ცხოვრობენ აფშილები და აფხაზები თავის სანაპირო ქალაქ სებასტოპოლისამდე და მდინარე დრაკონამდე, რომელიც მოედინება აღვანიდან (არა ალბანია) და გამოყოფს აფხაზეთს ეგერთა ქვეყნიდან“. ვ. მილერი მდ. დრაკონს სამართლიანად აიგივებს მდ. კოდორთან<sup>107</sup>, ეთნონიმი „აღვანი“ კი ფონეტიკურ ნიადაგზე, ან გადაწყვერის მიერ დამშვებული შეცდომაა, ე. ი. ამ ცნობითაც კოდორის სათავეები, მისიმიანეთი ალანთა ხელშია.

უნდა ითქვას, რომ ადრეულ ხანებში ალანთა საქართველოს ტერიტორიაზე ეთნიკური (?) შემოღწევის ჭერჭერობით ერთადერთი ფაქტი შეიძლება სწორედ აქ გვეგულებოდეს. აი, რას ბრძანებს დ. მუსხელიშვილი: „...ალან-ოსთა ექსპანსიას ოდესღაც კოდორის სათავეებში ჰქონია ადგილი, ამას თეოდოსი განჯრელის გარდა სრულიად სხვა წყაროებიც მოწმობს; კერძოდ, ამის დამადასტურებელი უნდა იყოს კოდორის სათავეებში, მდ. კლიჩის და მდინარე საკენის შესართავთან არსებული სოფელი „ალანდა“, სწორედ ბუქლოს//ბუკულუსის ციხესიმაგრის ნანგრევების მახლობლად. ამასვე უნდა გვიმოწმებდეს ვახუშტი ბატონიშვილი: „ხოლო ალანი არს სვანეთის დასავლეთ და ბედიის ჩრდილოეთით. აქუს აღმოსავლეთ კავკასი და საზღვარი სვანთა; სამკრით კავკასი ბედი-ა-ოდიშს და ამას შორის; დასავლეთ კავკასი; ჩრდილოეთა კავკასი...“ აქედან უეჭველად ხდება, რომ პირველ რიგში, ალანის მხარე სწორედ კოდორის სათავეებს გულისხმობს. შესაძლოა სწორედ ვახუშტისეული „ალანი“ უნდა ვიკულისხმეთ თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის იმ ცნობაში, რომელიც გიორგი მეფეს შეეხება: „... ოდესმე,

<sup>103</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, გვ. 91, 92. საინტერესოა, რომ უფრო მახლობელი წყაროების მიხედვით ვახტანგს ხელი მოუწევდებოდა ჰუნებზე (ლ. ნ. ჯანაშია, ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1962, გვ. 246—248) გამოთქმული საფუძვლიანი მოსაზრება, რომ ჭერ კიდევ IV ს-ის დასასრულს იბერიის მეფე ფარსმანს, პეტრე იბერის ბიძას, კეისარ არკადიოსის დროს იმპერიის აღმოსავლეთი პროვინციებისათვის ჰუნები შეუსევია (კ. ცეგლელი, პეტრე იბერიის სირიული ცხოვრების გამო, „აღმოსავლური ფილოლოგია“, 1, თბ., 1969, გვ. 8).

<sup>104</sup> ის მეცნიერთა და ირანისტთა მტკიცებებით ამ სახელს ალანური ეტიმოლოგია აქვს, მაგრამ მას თურქული ეტიმოლოგიაც ჰქონია — „Амбазук—Эм. Базик—самый солидный“ (იხ. Е. П. Алексеева, დასახ. ნაშრომი, გვ. 112).

<sup>105</sup> გეორგიკა, 2, გვ. 45—47, 55, 100, 103, 119, 153, 155 (სქოლიო 1).

<sup>106</sup> გეორგიკა III, გვ. 86—87. მაქსიმე აღმსარებლის ცხ. ქართ. თარგმანი მას უწოდებს „ციხესა სახელით ბოკელს საზღვართავე ოვსეთისათა“, გეორგიკა, IV, 1941, გვ. 44. კოვალევსკია ამ ციხეს რატომღაც ზღვისპირას ათავსებს, გვ. 133. ;

<sup>107</sup> В. Ф. Миллер, Осетинские этюды, т. III, с. 111.

ეპსა ზამთრისასა, გარდავიდის ლიხთიმერეთს და მიუწიის ზღუად პონტოსა, ძოიწიის და მონადირისს ალანთა ქუეყანა, რომელ არს აფხაზეთი<sup>108</sup>.

ამრიგად, ჩვენ სრულიად რეალურად გვეჩვენება ალანთა გარკვეული ხაწილის ჩამოსახლება კოდორის ხეობის ზედა წელზე<sup>109</sup>.

აღნიშნულმა ეთნიკურმა ელემენტმა უთუოდ დას. ალანებიდან „გამო-  
ჟნა“. როგორც ალანურ სიძველეთა ცნობილი მკვლევარი ვ. კუზნეცოვი აღ-  
ნიშნავს, ადრეშუასაუკუნეებში ჩრდილო კავკასიაში ალანთა ორ დიდ ტომ-  
თა გაერთიანება იყო: დას. ალანები, რომელშიც შედიოდნენ ალანებთან  
ერთად აღიღეური ტომები, ხოლო აღმოსავლეთ ალანეთში ირანულენოვან  
ალანებთან ერთად ჩეჩენ-ინგუშების წინაპრები<sup>110</sup>. მათგან უფრო აქტიური  
ჩანს დასავლეთ ალანეთი. ყოველ შემთხვევაში, ამ პერიოდში ქართლის  
ურთიერთობა ალანებთან წერილობით წყაროებში მკირედ აისახა. შეიძლება  
მოვიტანოთ ორიოდ ჩვენთვის საინტერესო ცნობა. ბიზანტიის კეისარს  
ქართლის ერისმთავარ გუარამისთვის (—გურგენ? კურაპალატი) მიუცია  
„განძი“, რომ დაეჭირებინა ლაშქარი და სპარსეთს შესეოდა. „ხოლო გუარამ  
იყო ეგრე: გამოიყვანა ოცსნი, დურძქენი და დიდონი და წარუძღვანა წინა  
ერისთავნი ქართლისანი“<sup>111</sup>. ეს შესაძლოა 571 წ. სომეხთა აჯანყების დასა-  
მთავრებელი აქციაა<sup>112</sup>. მთავარი ჩვენთვის ისაა, რომ VI ს-ის II ნახევარში  
ქართლის ერისთავმთავარი აკონტროლებს კავკასიონის გასასვლელებს და მის  
ხელშია ჩრდილოკავკასიელ ტომთა, მათ შორის „ოცსთა“ გამოყვანის საქმე.  
ალან-„ოსები“ ამ მხრივ აქტიურობას, როგორც ჩანს, ადვილად ვერ ბე-  
დავენ. შესაძლოა მათი დასუსტების მიზეზი იყო ჩრდილო კავკასიაში თურ-  
ქული ტომების, განსაკუთრებით კი ხაზარების ექსპანსია<sup>113</sup>, რომელთაც 651  
წელთან მახლობელ ხანაში თავისი საბაკანო შექმნეს<sup>114</sup>. VIII—X სს-ში ალა-  
ზეთი ხაზართა ვასალია, თუმცა მათი ეთნოგენეზი საკმაოდ წარმატებით მი-

108 დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი სა-  
კითხები, II, თბ., ჩვენი მხრივ გვსურს დავუმატოთ, რომ მეგრელები ყარაჩაელებს, რომ-  
ლებიც მდ. ყუბანის სათავეებში ცხოვრობენ კოდორის ხეობის მოსაზღვრედ, დღესაც ალა-  
ზებს ეძახიან (მ. ანდრონიკაშვილი, 1966, გვ. 141). ეს უნდა იყოს რელიქტი იმ ძველი  
სიტუაციისა.

109 ოღონდ გაურკვეველია რა ეთნიკური ფიზიონომია ჰქონდათ კოდორის ხეობის  
„ალანებს“, მხოლოდ ეთნონიმი შერჩათ მათ, თუ ენაც და სხვ. გარდა ამისა, ხაზი უნდა ვა-  
ვუსვათ — საქმე ეხება ჯერ „ალანებს“ და არა „ოსებს“ ჩვენი აზრით, სწორედ აქ, კოდორის  
ხეობის ზემო წელზე უნდა მომხდარიყო ენობრივი ურთიერთგავლენა, ერთი მხრივ, ალან-  
ურისა მეგრულსა და სვანურთან. აღსანიშნავია, რომ ვ. აბაევს ალანურის მეგრულთან კონტაქ-  
ტის ხანად არაუგვიანეს XIV ს-ისა მიაჩნია. (В. И. Абаев, დასახ. ნაშრომი, გვ. 323—330).  
აქ ბუნებრივია, გვახსენდება აზრი, რომ ექ. „მისიმიანები“ სვანური ტომია, ალანებმა ზომ  
სწორედ მათი კვეყნის ციხე დაიკავეს.

110 В. А. Кузнецов, დასახ. ნაშრომი, გვ. 131.

111 ქცა, 1, გვ. 219—220.

112 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 269.

113 გ. თოგოშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 99—100. „VI ს-ის დასასრულიდან ალანთა  
ურთიერთობა საქართველოსთან გარეშე ფაქტორების გავლენით სუსტდება. ამ დროს ჯერ  
თურქთა კავანატი, შემდეგ VII ს-ის დასაწყისიდან ხაზართა სახელმწიფო ავიწროვებს ოცსთს“.

114 М. А. Артамонова, История хазар, с. 171.

დის<sup>115</sup>. ალანთა მთავარი მტერი ამ დროს არაბობაა. VIII ს-ის შუა ხანებში არაბთა თავდასხმებით შეწუხებული ალანთა ნაწილი „სევერსკი დონეცის“ მიდამოებში გადასახლდა<sup>116</sup>. 853 წლის მახლობელ ხანაში ბულა თურქი შეიჭრება ჩრდილო კავკასიაში „დარიალანით გამოიყვანნა ოვსნი ვითარ სახლი ასი, და დასხნა ივინი დმანისს“<sup>117</sup>.

შემდეგ 888 წ. ბაგრატ აფხაზთა მეფის მხარეს ოვსთა მთავარი ბაყათარო იბრძვის<sup>118</sup>.

როგორც ვხედავთ, ნარატიული წყაროების მიხედვით ოვსთა ქართლში ჩამოსახლება ადრეულშუასაუკუნეებში არაა სავრაუდებელი, თუ არ ჩავთვლით ბულა თურქის მიერ დასახლებულ 100 ოჯახს\*.

<sup>115</sup> 965—966 წწ. რუსთა მთავარმა სვიატოსლავმა ხაზართა სახელმწიფოს ბოლო მოუღო. ამიერიდან ალან-ოსთა სახელმწიფოს პოლიტიკური ძლიერება სწრაფი ზრდის გზით, წაიდა — გ. თოგოშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 106.

<sup>116</sup> С. А. Плетнева, დასახ. ნაშრომი, გვ. 108.

<sup>117</sup> ქცა, I, გვ. 256. ეს ალბათ, ყველაზე დიდი რაოდენობაა „ოსთა“ მოსახლეობის, რომლებიც ქართლში ერთბაშად ჩამოსულან ადრეშუასაუკუნეებში.

<sup>118</sup> იქვე, გვ. 261.

\* გაგრძელება იხ. შემდეგ ნომერში.

ვალერიან ითონიშვილი

ქართული ეთნოგრაფია ფეოდალიზმის ხანაში

ფეოდალიზმის ხანაში ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ვრცელსა და რთულ პროცესთან ერთად, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო აღმავლობისა და დაქვეითების პერიოდები, განიხილება და გაიზარება ქართული კულტურის ისტორიაც. აღნიშნულ ეპოქაში მთელი ცამეტი საუკუნის მანძილზე ქართული მხატვრული და საისტორიო მწერლობის განვითარების კვალობაზე აღიწერებოდა ყოფაში მოქმედი ზნე-ჩვეულებანი, ისახებოდა მეცნიერული კვლევა-ძიების პერსპექტივები.

ფეოდალური ეპოქის ქართული ეთნოგრაფიის განვითარების შესწავლა საქმროებს საისტორიო მწერლობის, მოგზაურთა ნაწერების, მხატვრული ლიტერატურის ძეგლებისა და სამართლის წიგნების მონაცემების განხილვას. ამის შესაბამისად შეფასებას მოითხოვს წყაროებში ასახული მასალებიც და მათი კვალიფიკაციის შედეგებიც.

იმასთან ერთად, რომ არაერთი საისტორიო თუ მხატვრული თხზულება ძვირფასი წყაროა საქართველოს ისტორიული ეთნოგრაფიის შესწავლისათვის, ძველ საისტორიო მწერლობაში თავი იჩინა ეთნოგრაფიული ძიებისადმი მიდრეკილებამაც. რა იყო ეთნოგრაფია და რა ამოცანები იდგა მის წინაშე, ამის ცოდნას ფეოდალიზმის ეპოქის სწავლულებს ვერ მივაწერთ, მაგრამ ზოგი მათგანი რომ ვასცდა ფაქტების ფიქსაციის დონეს და რიგი მოვლენის დროსათვის შესაფერისი კვალიფიკაცია მოგვცა, ეს კარგად ჩანს თუნდაც ლეონტი პროვლდის ეთნოგენეტიკური თეორიიდან, სულხან-საბა ორბელიანის დიდებული ლექსიკონიდან და განსაკუთრებით კი დიდი ქართველი ისტორიკოსის, ეთნოგრაფისა და გეოგრაფის ვახუშტი ბაგრატიონის სამეცნიერო მემკვიდრეობიდან.

ეთნოგრაფიული კვლევის წყაროთა შორის ქართული საისტორიო მწერლობიდან უძველესი და ფრიად საყურადღებოა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“. მასში ასახული ცნობები შეეხება ეთნიკურ ისტორიას, განსახლების სტრუქტურას და რელიგიას. პირველი საკითხიდან აღსანიშნავია ისტორიკოსთა მიერ არაერთგზის განხილული ცნობა ქართლის მოსახლეობის წარმომავლობის, სახელდობრ რამდენიმე სახლის არიან-ქართლიდან მოსვლისა და ძველ მცხეთას დაქვეითების შესახებ.

განსახლების სტრუქტურასთან დაკავშირებით საყურადღებოა ცნობა ქალაქებისა და დაბების არსებობაზე, რაც საკმაოდ განვითარებული ცხოვრების მაჩვენებელია და თავისთავად გამორიცხავს აღნიშნულ ვითარებასთან წინააღმდეგობრივ გულუბრყვილო ცნობას, თითქოს ამგვარად დასახლებული ხალხის ყოფა იმდენად პრიმიტიული იყო, რომ „ყოველსა კორციელსა ჭამდეს

და სამარე მათი არა იყო, მკუდარსა შეშვამდეს<sup>1</sup>. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ „მოქცევაჲს“ ავტორი შეგნებულად ამუქებს წინაქრისტიანულ სიტუაციას, რათა მკაფიოდ აჩვენოს ქრისტიანული რელიგიის პროგრესი და კახონზომიერ მოვლენად წარმოაჩინოს ადრინდელ რწმენა-წარმოდგენათა მსხვრევის აუცილებლობა.

ქრისტიანული რელიგიის უპროტესტობის მქადაგებელი ავტორი შეპირს-პირებაში განიხილავს რწმენა-წარმოდგენათა სისტემას და სასლოცველოებს. მისი შეხედულებით, ისეთ ვითარებაში, როდესაც ქართლის მოსახლეობა „ცეცხლსა და ქვათა და ძელთა თაყუანის-სცემდეს... მოგუებასა და ცთომასა ზედა“<sup>2</sup>, როდესაც მთავარი ღვთაება იყო ოქროს ჭაჭვითა და მუზარადით შოსილი და ხმლით აღჭურვილი კერპი არმაზი, ზოლო მის ორსავე მხარეზე მდგარან ასევე კერპებად სახელდებული გაცი და გა, ქვეყნის ხსნისა და განვითარების ერთადერთი გზა იყო ახალი მოძღვრების გავრცელება. ეს რომ დაასაბუთოს, „მოქცევაჲს“ ავტორი დიდი გულმოდგინებით მოგვითხრობს წმინდა ნინოს სასწაულებრივი მოღვაწეობის შესახებ. თხრობაში იგი უხვად აქსოვს ლეგენდარულ ამბებს კერპების მსხვრევის, მომაკვდავთა განკურნების, შხის დაბნელების და სხვათა შესახებ.

ესოდენ სასწაულებრივი ეპიზოდები ქრისტიანული რელიგიისადმი რწმენის განმტკიცების მიზნითაა შექმნილი, მაგრამ ეჭვს არ უნდა ბადებდეს თხრობა იმის შესახებ, რომ ბართან შედარებით მთაში ახალი მოძღვრების გავრცელებას დიდი წინააღმდეგობა შეხვდა. ამგვარ ცნობებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არა მარტო ფაქტობრივი ვითარების აღსანიშნავად, არამედ მდგომარეობის ასახსნელადაც. სხვა დროის ცნობებთან ერთად აღნიშნული თხრობის ანალიზის შედეგად სრული სიცხადით შეიძლება ითქვას, რომ მთიანეთში ქრისტიანული რელიგიის გავრცელებას აბრკოლებდა სუსტად დიფერენცირებული საზოგადოების არსებობა, რომლის ინტერესებს არ შეესაბამებოდა ის მოძღვრება, რომელიც ფეხს იკიდებდა და ვითარდებოდა ბარის ფეოდალურ საზოგადოებაში.

„ქართლის ცხოვრების“ ავტორთაგან განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ლეონტი მროველს<sup>3</sup>, რომელმაც ეთნოგრაფიული კვლევისათვის ფასეული მონაცემების ფიქსაციასთან ერთად სცადა კავკასიელ ხალხთა ეთნოგენეტიკური კონცეფციის ჩამოყალიბება. მისი ეს კონცეფცია, რაც სცილდება მასალის გამომწვეურების ფარგლებს და ადრინდელი მონაცემების ინტერპრეტაციის ღირებულებასაც იძენს, ეფუძნება ხალხთა წარმოშობისა და მონათესაობის ბიბლიურ მოძღვრებას. ქართველთა ეთნოგენეზისათვის პირველ რიგში ყურადღებას იქცევს ეთნოგენეზის მონაცემების ის სქემა, რომელიც თარგამოსის მოდგმას მოიცავს. ისიც ნიშანდობლივია, რომ გენეალოგიის შედგენის პრინციპი ემყარება პატრილინეურ სისტემას, რაც შეესაბამება საზოგადოების განვითარების პატრიარქალურ საწყისს, მაგრამ ლეონტი ამ მიმართულებას ბოლომდე ვერ იცავს, რამდენადაც თაობათა პატრილინეურ მონაცვლეობასთან ერთად დამახასიათებელ მოვლენად თვლის მრავალცოლიანობასაც. ამკარაა, რომ საჭმე გვაქვს ანაქრონიზმთან, პატრილინეურ საწყისთან ერთად უფრო

1 მოქცევაჲს ქართლისაჲ, „შატბერდის კრებული“, თბ., 1979, გვ. 320.

2 იქვე გვ. 334.

3 ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა; ნინოს მიერ ქართლის მოქცევა, „ქართლის ცხოვრება“, I, თბ., 1955.

ადრინდელი ჩვეულების წარმოჩენასთან, რაც, თავის მხრივ, შეუთავსებელია პატრილინეური გენეალოგიისა და ცხოვრების პატრიარქალური წესისათვის. ამ უკანასკნელისათვის დამახასიათებელი იყო მონოგამიური ქორწინება და უფროს-უმცროსობის პრინციპზე დაფუძნებული მემკვიდრეობითობა. რაც შეეხება თარგამოსის შვილთა ცხოვრებისათვის დამახასიათებელ მოვლენად წარმოჩენილ მრავალცოლიანობის წესს, გვაფიქრებინებს, რომ მისი ოდეს-ღაც არსებობაც ლეონტი მროველისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მან ვერ შეძლო აღნიშნულ ჩვეულებათა ქრონოლოგიური გამიჯვნა და სინქრონულ მოვლენებად წარმოსახა პატრილინეური სისტემა და მისთვის შეუთავსებელი პოლიგინია (მრავალცოლიანობა). უფრო მეტიც, ისტორიკოსი ზოგჯერ უკიდურესად ღრმა არქაიზაციაში იფლობა. მისი წარმოდგენით, მამასახლისობის ეპოქის ქართლისათვის დამახასიათებელი ყოფილა მოუწესრიგებელი საქორწინო ურთიერთობა, ე. ი. მეცნიერული ჰიპოთეზით კაცობრიობის ისტორიის გარიყრაჟზე არსებული პრომისკუიტეტი. ამის მიხედვით გამოდის, რომ ქართლის მოსახლეობა პირველყოფილი ჯოგის საფეხურზე იმყოფებოდა ისეთ ვითარებაში, როდესაც, ლეონტისავე ცნობით, ალექსანდრე მაკედონელს ქართლში დახვედრია ციხე-სახლები მათთვის წინაწინააღმდეგობით.

აღნიშნულ შეუსაბამობათაგან განსხვავებით ლეონტი მროველი რეალურ სურათს ხატავს დინასტიური ქორწინების მაგალითზე. გამოკვეთილად ჩანს, რომ დიდებულთა შორის დამოყვრება ხშირ შემთხვევაში პოლიტიკური ინტერესებით იყო ნაკარანახევი, რის გამო ეს კავშირი ზოგჯერ მესამე თუ მეოთხე თაობის წარმომადგენლების შეუღლებით ხორციელდებოდა და ამით ეგზოგამიის პრინციპი ირღვეოდა. ისტორიკოსის თხრობა ეხება წინაქრისტიანულ ვითარებას, მაგრამ ეს სრულებითაც იმის მანიშნებელი არ არის, რომ სისხლით ნათესავთა შეუღლება დასაშვები ყოფილიყო. საქორწინო აკრძალვის საფუძველი იყო სისხლით ნათესაობის პრინციპი, გვარის, როგორც ერთი წინაპრის მოდგმის ერთიანობა და არა ქრისტიანული თუ წინაქრისტიანული რელიგია. მაშასადამე, ლეონტი აღწერს დინასტიური ქორწინების ხასიათს და არა ტრადიციულ ხალხურ საქორწინო ურთიერთობას.

საქორწინო ურთიერთობასთან კავშირში გაიხზრება ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინები, რომლებიც ლეონტი მროველის მიერაა გამოყენებული. ეს შეეხება როგორც სისხლით, ისე მოყვრობითი და ხელოვნური ნათესაობის ხასიათს და თვით ცნება „ნათესავის“ მრავალმხრივ შინაარსობრივ მნიშვნელობას. წყაროში ფიქსირებული წებისმიერი ტერმინი ფორმითაც და არსითაც შესატყვისობაშია დღემდე მოქმედ კლასიფიკაციასთან, რაც ნათესაურ ურთიერთობათა ხასიათის მდგრადობისა და ყოფაში შედარებით ნაკლები ცვალებადობის ფუნქციონირების დამადასტურებელი ფაქტორთაგანია.

ლეონტი მროველის თხზულებებში ასევე სასარგებლო ცნობები გვხვდება მშენებლობის, ნაგებობების, დასახლების სახეობების, საბრძოლო იარაღის და მატერიალური კულტურის სხვა კომპონენტების შესახებ. გასათვალისწინებელია მონაცემები ყოფა-ცხოვრებაში მოქმედი მრავალი წესის, გლოვის რიტუალის, წინაქრისტიანული სამლოცველოებისა და რწმენა-წარმოდგენების შესწავლისათვის. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ანალოგიურად ლეონტი აღწერს კერპებსა და მსხვერპლთშეწირულობის წესებს, წარმართული რწმენა-წარმოდგენების მსხვერვისა და ქრისტიანული რელიგიის გავრცელების პროცესს,



ცეცხლთაყვანისმცემლობისა თუ იუდაიზმის ცერებეს, გვაცნობს მნათობთა თაყვანისცემისა და წინაპრის კულტის არსს და მთელ წინააღმდეგობრივ სიტუაციას, რაც ახასიათებდა ადრინდელი რწმენა-წარმოდგენების შენარჩუნებისა და ახალი მოძღვრებით მათი შეცვლის მცდელობას.

ფეოდალურ ეპოქაში არსებული ტრადიციების ნაწილს გვაცნობს „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“. ეთნოგრაფიული თვალსაზრისით გარკვეულ მნიშვნელობას იძენს გამარჯვებულთა ნადიმისა და სტუმარ-მასპინძლობის წესის აღწერა ახლობლობისა და იერარქიის (პატივის) მიხედვით<sup>4</sup>. ასევე ეთნოგრაფიული ღირებულებისა თამარ მეფის გლოვის აღწერა, რამდენადაც მასში ნაჩვენებია მწუხარების გამომხატველი ზოგიერთი ატრიბუტიონი. თხზულების ზოგიერთი ცნობა შეეხება აგრეთვე საქართველოს ფეოდალური მონარქიის მოსახლეობის შემადგენლობას მაშინდელი ეთნო-ტერიტორიული დახაყოფების ჩვენებით.

საისტორიო მწერლობიდან ერთ-ერთი საყურადღებო ძეგლია „ქამთააღმწერელი“, საიდანაც ამოიკითხება ზოგიერთი საინტერესო ცნობა როგორც ქართველი ხალხის, ისე დამპყრობელი მონღოლების ზნე-ჩვეულებათა სისტემიდან. ქართული ყოფიდან თხზულების ავტორი გვაცნობს საქორწინო ურთიერთობის ზოგიერთ თავისებურებას. ფიქსირებული დეტალებიდან ჩანს, რომ დიდგვაროვანთა საქორწინო ურთიერთობაში კვლავ გადაწყვეტ როლს ასრულებდა მხარეთა პოლიტიკური ინტერესები. სხვა ახსნა არ მოეძებნება იმ ფაქტს, რომ დემეტრე II-ემ ცოლად შეირთო პონტოს ბერძენთა მეფის კონსტანტინოსის ასული და თავისი დაჟ თამარი ცოლად გააყოლა არღუნ ყაენს. თანახმად პირობისა, რაც დემეტრეს მამას მიუცია წარმართი ხელისუფლისათვის. საყურადღებოა ცნობები იმის შესახებაც, თუ რამდენად დასაშვები იყო პოლიგამია (მრავალქორწინება). ფიქსირებული ფაქტები გვიჩვენებენ, რომ მონღოლთა ბატონობის პირობებში ქართველი ხალხი ინარჩუნებდა ქრისტიანული დოგმებით მოქმედ მონოგამიურ ქორწინებას. ორცოლიანობა დასაშვები იყო მხოლოდ პირველი ცოლის უშვილობის შემთხვევაში (უღუ დავითის მაგალითი). ხოლო შეუწყნარებელ ქმედებად მიიჩნეოდა, უღუსობას უთანაბრდებოდა და ეკლესიის რისხვას იმსახურებდა ორცოლიანობაც (თუ მიზეზი არ იყო პირველი ქალის უშვილობა) და მით უმეტეს სამცოლიანობა (დემეტრე II-ის მიმართ კათოლიკოს-პატრიარქ ნიკოლოზის მკაცრი პროტესტი).

აღნიშნულ მოვლენებთან ერთად, რაშიც აშკარად გამოსჭვივის უცხო ზნე-ჩვეულებათა შემოჭრის ტენდენციები და ქართული ეკლესიის ბრძოლა მის წინააღმდეგ, წყაროში აღწერილია მონღოლთა გარეგნობა, სამეურნეო ყოფა, სამხედრო აღჭურვილობა, ბრძოლის ხერხები, აგრეთვე უღურთა კერპობთაყვანისმცემლობა, მონოთეიზმი და დროის აღრიცხვის სისტემა. ამდენად, „ქამთააღმწერელი“ სცილდება ქართული ყოფის ფარგლებს და მონღოლთა ყოფაცხოვრების ნიუანსებშიც გვაცნობიერებს.

ქართული ადამ-ჩვეულებების გადაგვარების სურათთა ნაჩვენები „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველ ტექსტში<sup>7</sup>. მისი ავტორის თვალსაზრისით,

4 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 66—67. |

5 იქვე, გვ. 113.

6 ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959. |

7 იქვე, II, გვ. 424.

ქართველთა ყოფაში არსებითი ცვლილებები მოხდა ყიზილბაშთა ბატონობის პერიოდში. ყიზილბაშურად სახლების მოწყობა, ტანთცმა, სამკაულით მოკრთვა, სმა-ჭამა, ვართობა, ზნეობის დაქვეითება, კატასტროფიულ საფრთხეს უქმნიდა ქართველთა თვითმყოფადობას, მის ყოფით კულტურას. ავტორი შეშფოთებულია ქართული ოჯახის შერყვნით, მხევალთა მომრავლებით, მეჩანგეთა და მუტრიბთა მოყვანით, უსირცხვილობის განვითარებით, რაც, მართალია, დიდებულთა ცხოვრებაში ინერგებოდა, მაგრამ მთელი ზალხის მიმართ უაღრესად საშიში მოვლენა იყო. საშიშროებას ქმნიდა სპარსეთის ზელისუფლების აქტიური ჩარევა ქართველთა ყოფა-ცხოვრებაში. სამაგალითოდ შეიძლება დავიმოწმოთ შაჰ-აბასის კარნახით თეიმურაზ I-ის ქორწინება ლუარსაბ მეფის დაზე — ხორაშანზე ქართველ მეფეთა ნება-სურვილის წინააღმდეგ, რამდენადაც ლუარსაბი თეიმურაზის პაპიდაშვილი იყო და ქრისტიანული წესით ეს შეცოდებად ითვლებოდა<sup>8</sup>. აღნიშნული ფაქტობრივი მდგომარეობის აღწერით „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველი ტექსტი პირველხარისხოვანი ეთნოგრაფიული წყაროა.

ქართველი ზალხის ყოფისა და ტრადიციების კვლევის მნიშვნელოვანი წყაროა ფეოდალური ხანის ქართული მხატვრული ლიტერატურა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია „შუშანიკის წამება“, „მარტვილობაჲ ყრმათა კოლაელთაჲ“, არჩილის „საქართველოს ზნეობანი“ და თეიმურაზ II-ის „სარგე თქმულთა“.

„შუშანიკის წამების“ ავტორი<sup>9</sup> გვაცნობს ოჯახის სტრუქტურას, საოჯახო ყოფისა და სულიერი კულტურის ზოგიერთ თავისებურებას. ნაწარმოების მიხედვით სრულიად აშკარად ჩანს, რომ დიდგვაროვანთა საოჯახო ცხოვრებაში ფუნქციონირებდა მამაკაცისა და ქალის უფლებების, ქცევისა და ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმები. მწერალმა ნათლად დაგვანახა, რომ აშკარა პრიორიტეტით სარგებლობდა მამაკაცი, როგორც ოჯახის უფროსი. ამან გამოხატულობა პოვა ვარსკენ ბიტიანშის ქმედებაში, ცოლისადმი უდიერ საქციელში, რასაც წინ ვერ აღუდგა ვერც ნათესაობა (ვარსკენის ძმისა და მისი ოჯახის სახით) და ვერც ეკლესია. სამაგიეროდ, მისივე ინიციატივით საოჯახო ტრადიციის დარღვევის მცდელობას დაუპირისპირდა შუშანიკი, როდესაც მან პროტესტი განაცხადა დედათა და მამათა ერთად სადილობის გამო. მწერლის მიერ ამ ეპიზოდის აღწერა იმის დამადასტურებელია, რომ ფეოდალურ ქართლში მამაკაცისა და ქალის უფლებები იმდენად გამოჩნული იყო, რომ მათი ერთად პურობაც კი ტრადიციის შელახვად ითვლებოდა. ცნობილია, რომ ეს საკმაოდ დღევანდელი ჩვეულება საქართველოს ზოგიერთ კუთხეში დღესაც კი ინარჩუნებს არსებობას.

„შუშანიკის წამება“ საყურადღებოა აგრეთვე ნათესაური, მოყვრობითი და სქესობრივ-საკობრივი ურთიერთობის გამომხატველი ტერმინებითაც, რაც დღემდე თითქმის პირვანდელი ფორმითა და შინაარსით შემოინახა ქართველი ზალხის ცხოვრებაში. ძეგლის მნიშვნელობა გასათვალისწინებელია რელიგიის ისტორიისთვისაც, რამდენადაც მასში რელიეფურადაა ასახული ბრძოლის სურათი ქრისტიანობასა და მავრდენობას შორის. საოჯახო და საზოგა-

<sup>8</sup> იქვე, გვ. 384—385.

<sup>9</sup> ისაკობ ცურტაველი, მარტვილობაჲ შუშანიკის, გამოსცა ილ. აბულაძემ, ტფ., 1938.

დობრივი ყოფის შესწავლისათვის ისიც საყურადღებოა, რომ აღწერილობა კოხკრეტულად ეხება ინდივიდუალურ ანუ პატარა ოჯახს ვარსკენის, მისი მეუღლისა და სამი შვილის შემადგენლობით. ასეთივე ტიპისა უნდა ყოფილიყო ვარსკენის ძმის ჯოჯიკის ოჯახიც. აღნიშნული ფაქტები იმაზე მეტყველებენ, რომ V ს-ის ფეოდალურ ქართლში არსებობდა მცირე ოჯახებად ცხოვრების წესი. საფიქრებელია, რომ ინდივიდუალურ ოჯახს ამ პერიოდისათვის პრიორიტეტული მდგომარეობა ჰქონდა მოპოვებული, რამდენადაც ამგვარი სახის ოჯახი ტიპიურია კლასობრივი საზოგადოებისათვის. მაგრამ აქვე ვასათვალისწინებელია გვიანდელი მონაცემებიც, რომელთა მიხედვითაც XIX ს-ის ბოლომდე პატარა ოჯახის პარალელურად არსებობას ინარჩუნებდა დიდი ოჯახიც, როგორც საოჯახო თემის გადმონაშთური სახეობა. ასეთ ვითარებაში მით უფრო დასაშვებია დიდი და პატარა ოჯახების თანაარსებობა „შუშანიკის წაქების“ შექმნის ეპოქაში. მაშასადამე, რეტროსპექტული ანალიზის მიხედვით „შუშანიკის წამება“ ისტორიული ეთნოგრაფიის საყურადღებო წყაროა.

იდეოლოგიური სიტუაციისა და სოციალური ვითარების შესწავლისათვის გარკვეული ღირებულების წყაროს მნიშვნელობა ენიჭება „კოლაელთა მარტვილობას“<sup>10</sup>. ძველის მიხედვით, ბრძოლა მიმდინარეობს ქრისტიანულსა და წინაქრისტიანულ რელიგიებს შორის, რასთან დაკავშირებითაც გამოჩნდა უძველესი ტრადიციის ცხოვრებაში მოქმედების პრაქტიკაც. საქმე ეხება ჩაქოლვით დასჯის წესს, რაც ქართული ადათისათვის დამახასიათებელი მოვლენა იყო. ამდენად, ნაწარმოებში აღწერილი ტრაგედია საყურადღებო ფურცელია ხალხური სამართალწარმოებისა, რასაც ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მონაცემებით დადასტურებული პარალელები მოეძებნება გვიანდელ ეპოქაშიც.

ფეოდალური საზოგადოების ყოფის შესწავლისათვის სათანადო ღირებულების წყაროდ გვესახება არჩილის თხზულება<sup>11</sup>, რომელიც ერთგვარი ტრაქტატის როლს ასრულებდა დიდგვაროვანთა ცხოვრების რეგულირების, აღზრდისა და ზნე-ჩვეულებათა შენარჩუნებისათვის. მეფე-პოეტი ამის საჭიროებას გრძნობდა ისეთ ვითარებაში, როდესაც მაჰმადიანურ გარემოცვასა და დაქვემდებარებაში მყოფი ხალხის ეროვნულ ტრადიციებს გადაგვარების საშიშროება ემუქრებოდა. არჩილის თვალთახედვით, ზნეობის დაცვა ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების უცილობელ პირობას შეადგენდა. მისი გაგებით, ზნეობა არის ცხოვრების წესი ანუ წეს-ჩვეულებათა მთელი სისტემა. შისივე ინტერპრეტაციით, ადამიანის ცხოვრებაში არსებობდა ორი კატეგორიის ზნეობა: საღმთო, რომელიც მოიცავდა სულიერ ცხოვრების ყველა სფეროს, და სამხედრო ანუ საერო, რაშიაც შედიოდა სამხედრო და ფიზიკური მომზადება, ნადირობა და ქცევის ნორმები. ზნეობათა აღნიშნული კატეგორიების შესაბამისად არჩილი გვაცნობს საოჯახო და საზოგადოებრივი ყოფის კომპონენტებს— ქართული სუფრის კულტურას, ქცევის წესებს და ა. შ. ზნეობის უცილობელ პირობად მიჩნეულია აგრეთვე სამართლისა და მოვლენათა განსჯის უნარი, მეღმკისობა-მოტირობის ცოდნა და ყოველივე ის, რაც ფეოდალური არისტოკრატიის ცხოვრების დონეს შეესაბამებოდა.

<sup>10</sup> მარტვილობა ცხრათა ძმათა კოლაელთაჲ, „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია“, 1, თბ., 1946, შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ.

<sup>11</sup> არჩილი, საქართველოს ზნეობანი. „თხზულებათა სრული კრებული“, 1, ტფ., 1939.

ფეოდალური ზედაფენის ყოფითი კულტურის შენარჩუნების ინტერესი ამოძრავებდა თეიმურაზ II-ესაც, რომელმაც პოეტურად აღწერა დიდგვაროვანთა ცხოვრებაში მოქმედი ზნე-ჩვეულებანი<sup>12</sup>. ავტორმა, როგორც უშუალო დამკვირვებელმა, შესაშური სისრულით გაგვაცნო საქორწილო რიტუალი, ტრადიციული სანახაობანი და ნადირობის წესები. მან განსაკუთრებით დიდი ადგილი დაუთმო საქორწილო რიტუალს. მეფე-პოეტმა თანმიმდევრობით აღწერა საქორწილოდ მზადების წესი, ურთიერთდასაჩუქრების ჩვეულება, ქორწილი ქალის სახლში, ჯვრისწერის რიტუალი, მამის სახლიდან ქალის გაძოსტუმრების ცერემონიალი, ვაჟის სახლში ნეფე-დედოფლის მღიღობის წესი, ქორწილი ვაჟის სახლში, საქორწილო ნადიმი და ყველა ის ჩვეულება, რაც ქორწილის დროს სრულდებოდა.

საქორწილო რიტუალთან ერთად თხზულებაში ნაჩვენებია ორსული ქალის მოვლა-პატრონობის, შშობიარობისა და ძეობის წესები, ზოლო როგორც ქორწილთან დაკავშირებით, ისე მისგან დამოუკიდებლად აღწერილია ყაბახი (ისრითა და თოფით ნიშნაში სროლა), ბურთაობა, ისრით ნადირობა, თოფით ნადირობა, ნადირობაში გავაზის, შევარდნის, ქორისა და მიმინოს გამოყენების წესი და ა. შ.

საკითხების ჩამოთვლაც კი საკმარისია იმის დასანახად, თუ ენოგრაფიული თვალსაზრისით რაოდენ საყურადღებოა თეიმურაზის თხზულება. ისიც თვალნათლივ ჩანს, რომ თეიმურაზიც და მისი წინამორბედი ავტორებიც მართოდენ ფეოდალური არისტოკრატიის ყოფა-ცხოვრების აღწერით იფარგლებოდნენ. აღნიშნული ვითარების გამო იგნორირებულია რიგითი მოსახლეობის ყოფითი კულტურა და, ამდენად, ყველა ზემოხსენებული თხზულების ნაკლად ეს შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ ამის მიუხედავად მაინც ენოგრაფიული კვლევის მნიშვნელოვან წყაროებთან გვაქვს საქმე.

ქართველი ხალხის საოჯახო და საზოგადოებრივი ცხოვრების შესწავლისათვის გარკვეული ღირებულების ცნობებია ასახული ქართული სახელმწიფო სამართლის ძეგლებში, რომლებიც ავსებენ ხალხური სამართალწარმოების შესაბამის მონაცემებს. ერთ-ერთ ასეთ ძეგლად გვესახება ბექა მანდატურთუხუცესის სამართალი (XIV ს.)<sup>13</sup>, რომლის შესაბამისი მუხლები ეხება საზოგადოებრივად მიუღებელ ქმედებას (უდანაშაულო მეუღლის მიტოვება, ცოლის ან ნაცოლარის მოტაცება, სამემკვიდრეო უფლების იგნორირება, ქონებრივი დავა...), აქვე საგანგებოდაა ხაზგასმული ურთიერთდახმარების წესების შესრულების საპირობება საქორწილო სანიჭარისა და საჭირისუფლო შესაწევარის სახით, რაც საქართველოს ყველა კუთხეში საყოველთაოდ გავრცელებულსა და ენოგრაფიული თვალსაზრისით უადრესად საინტერესო ჩვეულებას წარმოადგენდა.

ბექას სამართალთან ერთად აღბუღას სამართალშიც<sup>14</sup> გვხვდება ზოგიერთი მუხლი, რაც წარმოაჩენს საოჯახო ყოფისათვის დამახასიათებელი ხალხური ჩვეულებებისა და სახელმწიფო სამართლის ნორმების თანამოქმედებას.

<sup>12</sup> თეიმურაზ მეორე, სარკე თქმულთა, „თხზულებათა სრული კრებული“, თბ., 1939.

<sup>13</sup> ქართული სამართლის ძეგლები, 1, თბ., 1963, ი. დოლიძის რედაქციით.

<sup>14</sup> ქართული სამართლის ძეგლები, 1, 3. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1991 № 3,

ანალოგიური საკითხების მოწესრიგებას ითვალისწინებდა „ძეგლის დადება“ (XIV ს.), რომლის ზოგიერთი მუხლი ეხება ოჯახის სტრუქტურას და საქორწინო ურთიერთობის ნორმებს. სრული სიცხადით ჩანს, რომ ხადაცხავეტის (მერმინდელი მთიულეთის), გულამაყრის, ხანდოსა და ჭართლის თემებში (არაგვის ხეობის მთიელებში, რომელთათვისაც შეიქმნა ეს ძეგლი)<sup>15</sup> ვარსებობდა გაუყრელად ცხოვრების ტრადიცია. მეშვიდე მუხლში ამის გამომხატველია მრავალთაობიანი ოჯახის შესატყვისი ტერმინი გაუყოფარი, რომელშიც შედიოდნენ მამა, ბიძა, ძმა, ბიძასძე, ძმისწული. ამის საპირისპიროდ იქვე ჩართულია ტერმინი განაყოფი, რაც შეეხებოდა ადრე გაუყოფარი ოჯახის განაყრებს. შესაბამისად იმისა, რომ ძეგლი აღსატურებს დიდი (გაუყოფარი) და პატარა (განაყოფი) ოჯახების თანაარსებობას, ეთნოგრაფიული ძიებისათვის საყურადღებოა მასში ასახული ტერმინებიც: სახლი (ოჯახისა და გვარის მნიშვნელობით), სახლის კაცნი (ოჯახის წევრები), მოგვარეები, მეყვისი (ნათესავი, მოყვასი) და ა. შ ოჯახის სტრუქტურის შესწავლისათვის არანაკლებად საყურადღებოა მე-16 მუხლიც, რომელიც გამოხატავს დაბერებული მამისა და მომწიფებული შვილის ურთიერთობას, სახელდობრ, ერთად ცხოვრების საჭიროებას და, ამდენად, შვილის მხრიდან შამისადმი მზრუნველობის ვალდებულებას.

იმავე რეგიონისთვისაა შედგენილი „განჩინება ბარისა და მთიურთა ადგილთა 1782 წ.“<sup>16</sup>, რომლის შექმნის საფუძველი იყო არაგველთა ყოფაცხოვრებაში მოქმედი ადგილ-წყნებისა და სამართალწარმოების მოწესრიგების, რიგი შერყეული ტრადიციის განმტკიცების ან დრომოკმული ჩვეულების მოსაზრების აუცილებლობა. ძეგლი ისეთ სიტუაციაში შეიქმნა, როდესაც სახელმწიფო სამართალთან ერთად ფუნქციონირებდა ხალხური ბჭობის წესიც. ასეთ ვითარებაში სახელმწიფო სამართალმა ბრძოლა გამოუცხადა ისეთ საშიშ მოვლენას, როგორც იყო სისხლის აღებისა და შურისძიების წესი — წინაკლასობრივი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი და კლასობრივ საზოგადოებაში შემორჩენილი არქაული ჩვეულება. ამ ჩვეულების ეთნოგრაფიული შესწავლისათვის „განჩინება“ პირველხარისხოვანი წყაროა.

ძეგლის მნიშვნელობა აღსანიშნავია სხვა ისეთი საკითხების გარკვევისთვისაც, როგორცაა საადგილმამულო ურთიერთობანი (სახელმწიფო და საეკლესიო მიწებით სარგებლობის წესი, ბეითალმანის სტატუსი, ყიდვა-გაყიდვის ხასიათი), საოჯახო ყოფა და საქორწინო ტრადიციები. „განჩინება“ სრულიად აშკარად გვიჩვენებს, რომ XVIII ს-ის ბოლოს არაგველები გულგრილ დამოკიდებულებას იჩენდნენ ქრისტიანული რელიგიისადმი და ყოველთვის არ ასრულებდნენ ჯვრისწერის რიტუალს. სამეფო ხელისუფლებამ საჭიროდ ცნო შექმნილი ვითარების შეცვლა, ვინაიდან ქრისტიანული რელიგიის განმტკიცებაში დაინახა ერთ-ერთი საიმედო საფუძველი. საამისოდ იყო გამოიხნული აგრეთვე ბრძოლა შერეული ქორწინების წინააღმდეგ განსაკუთრებით მხარეთა სარწმუნოებრივი სხვადასხვაობის პირობებში. რაც შეეხება ბრძოლას დრომოკმული ჩვეულებების წინააღმდეგ, ამის სანიმუში მა-

<sup>15</sup> იქვე: ძეგლის მოქმედების არეალისა და მთის კუთხეების ლოკალიზაციის შესახებ იხ. ვახტ. ითონიშვილი, არაგვის ხეობა, თბ., 1986; მისივე, არაგვი და არაგველები, თბ., 1987.

<sup>16</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1965, ი. დოლიძის რედ.

გალითად შეიძლება აღინიშნოს ე. წ. „ქვრივის დაძახების“ (ძალმომრეობით ქვრივის ცოლად შერთვის წესის) აღკვეთა და საქორწინო ნორმად ურთიერთშეთანხმების დაწესება.

აღნიშნული მოვლენების შესწავლისათვის „განჩინება“ ისეთი რიგის წყაროა, რომლისოდაც შეუძლებელია ზნე-ჩვეულებების ისტორიულ კრილში განხილვა და გააზრება.

ეთნოგრაფიულ მასალასთან და ადათობრივი ბჭობის ნორმებთან შეპირისპირებისათვის გასათვალისწინებელია ვახტანგ VI-ის სამართლის<sup>17</sup> შესაბამისი მუხლები საოჯახო ყოფის კომპონენტებზე (ქორწინება, ქალის მოტაცება, ზნეობა, გაყრის პირობები, ქონებრივი ურთიერთობის ნორმები, ქალის მდგომარეობა უმემკვიდრეო ოჯახში და ზედსიძის უფლებები და ა. შ.),

საოჯახო და საზოგადოებრივი ყოფის მუსწავლის უმნიშვნელოვანესი წყაროა XIX ს-ნის დასაწყისში შედგენილი ადათ-ჩვეულებების კრებული<sup>18</sup>. იგი უმთავრესად ეხება ქალაქის მცხოვრებთა ადათობრივი სამართლის ნორმებს, მაგრამ დიდია მისი მნიშვნელობა საერთო ქართული წეს-ჩვეულებების შესწავლისათვის. ძველი გვაცნობს კლასობრივ საზოგადოებაში მოქმედ იმ ტრადიციებს, რაც ხალხმა სახელმწიფო სამართლის ფუნქციონირების პირობებში შემოინახა. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა მუხლები ოჯახის გაყრისა და ქონების განაწილების პრინციპების შესახებ. ვახტანგ VI-ის სამართლისაგან განსხვავებით, რომელშიც ჩამოყალიბებულია ოჯახის გაყრის პრინციპები კეთილშობილთა და გლეხთა ცხოვრებაში, „ჩვეულებითი სჯული“ ეხება მოქალაქეთა გაყრის ჩვეულებას და დაწვრილებით გვაცნობს იმ პირობებს, რომელთა მიხედვითაც განისაზღვრებოდა განაყართა უფლებები ქონების განაწილების დროს. ეთნოგრაფიულ კვლევა-ძიებაში ასევე გასათვალისწინებელია ძველის მონაცემები საქორწინო ურთიერთვადებულებების, ოჯახის წევრთა უფლება-მოვალეობის, ქონებზე მემკვიდრეობის პრინციპების, დასაჩუქრებისა და საქვრივოს გადახდის წესების შესახებაც. ყოველივე ეს ძველს, სამართლის სხვა წიგნებთან ერთად, მნიშვნელოვანი წყაროს ფუნქციას ანიჭებს ეთნოგრაფიული კვლევა-ძიებაში.

ქართული ეთნოგრაფიის ისტორიაში უმნიშვნელოვანეს მოვლენად გვესახება ვახუშტი ბაგრატიონის ფუძემდებლური ნაშრომის შექმნა, რამაც დასაბამი მისცა ქართული ეთნოგრაფიული შეცნობების განვითარებას. საქართველოს ისტორიასთან ერთად ვახუშტიმ ბრწყინვალედ შეისწავლა ქართველ და კავკასიელ ხალხთა მატერიალური კულტურა, სამეურნეო ყოფა, სოციალური ურთიერთობანი და სულიერი კულტურა, რაც გამოვლინდა როგორც ცალკეული კუთხეების აღწერილობაში, ისე და კიდევ უფრო მეტად ნაშრომის ეთნოგრაფიულ ნაწილში — „ზენი და ჩუეულებანი საქართველოსანი“. ვახუშტის სახელთან არის დაკავშირებული არა მარტო წინამორბედ ისტორიკოსთა ეთნოგრაფიულად ღირებული მონაცემების ინტერპრეტაცია, არამედ უშუალო დაკვირვებითა და გამოკითხვით მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის კლასიფიკაცია თუ მეცნიერული კვალიფიკაცია. ვახუშტი

<sup>17</sup> ქართული სამართლის ძეგლები, 1.

<sup>18</sup> საქართველოს ძველთაგან და ჩვეულებითად ქართველ მეფეთა დროთა შემოღებულნი სჯულნი (ტექსტი) — ი. დოლიძე, საქართველოს ჩვეულებითი სჯული, თბ., 1960.

თავისი ეპოქის სწორუბოვარი მემატინის თვალთახედვით გვაცნობს ქართველი და კავკასიელი ხალხების ყოფა-ცხოვრებას, რამაც მდგომარეობს მისი ხაზრობის აღწერილობითი და მეცნიერული ღირებულება.

ვახუშტის ეთნოგრაფიული მემკვიდრეობიდან ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად წარმოგვიდგება განსახლების სტრუქტურა მოსახლეობის ეთნიკური და სოციალური შემადგენლობის ჩვენებით. ცალკეული კუთხეების ამ თვალსაზრისით აღწერა გამომდინარეობს ლეონტი მროველის შეხედულების განხილვებიდან ქართველი და კავკასიელი ხალხების საერთო წარმომავლობის შესახებ. ვახუშტი ბაგრატიონმა ეს შეხედულება განავითარა საქართველოს ფეოდალური დაქუცმაცებულობის პერიოდში, როგორც ეროვნული კონსოლიდაციის ლუცილებელი პირობა. ამ მიზნით მან მნიშვნელოვან ფაქტორად წარმოგვისახა საქართველოს დაყოფამდე არსებული ქართველი ხალხის ერთობის ნიშნები: 1. საქართველოს ყველა კუთხის მცხოვრები იყო ქართველი, 2. ყველა მათგანისათვის საერთო იყო ქართული ენა და წიგნი, 3. ყველა ძეგლსა და ხატზე აღინიშნებოდა მხოლოდ ქართველ მეფეთა სახელები<sup>19</sup>.

ვახუშტის კონცეფციას ქართველი ხალხის ენობრივ-კულტურული მთლიანობის შესახებ წინ უძღოდა საქართველოს გაერთიანების დროს წარმოქმნილი პოლიტიკური შეგნება და იდეალი, რაც X ს-ის გამოჩენილ ქართველ მწერალს გიორგი მერჩულს მკაფიოდ აქვს ფორმულირებული: „ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ყამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“<sup>20</sup>.

ეროვნული მთლიანობის იდეას ვახუშტი სათანადო თვალსაზრისზე აფუძნებს და განსახლების სტრუქტურასაც ამ თვალთახედვით გვაცნობს. როდესაც ის საქართველოს რომელიმე კუთხეს აღწერს მისთვის დამახასიათებელი კომპონენტებით (მდებარეობა, ძეგლები, სამეურნეო პირობები), იქვე ეხება მოსახლეობის ეროვნულ კუთვნილებას, ენას, ანთროპოლოგიურ მონაცემებს და სარწმუნოებას. ვახუშტი ეროვნულ მახასიათებლებზე ყურადღებას ამახვილებს ეთნიკურად შერეული კუთხეების მიმართ, რითაც ავლენს თითოეული კუთხისა თუ ხეობის სპეციფიკურ მდგომარეობას, მაგრამ საქართველოსა და ქართული კულტურის ერთობის, ყველა კუთხეში განსახლებულ ქართველთა მთლიანობის მთავარ ფაქტორად თვლის ქართულ წიგნიერებას, რაც აკავშირებდა როგორც მხოლოდ ქართულად მოლაპარაკე, ისე ქართულსა და რომელიმე სხვა ენაზე მოსაუბრე ეთნოგრაფიულ დანაყოფებს.

მეორე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომლის შესწავლაშიც ვახუშტი ბაგრატიონმა გარკვეული წვლილი შეიტანა, არის მატერიალური კულტურა მისი ძირითადი კომპონენტებით. საქართველოსა და კავკასიის ზოგიერთი კუთხის აღწერაში ვახუშტი ძირითადად ეხება სხვადასხვა ტიპის ნაგებობას, სამოსელს და იარაღს, გამოყენებული მასალის, დამზადების ტექნიკის, აგებულიებისა და ფუნქციის მიხედვით. ამასთან ერთად, მას შეუუმჩნეველი არ ჩაება იმ კუთხის სპეციფიკა, თავისებურება, სადაც ფიქსირებულია მატერიალური კულტურის რომელიმე შემოხსენებული ელემენტი.

<sup>19</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება“, IV, თბ., 1973, გვ. 291—292.

<sup>20</sup> გიორგი მერჩული, ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, „ძველი ქართული აგოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“, 1, თბ., 1963, გვ. 290.

მატერიალური კულტურის სფეროში ვახუშტი უმთავრესად ეყრდნობა თავის წინამორბედ ისტორიკოსთა თხზულებებს. პირველ რიგში ეს შეიძლება დავინახოთ საჭურვლის აღწერასთან დაკავშირებით. იგი ასახელებს როგორც ინდივიდუალურ შერკინებაში, ისე საომარ ოპერაციებში გამოყენებულ რაედაცვით საჭურველს, მკვეთელ, დასარტყმელ, სამგერებელ თუ სასროლ იარაღს, მაგრამ ყველა მათგანს არ იხსენიებს. სამაგიეროდ, იარაღის სახეობათა შედარებით სრულ აღწერას ვგთავაზობს და ბრძოლის თუ ნადირობის პროცესში მათ ფუნქციას გვაცნობს ნაშრომის ეთნოგრაფიულ ნაწილში<sup>21</sup>. ივ. ჯავახიშვილის შეხედულებით, ვახუშტისეული აღწერის შესაბამისად გამოიყოფა: 1. თავდაცვითი საჭურველი; 2. მკვეთელი იარაღი; 3. დასარტყმელი იარაღი, 4. სამგერებელი იარაღი, 5. სასროლი იარაღი<sup>22</sup>.

ვახუშტი ერთადერთი ავტორია ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში, რომელმაც იარაღის შესწავლა მეცნიერულ სიმძლავზე აიყვანა. ამ მხრივ შეიძლება დავასახელოთ სულხან-საბა ორბელიანიც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ საბამ ვაკეთა მხოლოდ ისრების კლასიფიკაცია, ხოლო ვახუშტიმ საფუძველი დაუდო საჭურვლის მთელი კომპლექსის კლასიფიკაციას სახეობისა და დახიშნულების მიხედვით.

ქართველი და კავკასიელი ხალხების ეთნოგრაფიულ შესწავლაში ვახუშტი გარკვეულ ადგილს უთმობს ტანსაცმლის აღწერასაც, მაგრამ არა ცალკეული კუთხეების, არამედ ზოგადი მონაცემების მიხედვით. იშვიათი გამოჩანკლისის ვარდა, სადაც ტანსაცმლის ზოგიერთი დეტალი ან შემოსილობის გემოვნება არის ნაჩვენები, ვახუშტი ნაშრომის შესავალ ნაწილში ჯერ გვაცნობს ქართველი ხალხის ანთროპოლოგიურ მონაცემებს, რაინდულ თვისებებს, პატრიოტიზმს, რელიგიას, ქცევის ნორმებსა და ზნეობას, ხოლო შემდეგ აღწერს მამაკაცისა და ქალის სამოსელს მისი ძირითადი ელემენტების ჩვენებით. საკითხისადმი ასეთი მიდგომა იმაზე მიგვანიშნებს, რომ ვახუშტი სამოსელს კულტურის იმდენად მნიშვნელოვან კომპონენტად მიიჩნევდა, რომ მას ხალხის თვისებებთან მჭიდრო კავშირში განიხილავდა.

მატერიალური კულტურის სფეროდან ვახუშტის დაკვირვებები ეხება მშენებლობის ხელოვნებას და ნაგებობათა ტიპებსაც. ძველ მემატიანეთა მიხედვით იგი გვაცნობს ქვეთვირით მშენებლობის ტრადიციებს ციხე-სიმაგრეების, ზღუდე-კედლების, ეკლესიებისა და ხიდების მავალითზე (მცხეთა, თბილისი). ეთნოგრაფიული თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა ნაშრომის ის ნაწილი, რომელიც ეხება ქ. თბილისის საცხოვრებელ ნაგებობებს, მათი მშენებლობის ტექნიკას და დასახლების ზოგიერთ მხარეს.

ვახუშტი ბაგრატიონმა ფასდაუღებელი წვლილი შეიტანა ქართველ და კავკასიელ ხალხთა სამეურნეო ყოფის შესწავლის სფეროში. ამ მიმართულებით მუშაობის საფუძველია უშუალო დაკვირვება და გამოკითხვა. აღწერის მიკროერთეულად შერჩეულია ხეობა, რომელთა ერთობლიობა შეადგენს ერთ დიდ სამეურნეო რეგიონს. თითოეული ხეობა შესწავლილია ვერტიკალური ზონალობის პრინციპით და დადგენილია ბარის, მთისძირისა და მთის სამეურნეო პირობები მეურნეობის შესაბამისი ფორმებით. მთისა და

<sup>21</sup> ვახუშტი, გვ. 18.

<sup>22</sup> ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, ტ. III—IV, თბ., 1963, გვ. 222—223.



ბარის მეურნეობის გავრცელების მაჩვენებლად მიჩნეულია ვენახიანობა-ხე-ლიანობა. ამის შესაბამისად ჩანს, რომ მრავალდარგიანი მეურნეობის არსე-ლობა უფრო მეტად ბარისთვის არის დამახასიათებელი.

ცალკეული კუთხეებისა და ხეობების სამეურნეო ზონებად შესწავლას-თან ერთად ვახუშტიმ მალაქ მეცნიერულ დონეზე წარმოაჩინა მთისა და ბა-რის სამეურნეო ურთიერთობის ზსასიათი, რასაც განსაკუთრებული მნიშვნე-ლობა ენიჭება სურთოდ მთისა და ბარის სოციალურ-ეკონომიკური ურთი-ერთობის კვლევაში.

ვახუშტის ეთნოგრაფიულ მემკვიდრეობაში დიდი ადგილი უჭირავს სო-ციალურ ურთიერთობათა საკითხებს. ქართული საოჯახო და საზოგადოებრივი ყოფის ავტორისეული ინტერპრეტაცია მოცემულია ისტორიული მოვლენე-ბის და კუთხეების აღწერაშიც და ნაშრომის იმ ნაწილშიც, რომელშიც კომ-პაქტურადაა განხილული ქართული ხალხური ჩვეულებები, სამართალწარმო-ების ნორმები, სულიერი კულტურა, სახელმწიფო მმართვეობის სისტემა და ა. შ. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ყოველივე ამის გამაერთიანებელ სა-ხელწოდებად ვახუშტიმ შეარჩია „ზენი და ჩუეულებანი საქართველოსანი“. ამ დასათაურებაში საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება აქ გამოყენებულ ტერ-მინებს („ზენი“, „ჩუეულებანი“), რამდენადაც კომპოზიტი „ზენ-ჩვეულება“ ფართოდ ფუნქციონირებს როგორც სამეცნიერო და მხატვრულ ლიტერატუ-რაში, ისე მეტყველებაში.

აღნიშნული ცნების პირველი სიტყვა ზ ნ ე ანუ მორალის არის საზო-გადოებრივი შეგნების ერთ-ერთი ფორმა. ზენე წარმოადგენს ქცევის ნორმე-ბის ერთობლიობას, რომელიც მოიცავს ადამიანების ურთიერთობას და სა-ზოგადოებასთან მათ დამოკიდებულებას. პირველყოფილ-თემური წყობილე-ბის დაშლისა და საზოგადოების კლასებად დაყოფის დროიდან ზენე ან გაბა-ტონებული კლასის ინტერესებს მმართლებდა, ანდა ამ ბატონობის წინა-აღმდეგ ჩაგრული კლასის დამოკიდებულებას გამოხატავდა. ამასთან ერთად, გაბატონებული კლასის ზენე დომინანტობდა არსებული საზოგადოების ზენთა სისტემაში. კანონებში გამოხატული სამართლებრივი ნორმებისაგან განსხვა-ვევით, რომელსაც მხარს უჭერს სახელმწიფო ხელისუფლება, ზენე ემყარება საზოგადოებრივ შეხედულებას, შინაგან რწმენას, ქცევის ნორმებს. ადამიანთა მოქმედების შეფასება ზენობრივი პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად გამოხატულებას პოლოზს ისეთ კატეგორიებში, როგორიცაა კეთილი და ბოროტი, სინდისი და უსინდისობა, სამართლიანობა და უსამართლობა. ზენე ზედნაშენის შემადგენელი ელემენტია, ის ცვლილებას განიცდის ბაზისის შეცვლასთან ერთად და, ამდენად, კლასობრივი ზსასიათისაა.

ადამიანის ან საზოგადოების ქცევის, მორალისა და თვისებების გამომ-ხატველი ცნების მნიშვნელობით „ზენე“ გვხვდება ვახუშტის წინარე ეპოქის ქართულ ორიგინალურ მწერლობასა და ნათარგმნ ძეგლებში. ის რამდენადმე უახლოვდება „ჩვეულებას“, მაგრამ მასთან პირდაპირ შესატყვისობაში არ არის. ამას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება შედგენილი ცნების („ზენე-ჩვე-ულება“) შინაარსობრივი დატვირთვის დასადგენად.

როგორც ვახუშტის, ისე სხვა ავტორთა მონაცემებზე დაკვირვება ცხად-ყოფს, რომ აღნიშნული კომპოზიტის პირველი სიტყვა უპირველეს ყოვლისა ქცევის, მორალისა და თვისებების გამომხატველია, ხოლო „ჩვეულება“ ნიშ-

ხავს გარკვეულ საზოგადოებრივ გარემოში დამკვიდრებულ წესს, რომელიც არეგულირებს ადამიანთა მოქმედებას და ქცევას.

ჩვეულება არსებობას ინარჩუნებს საზოგადოებრივი ურთიერთობის სხვადასხვა საფეხურზე. თუ ჩვეულება სანქცირებულია სახელმწიფოს მიერ, ის იქცევა ჩვეულებითი სამართლის ნორმად. პირველყოფილ-თემურ წყობილებაში ჩვეულება იყო საზოგადოებრივი ქცევის ერთადერთი წესი, რომელიც მოიცავდა საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარეს. კლასობრივ საზოგადოებაში ჩვეულებამ გაბატონებული კლასისათვის სასარგებლო და სკდირიო ახალი შინაარსი შეიძინა. მაგალითად, სისხლის აღების წესი, რომელიც წარმოიშვა გვაროვნული წყობილების ხანაში, კლასობრივ საზოგადოებაში შეიცვალა კომპოზიციით — მოკლულის სისხლის მატერიალური ანაზღაურებით, რაც განისაზღვრებოდა მოკლულის კლასობრივი მდგომარეობის მიხედვით.

„ზნე-ჩვეულებასთან“ მიმართებაში საყურადღებოა „წეს-ჩვეულების“ არსიც, კერძოდ ცნება „წესის“ მნიშვნელობა, რამდენადაც ორივე კომპოზიციში გამოყენებული სამი სიტყვიდან (ზნე, ჩვეულება, წესი) პირველისა და მეორის შესახებ უკვე ითქვა. ივ. ჯავახიშვილის შეხედულებით, „წესი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და დაწესებულებების მართვა-გამეგობის მომგვარებელი ჩვეულებას, რიგსა და დებულებას ერქვა და არა სასამართლო კახონს“<sup>23</sup>. გამოდის, რომ „წესი“ ჩვეულების თანაბარმნიშვნელოვანი ტერმინია. ეს გარემოება თავის მხრივ იმაზე მიგვანიშნებს, რომ „წეს-ჩვეულება“ ორი იდენტური სიტყვისაგანაა შედგენილი, რაც მას თავისთავად განასხვავებს „ზნე-ჩვეულებასაგან“, რამდენადაც „ზნე“ „ჩვეულების“ ზუსტი ანაბეჭდი შინიც არ არის.

მართალია, ამ ცნებებს შორის იდენტურობის სრული უგულებელყოფა შეუძლებელია, რამდენადაც „ზნე-ჩვეულება“ და „წეს-ჩვეულება“ გამოხატავენ ამა თუ იმ საზოგადოებაში დამკვიდრებული ცხოვრებისეული ნორმების ერთობლიობას, მაგრამ შინაარსობრივი თვალსაზრისით უფრო ტევადი ჩანს „ზნე-ჩვეულება“. მას ამ უპირატესობას ანიჭებს სიტყვა „ზნე“, რაც „წესისაგან“ განსხვავებულ ვითარებას გამოხატავს. აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ვახუშტიმ სწორად შეარჩია ეთნოგრაფიული ცნებები და სრული გარკვეულობა შეიტანა ნაშრომის შესაბამისი ნაწილის დასათურებაში. ეს კარგად გამოჩნდა საკითხების კლასიფიკაციის მიხედვითაც. მან ცალკე გამოყოფილ ერთ-ერთ პარაგრაფში („ზნეთათჳს“) დახატა ქართველი ხალხის მორალური პორტრეტი, („პირმტკიცობა“, „ერთისა ცოლისა ქრმოზა...“), ხოლო მეორეში („ჩუეულებისათჳს“) მკაფიოდ დაახასიათა ლხინსა და ჭირში მოქმედი უმთავრესი წესები (ქორწინება, სუფრის ტრადიცია, ვლოვის რიტუალი...). ამდენად, ტერმინი „ჩუეულება“ ვახუშტის ნაშრომში ისეთივე ფართო შინაარსის მქონეა, როგორისაც ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში დამკვიდრებული ცნება „კულტურა და ყოფა“.

საოჯახო და საზოგადოებრივ ყოფაში მოქმედ ჩვეულებათაგან ვახუშტი უმთავრესად ეხება საქორწინო ურთიერთობას და უფრო მეტად ისტორიულ ძონაცემებზე დაყრდნობით წარმოაჩენს მის არქაულ ნიშნებს. რიგ შემთხვევაში ვახუშტისეული არქაიზაცია, რაც ასევე დამახასიათებელი იყო მის წინამორბედ ისტორიკოსთა მსჯელობისათვის, შეუსაბამობაშია რეალურ ისტო-



რიულ ვითარებასთან, მაგრამ ყოვლად შეუძლებელია ვახუშტის იმ უმთავრესი შეხედულების უარყოფა, რომ ფეოდალურ საქართველოში მტკიცედ იყო დამკვიდრებული წოდებრიობაზე დამყარებული მონოგამიური ქორწინება.

ქართველი ხალხის სოციალური ყოფის შესწავლაში ვახუშტი ისტორიულ მონაცემებთან ერთად იყენებს უშუალო დაკვირვებითა და გამოკითხვით მოპოვებულ მასალას. იგი არა მარტო მოვლენის ფიქსაციას აღწევს, არამედ მის ცვალებადობასაც გვიჩვენებს. მეცნიერი ქართულ ზნე-ჩვეულებებს აღწერს არსებულ ვითარებასთან მჭიდრო კავშირში და ასეთ აღწერას ისტორიული მოვლენის მნიშვნელობას ანიჭებს. ეს ადვილებს აღწერილი ჩვეულებების გარკვეულ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში მოქცევას და იმის გარკვევას, თუ რომელი მათგანია ადგილობრივი, შემოსული ან შერწყმულ-შერეული.

ასეთივე თვალთახედვითაა წარმოჩენილი მონაცემები სულიერი კულტურის უმნიშვნელოვანესი ფენომენის — რელიგიის შესახებ. ეს ეხება როგორც წინაქრისტიანულ ღვთაებებსა და კულტებს, ისე ქრისტიანობის გავრცელების ისტორიას. წინამორბედ ისტორიკოსთა ცნობაზე დამყარებით ხაშრომში ნაჩვენებია რთული პროცესი ბრძოლისა, რაც დამახასიათებელი იყო ქრისტიანობის გავრცელებისათვის. თვალნათლივ ჩანს სხვა რელიგიების (ეცესლოთაყვანისმცემლობა, წარმართობა) ადგილიც იდეოლოგიური ბრძოლის ვითარებაში და საბოლოო შედეგები, რაც ქრისტიანობის გამარჯვებაში გამოიხატა. ვახუშტიმ ნათლად დაინახა ის განსხვავება, რაც ბარისა და მთის მოსახლეობის სულიერ კულტურაში არსებობდა. მისთვის ცნობილია არა მარტო ის, რომ ქრისტიანობის გავრცელების პროცესი მჭიდროდ დაკავშირებული იყო პოლიტიკურ ფაქტორებთან, არამედ ისიც, რომ ქვეყნის მთისა და ბარის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე იდეოლოგიის სფეროშიც აირეკლებოდა. ვახუშტის დაკვირვებით, ბართან შედარებით მთის თემებში შეინიშნებოდა რელიგიური სინკრეტიზმი ქრისტიანული და წინა-ქრისტიანული რწმენა-წარმოდგენების თანაარსებობის სახით, რაც კარგად გამოჩნდა თუშეთის მაგალითზე: „ხოლო სარწმუნოებითა და ენითა არიან ქართულითა. აწ მწყისის ალავერდელი, მიმტაცე ხარჭაშისა. არს ეკლესია მცირე. აღმენებული ძუელითვე, და უვისთ ხუცესნი, არამედ უმეტეს უცნობელნი ჭეშმარიტებისანი, რამეთუ აქუსთ კლდე დიდი და მაღალი, და დღესა ილია წინასწარმეტყუელისასა, მოვლენ და შესწირვენ მას კლდესა ცხოვარსა და ძროხასა, და თაყუანისცემენ კლდესა მას, და რა იგი ესმის კლდისა მისგან, რწამთ უმეტეს ყოვლისა იგი“<sup>24</sup>.

ვახუშტი ამ შემთხვევაში ითვალისწინებს როგორც მთელთა საზოგადოებრივი ცხოვრების ერთგვარ კონსერვაციას ბარის სოციალურ განვითარებასთან შედარებით, ისე ვაინახებთან (ჩაჩნები, ინგუშები) თუშეთის სამეზობლო ურთიერთობას, რის შედეგადაც სასაზღვრო ზოლში ენობრივ-სარწმუნოებრივი სინთეზი იქმნებოდა: „ხოლო რომელი არიან მკარეთა ქისტთა და ღლილუთა, უწყიან ენანი უფროს მათნი, გარნა ფარსმანის კვეისანი სარწმუნებით და ენით შერეულნი არიან, ვითარცა ქისტნი“<sup>25</sup>.

ქრისტიანული და წინაქრისტიანული რწმენა-წარმოდგენების თანაარსებობა ისტორიკოსმა ასევე დაადასტურა ფშავში, სადაც მისი ყურადღება მი-

<sup>24</sup> ვახუშტი, გვ. 554—555.

<sup>25</sup> იქვე, გვ. 555.

უქცევია ლაშარის ჯგრის ეკლესიას, იქ დაცულ ოქრო-ვერცხლის ჯვარ-ხატებს, შემწირველობის საყოველთაო წესს და ბოლოს იმას, რომ ქართველი მთიელნი (ფშაველნი, ხევსურნი) „არიან ესენი სარწმუნოებითა და ენითა ქართულითა, გარნა აქუსთ სასოება ქადაგსა ზედა რომელი წარმოდგების კაცი უცები და ვითარცა ხელქმნილი, ღლადებს მრავალსა მაგიერად წმიდის ვიორგისა, და რასა იგი იტყვს სთნავთ და ჯერ იჩენენ უმეტეს ქეშმარიტებასა“<sup>26</sup>.

რელიგიური სინკრეტიზმის მაჩვენებლები ჩანს აგრეთვე საქართველოსა და კავკასიის სხვა კუთხეებზე დაკვირვებიდანაც, მაგრამ ამჯერად დამოწმებულიც საქმარისი საფუძველია იმის სათქმელად, რომ წინაქრისტიანული ტრადიციის არსებობა მთაში ვახუშტიმ უშუალო დაკვირვებითა და გამოკითხვით დაადასტურა. იგივე შეიძლება ითქვას მიცვალებულის დასაფლავებისა და გლოვის წესების აღწერის მაგალითზედაც, რომელშიც გამოვლენილია ისტორიულად არსებული ვითარებაც და გვიანფეოდალურ ხანაში მომხდარი ცვლილებებიც. აღწერილი წესებიდან ბევრი რამ დაადასტურა ეთნოგრაფიულმა კვლევამ-ძიებამ. ამგვარი შეხვედრები საერთოდ დამახასიათებელია ქართველი და კავკასიელი ხალხების ყოფა-ცხოვრების შესწავლის პროცესისათვის. ვახუშტის ნაშრომის გარეშე წარმოდგენილია ეთნოგრაფიული მუშაობა. ამ სამაგიდო წიგნით ვახუშტიმ უდიდესი ადგილი დაიმკვიდრა ქართული ეთნოგრაფიის ისტორიაში.

ვახუშტ ბაგრატიონის შემდეგ ქართული ეთნოგრაფიის ისტორიაში სათანადო ადგილი დაიმკვიდრეს ქართველმა ბატონიშვილებმა. მათი ნაწერებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია ვახტანგ ბატონიშვილის (1762—1814 წწ.) საისტორიო თხზულება<sup>27</sup>, რაც გასათვალისწინებელია ქართველი ხალხის სოციალური ყოფის, მატერიალური და სულიერი კულტურის შესწავლისათვის. ჰქვიათ ანალიზის საფუძველზე ძნელი არ არის იმის დანახვა, რომ ავტორი სარგებლობდა წინამორბედ სწავლულთა მონაცემებით. ქართული საქორწინო ტრადიციებისა და ატირებულების მსგავსად, იფარგლება მხოლოდ ფეოდალური არისტოკრატიის ყოფა-ცხოვრების მიმოხილვით. ეს ეხება საქორწინო ტრადიციებსა და ატირებულებს, ძეობის წესს, გლოვის რიტუალს, ნადირობის პროცესს თუ სპორტულ სანახაობებს. მოყვარობაზე შეთანხმება, მხარეთა ურთიერთვალდებულება, ურთიერთდასაჩუქრება, დანიშნულთა ურთიერთობა, ნიშნის მიტანა, საქორწინო რიტუალი, ჯგრისწერა, მყარობა, შექორწილეთა ნადიმი, ზიმღერები, ცეკვები, გამზიოვება, დასაჩუქრება და მრავალსაფეხურიანი პროცესი მთლიანად ისეთივე თანმიმდევრობითა და შიხაარსობრივი დატვირთვითაა აღწერილი, როგორც ეს პოეტურადაა ასახული თეიმურაზის თხზულებაში. ანალოგიური ვითარება შეინიშნება გლო-

<sup>26</sup> ვახუშტი, გვ. 533.

<sup>27</sup> ვახტანგ ბატონიშვილი, ისტორიები აღწერა, ტფ., 1914, გამოსცა ს. კაკაბაძემ.

ვის რიტუალის აღწერაშიც, რაც საფუძველია დასკვნისა, რომ ვახტანგ ბატონიშვილმა სისტემაში მოიყვანა და საკმაოდ მიმზიდველი თხრობით მოიხილა ფეოდალთა ყოფაში მოქმედი წეს-ჩვეულებები.

XVIII ს-ის დასასრულსა და XIX ს-ის დასაწყისში ქართული მეცნიერებისა და კულტურის საქმეს ემსახურებოდნენ გიორგი XII-ის შვილები დავითი (1767—1819), იოანე (1768—1830) და თეიმურაზი (1782—1846). სამეფო კარზე აღზრდა და რუსეთში მიღებული განათლება სრული საფუძველი იყო იმისა, რომ მათ ნაყოფიერი სამეცნიერო კვლევა-ძიება ეწარმოებინათ.

დავით ბაგრატიონის მრავალმხრივი სამეცნიერო მემკვიდრეობიდან ქართული ეთნოგრაფიის ისტორიისათვის პირველ რიგში საყურადღებოა მისი „საქართველოს ისტორია“<sup>28</sup>, რომელშიც გამოყენებულია ქართულ, რუსულ, სომხურ, სპარსულ, ებრაულ, ბერძნულ და ლათინურ ენებზე არსებული წყაროები და ლიტერატურა.

დავით ბაგრატიონი სათანადო მნიშვნელობას ანიჭებს ისტორიული შინაარსის გადმოცემებს, წინამორბედ ისტორიკოსთა შრომებში ასახულ მოვლენებს, უშუალო დაკვირვებით მიღებულ შთაბეჭდილებებს. ამ რიგის მონაცემები გამოყენებულია „საქართველოს ისტორიის“ პირველ ნაწილში, რომელიც ეხება ე. წ. მამასახლისობის ხანას. მასში განხილულია ეთნოგრაფიული თვალსაზრისით საინტერესო ისეთი საკითხები, როგორცაა ქართველი ხალხის ეთნოგენეზი, ანთროპოლოგიური და თვისებრივი დახასიათება, სამეურნეო პირობები და მეურნეობის დარგები, ტანსაცმელი, ხალხური ტრადიციები, რელიგიური რწმენა-წარმოდგენები, მესისხლეობა, გლოვის წესი, საქორწინო წეს-ჩვეულებები. აღნიშნული საკითხები ავტორს გარკვეული აქვს მეტ-ნაკლები სისრულით. ერთ შემთხვევაში იგი კმაყოფილდება წინამორბედ მემატიანეთა ნათქვამის განმარტებით, მეორე შემთხვევაში ზოგადი ხასიათის მონახაზებით, ხოლო ზოგიერთი საკითხის მიმართ გარკვეულ სიზღვიანობას და ოროინალობას ამჟღავნებს.

ეთნოგრაფიული კვლევისათვის განსაკუთრებით ფასეულია ყოფაში ფიქსირებული მონაცემები. ეს ეხება როგორც მატერიალური და სულიერი კულტურის, ისე სოციალურ ურთიერთობათა სფეროებს. სანიმუშოადაა აღწერილი ქართული ტანსაცმელი და შედარებულია ის კავკასიის ხალხთა ჩაცმულობასთან. ქართველი და სხვა ხალხების ყოფიდან განხილულია საქორწინო ურთიერთობის ზოგიერთი თავისებურება და მოცემულია მათი არსის ახსნის ცდა. ამ მხრივ დამაფიქრებელია ავტორის მსჯელობა ორიგინალური ქართული თუ შექმნილი ჩვეულებების შესახებ, ოსთა საქორწინო ურთიერთობაში „სნოხაჩესტოს“ თუ ლევირატის არსებობის საკითხთან დაკავშირებით და ა. შ. შედარებითი ანალიზის თვალსაზრისით შეიძლება გამოყოთ აგრეთვე ზნეობრივი ნორმების დარღვევასთან დაკავშირებული სასჯელების ფუნქციონირების ავტორისეული ინტერპრეტაცია და სხვ.

ყველა იმ საკითხის განხილვის მავალითზე, რომელიც აღწერასთან ერთად მის ანალიზსაც მოიცავს, დავით ბაგრატიონი მკვლევრის როლში გვევლინება, რომელმაც სიახლის მაძიებელი სწავლულის ადგილი დაიმკვიდრა ეროვნული ეთნოგრაფიის ისტორიაში.

<sup>28</sup> Д. Багратиони, История Грузии, Тб., 1971.

სწავლულ ბატონიშვილებს შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურა იოანე ბაგრატიონი, რომელიც ენციკლოპედისტის სახელით შევიდა ქართული მეცნიერების, კულტურისა და ლიტერატურის ისტორიაში. მისი ნიჭი, მრავალმხრივი განათლება და ცხოვრების ღრმა ცოდნა გამოვლინდა „კალმასობა“-ში, რომელიც საკმაო სისრულით გვაცნობს საქართველოში საბუნების-შეტყველო და ჰუმანიტარული მეცნიერების დონეს XVIII—XIX სს. მიჯნაზე.

ქართველი და კავკასიელი ხალხების ყოფისა და კულტურის ავტორისეული ცოდნა ვლინდება დიალოგებში, რასაც ეფუძნება ნაწარმოების სტრუქტურა. იოანე ბაგრატიონის შეხედულებით, ხალხის ყოფა-ცხოვრების, მისი ზე-ჩვეულების ცოდნა მოეთხოვება პირველ რიგში სახელმწიფო ხელისუფლებას. „კალმასობაში“ გატარებული აზრის თანახმად მეფეც კი უნდა იყოს „მცნობედ ჩვეულებათა თანა მცხოვრებთასა“<sup>29</sup>. უფრო მეტიც, ქვეყნის მეთაური ამ ჩვეულების შესრულების მონაწილეც უნდა იყოს, „თვისთა ერთგულთა ყმათა ჟამსა ქორწინებისასა შეეწეოდეს და მკვდარსაც იგლოვდეს და წასახურავს უბოძედეს. მზიარულებასა შინა მათთანა იხარებდეს და ჭირთა შინა მათთანა მკმუნვარებდეს“<sup>30</sup>. მისივე შეხედულებით, მეზობელი ხალხების თანასწორუფლებიან ურთიერთობაშიც და დაპყრობილი ხალხის ცხოვრების რეგულირებაშიც ენებისა და გეოგრაფიის ცოდნასთან ერთად აუცილებელია ყოფა-ქცევის ანუ ზნე-ჩვეულების ცოდნაც. ამას როდესაც ამტკიცებდა, მშვენივრად იცოდა, რომ ხალხთმცოდნეობას, როგორც ევროპული დონისათვის დამახასიათებელ ატრიბუტს, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა განვითარებული ქვეყნების პოლიტიკურ, ეკონომიკურ და დიპლომატიურ სარბიელზე. მისი მსჯელობიდან კარგად ჩანს აგრეთვე ტრადიციის, როგორც ეროვნული ფენომენის როლი კოლონიალურ ქვეყანაში. სწორედ ამ თვალსაზრისით ეხება იგი ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის კომპონენტებს. ეს კარგად ჩანს „კალმასობის“ ერთ ნაწილში — „თვის საქართველომასა“, რომელიც მოიცავს საქართველოს გეოგრაფიულსა და ეთნოგრაფიულ მიმოხილვას. მასში თანმიმდევრობითაა აღწერილი ეთნოგრაფიული კვლევის საკითხები: სახლები, ტანისამოსი, საქმელნი, საჭურველნი, სამუშაო იარაღი, საწონი, საწყაო, საკრავნი, ქორწინება, სარწმუნოება, მკვდართ დამარხვა, სისხლი, ფიცი შეწამებისა და ქურდობისათვის და ა. შ., რაც ვახუშტი ბაგრატიონის გავლენით გაკეთებული ეთნოგრაფიული მიმოხილვის უტყუარი მაჩვენებელია. ძირითადად ეს შეეხება საკითხების კლასიფიკაციას, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ იოანე ბაგრატიონმა ახალი მონაცემებით გაამდიდრა ნივთების აღწერაც და საზოგადოებრივი ყოფის სფეროშიც მრავალი მანამდე უცნობი მოვლენა გააშუქა. პირველ რიგში ეს ეხება ხალხური ბჭობის ტრადიციას, რაც უშუალო დაკვირვებითა და გამოკითხვითაა შესწავლილი. მისივე დამსახურებაა ზოგიერთი ისეთი მოვლენის ფიქსაცია და კვალიფიკაცია ქართველი ხალხის საქორწინო ურთიერთობის სფეროდან, რისთვისაც ყურადღება არ მიუქცევიათ მის წინამორბედ სწავლულებს (მაგალითად, ურვადის გადახდის წესი).

29 ი. ბატონიშვილი, კალმასობა, „ქართული პროზა“, VI, თბ., 1984; გვ. 238.  
30 იქვე, გვ. 239.

ეთნოგრაფიულ კვლევა-ძიებაში უსათუოდ გასათვალისწინებელია იოანე ბაგრატიონის დაკვირვებები ხალხური სამართალწარმოების საკითხებზე. ძველევარი იცნობს სისხლის აღების პრინციპებსაც და საოჯახო სამართლის ნორმებსაც, რაც არეგულირებდა ცოლ-ქმრულ ურთიერთობას, განსაზღვრავდა ზნეობრივ კატეგორიებს და სასჯელის ზომებს.

„კალმასობაში“ ასახულ მრავალ სხვა დაკვირვებას რამდენადმე ავსებს და აკონკრეტებს მეცნიერის სალექსიკონო მასალები, რაც დავით ბაგრატიონის ამოვე ხასიათის ნაშრომთან ერთად მრავალ კვალიფიციურ განმარტებას შეიცავს ისტორიული ეთნოგრაფიის სფეროდან<sup>31</sup>. ცალკეული სიტყვების ასხნა პასუხს გვაძლევს ეთნოგრაფიული თვალთახედვით საინტერესო ისეთ საკითხებზე, როგორცაა მშენებლობის ტექნიკა, საცხოვრებელი ნაგებობანი, დგამ-ჭურჭელი, ქვესაავებელი, საბრძოლო და სანადირო იარაღები, ტანსაცმელი, ტრანსპორტი, ჰიგიენა, მკურნალობა, საქმელ-სასმელი, მოწამოკმედევა, მესაქონლეობა, მეთევზეობა, სხვადასხვა სახის წეს-ჩვეულებანი, რწმენა-წარმოდგენები, რიტუალები, მუსიკალური საკრავები, გართობა-თამაშობანი და სპორტი.

იოანე ბაგრატიონის ნაშრომების მოკლე მიმოხილვის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მისმა ავტორმა დიდი წვლილი შეიტანა როგორც ყოფილი მოვლენების აღწერილობაში, ისე ზოგიერთი საკითხის კვალიფიკაციაში და ამით ღრმა კვალი დაამჩნია ფეოდალური ეპოქის ქართული ეთნოგრაფიის განვითარებას.

ქართული ეთნოგრაფიის ისტორიაში გარკვეული ადგილი დაიმკვიდრეს ცხოვრილი სწავლულის თეიმურაზ ბაგრატიონის (1882—1846) შრომებმა. ამ თვალსაზრისით პირველ რიგში საყურადღებოა მისი „ახალი ისტორია“ (1744—1819 წწ)<sup>32</sup> ისტორიული მოვლენებთან ერთად ამ პერიოდს შეესაბამება ეთნოგრაფიულად საინტერესო მონაცემებიც, თუ მხედველობაში აქ მივიღებთ ზოგიერთ ეთნიკურსა და სოციალურ ტერმინს, რომელიც ავტორის ეპოქაში თავისი მნიშვნელობით იხმარებოდა, მაგრამ ვენტიკულად აღრინდელ ტრადიციას უკავშირდებოდა.

თეიმურაზის მეორე ნაშრომში<sup>33</sup>, რომელიც დაწერილია 1831 წელს, 1789—1819 წწ. ამბების მოთხრობასთან ერთად აღწერილია არაერთი მოქმედი ჩვეულება, რაც ერეკლე II-ის, გიორგი XII-ისა და დავით ბაგრატიონის გარდაცვალების დროს სამგლოვიარო ოდღეებში სრულდებოდა.

ხსენებული შრომების ეთნოგრაფიული მონაცემებიდან აღსანიშნავია ნათესაობის კატეგორიებისა და ნათესაურ ურთიერთობათა გამომხატველი ტერმინები (ძეი, ძის ძეი, ძმისწული, დედა-წულნი, ჯალაბი, ბიძაწული, სახლი, სახლეული, სახლისშვილი და ა. შ.).

ქართველი და კავკასიელი ხალხების ეთნიკური ისტორიისათვის გარკვეული ღირებულება აქვს ავრეთვე ხალხის, მისი დანაყოფებისა და ლოკალიზაციის გამომხატველ ტერმინებს, რომლებიც ისტორიული მოვლენების აღ-

<sup>31</sup> დავით და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული შრომები, თბ., 1967, ლილი ქუთათელაძის გამოკვლევიტა და საძიებლებით.

<sup>32</sup> თეიმურაზ ბაგრატიონი, ახალი ისტორია, თბ., 1983, ლ. მიქიაშვილის გამოკვლევიტა და კომენტარებით.

<sup>33</sup> თეიმურაზ ბაგრატიონი, დავით ბაგრატიონის ისტორია, თბ., 1972, თ. ენუქიძის გამოკვლევიტა და კომენტარებით.

წერასთან დაკავშირებითაა გამოყენებული. ასეთებად გვესახება ერი — ხალხის მნიშვნელობით, ერნი — ეთნიკური დანაყოფების აღსანიშნავად, ქართველნი — უმთავრესად აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრთა შესატყვისად, იმერელი — დასავლეთ საქართველოს მცხოვრებთა სახელწოდებად. ამასთან ერთად ავტორი იშველიებს კუთხურ სახელწოდებებსაც ისეთ ვითარებაში, როდესაც ლოკალურ მოვლენებს აღწერს. იგი ერთიმეორისაგან მიჯნავს ქართლისა და კახეთის მთიანეთს, რის შესაბამისადაც კახეთის მთიულეთისაგან (ფშაველები, ხევსურები) განასხვავებს არაგველებს (ჭართლის, ხანდოს, გუდამაყრის, მთიულეთის, ხევის მცხოვრებთ). ეთნიკური ნომინაციისათვის საყურადღებოა აგრეთვე ავტორის დაკვირვებები საქართველოში მცხოვრები არაქართული მოსახლეობის, ჩრდილო კავკასიის და დღისტინის ხალხთა შესახებ.

თეიმურაზ ბაგრატიონის მიერ აღწერილი ზოგიერთი ეპიზოდი ეხება სასჯელთა სახეობებსა და დასჯის შესრულების წესებს, რაშიც სახელმწიფო სამართლის კანონებთან ერთად ამოიკნობა ადათობრივი ნორმებიც (მაგალითად, ვირზე აღჯდომა, ცხვირის მოჭრა...), მეფეთა ცხოვრების მაგალითზე ასევე ფიქსირებულია გლოვის და დასაფლავების წესები. ეთნოგრაფიული აღწერის ნიმუშად გამოყოფას იმსახურებს ზარის თქმა და ხმით დატირება ვრეკლე მეთრის გლოვის დროს, რაც უნივერსალური რიტუალის სახით სრულდებოდა მთელ საქართველოში, მის მთასა და ბარში, ყველა კატეგორიის მოსახლეობაში.

თეიმურაზ ბაგრატიონის ხსენებული შრომების მონაცემებს ავსებენ მისი პირადი წერილები და მოგზაურობის დღიურები, რომლებშიც საინტერესო დაკვირვებებია ასახული ქართველი, ჩრდილო კავკასიელი, რუსი, ირანელი და ევროპელი ხალხების ყოფა-ცხოვრებიდან<sup>34</sup>. ყოველივე ეს სერიოზულ მნიშვნელობას ანიჭებს თეიმურაზის შრომების მონაცემებს და მათ ავტორს ღირსეულ ადგილს უმკვიდრებს ქართული ეთნოგრაფიის ისტორიაში.

ქართული ეთნოგრაფიული ცოდნის განვითარებაში საკმაოდ დიდი როლი შეასრულეს ფეოდალური ეპოქის ქართველმა მოგზაურ-დამკვირვებლებმა. საისტორიო წყაროებსა და მხატვრული ლიტერატურის ძეგლებში საქართველოს სხვადასხვა მხარესთან ერთად არაერთი მხვა ქვეყნის სახელებიც იხსენიება, ხოლო ზოგიერთი წყარო მეტ-ნაკლები ღირებულების მქონე აღწერილობითი ხასიათის ცნობებსაც შეიცავს.

გეოგრაფიული ვასმტაბურობით და ზნე-ჩვეულებათა მხატვრულად ასახვის თვალსაზრისით პირველ რიგში აღსანიშნავია შოთა რუსთაველის უკუდავი პოემა, რომელიც არაბეთის, მისრეთის, ინდოეთის, ჩინეთის, ხატაეთის თუ ზვარაზმის შესახებ აფართოებს ეთნო-გეოგრაფიულსა და ისტორიულ თვალსაწიერს.

ქვეყნებისა და ხალხებისადმი დაინტერესება კიდევ უფრო ნათლად გამოიკვეთა მოგზაურ-დამკვირვებელთა თხზულებებში. რუსთაველის ეპოქიდან

<sup>34</sup> თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. მ. ბროსესადმი, თბ., 1964, გამოსცა ს. ყუბანეიშვილმა; მოგზაურობა ტფილისიდან პეტერბურგამდის, იქვე; სპარსული დღიურები, იხ. წიგნი: გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი, თბ., 1972, გვ. 187—211; თეიმურაზ ბაგრატიონი, მოგზაურობა ჩემი ევროპისა სხვათა და სხვათა ადგილთა, „მხატვრული თხზულებანი“, თბ., 1987, გვ. 53—98.

გახსაკუთრებით საყურადღებოა ჩახრუხაძის პოემა „თამარიანი“, რომელშიც მხატვრულადაა ასახული ძველი სამყაროს ქვეყნებში პოეტის ათწლიანი მოგზაურობის შთაბეჭდილებანი. ქვეყნების, ცალკეული ადგილების, ქალაქებისა და მარშრუტების სახელწოდებებთან ერთად ჩახრუხაძის თხზულება შეიცავს ცნობებს მოსახლეობის ყოფითი თავისებურებების შესახებაც. სამწუხაროდ, ისტორიამ ვერ შემოგვინახა მოგზაური პოეტის ჩანაწერები, რაც უსათუოდ უნდა ჰქონოდა მას ნანახისა და განცდილის ამსახველი დღიურის სახით.

ეთნოგრაფიულ, ისტორიულ და გეოგრაფიულ დაკვირვებათა სფეროდან მნიშვნელოვან თხზულებად წარმოგვიდგება სულხან-საბა ორბელიანის „მოგზაურობა ევროპაში“, რომელშიც ფართოდ განსწავლული მეცნიერის თვალითაა დანახული არსებული სინამდვილე. ყოფითი მოვლენები აისახა მის მხატვრულ ქმნილებებშიც, ხოლო სულხან-საბა ორბელიანის მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობიდან განსაკუთრებით დიდი შენაძენია მისი სიტყვის კონა, ფეოდალური ეპოქის ენციკლოპედიური ცოდნის საგანძური, რომელში მოცემული ეთნოგრაფიული ტერმინოლოგიის განმარტებაც დღემდე უნიკალური შემეცნებითი ცნობარის მნიშვნელობას ინარჩუნებს.

სამოგზაურო-სათავგადასვლო ყნრის თხზულებებიდან აღსანიშნავია ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსვლა“, იონა გუდევანიშვილის 10-წლიანი მოგზაურობა აღმოსავლეთისა და ევროპის ქვეყნებში, რაფიელ დანიბეგაშვილის დაკვირვებები თურქეთის, არაბეთის, ინდოეთის, ცეილონის, ბირმის, ქაშმირის, ჩინეთისა და ციმბირის შესახებ, ნიკოლოზ ონიკაშვილის მოგზაურობა ტფილისიდან პეტერბურგამდე 1801 წელს, გიორგი ავალიშვილის „მოგზაურობა თბილისიდან იერუსალიმამდე“ (XIX ს-ის 20-იან წლებში), თეიმურაზ ბაგრატიონის მოგზაურობა სპარსეთში, რუსეთსა და ევროპაში და ბოლოს გრიგოლ ორბელიანის მოგზაურობა თბილისიდან პეტერბურგამდე.

შემოხსენებული დამკვირვებლები თავიანთ ნაწერებში ასახავენ მოგზაურობის შედეგად მიღებულ შთაბეჭდილებებს, მეტნაკლები სისრულით აღწერენ ნანახი ქვეყნების გზებს, ღირსშესანიშნაურობებს და ამასთან ერთად გვაცხობენ ცალკეულ ისტორიულ მოვლენებს და ხალხთა ზნე-ჩვეულებებსაც. საკუთრივ საქართველოს ეთნოგრაფიისათვის საყურადღებო ცნობები მოეპოვებათ გიორგი ავალიშვილსა და გრიგოლ ორბელიანს, ვინაიდან მათ თავიანთ დღიურებში შეტანილი აქვთ შთაბეჭდილებები ქართული სინამდვილიდანაც — გ. ავალიშვილს თბილისიდან შავი ზღვის სანაპირომდე, ხოლო გ. ორბელიანს თბილისიდან დარიალის ხეობამდე.

ფეოდალიზმის ხანაში ქართველი ბატონიშვილების შემდეგ სამეცნიერო და საზოგადოებრივ სარბიელზე გამოვიდა რამდენიმე ქართველი სწავლული: გრიგოლ ორბელიანი (1804—1883), პლატონ იოსელიანი (1810—1875), ნიკოლოზ ბერძინიშვილი (1820—1874), ივანე ცისკარიშვილი (1821—1903), რაფიელ ერისთავი (1824—1904), დიმიტრი ბაქრაძე (1827—1890) და სხვ. 1960-იან წლებამდე, რის შემდეგაც მათ ნაყოფიერი საქმიანობა განავითარეს, ისინი ეთნოგრაფიული დაკვირვებების შედეგებს ამზუტურებდნენ რუსულ ენაზე არსებულ გამოცემებში. გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს გრ. ორბელიანის შემოხსენებული მოგზაურობა თბილისიდან პეტერბურგამდე, რომელშიც საყურადღებო ცნობები იკვხვდება ქართველების, ჩრდილოკავკასიელი ხალხებისა და რუსების ყოფა-ცხოვრების შესახებ. ასევე ეთნოგრა-

ფული თვალსაზრისით საინტერესო მონაცემებია აღბეჭდილი ვრ. ორბელიანის მდიდარ ეპისტოლურ მემკვიდრეობაში.

რეფორმამდელ ხანაში რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაშრომი გამოაქვეყნა პ. იოსელიანმა. ისტორიკოსის კვლევის საგანს შეადგენდა კახეთის მოქალაქეობის ყოფითი თავისებურება<sup>35</sup>, ჭარბველთა ეთნიკური ქრომენკლატურა<sup>36</sup>, ქართველთა საოჯახო ყოფა და ა. შ. ეთნოგრაფიული დაკვირვების ღირებულებით განსაკუთრებით გამოირჩევა ნაშრომი დუშეთის შესახებ<sup>37</sup>, რომელშიც საინტერესო მონაცემებია ასახული დუშეთისა და მისი შემოგარენის სამეურნეო პირობების, მატერიალური კულტურის ძეგლების, დასახლების ტიპის, საგვარეულოთა გენეალოგიებისა და მრავალთაობიანი ოჯახის სტრუქტურის შესახებ.

ქართველი და კავკასიელი ხალხების, პირველ რიგში კი ოსების ეთნოგრაფიულ შესწავლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ნიკოლოზ ბერძენიშვილმა. რეფორმამდელ პერიოდში მის მიერ გამოქვეყნებულ წერილებში<sup>38</sup>, აღწერილია ქართველ ხალხში იმ დროისათვის ჯერ კიდევ მოქმედი წეს-ჩვეულებები (ყვენობა, კუდიანობა, ქონა...), რასაც პირველხარისხოვანი წყაროს მნიშვნელობა აქვს ეთნოგრაფიული კვლევის თანამედროვე ეტაპზე. ნ. ბერძენიშვილს ეკუთვნის ეთნოგრაფიული ნაწილი წიგნისა ქ. თბილისის შესახებ<sup>39</sup>.

ეთნოგრაფიულ მასალას პროფესიონალი ისტორიკოსის თვალთახედვით აანალიზებდა გამოჩენილი მეცნიერი დიმიტრი ბაქრაძე. ის იმ ქართველ ისტორიკოსთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელმაც ერთ-ერთმა პირველთაგანმა თავის მრავალმხრივ სამეცნიერო კვლევა-ძიებაში ფართოდ გამოიყენა ეთნოგრაფიული მასალა, დაინახა მისი, როგორც მნიშვნელოვანი წყაროს ღირებულება და სპეციალური ნაშრომებით გაამდიდრა ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერება. ეს ეხება მის სამეცნიერო მემკვიდრეობას საერთოდ და ამ შემთხვევაში რეფორმამდელ პერიოდში. გამოქვეყნებულ შრომებსაც, რომლებიც შესწავლილია საქართველოს სხვადასხვა კუთხის მკვიდრთა ყოფისა და კულტურის საკითხები<sup>40</sup>.

XIX ს-ის პირველ ნახევარში ქართველ მთიელთა ეთნოგრაფიული შესწავლა წაშოიწყო ივანე ცისკარიშვილმა. მან არაერთი სტატია და მხატვრული ნარკვევი მიუძღვნა მშობლიურ თუშეთს, რომელთაგან ერთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მონაპოვარია ქართული ეთნოგრაფიისათვის<sup>41</sup>.

<sup>35</sup> П. И. Иоселиани, Путевые записки по Кахетии, Тифлис, 1846.

<sup>36</sup> П. И. Иоселиани, Различные наименования грузинов, «Закавказский вестник», 1846, № 6, 8.

<sup>37</sup> П. И. Иоселиани, Описание города Душета Тифлисской губернии, «Записки Кавказского отдела русского географического общества (ქვემოთ ЗКОРГО), 1862, № 5.

<sup>38</sup> Н. Г. Берзенов; Кееноба, «Кавказ», (ქვემოთ К), 1850, № 28; Кудианоба, К., 1850, № 33; Удод, поверье грузин, К., 1850, № 54; Грузинские гадальщицы, К., 1853, № 56; Чона, К., 1854, № 24; Очерки деревенских нравов Грузии, К., 1854, № 71, 72, 91, 98; 1858, № 28, 55, 56; О быте грузин старого времени, К., 1858, № 86.

<sup>39</sup> Д. З. Бакрадзе, Н. Г. Берзенов, Тифлис в историческом отношении, Тифлис, 1870.

<sup>40</sup> Д. З. Бакрадзе, Сцены из грузинской жизни, К., 1850, № 91—93; Мое знакомство с пшавами, К., 1850, № 97—99; Духан и пурне, К., 1851, № 19—20; Грузия и грузины, К., 1851, № 13—15, 30—34; Сванетия, К., 1861, № 1, 2, 4.

<sup>41</sup> И. Д. Циссаров, Записки о Тушетии, К., 1849, № 7, 8, 10—13.

როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის, ისე საქართველოს სხვა კუთხეების მცხოვრებთა ყოფა-ცხოვრების კვლევაში განსაკუთრებით დიდი რაფაელ ერისთავის ღვაწლი. რეფორმამდელ ხანაში მან არაერთ წერილში გააშუქა ქართველი ხალხის საოჯახო, საზოგადოებრივი და სამეურნეო ყოფის, მატერიალური და სულიერი კულტურის საკითხები<sup>42</sup>. მასალის სიხალისა და კვლევის ორიგინალობით გამოირჩევა რ. ერისთავის ნაშრომი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის შესახებ. იგი დღემდე ინარჩუნებს სანიმუშო ეთნოგრაფიული ნარკვევის ღირებულებას ქართულ ეთნოგრაფიაში.

ეთნოგრაფიული კვლევის ასპარეზზე რ. ერისთავის გამოხსლა იმ პერიოდს დაემთხვა, როდესაც რუსეთის იმპერიის ინიციატივით ორგანიზებული ხასიათი მიეცა კავკასიის ხალხთა ყოფისა და ტრადიციების შესწავლას. ამ შიშართულებით მუშაობა განსაკუთრებით მკაფიოდ გამოიკვეთა 1845 წლიდან, როდესაც შეიქმნა რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოება ეთნოგრაფიის განყოფილებით<sup>43</sup>. ექვსი წლის შემდეგ, 1851 წელს ანალოგიური საზოგადოება დაარსდა ქ. თბილისში, რომლის ერთ-ერთი განყოფილება ასევე ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების გაშლას ითვალისწინებდა კავკასიის მასშტაბით. ამ საზოგადოების ფორმირებამ ბიძგი მისცა სამუზეუმო საქმიანობის განვითარებასაც, რაშიც უაღრესად დიდი როლი შეასრულა რ. ერისთავმა. იგი არის 1852 წელს თბილისში დაარსებული კავკასიის მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების დამფუძნებელი და მისი პირველი ხელმძღვანელი. ამასთან ერთად რ. ერისთავი აქტიურად თანამშრომლობდა რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიურ განყოფილებაში, ცერძოდ მის გამოცემებში. ხსენებული, საზოგადოებისა და მუზეუმის დაარსება ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერების უმნიშვნელოვანესი ეტაპია, რის შედეგადაც ორგანიზებული ხასიათი მიეცა როგორც ეთნოგრაფიული მასალების შეგროვებას, ისე სამუზეუმო კოლექციების დაუნჯებას. აღნიშნული ეტაპით მთავრდება ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერების განვითარება ფეოდალიზმის ხანაში და ნიადაგი მზადდება მეორე უფრო მნიშვნელოვანი ეტაპისათვის, XIX ს-უნის მეორე ნახევრიდან ფართოდ გაშლილი მუშაობისათვის, რაშიც აქტიურად ჩაებნენ ქართველი სამოციანელები ილია ჭავჭავაძის მესვეურობით. ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერების განვითარების ეს უმნიშვნელოვანესი პერიოდი სამომავლო კვლევის საგანს შეადგენს.

<sup>42</sup> Р. Д. Эрстов, Лазаре, К., 1847, № 10; Свадьба у грузин, К., 1847, № 14; Признаки весны, царство кукушек, происхождение сов, К., 1849, № 18; О Тушино-пшаво-хевсурском округе, ЗКОРГО, 1855, т. 3; Письма из Имеретии, К., 1857, № 52, 53, 55, 57, 59, 63, 76, 77, 79, 81, 82, 85.

<sup>43</sup> Л. М. Сабурова, Русское географическое общество и этнографические исследования (дореволюционный период), Сб. «Очерки истории русской этнографии, фольклористики и антропологии», VII, Л., 1977, 33. 5—11; ვ. ი. თ. ი. შვილი, ქართული ეთნოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1989, გვ. 9—10.

В. Д. ИТОНИШВИЛИ

## ГРУЗИНСКАЯ ЭТНОГРАФИЯ ЭПОХИ ФЕОДАЛИЗМА

Резюме

На основе анализа сведений исторической и художественной литературы, памятников права и трудов историко-этнографического профиля, в статье выявлены основные тенденции развития грузинской этнографии в эпохе феодализма. Установлено, что на протяжении веков (V в. — 50-е гг. XIX в.), при неуклонном развитии художественного и исторического мышления, постоянно описывались и характерные для бытовой культуры грузинского народа нравы и обычай, намечились перспективы научных изысканий.

С точки зрения изучения семейного и общественного быта, материальной и духовной культуры грузинского народа, в первую очередь привлекают внимание такие блестящие образцы древнегрузинской художественной литературы, как «Мученичество Шушаник» Якова Цуртавели (V в.), «Мученичество колайцев» (IX в.), а также сочинения царей Арчила и Теймураза II. Тоже самое можно сказать и о памятниках грузинского государственного права.

Но особенный интерес представляют собой труды тех авторов (Леонтий Мровели, Сулхан-Саба Орбелиани, Вахушти Багратиони, Вахтанг, Давид, Иоанэ и Теймураз Багратиони), которые наряду с фиксацией более-менее важных для этнографических исследований материалов предпринимают первые попытки их научной интерпретации.

В этом плане следует выделить капитальный труд Вахушти Багратиони «История Грузии» («Описание царства Грузинского») созданием которого по сути дела и была заложена прочная основа развития грузинской этнографической науки.

В развитии грузинских этнографических знаний значительную роль сыграли некоторые путешественники-наблюдатели эпохи феодализма (Чахрухадзе, Сулхан-Саба Орбелиани, Тимоте Габашвили, Иона Гедеванишвили, Рафиел Данибегашвили, Николоз Оникашвили, Георгий Авалишвили).

К 40—50-ым годам XIX века на арене научной и общественной деятельности выдвигаются такие авторитеты, как Григол Орбелиани, Платон Иоселиани, Николоз Бердзنيшвили, Иване Цискаришвили, Рафиел Эристави, Димитри Бакрадзе и др. В 1851 году был создан Кавказский музей, основателем и первым руководителем этнографического отдела которого был Рафиел Эристави.

Указанный хронологический период следует рассматривать как завершающий этап в развитии грузинской этнографии эпохи феодализма. С 60-х годов XIX века вся последующая интенсификация работ в направлении собирания и штудирования этнографического материала уже связана с именем грузинских шестидесятников руководимых Илей Чавчавадзе, но этот важнейший период в развитии отечественной науки является предметом будущих тщательных исследований.

V. ITONISHVILI

## GEORGIAN ETHNOGRAPHY IN THE PERIOD OF FEUDALISM

## Summary

The article deals with the study of important information about Georgians social mode of life, material and spiritual culture contained in Georgian writing sources (ancient monuments of Georgian ecclesiastic and secular literature and Georgian law; essays of kings Archil and Teimuraz I; works of different travellers) from V century until 60s of XIX century.

Author shows, that a prominent place in the development of Georgian ethnographic mentality belongs to prince Vakhushti Bagrationi, an outstanding scholar of XVIII century, who laid the foundation of ethnographic science in Georgia. Afterwards the works of David, Ioanne and Teimuraz Bagrationi mark a new stage of the development of Georgian ethnographic investigations. Later on activity of such kind continued by Grigol Orbeliani, Platon Ioseliani, Rapiel Eristavi, Dimitri Bakradze and the rest.

In 1851 in Tbilisi was created the Caucasian museum, and in the limits of this institution, by the efforts of Rapiel Eristavi was founded the ethnographic department. This event put the point in the development of Georgian ethnography of feudalism period.

წარმოადგინა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს სოციალურ ურთიერთობათა ეთნოგრაფიული შესწავლის განყოფილებამ



საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

**დავით ხახუბაიშვილი**

**რა მისცა ავტონომიამ აზარას?**

როგორც სპეციალურმა შესწავლამ გამოაშკარავა, საქართველოს ბოლშევიკური ხელმძღვანელობა აჭარის მიმართ ყოველად გაუმართლებელ მიდგომებს ახორციელებდა. ამის შედეგად ამ მხარის მოსახლეობამ — მკვიდრმა თუ არამკვიდრმა — აღწარმოაშენა მატერიალური, მორალური და სოციალური ზიანი განიცადა.

ამაების „ჩხრეკას“ დღეს, ერთი შეხედვით, თითქოს, დაკარგული აქვს აქტუალობა, მაგრამ, ვფიქრობ, აბსოლუტურია დიდი ილიას შეგონება: „აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისა“.

საქართველოს ახალმა ხელმძღვანელობამ აჭარის შესახებ უნდა იცოდეს ყველაფერი: რა იყო, რატომ იყო და ვისგან იყო..., რომ მან საქმის ცოდნით უმკურნალოს იმ წყაღულებს, რაც ყაზარმულმა სოციალიზმმა ამ მხარეს დაუტოვა...

აჭარის ავტონომიის იდეა შეიძლებოდა ჩასახულიყო და ჩაისახა კიდევ ქართველი ხალხის, პირველ რიგში აჭარის მკვიდრი მოსახლეობის არაყეთილმოსურნეთა თეორიულ სამზარეულოში. ამიტომაც მან გასავალი ნახა ადგილობრივი ფეოდალურ-სასულიერო ფენების მხოლოდ ელიტურ ნაწილში. ფართო მასებს, მშრომელ მოსახლეობას და პატრიოტულად განწყობილ ინტელიგენციას ავტონომიის იდეა არც გაუთავისებია და, სამწუხაროდ, არც გადაჭრით უარუყვია, რაც იმ დროის ეროვნული ცნობიერების უმწიფრობაზე მივანიშნებს.

ბოლშევიკური გადატრიალებისა და მსოფლიო ომის (1914—1918 წწ.) დაშთავრების შემდეგ, რასაც მძინვარე სამოქალაქო ომიც მოჰყვა, მოვლენები ელვისებური სისწრაფით განვითარდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაც (1918—1921 წწ.), ბუნებრივია, ამ ორომტრიალში აღმოჩნდა ჩართული და შეეწირა კიდევ მას.

საქართველოს ირვლივ შექმნილი პოლიტიკური ინტერიგების ქსელში აჭარის ავტონომიის როლუნგს ერთნაირი თავგამოდებით იმარჯვებდნენ რუსეთიდან გამოქცეული და აქ თავშეფარებული ჩინოვნიკებიც (ე. წ. „რუსული ეროვნული საბჭო“), ოსმალური ადმინისტრაცია და მისი სატელიტებიც (ე. წ. „მუსლიმანთა საბჭო“) და რუსული ბოლშევიზმის ადგილობრივი ორგანიზაციებიც, რომელთაც კრემლიდან მართავდნენ. ყველა ისინი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დასუსტება-დანაწილებისათვის იბრძოდნენ და, ბუნებრივია, ამ მხარის მოსახლეობის კეთილდღეობაზე სრულებითაც არ ზრუნავდნენ. ერთიანი, ორგანულად გათლიანებული საქართველო ბოლ-

შევიყური (ისევე როგორც მისი წინამორბედი რომანოვების) იმპერიისათვის გაცილებით ძნელი მოსანელებელი ლუკმა იქნებოდა, ვიდრე დაშლილ-დანაწევრებული, ერთმანეთზე დაპირისპირებულ მხარეებად დაქუცმაცებული, შინაური წინააღმდეგობებით დაუძლურებული ქვეყანა. დაპირისპირებულ ჯგუფებად დანაწილდა ადგილობრივი ელიტაც: ერთნი თურქთაგან ითხოვდნენ ავტონომიას და მოტივად მათგან ეთნიკური განსხვავებულობა მოჰქონდათ, მეორენი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებას ატანდნენ ძალას და ავტონომიის შექმნის აუცილებლობას რელიგიური განსხვავებულობით ასახულებდნენ, ხოლო მესამენი (ბოლშევიკები) ნაცად იარაღს (დემოგოვიას) იმარჯვებდნენ, თავს ჩაგრულთა ქომავად ასაღებდნენ და ცდილობდნენ ავტონომიური სეპარატიზმით მოსახლეობის რიგითი ფენებიც დაესნებოვნებიათ. 1920 წლის დამდეგს ბოლშევიკების თავდაჯერებულობა იქამდე მივიდა, რომ მათ მოინდომეს აჭარაში აჯანყების გზით საბჭოთა ხელისუფლება დაემყარებინათ, ეს მხარე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისაგან მოეგლიჯათ და პირდაპირ საბჭოთა რუსეთის შემადგენლობაში შეეყვანათ. საამისოდ მათ ოსმალებიც გამოიყენეს. ამის შედეგი იყო, რომ 1920 წლის გაზაფხულზე პროთურქული „მუსლიმანური საბჭოს“ მიერ შექმნილი „დამოუკიდებელი აჭარისტანის“ შეიარაღებული რაზმები ქობულეთში ბოლშევიკებს ლოიალურად ხვდებოდნენ, ხოლო ბათუმის ბოლშევიკური კომიტეტის ერთი ხელმძღვანელის ცნობით, ეს რაზმები „თავს ბოლშევიკებად თვლიდნენ“<sup>1</sup> და ქართული ორიენტაციის წარმომადგენლებს (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მომხრეებს) აპატიმრებდნენ. ფაქტობრივად ეს იყო რუსი ბოლშევიკების მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აქციების ცალკე რგოლი. როგორც ცნობილია, ბოლშევიკებმა მოახდინეს ანტიქართული აჯანყების მრავალგზისი პროვოცირება აფხაზეთში (1918 წ. აპრილ-მაისში, 1921 წ. თებერვალში), შიდა ქართლის ოსებში (1918 წ. მარტში, 1920 წ. აპრილსა და 1921 წ. თებერვალში) და სხვა რეგიონებში.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა და პარლამენტი შეეცადა გაეთვალისწინებინა შექმნილი ვითარება და განეხორციელებინა საბასუხო ღონისძიებები. რამდენადაც იმ დროს პრობლემის სხვა გადაწყვეტა არა ჩანდა, 1919 წლის დეკემბერში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტი იძულებული გახდა მიეღო რეზოლუცია, რომლითაც სამაჰმადიანო საქართველოს (აჭარას) ავტონომიის სტატუსს შეპირდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც იგი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას დაუბრუნდებოდა (ამ დროს იგი ინგლისელებს ეკავათ). 1920 წლის ივლისში ინგლისელებმა ყოფილი ბათუმის ოლქი, მართლაც, დაუბრუნეს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, მაგრამ ავტონომიის შექმნა მაშინვე ვერ მოხერხდა იმის გამო, რომ ბოლშევიკური ორგანიზაციები და მათი შეიარაღებული რაზმები ქმნიდნენ პრობლემებს, რომელთა მოგვარება პირველი რიგის ამოცანა იყო. ამასთან, ჩქარა, 1921 წლის თებერვალში, საქართველოს ბოლშევიკური რუსეთის არმიები შემოესივნენ, რაც ქვეყნის ოკუპაციითა და ანექსიით დამთავრდა.

<sup>1</sup> გაზ. „Борьба“, 1920 წლის 7. აპრილი.

რუსეთ-თურქეთის 1921 წლის 16 მარტის გარიგებით აჭარა საქართველოს შემადგენელ ნაწილად ცნეს. ამასთან რუსეთმა საქართველოს ხარჯზე დიდი ხელშეწყობა გამოიჩინა და ტერიტორიულ დათმობებთან ერთად, მეორე მხარეს „მტკიცედ“ აღუთქვა, რომ ადგილობრივ მოსახლეობას ავტონომიას მისცემდა, რაც კრემლის დიდმპყრობელური გეგმებითაც იყო გათვალისწინებული. ეს იყო პოლიტიკური ცინიზმის შედეგები: ერთი მხრით, იგეგმავენ თურქეთის საზღვრებში მცხოვრები მილიონობით ქართველის დაჩქარებულ ასიმილაციას, არაფერს ამბობენ მათ პოლიტიკურ უფლებებზე, ხოლო, მეორე მხრით, ვითომც-და იცავენ აჭარელთა ინტერესებს. გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ქემალისტების ამგვარი პოზიცია ბოლშევიკების შორს გამოზახულ გეგმებს ემთხვეოდა. იგი ფაქტობრივად ცარიზმის რუსეთისა და სულთხის ოსმალეთის ტრადიციული პოლიტიკის ახალი, კოორდინირებული, საბჭოურ-ქემალისტური გაგრძელება იყო. გვაქვს საფუძველი ვივქვით, რომ ავტონომიის საკითხი ხელშეკრულებაში საბჭოთა დელეგაციის ინიციატივით შეიტანეს.

1921 წლის 16 ივლისს საქართველოს რევკომის დეკრეტით აჭარა ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადდა.

ოფიციალურად მიჩნეულია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა შეიქმნა ამ კუთხის სამეურნეო, სოციალური და კულტურული ჩამორჩენილობის დასაძლევად, მაგრამ ფაქტობრივად კრემლი მას იმისთვის ქმნიდა, რომ აჭარის მკვიდრი მოსახლეობა დანაზღვრნი სეპარატისტული და ეთნიკური მოთხოვნებისა, რაც მომავალში გააძლიერებდა ქართველთა, მათ შორის მაჰმადიან ქართველთა გარუსების საქმეს, ერთიანი „საბჭოთა ხალხის“ ფორმირებას. უკვე გავიდა 70 წელი და უფლება გვაქვს ვიკითხოთ, თუ რა მისცა ავტონომიამ აჭარას?

რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XII ყრილობაზე ბუდუ მდივანმა იოსებ სტალინს ტრიბუნიდან მიახალა: „თქვენ ხომ მითხარით, რომ ბათუმში აჭარლებმა არ იპარბაზონო!“, რაზედაც სტალინს ვერაფერი უპასუხნია. ჩვენ სხვა წყაროებიდანაც ვიცით ი. სტალინის პოზიციაზე აჭარელთა მიმართ და დარწმუნებული ვართ, რომ აჭარის ავტონომია ერთი იმათგანი იყო, რომელსაც დაყოვნებული მოქმედების ნაღმის როლი უნდა შეესრულებინა, თუ საქართველო ოდესმე დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენას შეეცდებოდა. ამგვარივე როლი განეკუთვნებოდა ავტონომიებს არამარტო საქართველოში, არამედ სხვა მოკავშირე რესპუბლიკებშიც. ბოლშევიკურ ცენტრს დაგვეგმილი ჰქონდა, რომ ავტონომიურ სტრუქტურას მუდმივ უკმაყოფილებაში ჰყოლოდა ავტონომიის მკვიდრი მოსახლეობა, რათა შესაფერის დროს შესაძლებელი გამხდარიყო მისი პროვიცირება მოკავშირე რესპუბლიკის „გაურჩებელი“ ხელისუფლების წინააღმდეგ.

აჭარის ეთნიკური სინამდვილე განსხვავებული იყო: ამ ძირძველ ქართულ მხარეში, სადაც ქართველები მოსახლეობის 80%-ზე მეტს შეადგენენ, ცენტრმა რეალურად ვერ მოახერხა ავტონომიური სტრუქტურის იმგვარად გამოყენება, როგორც მას დაგვეგმილი ჰქონდა. თუმცა, დრო და დრო, ადგილი ჰქონდა ცალკეული გზაბნეული, ან ბიუროკრატიული აპარატის ხრიკებით გახწყენებული მცირერიცხოვანი ჯგუფების სტიქიურ აქციებს. აქვე უნდა ითქვას, რომ ვითარებას რამდენადმე ართულებდა ადამიანთა ცნობიერებაში ჯერ



კიდევ შემორჩენილი ზოგიერთი ფსიქოლოგიური სტერეოტიპი, რომელიც მეკვიდრეობით გვერგო ოსმალთა ბატონობის პერიოდიდან. მისი არსებობა ობიექტურად იმპერიული კრემლის წისქვილზე ასხამდა წყალს. ისიც ხელშეწყობდა აღვივებდა მას და ახერხებდა ყველაფერი ეს მკვიდრი მოსახლეობისადმი ზრუნვად გაესაღებინა.

ი. სტალინის მითითებული დავალების უშუალო რეალიზაციას ემსახურებოდა ადმინისტრაციულ-მმართველური ხერხებით გახორციელებული ისეთი შეფარული, შეურაცხყოფელი ღონისძიებები, როგორც იყო ქალაქ ბაჟუმში მკვიდრი მოსახლეობის მიღება-ჩაწერის მკაცრად შეზღუდვა. საამისოდ, თითქმის ყოველთვის, ან ყოველთვის ქალაქის საპასპორტო მაგიდის უფროსად ინიშნებოდა არა ადგილობრივი მკვიდრი (აჭარელი). ამავე დროს, აჭარისწყლის ხეობა, საიდანაც ბარი ყოველთვის იღებდა მოსახლეობის ნაძატს, „გადაიკეტა“ სამი სასაზღვრო-საჯარისო ხერგილით (მახუნეთში, ქედასთან და ვოდერძის უღელტეხილზე), რაც ბუნებრივია საზღვრების დაცვას მხოლოდ ვარგულად თუ ემსახურებოდა.

ი. სტალინის ცნობილი დავალებით დამკვიდრდა ყოველად გაუმართლებელი პრაქტიკა, როცა აჭარელი არ შეიძლებოდა ყოფილიყო მმართველი (ბოლშევიკური) პარტიის საოლქო, საქალაქო თუ რაიონული კომიტეტების პირველი მდივანი. სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისა და მისი რაიონული განყოფილებების ხელმძღვანელი, ზოგჯერ თანამშრომელიც კი. ფაქტობრივად ეს იყო უზნეო ღონისძიებათა მთელი თაიგული, რომელიც მიზნად ისახავდა მუდმივ დაპირისპირებაში ჰყოლოდა ავტონომიური რესპუბლიკის მკვიდრი მოსახლეობა და საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, აჭარის მკვიდრი მოსახლეობა და დანარჩენი ქართველობა.

ი. სტალინი ამგვარი სიტუაციების გათვალისწინებით იღობდა იყო და მის მიერ დატოვებული ტოტალიტარული, ყაზარმული სისტემა, ოდნავ სახეცვლილი, ბოლო დრომდე აყვებდა თავის ბორჯტ საქმეს. მართალია, მას აჭარაში ეს არ მოუხერხდა მთელი სისრულით, მაგრამ იგი წარმატებით კეთდება“ შიდა ქართლის ჩრდილო ნაწილში (სამაჩხაბლოში), აფხაზეთში...

1990 წ. ჩვენში ჩატარებულმა მრავალპარტიულმა არჩევნებმა დასახა რეალური გზები ამ აღმაშფოთებელი უსამართლობისა და დაძაბულობის სრული ლიკვიდაციისათვის. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ სტალინის ვარდაცვალების შემდეგ, ბევრი რამ, მართალია, სასიკეთოდ შეიცვალა, მაგრამ ბევრი სტერეოტიპი ამა თუ იმ ფორმით კვლავაც მოქმედებს, ამღვრავს წყალს და საჭიროებს დაძლევის. ასეთი მოვლენები უნდა იქნეს გათვალისწინებული, როცა ვარკვევთ საკითხს, თუ რა სიკეთე მოუტანა ავტონომიამ აჭარის მკვიდრთ. უხდა გავიხსენოთ, რომ ყველაფერი ხორციელდებოდა ისე, როგორც ეს საბჭოური ავტონომიების ავტორს. ი. სტალინს ჰქონდა ჩაფიქრებული. სწორედ ავტონომიური სტრუქტურის პირობებში საბჭოური 70 წლის მანძილზე აჭარა არათუ გაუთანაბრდა საქართველოს სხვა რეგიონებს, არამედ მრავალი მაჩვენებლებს მიხედვით კვლავაც ჩამორჩება მათ (ამ დროს შესამედიც არ დასჭირდა კაპიტალისტურ სამხრეთ კორეას, რომ მოწინავე ქვეყნების რიცხვში გამოსულყო, საბჭოთა ყაზარმულმა სისტემამ კი საქართველო ჩამორჩეხილობისათვის გასწირა). ეს იყო დავგამილი ჩამორჩენა, მკვიდრთა წაქეზება საკუთარი ხელისუფლების წინააღმდეგ. მუდმივი დაძაბულობის შენარჩუნების მექანიზმი. იგი ხორციელდებოდა კრემლის კარვად შენიღბული სცენარით

სხვადასხვა რანგის მარიონეტთა ხელით. ნათქვამის საილუსტრაციოდ ძირითადად უკანასკნელი 15—20 წლის ვითარებას შევხებით (თუმცა უნდა ითქვას რომ ქვეყნის ძველი ხელმძღვანელობის მიერ შედგენილი პროგრამით ამგვარი ჩამორჩენა 2000 წლამდეცაა დაგეგმილი). ჯერჯერობით სტატისტიკურად დამუშავებულია 1970—1985 წლების „შედევები“, სადაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაჩვენებლები შემდეგნაირად გამოიყურება: 1. 1971—1985 წლებში ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით კაპიტალდაბანდებათა საერთო მოცულობა შეადგენდა: მთლიანად საქართველოში — 5148 მან., აფხაზეთში — 5492 მან., ყოფილ სამხრეთ ოსეთში — 4866 მან., ოზურგეთის რაიონში — 4692 მან., ქობულეთის რაიონში — 4188 მან., ხოლო მთლიანად აჭარაში — 3611 მანეთს.

ამგვარად, აჭარაში 1 სულ მოსახლეზე კაპიტალდაბანდებათა მოცულობა ყველაზე ნაკლები იყო. აქედან საქართველოს საშუალო მაჩვენებელზე — 1537 მანეთით, აფხაზეთზე — 1881 მანეთით, და ოზურგეთის რაიონზე — 1081 მანეთით.

2. 1971—1985 წლებში აჭარაში ერთ სულ მოსახლეზე ფულადი შემოსავალი გაიზარდა მხოლოდ 1,2-ჯერ მაშინ, როცა საქართველოს რესპუბლიკაში იგი გადიდა 2,3-ჯერ, აფხაზეთში — 2,4-ჯერ, ყოფილ სამხრეთ ოსეთში — 2,5-ჯერ.

ოზურგეთისა და ქობულეთის რაიონების ბუნებრივ-ეკონომიკური მონაცემები დაახლოებით თანაბარია: ოზურგეთის რაიონში 1 სულ მოსახლეზე შემოსავალი 1985 წ. შეადგენდა 2310 მანეთს, ხოლო ქობულეთის რაიონში — 1571 მანეთს ანუ 739 მანეთით ნაკლებს.

3. იმის გამო, რომ უმრავლეს შემთხვევაში ხელოვნურად იზღუდებოდა და გონივრულად არ იგეგმებოდა აჭარიდან ჭარბი მოსახლეობის საქართველოს სხვა რაიონებში განსახლება, მოსახლეობის სიმჭიდროვემ აქ 1 კვ. კილომეტრზე 128,3 სული შეადგინა, რაც საქართველოს საშუალო მაჩვენებელს 1,7-ჯერ, ხოლო საერთო საკავშიროს 10,1-ჯერ აღემატება!

აქვე ვიტყვი, რომ 1971—1985 წლებში მოსახლეობის მატებამ საქართველოში მთლიანად 12,1% შეადგინა, აჭარის რეგიონში კი მისი მაჩვენებელი 23,3% იყო!

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მრეწველობის ხვედრითი წილი საერთო რესპუბლიკურ ბალანსში 1970 წელს თუ 7,61%-ს შეადგენდა, 1985 წელს იგი 5,95%-მდე დაეცა, ძირითადი საწარმოო ფონდებისა — 4,91%-დან 3,74%-მდე, სამრეწველო-საწარმოო პერსონალისა — 5,3%-დან 5,1%-მდე. თუ არსებულ პერსპექტიულ გეგმას დავუჯერებთ, ასე ვაგრძელებდა მომავალშიც.

5. 1971—1985 წლებში ძირითადი სამრეწველო-საწარმოო ფონდები გაიზარდა: მთლიანად საქართველოში — 3,1-ჯერ (310%), აფხაზეთში — 6,8-ჯერ (680%), აჭარაში — მხოლოდ 2,4-ჯერ (240%). ამავე პერიოდში ფონდალქურვილობა გაიზარდა: მთლიანად საქართველოში — 2,3-ჯერ (230%), აფხაზეთში — 5,6-ჯერ (560%), აჭარაში მხოლოდ 1,8-ჯერ (180%). ამასთან, ამ პერიოდში ფონდუქუეების მაჩვენებლები მთლიანად საქართველოში შემცირდა 32,6%-ით, აფხაზეთში — 75,4%-ით ხოლო აჭარაში — მხოლოდ 19,9%-ით.

6. 1971—1985 წლებში აჭარაში სოფლის მეურნეობა გაცილებით ნელი ტემპით ვითარდებოდა, ვიდრე საქართველოს სხვა რეგიონებში. მოცემულ პერიოდში სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია გაიზარდა: მთლიანად საქართვე-

ლოში — 1,9-ჯერ (190%), აფხაზეთში — 2,2-ჯერ (220%), აჭარაში — მხოლოდ 16,8%-ით, ოზურგეთის რაიონში — 2,1-ჯერ (210%), ქობულეთის რაიონში — 3,4%-ით დაახლოებით ასეთივე გარღვევები მეცხოველეობაში, მეხილეობაში და ა. შ.

7. ერთ სულ მოსახლეზე საქონელბრუნვის ზრდა 1971—1985 წლებში შეინიშნებოდა ყველა რეგიონში, მაგრამ აჭარა ზრდის ტემპით თითქმის ყველა რეგიონს ჩამორჩებოდა.

8. სამედიცინო მომსახურების დონეზე 1971—1985 წლებში გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს შემდეგი მონაცემები: თუ 1970 წელს ქობულეთის რაიონში 1000 მცხოვრებზე საწოლების რაოდენობა შეადგენდა 6,8 ერთეულს, 1985 წ. იგი შემცირდა 6,4 ერთეულამდე, ხოლო ოზურგეთის რაიონში 5,6 ერთეულიდან გაიზარდა 9,0 ერთეულამდე. ზრდის ასეთივე არათანაბრობას ვხვდებით საშუალო სამედიცინო პერსონალის მიხედვითაც, რომ არაფერი ვთქვათ სხვა მონაცემებზე; ამასთან, აჭარაში საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების მხოლოდ 40—45% თუ პასუხობს სადღეისო მოთხოვნების მინიმუმს.

9. 1971—1985 წლებში სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა ადგილები ოზურგეთის რაიონში გაიზარდა 2-ჯერ (200%-ით), ქობულეთის რაიონში კი მხოლოდ 48,7%-ით. ამავე დროს, ბაგა-ბაღებში ქობულეთის რაიონში ჩაბმული იყო ბავშვთა საერთო კონტიგენტის მხოლოდ 26%, ხოლო ოზურგეთის რაიონში — 78,9%.

საერთოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაჩვენებელი სკოლამდელ დაწესებულებათა ხაზით 2-ჯერ ნაკლებია ნორმატულ დონესთან შედარებით, ხოლო ზოგიერთი რაიონის ჩამორჩენამ საერთოდ გაუგონარ ზღვარს მიაღწია (ხელვაჩაური — 11,6%, ქედა — 6%, შუაშევი — 6,7%, ხულო — 2,5%).

10. კიდევ უფრო მძიმე იყო სურათი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და პროფტექნიკური სასწავლებლების მიხედვით:

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ყოველ 1000 მცხოვრებზე მოდიოდა: საერთოდ საქართველოში — 167 ადგილი, აფხაზეთში — 166, აჭარაში — მხოლოდ 109 ადგილი. პროფტექნიკურ სასწავლებლებში მოსწავლეთა კონტიგენტი 1971—1985 წლებში გაიზარდა: საშუალოდ საქართველოში — 2,5-ჯერ (250%), აფხაზეთში — 2,2-ჯერ (220%), აჭარაში — მხოლოდ 79,8%-ით.

11. 1971—1985 წლებში 1 სულ მოსახლეზე ფულადი შემოსავლის ზრდის ტემპითაც აჭარა ასევე უქანასკნელ ადგილზეა. მოცემულ პერიოდში (1 სულზე ფულადი შემოსავალი გაიზარდა: საშუალოდ საქართველოში — 2,3-ჯერ (647-დან 1486 მანეთამდე), აფხაზეთში — 2,4-ჯერ (636-დან 1549 მანეთამდე), ხოლო აჭარაში — დაახლოებით 2-ჯერ (680-დან 1331 მანეთამდე).

1970 წელს 1 მცხოვრებზე მიღებული შემოსავალი აჭარა 5,1%-ით უსწრებდა საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებელს, მაგრამ 1985 წელს 10,4%-ით ჩამორჩებოდა.

შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საერთო მაჩვენებლებს დაბლა ეწეოდა მთის რეგიონები, მაგრამ თუ შევადარებთ ერთნაირი მონაცემების მქონე ისეთ ორ ერთეულს, როგორცაა ოზურგეთისა და ქობულეთის რაიონები, მეტად დამაფიქრებელი სურათის მოწმე გავხდებით: 1970 წ. 1 სულ მოსახლეზე მოდიოდა ფულადი შემოსავალი: ქობულეთის რაიონში — 839 მან., ოზურგეთის რაიონში — 887 მან. 1985 წლისათ-

ვის შემოსავალი გაიზარდა მახარაძის რაიონში — 2370 მანეთამდე, ქობულეთის რაიონში — 1571 მანეთამდე. ამგვარი ვითარება ასახული ჩანს ფულად საბრუნბოც: 1987 წელს 1 სულ მოსახლეზე ფულადი ანბარი მოდიოდა: საშუალოდ საქართველოში — 1064 მანეთი, აფხაზეთში — 978 მანეთი, აჭარაში — მხოლოდ 721 მანეთი.

ამგვარად, ავტონომიურმა სტრუქტურამ მბრძანებლურ-ბიუროკრატიული მართვისა და დაგეგმვის პირობებში უაღრესად უარყოფითი, დამთვუნველი როლი შესრულა აჭარის მთელი მოსახლეობის (ქართველისა და არაქართველის) ცხოვრებაში. ეს მხარე არა თუ გაუთანაბრდა საქართველოს სხვა რეგიონებს, როგორც უნდა მომხდარიყო, არამედ მათგან ჩმორჩენა კიდევ უფრო გაიზარდა.

ბოლოდროინდელ პრესას, საჯარო გამოსვლებსა და შეფასებებს თუ გადახედავთ, ვნახავთ, რომ ზოგიერთები იცავენ და სასარგებლოდ თვლიან ავტონომიურ სტრუქტურას, მეორენი მას უსარგებლოდ მიიჩნევენ და გაუქმებას მოითხოვენ, ხოლო ზოგიერთს კიდევ ფართო ანტიეროვნული მოძრაობა ელანდება, კერძო შემთხვევებს ზოგად ქუერადობას აძლევს და ფაქტიურად წყალს ამღვრევს. ამგვარი მოუფიქრებელი გამოხდომები მხოლოდ ჩვენი ერთობის მტრებს ეხმარება, რადგან დაუმსახურებელი ბრალდებები ამ მხარის მკვიდრი მოსახლეობის მიმართ ნოყიერ ნიადაგს უქმნის დესტრუქციულ ძალებს გამოიყენოს შექმნილი ვითარება და მოახდინოს შიდა ეროვნული კონფლიქტის პროვოცირება. 70 წლის მანძილზე საბჭოთა კავშირში შექმნილი მბრძანებლურ-დამინისტრაციული (სისტემა, ბოლშევიკური პარტოკრატია) აბუჩად იგდებდა უზარმაზარი ქვეყნის ფართო მასებს, მის ინტელიგენციას, აიძულებდა მას ან სისტემის ყურმოჭრილი მსახური ყოფილიყო, ან კიდევ ციმბირის ჭურღმულებში „დაესვენა“. მაგრამ ამგვარი ამაზრზენი დამოკიდებულება საკუთარი ხალხისადმი, ამგვარი დაკანონებული უზენობა კიდევ უფრო შეურაცხმყოფელი იყო აჭარის მკვიდრი მოსახლეობისათვის, რომელსაც 100-ზე მეტი წლის განმავლობაში ქართველობის მტრები, საკუთარი თავი ყველაზე ხალხ ქართველებად რომ მოჰქონდათ, დაყინებით ახვევდნენ თავს არასრულფასოვნების კომპლექსს.

ის გარემოება, რომ ძირძველი ქართული მხარეების (კოლა-არტაანის, შავშეთის, კლარჯეთის, იმერხევის, ტაოს, სამცხე-ჯავახეთის, აჭარის)... მოსახლეობა იძულებული გახდა გამაჰმადიანებულიყო, მათი დანაშაული როდია, როგორც ეს ზოგიერთ, მათ შორის მალაღმანათლებულობაზე პრეტენზიის მქონე ინტელიგენტს ჰგონია. არამედ ამ მხარეების მკვიდრი მოსახლეობის ტრაგედიაა. ბოლოსადამოლოს, თუ „ბრალეულის“ ძებნაზე მიდგებოდა საქმე, მორალური პასუხისმგებლობის ტვირთი ერთობით ქართველობას უნდა გვეკისრა: ეს ჩვენ ვერ დავიცავით, მტერს შევატოვეთ ხელში მხარეები, სადაც შუა საუკუნეების ქართული კულტურის აგანი დაირწა, ხოლო ვითარებას თუ მიუყვარძობლად შევხედავთ ვნახავთ, როგორშიც გვიანიშუასაუკუნეების საქართველო აღმოჩნდა, ზნეობრივ ღირებულებათა ის გაუგონარი დევალვაცია, როგორიც იმდროინდელ საქართველოს დაატყდა თავს (ერთი დამახასიათებელი ფაქტიც: XVII ს-ის პირველ ნახევარში ერთმა ქრისტიანმა ქართველმა თავადმა, ლევან დიდიანის ყმამ, 12 ახალგაზრდა მართლმადიდებელი მღვდელი ოჯახში მიიტყუა, ვერაგულად დაატყვევა და ყულევში ოსმალთ ვაჭარს 120 ეკიუდ ღირებულ ფრანგულ ქსოვილში გადაუცვალა). აჭარის მკვიდრი თემის სასახელოდ უნდა ით-

ქვას, რომ მან საშუალება არ მისცა კრემლის აგენტურას ეს მხარე საერთო-ქართულ საქმეებზე შემოქმედებისათვის გამოეყენებინა.

როცა სტალინის მითითებით აჭარის მთიანეთის მკვიდრ მოსახლეობას ქალაქისაკენ (ბათუმისაკენ) ყარები ჩაურავს, ბუნებრივია, იგი ჩამორჩენილობისათვის შეგნებულად გასწირეს, რადგან ცენტრს მხოლოდ ასეთი აჭარა სჭირდებოდა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ თუ ეს უკუთ მოსახლეობის ესა თუ ის ნაწილი ჩამორჩენილი, დუხჭირი ცხოვრებისათვის გასწიროთ, მას საშუალება არ უნდა მისცეთ ეზიაროს ქალაქურ კულტურას (ჩვენი საბჭოთა სისტემა 70 წლის განმავლობაში სწორედ ასეთ პოლიტიკას ახორციელებდა აჭარის მთიანეთის მიმართ. მიუხედავად ამისა, 1990 წლის მრავალპარტიულ არჩევნებში აჭარის სოფლის მოსახლეობამ სწორედ იმ პარტიას დაუჭირა მხარი, რომელიც მრავალი ათეული წლის მანძილზე შეურაცყოფდა მის ღირსებას. ეს იმის მოწმობაა, რომ მოსახლეობის ფართო მასებს ჯერ კიდევ ვერ გაურჩევია ერთმანეთისაგან მოკეთე და არაკეთილმოსურნე).

ამგვარად, აჭარის სოფლის ინტელექტუალური ჩამორჩენის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ იგი მოკლებული აღმოჩნდა საშუალებას, ქალაქურ-კულტურას დროის შეხაფერისი სისრულით ზიარებოდა.

ი. სტალინის შორსგამიზნული დავალება, რომ „ბათუმში აჭარლებს არ ეპარპაშათ“ სხვა ნეგატიური სიტუაციების, მათ შორის შიდაეროვნული დიპირისპირების არასასურველი გამოვლინებების წყაროსთვალი უნდა გამხდარიყო. 1991 წლის 22 აპრილი ბათუმში ამგვარი მიდგომების იმპულსური გამოვლენა იყო. აქაც აჭარის მთა, მოსახლეობის ფართო მასები არაფერ შუაშია. იგი ჩვენ მივანებეთ დესტრუქციულ ძალებს, რომელთაც მარჯვედ გამოიყენეს ახალგაზრდა ხელისუფლების წარმომადგენელთა ზოგიერთი არაკომპეტენტური აქციები.

თუმცა ბათუმი რევოლუციამდელი პერიოდის სამრეწველო ქალაქი იყო, მაგრამ 20-იან წლებში (ინდუსტრიალიზაციის ხანა) აქ მრავალი ახალი საწარმო აშენდა, ბევრი საწარმოს რეკონსტრუქცია-განახლებაც განხორციელდა. როგორც მშენებლობის რეკონსტრუქციას, ისე აშენებულ-განახლებული საწარმოების ფუნქციონირებას დიდალი მუშახელი დასჭირდა. რამდენადაც მკვიდრ მოსახლეობას ქალაქისაკენ გზა გადაკეტილი აღმოაჩნდა, ბუნებრივია, ვაკუუმის შეესება საქართველოს სხვა რეგიონების მოსახლეობის ხარჯზე განხორციელდა, რის გამოც ქალაქში აღგილობრივი მოსახლეობის ზევდრითი წილი კიდევ უფრო შემცირდა. ამას დაემატა კოლექტივიზაციის პროცესი, როცა გლენობამ „ზედმეტი“ მიწა ჩამოართვეს, ვისაც ლუკმაპური ებოდა გააკულავეს ან გაასახლეს და მის ქონებასაც კონფისკაცია უყვეს. სოფელში გაჩნდა „ზედმეტი“ მოსახლეობა, რომელიც თავშესაფარის ძებნას შეუდგა. კონკრეტულ შემთხვევაში დასავლეთ საქართველოს სოფლის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ქალაქებს შეეფარა. ამ დროს შემოემატა ბათუმს, ისევე როგორც საქართველოს სხვა ქალაქებს, გურიის, იმერეთის, სამეგრელოს, რაჭა-ლეჩხუმის სოფლების „ზედმეტი“ მოსახლეობა, მას დაემატა ლტოლვილები, რომლებიც შიმშილისაგან გაპარტახებული რუსეთის რეგიონებიდან საქართველოსაკენ დაიძრნენ და აქ დამკვიდრდნენ.

კრემლის მიერ დანერგილი მავნე, ანტიქართული (ანტიაჭარული) პრაქტიკის წყალობით ბათუმში ყველა კუთხის, ყველა მხარეს წარმომადგენლები მკვიდრდებოდნენ, გარდა ადგილობრივი სოფლისმოსახლეობისა. არადა, აჭარისწყლის ხეობა (და საერთოდ მთის ზოლი) ყოველ 20—30 წლებში ჭარბი მოსახლეობისაგან უნდა განთავისუფლებულიყო. ამ პროცესისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებამ ისეთი მახინჯი ფორმები მიიღო, რომ როცა ომის შემდგომ პერიოდში მწვავედ დადგა მოსახლეობისაგან გადატვირთული აჭარისწყლის ხეობის ჭარბი მოსახლეობისაგან განტვირთვის საკითხი, მაშინდელმა პარტიულმა ხელმძღვანელობამ საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის მეთაურობით ჩვეული ვოლუნტარული გადაწყვეტილება მიიღო და მიგრაციის ნაკადი სამხრეთ საქართველოსკენ კი არ მიმართა, სადაც ქართველობას განსაკუთრებით უჭირდა და ახალმოსახლეთათვისაც მათი ადრინდელი ადგილსაცხოვრისის შესადარი ბუნებრივი პირობები არსებობდა, არამედ იგი ადმინისტრაციული ხერხებით (იძულებით) აჭარა — გურიის ბარისკენ მიუშვა. სწორედ ამ დროს ხელვაჩაურისა და ქობულეთის, აგრეთვე ხაწილობრივ ოზურგეთის რაიონებში მთლიანად იქნა ათვისებული ე. წ. „საკარმიდაძო მიწის ფონდი“, რის გამოც აქ ხელოვნურად შეფერხდა მოსახლეობის შემდგომი ბუნებრივი გამრავლების პროცესი. მეორე მხრით, არ გასულა 30 წელიც და აჭარისწყლის ხეობა მოსახლეობით კვლავ გადაიტვირთა. იმის გამო, რომ წასასვლელი არსაით იყო, ადგილობრივ დაიწყო ახალი სავარგულების ათვისება, რასაც რელიეფის ხელოვნური შეცვლა, ტყეების გაჩეხა და ბუნებრივი ბალანსის დარღვევა მოჰყვა 1989 წლის 19—20 აპრილის ტრაგედიაც, ალბათ, ისეთი მასშტაბების არ იქნებოდა, საქართველოს საბჭოთარ ხელმძღვანელობას რომ თავის დროზე გონივრული დემოგრაფიული პოლიტიკა ეწარმოებინა და იმპერიული ცენტრის საამებლად სახელმძღვანელოდ არ გაეხადა ყბადღებული სტერეოტიპი „მაჰმადიანი ქართველის“ შესახებ. ასე რომ, ჩვენმა „ნაცადმა“ პარტოკრატამ ვერც მთის პრობლემა გადაჭრა და ბარსაც ახალი პრობლემა გაუჩინა.

ამგვარად, ი. სტალინის მიერ დარგულ-გახარებული ანჩარი, დროდადრო, მისი გარდაცვალების შემდეგაც იძლეოდა შხამიან ნაყოფს; ამისი მოწმობაა ყბადღებული „აჭარის ხსნის კომიტეტი“, რომელიც რამდენიმე გზაკვალაბნეულს აერიანებდა. მათი მკვებავი გარემო და საყრდენი იყო აქა-იქ შემორჩენილი ძველი სტერეოტიპები და შეურაცყოფილი ადამიანური ღირსება, რომლის წყაროსთვალაია რკპ (ბ) XII ყრილობაზე 1923 წელს გამჟღავნებული საიდუმლოება: აი, ყრილობაზე ბუღუ მდივნის გამოსვლის ფრაგმენტი: „... შემდეგ აჭარლებზე. მე, აქ ამხ. სტალინს უნდა გავახსენო: როცა თქვენ იქ იყავით, ხოლო მე რევკომის თავმჯდომარე ვახლდით, თქვენ მე მეუბნებოდით: ამ ხალხის (აჭარლების — დ. ხ.) მიმართ ძალიან ფრთხილად უნდა იყოთო. აი მიზეზი, თუ რატომ ზღვება გადახრები ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტისას. როცა ეს ზღვება ამხ. სტალინის დეალებით, მე უნდა ვთქვა: მესმის, ამხ. სტალინი! მე მითითება მქონდა — ისე გამეკეთებინა, რომ ბათუმში აჭარლები არ მბრძანებლობდნენ. აქედან დაიწყო მათი უკმაყოფილება, ხოლო რასაც ლაპარაკობენ ენის შესახებ და ა. შ. ყველაფერი ეს ზღაპრებია, წმინდა წყლის მონაჩაზია. ავტონომია კი აჭარლებს ჩვენ მივეცით“.

ჩვენ ვნახეთ, თუ პრაქტიკულად როგორ ხორციელდებოდა ი. სტალინის ეს იდეა და რა ნაყოფი გამოიღო მან. ი. სტალინის მიერ შექმნილ „ბოროტე-

ბის იმპერიას“ დღეს საკმაოდ ცბიერი მეურვე გაუჩნდა საბჭოთა პრეზიდენტის სახით. იმპერიის შესანარჩუნებლად მან საბჭოთა „ავტონომიები“ კავშირისა და ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების სუბიექტად აქცია. ამ დღეებში გ. ნიკეროვი წერდა: „კავშირის წევრებად ავტონომიების გადაქცევა არის მოკავშირე რესპუბლიკების რღვევის დასაწყისი და ეს სრულებითაც არ იქნება ეროვნული საკითხის გადაწყვეტა, რამდენადაც ჩვენი ავტონომიების დიდი უმრავლესობა ხელოვნური წარმონაქმნია. მათი ფორმირების დროს ბევრ მთავარზე მკვიდრი ხალხი არ შეადგენდა მოსახლეობის უმრავლესობას. ეს ავტონომიები არსებითად არც იყო ეროვნული წარმონაქმნები. საბჭოთა ხელისუფლების პირველ ათწლეულებში განხორციელდა თვითგამორკვევის ყველაზე უხეირო ვარიანტი—იდეოლოგიზირებული. ამგვარი ვითარება შენარჩუნებულია დღესაც. ავტონომიის სუვერენიზაცია ხელს აძლევს ადგილობრივ პოლიტიკან-ნაციონალისტებს და პარტიულ-სახელმწიფოებრივი ბიუროკრატის ნაწილს. იგი მათ აქცევს ადგილობრივ პატარა „მეფეებად“, გარდაქმნის მომხრეებად სიტყვით, მაგრამ მის მტრებად—საქმით. ამასთან, ავტონომიების სუვერენიზაცია ხორციელდება უკანონო გზით, რეფერენდუმების გარეშე, მოკავშირე რესპუბლიკების ნების გაუთვალისწინებლად“.

ასე, ჩვენ თვალწინ, ჩვენივე მდუმარე თანხმობით, ლენინურ-სტალინური „ახელმწიფო“ ავტონომიები გადაიქცნენ გორბაჩოვისეულ სატანურ ავტონომიებად. მათ სათავე დაუდეს ეთნოკონფლიქტებს და სისხლისღვრას, რაც უშუალოდ შედის დღევანდელი საკავშირო ლიდერების ვერაგულ, დიდმპყრობელურ გეგმებში, რომელიც მათ ცარიზმისაგან მემკვიდრეობით მიიღეს, სრულქმნეს და „ბოროტების იმპერიის“ შენარჩუნების გარანტიად აქციეს. ამისი გამოვლინებაა სისხლიანი ბანდიტური გამოსდომები აფხაზეთში, შიდა ქართლში (ყოფილ სამხრეთ ოსეთში), მთიან ყარაბაღში და ა. შ.

მაინც როგორ მოხდა, რომ ასეთი გულმოდგინებით, მე ვიტყვოდი, ცინიკური კმაყოფილებით სრულდებოდა სტალინის სატანური დავალებები აჭარლების მიმართ? როგორი დასკვნები უნდა გავაკეთოთ სამომავლოდ?

ჩვენი აზრით, ძირითადი მამოძრავებელი ძალა იყო ბოლშევიკური პარტია და მის მიერ შექმნილი ავტორიტარული, ყაზარმული სოციალიზმი თავისი ყოვლისშემძლე პარტოკრატით, რომელიც ფართო მასას მოხერხებულად უძალავდა რეალურ ვითარებას, აბრუებდა მას ლამაზი სიტყვებით ყველაზე დემოკრატიული სოციალისტური ცხოვრების, წინათ ჩამორჩენილი მხარის ახლანდელი არსახული დაწინაურებისა და ცაუგონარ ბედნერების შესახებ. პერსონალურად ბრალეულია ყველა—სატანურ განკარგულების ავტორებიც და მისი მარიონეტი შემსრულებლებიც, ყველა დონის პარტიული დიქტატორები, ის უჯილაგო და უთესტომო, უსამშობლო და უხუნო ცეურქოვები და ძმანი მათნი, რომლებიც დინამიტით აფეთქებდნენ ქართული კულტურის ძეგლებს, ბულდოზერებით ზრამში ჰყრიდნენ ეკლესიების ნაშთებს, „დაკეტეს“ ან უაანადგურეს ეკლესიები და მეჩეთები, უნაამუსოდ ჰყიდდნენ თანამდებობებს. ციხეებში ალბობდნენ. გოლგოთაზე გზავნიდნენ უდანაშულო ადამიანებს და ყველაფერ ამას სოციალიზმის მშენებლობად ასალებდნენ. ასეთ როლებზე პრეტენდენტები დღესც შეიძლება მოიძებნოს. ცენტრის მიერ მოხერხებუ-

<sup>2</sup> გაზ. „Известия“, 23 მარტი 1991 წელი, № 170.

ლად მოტყუებული და წაქეზებული ზოგიერთი ჩვენი „თავკაცი“ მიტინგებზე თუ კრებებზე სულ ახლახან ავტონომიის მკვიდრი მოსახლეობის მძიმე მდგომარეობას იმით აბრალებდა, ვინც თვითონ არის ამ სისტემის მსხვერპლი, იძულებული გახდა ტოტალური კოლექტივიზაციას გაეცეოდა და თავი ბათუმისათვის შეეფარებინა. სიმართლის დაუნახაობა უზუნობაა, მაგრამ როცა ასეთი რამ იმპერიული ცენტრის საამებლად და საკუთარი ხალხის საზიანოდ კეთდება. იგი ორმაგი უზუნობაა. ეს კარგად უნდა ახსოვდეს „ხსნის კომიტეტის“ აქტივისტებს და მათ ფარულ წამქეზებლებს. ბრმა უნდა იყოს კაცი, ვერ დაინახოს, რომ ეს ათასგვარი ჩვენი „დამცველები“ ქვეყნის ბრეზიდენტიდან მოკიდებული, ჩვენი „ხსნის კომიტეტის“ თუ ჯგერადქმნის ხელმძღვანელები კომიტეტის“ წევრებით დამთავრებული, ფაქტობრივად ქართველი ხალხის მუდმივ მონობაში დატოვებისა და დროშოკმული, უზნეო, ჯავშანსატანკო იმპერიის შენარჩუნების საქმეს ემსახურებიან. ზოგჯერ შეგნებულად, ხშირად კი სავსებით შეუგნებლად ისინი აღიანს-ში არიან კრემლის დიდმპყრობელური შოვინიზმის ყველაზე რეაქციულ ძალებთან, მთელი ქართველობის, პირველ რიგში აჭარის მოსახლეობის დაუძინებელ მტრებთან. ძველ საქართველოში ასეთ „ხალხს“ სოფელი მოკვეთდა ხოლმე, ხოლო ჩვენ, ჩვენი „ყოვლისა შემწყყნარებლობით“ ან, იქნებ უმეტრობით, მათ საშუალებას ვაძლევთ ორლობებში დაძვრობდნენ, გაუცნობიერებულ პატიოსან მშრომელებს აბრეყებდნენ და მათ პროვოკაციულ მიტინგებზე იწვევდნენ, თანამოძმეებზე უსისიანებდნენ და ვანდალიზმის აქციების განხორციელებისაკენ უბიძგებდნენ.

მეორე მხრით, საქმეს ნამდვილად წაადგება, თუ ვაღიარებთ, რომ პარტიულ-ბიუროკრატიული ცენტრების მიერ ხშირად ძალისმიერი მეთოდებით ბათუმში და აჭარაში გამოგზავნილი ზოგიერთი ფუნქციონერი აქ თავისი „გამაბედნიერებელი“ როლისათვის განსაკუთრებული წონადობის მისაცემად „ცენტრს“ გამოქეზებულ, მრუდვინფორმაციას აწვდიდა და ფაქტობრივად ამით მკვიდრი მოსახლეობის გაუცხოების წისქვილზე ასხამდა წყალს. საამისო მაგალითების მითითება სადღეისო სინამდვილიდანაც შეიძლებოდა. საბედნიეროდ ქართველური ეროვნული გენი, რომლის ინდივიდუალურობის სრულქმნა ათასწლეულობით ვრძელდებოდა და რომელსაც ისტორიულმა ქართველიებმა ვერა მოუხერხა რა, მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა და ქართველთა გამთლიანების, მათი სულიერი კონსოლიდაციის საქმე ბუნებრივი ფაქტით წარიმართა. მეორე მხრით, სამწუხაროდ, თბილისში თუ საქართველოს სხვა რეგიონებში აჭარის შესახებ დამახინჯებული, გაუცნობიერებული, ბოროტი ინფორმაციის ჩატანის მოხალისეები ჯერ კიდევ არ გამოლულან, რადგან იქ ისინი ოფიციალურად თუ არა, დერეფნებსა და ორლობებში მაინც, „დაინტერესებულ“ (ზოგჯერ ვაკვირებულ) მსმენელებს პოულობენ. ამგვარი დამსმენები კვებავენ ყალბი ინფორმაციით ჩვენს სახელმწიფო დაგეგმვასა და მომარაგების სისტემაში ჯერ კიდევ არსებულ იმ სიმახინჯებს, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი. რა დასამალია და, ამგვარი ქმედება ეროვნული კონსოლიდაციის საუკეთესო გზა როდია.

არცთუ შორეული დროის განაწილების სისტემისა და ტოტალური მექრთამეობის პირობებში ზოგჯერ კარგი ხარისხის ელექტროსაქონლისა თუ სხვა რაიმე აუცილებელი ნაწარმის შესაძენად ბათუმიდან ოზურგეთში ან ქუთაისში ჩავდიოდით, არც ის მიკვირს, თუ იმპორტულ ნაწარმზე კვოტის დასა-



ქონლება ქუთაისის, ზუგდიდის ან ოზურგეთისათვის უპირატესად დაწინაურებული ქვეყნების პრესტიჟული პროდუქციით ხდებოდა, ხოლო ბათუმისაკენ, ასევე უპირატესად, ე. წ. სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ნაწარმი იგზავნებოდა. რა თქმა უნდა, ფარგულად ეს ჩვეულებრივი სამსახურებრივი დანაშაულია, მაგრამ ფაქტობრივად მას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს და ახსნას იმ სულიერ გარემოცვაში პოულობს, რომელიც ქართველის, როგორც თავისუფალი ფენომენის, ფორმირება ხდებოდა. ეს გარემოცვა ამ 1700—2000 წლის განმავლობაში ქრისტიანობა (უპირატესად მისი მართლმადიდებლურ მიმართულება) იყო. მართლმადიდებლობა კი, კერძოდ მისი ქართული სახეობა, ის ფენომენი იყო, რომელსაც არ დაუშვია ინკვიზიცია და აუტოდაფეები, ეროვნული გაუტანლობა და სხვა უზნეობა. მართლმადიდებლობამ შექმნა შემწყნარებლური, მაღალზნობრივი, ქირთა შიგან ქვეთიკრივით მაგარი, რუსთაველის მიერ აღწერილი საზოგადოება. ჩემი ღრმა რწმენით, ეროვნული და რელიგიური შემწყნარებლობა იყო ერთი იმ ძირითად ფაქტორთაგანი, რამაც ქართველობა გადაშენებისაგან იხსნა. მეორე მხრით, VII ს-იდან მოკიდებული ქართველობის ყველა მთავარი მტრის (არაბები, სელჩუკები, თათარ-მონღოლები, ყიზილბაშები, ოსმალები...) დროშა მაჰმადიანობა იყო. ამის გამო, ქართველის გენში, ბუნებრივია, მუდამ იცოცხლებს დამცველი „ანტივირუსი“. ყოველი ქართველი დავით აღმაშენებელი, ილია ჭავჭავაძე ან ივანე ჯავახიშვილი ვერ იქნება, მაგრამ ჩვენთვის ისინი მანათობელი ლამპარია. ამიტომ უხდა „შევუნდით“, როცა თბილისში ან ქუთაისში მოკალათებული რომელიმე მოხელე-ჩინოსანი „მაჰმადიანური“ მხარის მიმართ რაიმე უზნეოს მოიმოქმედებს; რეალურად მას არაფერი აქვს გასაყოფი აჭარელთან, შავშთან, ჯავახთან ან კლარჯთან... სამწუხაროდ, მას არ ესმის, რომ თავისი უგუნური ქმედებით შეურაცყოფას აყენებს ისტორიული ბედუქუდმართობით ისედაც დაჩაგრულ თანამოქმედს და ხელოვნურად აფერხებს ქართველთა კონსოლიდაციას. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ბოლშევიკების უზნეობით, მათი მესისხლეობით ჩვენ ფიზიკურად ჩამოგვაცილეს ჩვენი ღვიძლი ძმები — საინგილოს, ლაზეთის, კლარჯეთის, შავშეთის, იმერხევის, ტაოს... მკვიდრნი. საბედნიეროდ, სულიერი ერთობის ძაფები ჯერ კიდევ მთელია, რომელთა დაწყვეტის მცდელობა უდიდესი ბოროტება, გაუგონარი უზნეობა იქნებოდა არა მარტო საქართველოს მომავლის, არამედ საერთოდ ადამიანურობის წინააღმდეგ... ბევრი ჩვენგანი ყოფილა სამშობლოს ძალად მოწყვეტილი ქართველი მუჰაჯირების ოჯახებში... გაიხსენეთ მათი სულიერი მდგომარეობა, სინანული, მათი დაუფარავი ცრემლისღვრა და ამ ფონზე ლოზუნგი: „გაუმარჯოს ქრისტიანულ საქართველოს!“ არაქრისტიანულს არ გაუმარჯოს?

ჩვენი საქმე გაცილებით უკეთ წავა, თუ ყველანი გავიცნობიერებთ და არ დავივიწყებთ, რომ სამშობლოს ქონება არა მარტო ზეგარდმო ჯილდოა, არამედ უდიდესი ვალდებულება... მოდით, უაზრო და უზნეო საყვედურებით, დაუსაბუთებელი ბრალდებებით, ნუ შეურაცხყოფთ ერთმანეთს, ნუ დაგვაგონწყვება, რომ გურულს, იმერელს, რაჭველს, ინგილოს, აჭარელს, შავშსა თუ ჯღარჯს, ლაზსა თუ სვანს, ხევსურსა თუ კახელს... ერთი სამშობლო აქვთ, რომ მათ ქართველობა ვინმესაგან კი არა აქვთ ნაწყალობები, არამედ იგი მათ უზნეობისაგან აქვთ ნაბომები... გვახსოვდეს: ჩვენს ხსნა მხოლოდ ჩვენს ერთობაშია, ხოლო ჩვენი ერთობის მტერი, ჩვენი გადაშენების მოსურნეთა მოკავშირეა...

ამგვარად, 1. იმპერიული ცენტრი ამ 70 წლის განმავლობაში ყოველი დონით ცდილობდა შეენარჩუნებინა მის მიერვე შექმნილი დაძაბულობა აჭარის მკვიდრ მოსახლეობასა და დანარჩენ ქართველობას შორის. აჭარის ავტონომიის შექმნაც, თავის დროზე, სწორედ ამისთვის იყო გამიზნული.

2. ამგვარი არანორმალური ვითარების შენარჩუნება-გაღვივებისათვის იმპერიული კრემლი იყენებდა რესპუბლიკური და ავტონომიური დონის მარიონეტებს, რომლებიც რესპუბლიკისა და ავტონომიის ხელმძღვანელობაში იყვნენ მოკალათებული.

3. ტოტალიტარულმა სისტემამ აჭარაში ვერ მოახერხა რამდენიმე საგრძნობი კონფლიქტების პროვოცირება, ამის გამო იგი შეუდგა საქართველოს სხვა ავტონომიების წახალისებას (აფხაზეთის ასსრ, ყოფილი სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი), მათთვის უპირატესობის მინიჭებას, შეუდარებლად დიდი მოცულობის ფონდებისა და მატერიალური სახსრების გამოყოფას. რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს ხდებოდა დანარჩენი საქართველოს, მათ შორის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხარჯზე. ამგვარი „პოლიტიკით“ ცდილობდნენ წაექეზებინათ აჭარის მკვიდრნი საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ, აქტულებინათ ისინი დასდგომოდნენ სეპარატიზმის გზას, რელიგიურობა ეროვნულობაზე მაღლა დაეყენებინათ. უნდა ვუახსოვდეს, რომ აღამიანებს სიყვითისა და გამტანობისაგან მოუწოდებს როგორც ქრისტიანობა, ისე მაჰმადიანობა. ქართველობის მტრების ერთადერთი იმედი აჭარაში რელიგიურ დაპირისპირებაშია.

4. აჭარაში უკმაყოფილების გამოსაწვევად და გასაძლიერებლად, როგორც ვნახეთ, მარჯვედ გამოიყენეს დაგეგმვისა და განაწილების სისტემაც, საკადრო პოლიტიკაში დაშვებული დარღვევებიც... დროა გადავხედოთ საკუთარ მიდგომებს, ნუ დავივიწყებთ, რომ საზღვრის გაღმადან იმედითა და სასოებით შემოგვცქერის მილიონობით ქართველი!

5. კრემლი დაჟინებით ცდილობდა მკვიდრი მოსახლეობა დაერწმუნებია, რომ მას თბილისი ავიწროებდა. ფაქტობრივად კი ტოტალიტარული რეჟიმი ავიწროებდა ყველას, რუსებსაც და არარუსებსაც, მაგრამ ამას ისე აკეთებდა, რომ შეექმნა ხალხების და რეგიონების დაპირისპირებების მუდმივი კერები. მისთვის მთავარი იყო ქართველებს (აჭარლებსა და დანარჩენ ქართველობას) ერთმანეთი სძულებოდათ, თორემ მოცემულ შემთხვევაში ზარალდებოდა ყველა, ვინც ავტონომიურ რესპუბლიკაში ცხოვრობდა — ქართველიცა და არა-ქართველიც, სტუმარიცა და მასპინძელიც.

6. ავტონომიის საფარით საბჭოურმა სისტემამ, როგორც ზემოთ ვნახეთ ძხელად ასანახლაურებელი ქონებრივი ზარალი, მორალური ტრამვა და კულტურული ზიანი მიაყენა აჭარის აბორიგენ (მკვიდრ) მოსახლეობას. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ გარკვეული ზარალი და წყენა მიაღდა ავტონომიური რესპუბლიკის მთელ მოსახლეობას, მათ შორის არაქართველებსაც.

7. თავისუფალ და დემოკრატიულ საქართველოში აჭარის ავტონომიის საკითხს ბუნებრივად და ძალდაუტანებლად გადაწყვეტს ფართო მასა, ის ვინც ამ სტრუქტურის პირობებში ცხოვრობს. სამისოდ კი პირველ რიგში აუცილებელია წამდვილი თავისუფლების ქოპოვება, არასრულფასოვნების სინდრომისაგან თავდახსნაში დახმარების გაწევა, ზოგიერთი საერთო-ქართული ხეობრივი ღირებულებების თანამედროვეობაზე მისადაგება.

ეს ბროშურა არც ვისიმე გასანაწყენებლად დაწერილა და არც საამებლად. მისი მიზანია, თვალი აუხილოს საქმეში ჩაუხედავ მკითხველს და აჩვენოს მას, თუ რა მისცა ავტონომიამ აჭარას და რისი იმედი უნდა ჰქონდეს სამომავლოდ. მე კვლავ ვიმეორებ: ისედაც პატარა საქართველოში ორი დობის ქართული სახელმწიფოს არსებობა უხერხულიცაა და არანორმალურიც, საწყენიცა და საჩოთიროც. გერმანელები ყოველგვარ დათმობებზე წავიდნენ ოლონდაც ორ სახელმწიფოდ ვავლევდი მათი სამშობლო ვაემთლიანებით. არ მესმის ზოგიერთ ჩვენგანს რა ღმერთი გავვიწყრა...

ამას წინათ ზოგიერთებმა ააფორიაქეს აჭარის მთიანეთის პატიოსანი მშრომელები („აჭარას აუქმებენო“), ისინი ჭორებით გააღიზიანეს („ძალად უნდა ვავაქრისტიანო“), სამუშაოსგან მოწყვეტეს, ბათუმში ჩამოიტყუეს და ზოგიერთი სამართლიანი მოთხოვნის ფონზე მათი პროვოცირება სცადეს.

ამ „საქმის“ ერთ-ერთი ორგანიზატორი ზოგიერთ ეგზალტირებულ და ალკოჰოლით გაბრუებულ მონაწილეს აგულიანებდა დაერბიათ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტი, მაგრამ წარმატებას ვერ მიადღწიეს. არ მესმის ვის უხდა მოსვლოდა თავში ინსტიტუტის დარბევის ველური აზრი, ან როგორ აპირებდნენ დაერბიათ დაწესებულება, რომლის კოლექტივი 30 წელზე მეტია წარმატებით სწავლობს აჭარისა და მეზობელი მხარეების ისტორიას, არქეოლოგიას, ეთნოგრაფიას, ფოლკლორს, დიალექტოლოგიას, ეკონომიკასა და სოციოლოგიას, შექმნა და გამოაქვეყნა ათასობით სამეცნიერო ნაშრომი, აღზარდა ათეულობით მკვლევარი, მათ შორის მეცნიერებათა კანდიდატები და დოქტორები, პროფესორები, შეაგროვა წყაროების უზარმაზარი ფონდი, შექმნა უნიკალური ბიბლიოთეკა და ძეგლთა დათარიღების სპეციალური ლაბორატორია, რომლის მსგავსი ჭერჭერობით არსადაა საქართველო-კავკასიაში.

მიტინგის მონაწილეებმა გამოიჩინეს გონიერება, არ აპყენენ შინაბერა „ბელადებს“ და ამით მრავალტანჯული აჭარის მოსახლეობას საშვილიშვილო თავლაფდასხმა ააცილეს.

Д. А. ХАХУТАИШВИЛИ

## ЧТО ДАЛА АВТОНОМИЯ АДЖАРИИ?

Резюме

При анализе соответствующих экономических данных и некоторых материалов партийного архива выявлено, что автономия аджарцам была предоставлена исключительно с целью сохранения и разжигания противостояния аджарцев и других этнических групп в надежде использовать очаг напряжения для торможения национально-освободительного движения.

Вместо того, чтобы сравняться в хозяйственном и культурном развитии с другими регионами Грузии, Аджария из-за сознательных нарушений, допущенных в процессе планирования и реализации планов, по темпам хозяйственного и социально-культурного уровня значительно отстала и понесла никому не нужный моральный урон.

Новое руководство Грузии обязано преодолеть эту аномалию, наречно созданную прежним большевистским режимом.

D. KHAKHUTAISHVILI

## WHAT HAS THE AUTONOMY GIVEN TO ADZHARIA

### Summary

Analysing the corresponding economical data and some documents of the Party archives it is revealed that the autonomy of the Adzharian people was granted exclusively with the aim to preserve and kindle the resistance of the Adzharian people and other ethnic groups with hope to use the centre of tension to hinder the national liberation movement.

Instead of achieving the same level in economic and cultural development with the other regions of Georgia, Adzharia, because of conscious breaches which took place during planning and realization of plans, considerably fell behind in tempo of economic and social-cultural level and therefore suffered great unnecessary, moral losses.

The new leadership of Georgia is obliged to overcome this anomaly, deliberately created by the previous Bolshevik regime.

ლიანა ზარიანული

ახალი მონაცემები საქართველოს ტერასული  
მიწათმოქმედების შესახებ<sup>1</sup>

ძნელია მოიძებნოს ქართული ტრადიციული მიწათმოქმედების ისეთი სა-  
კითხი, რომელიც სათანადოდ არ იყოს გაშუქებული ივ. ჯავახიშვილის ნაშრო-  
მებში, მიიჩნევა რა, რომ საქართველოს მიწათმოქმედების დარგობრივი  
დაყოფა მისი ბუნების მრავალფეროვნებითაა შეპირობებული, იგი განსაკუთრე-  
ბულ მნიშვნელობას ანიჭებდა მეურნეობის ტრადიციული ფორმების შესწავლა-  
გამოვლენას.


როგორც ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს, საქართველოს რელიეფის „უდი-  
დესი ნაწილი უაღრესად მთაგორიანია და ვიწრო, გვერდობიანი ხეობებითაა  
დაფარული, სადაც ხანძთელისა და მერჩულეს სამართლიანი დახასიათებით  
— „არა არს სათიბელი ქუეყანა, არცა ყანად სახნავი“. ასეთ ადგილებში ადამი-  
ანნი შეხედებოდა უმთავრესად „ტყეს... კლდიანსა და ზედათ მცირისა მიწის  
მქონებელსა“. ასეთ თხელ, მჩატე ნიადაგზე იყო ხოლმე „აღმოცენებული  
ქუშათა მათ შინა ურიცხვ მალნარნი“, რომელნიც ნიადაგის სითხელისა და  
ადგილის დაქანებულობისა გამო მოზვავებული მეწყერის წყალობით ზოგჯერ  
უფსკრულში ჩაიჩეხებოდა ხოლმე... ასეთ პირობებში ადამიანს, ან უნდა ისეთ  
სამეურნეო დარგებზე, როგორც მემტილეობა და მევენახეობაა, ხელი აეღო,  
ანდა რაიმე ელონა, რომ ბუნებრივი პირობების წყალობით შექმნილი დაბრკო-  
ლება გადაეღობა და დაეძლია.

...ქართველი მიწათმოქმედი სიძნელისა და დიდ შრომას არ შეშინებია  
მემტილეობა-მევენახეობის ფართობის გასადიდებლად. მისი შრომა მაინც გამა-  
რჯვებით დამთავრებულა და იქაც კი, სადაც ბუნებრივი დაბრკოლების წყალო-  
ბით მუშაობა ჩვეულებრივი წესით შეუძლებელი იყო, „ვენახნი ჭირითა და  
ურვით დაუნერგვიან და ეგრეთვე მტილები“...

საგულისხმოა ვიცოდეთ, თუ რა გზითა და საშუალებით მოახერხა ეს ქარ-  
თველმა მიწისმოქმედმა? უპირველესად ამ დაქანებულ ფერდობებზე ხელოვ-  
ნური ნიადაგის შექმნით: ქვა-ყორისაგან პატარ-პატარა მანძილის ამოშენებითა  
და მიწის ბაქან-ბაქანად შიგ ჩაყრით; ბალ-ვენახისათვის ამნიარად ხარისხებრ  
მოვაკებული ადგილი კეთდებოდა, რომელსაც შემდეგ ხეხილისა და ვაზის  
ძირგამდგარი ფესვები ამაგრებდნენ ხოლმე. ხელოვნურად ამოშენებულ-  
შექმნილი ასეთი ბაქან-ნიადაგების ძველი ნაშთი ეხლაც არის აქა-იქ შავშეთ-  
კლარჯეთსა და საქართველოს სხვა თემშიაც გადარჩენილი<sup>2</sup>.

ნათელია, რომ ნათქვამი ტერასულ მიწათმოქმედებას შეეხება. ამ ამონა-  
წერიდან კარგად ჩანს, თუ როგორი მიდგომით იყო გააზრებული მეცნიერის

<sup>1</sup> მოხსენა ივ. ჯავახიშვილის დაბადებიდან 110 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიას.  
<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. 11, თბ., 1941, გვ. 135.



მეორე ტერასული მეურნეობის მნიშვნელობა და ადგილი საქართველოს მრავალდარგოვან მიწათმოქმედებაში.

ეს საკითხი კარგა ხანია ეთნოგრაფიული დაკვირვების საგნად იქცა; განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც აკადემიკოსმა გიორგი ჩიტაიამ ყურადღება გაამახვილა ტერასული მიწათმოქმედების ფორმებზე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და ქართული ეთნოგრაფიული სკოლის პრობლემატიკაში იგი კვლევის მნიშვნელოვან ობიექტად დასახა.

საქართველოს ტერასული მეურნეობის საკითხების შესწავლა რამდენიმე რეგიონის ფარგლებში განხორციელდა: მესხეთი, აჭარა, ქართლი და სხვ. ამ სამუშაოთა ნაწილი გამოქვეყნებულია (მ. გეგეშიძე, ნ. ჩიჯავაძე, ლ. ბერიაშვილი და სხვ.). მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საკითხის კვლევაში ა. რობაქიძემ, რომელიც მიწათმოქმედების აღნიშნულ სისტემას განიხილავს როგორც ჩრდილო-კავკასიური, ასევე ქართული მასალის საფუძველზე.

წლითი-წლობით სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება მოძიებული ეთნოგრაფიული მონაცემები. იზრდება ცალკეული საკითხების ჩაღრმავებული კვლევის აუცილებლობა, მომიჯნავე დისციპლინების მონაცემთა ფართოდ გამოყენების საჭიროება, არეალური კვლევის მეთოდების მოშველიება, და სხვ. ამასთან ერთად, თანდათანობით ვლინდება ტერასული მიწათმოქმედების უძველესი ტრადიციის მატარებელი ახალი უბნები, რომელთა ჩამოყალიბება ძირითადად ხეობებისა და ხევების ტერიტორიების შიდა ზონალური რესურსების ათვისებითა და მათი ინტენსიური გამოყენების მეშვეობით იყო მიღწეული. ასეთ უბანზე ხეობა უკვე გვესახება დამოუკიდებელი ტერიტორიულ-ეკონომიკური სტრუქტურის მქონე ერთეულად, სადაც შიდაზონალური რეჟიმისადმი დაქვემდებარებული მთა და ბარი არსებობს, რომლითაც რეგულირებულია მთელი ხეობის სამეურნეო ცხოვრება.

მაგლითისათვის მოვიტანეთ ქართლში ატენის ხეობას: აქ დღემდე კარგადაა შემონახული ქვის კედლებით ნაშენი ტერასული უბნები, რომლებსაც მოსახლეობა ამჟამად სხვადასხვა კულტურისათვის იყენებს — ვენახი, ხილი, ბოსტნეული, თუმცა დღესაც, სხვა დანარჩენს, ვაზი ქარბობს.

ტერასები განლაგებულია სოფ. ატენის კუთვნილ ტერიტორიაზე, მდ. ტანას ორივე ნაპირზე, როგორც სამოსახლოს კომპლექსში, ასევე მათგან მოშორებით, სოფლის განაპირას ცალკეულ ნაკვეთებად. ნაშენობათა ქვის წყობა მშრალადაა ნაგები; კედლების სიმაღლე 1-დან 2 მეტრამდეა. ფერდობზე, ძლიერი დახრილობის ადგილებში ვხვდებით 6—7 იარუსიან უბნებს.

ეთნოგრაფიული კვლევით თანდათან გამოიკვეთა ის გარემოება, რომ ქვისკედლიანი ტერასები დასტურდება არა მარტო სოფ. ატენის მიდამოში, არამედ, დამახასიათებელია მთელი ხეობისათვის (მისი სიგრძე 35 კმ-ია); და, რაც მთავარია, ზონალურად ისეთ სარტყელში, სადაც ვაზის კულტურა არ დასტურდება — ბობნევი, ბიისი, ბოშური... მაშასადამე, ტერასების პრაქტიკა გამოყენებული ყოფილა ხეობის მაღალი ზონის არეშიც, სადაც ტრადიციული მეურნეობის მთავარი დარგი მემინდვრეობაა და საზაფხულო მარცვლეული ქარბობს საშემოდგომოს.

ამასთან ერთად, ატენის ხეობის სხვადასხვა დასახლებულ პუნქტში დადგენილი იქნა ტერასული დასახლებების ფორმა.

ატენშივე დავადასტურეთ დღემდე დაცული ტერასული სასაფლაო.



აქვე არ შეიძლება არ გავიხსენოთ ისტორიულად ცნობილი ატენის სამეფო ძვრები, და „ღვწო აქაური, უმჯობესი ყოველისა ქართლისა და უმეტეს ატენური ყოველთა საქართველოს ღვინოთა“ (ვახუშტი ბატონიშვილი).

ტანას ხეობას რამდენიმე მცირე ხევი მიერთვის. ერთი მათგანია წეროს ხევი, სადაც საინტერესო ტერასულ კომპლექსს მივყავლიეთ. თვით ხევის სიღრმე 2—3 კილომეტრს არ აღემატება. იგი ებჯინება კლდოვან გორაკებს, რომლებიც მას დასავლეთიდან კეტავენ. აქა-იქ შემორჩენილია გავერანებული ბალ-ვენახები. ს. მაკალათიას 40-იან წლებში ამ მიდამოში ნასოფლარი უნახავს<sup>3</sup>, რომლის კვალი ამჟამად ძნელად მისაგნებია. მთის მალე კალთებზე, ქვის უზარმაზარი ფილებისაგან შეკრულ მოედანზე დგას ნახევრადდაშლილი ეკლესია. მისგან მოშორებით, მთის ჩაღმართი კალთები, საკმაოდ დიდ სივრცეზე, ქვისკედლიანი ტერასებით არის მოფენილი. ზოგიერთ მათგანზე ვაზი და ხილის ხეებია შემორჩენილი. ტერასები ძლიერ დაზიანებულია; ნიადაგური ფენა ეროზიისაგან დაზოგვულია და გამოფიტულია. რამდენიმე კარგად შემონახული ფრაგმენტის მეშვეობით განისაზღვრა კედლების სიმაღლე, რომელიც 1,5 მეტრს არ აღემატება.

სამეურნეო ტერასები დავამოწმეთ ასევე ვერეს ხეობაში. იგი ატენის ხეობას ერთვის გარდატენთან, იქ სადაც ვერეს ხევი უერთდება ტანას. ისევე როგორც ატენში ტერასული ნაკვეთები აქ კარგადაა შემონახული. კედლების ქვის წყობაც დაუზიანებელია; ზოგან კი ეტყობა აღდგენის კვალი. მათი დიდი ნაწილი სავენახედ არის გამოყენებული.

ექვს არ იწყვეს, რომ წეროს ხევში და ვერეს ხეობაში დადგენილი სამეურნეო ტერასები თავისი ხასიათით ტრადიციული მიწათმოქმედების ადგილობრივ სპეციფიკას ასახავს. მაშასადამე, ტერასების პრაქტიკა შეიძლება მივიჩნიოთ უძველეს სამეურნეო საშუალებად და საყოველთაოდ დამახასიათებელ მოვლენად მთლიანად ატენის ხეობისათვის, შემდინარე ხეების ჩათვლით.

საკითხის კვლევისათვის საყურადღებოა ტანას ხეობის ისტორიული გეოგრაფიის ჰრილში შესწავლის შედეგები, რომელიც თ. ტატიშვილს ეკუთვნის<sup>4</sup>. იგი ყურადღებას ამახვილებს ხეობის უძველეს სამოსახლოებზე, რომლებიც გორებზე, ბორცვებზე და მდინარისპირა კონცხებზეა დადასტურებული და კულტურის უწყვეტი განვითარების სურათს ასახავს. მათი ფოზოგრაფია ხშირ შემთხვევაში ტერასულ ხასიათს ატარებს (ბობნევი, ბნავისი). სპეციალურ კვლევის საფუძველზე, საკითხის კომპლექსური განხილვის შედეგად ავტორი შესაძლებლად მიიჩნევს ატენის ხეობის ინტენსიური დასახლება გვიან ბრინჯაოს ხანაში ივარაუდოს. სხვა მონაცემებთან ერთად, მოტანილ არგუმენტაციაში ხაზგასმულია ხეობის სამეურნეო საქმიანობის „კომბინირებული ხასიათი“ — შეზავებული კლიმატური ზონები, რომელსაც თავისი ბარი და თავისი მთა აქვს, სარწყავი სისტემები, მემინდვრობისა და მევენახეობის დარგების დაწინაურება და სხვ. რამაც ხელი შეუწყო მთელი ხეობის როგორც დამოუკიდებელი ერთეულის, „ქვეყნის“ ჩამოყალიბებას<sup>5</sup>.

3ს. მაკალათია, ატენის ხეობა, თბ., 1957, გვ. 7.

4თ. ტატიშვილი, მასალები ტანას ხეობის ისტორიული გეოგრაფიისათვის, „ისტორიული გეოგრაფიის კრებული“, II, თბ., 1964.

5თ. ტატიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 56.

საკითხის აღნიშნულ ქრილში განხილვისას, სათანადო შეფასებას მოითხოვს სხენებულ ტერიტორიაზე ტერასული მიწათმოქმედების აღმოცენებისა და შემდგომი განვითარების მნიშვნელობა, რასაც თან უნდა მოჰყოლოდა მხარის სამეურნეო პოტენციალის მკვეთრი აღმავლობა; გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბუნებრივი პირობების ადგილობრივი რეჟიმით განსაზღვრული ხეობის სამეურნეო პროფილი, მით უფრო მიწათმოქმედების ინტენსივობის ხარისხი, ბევრად იყო დამოკიდებული მთის კალთებისა და ფერდობის მიწების ათვისება-გამოყენებაზე. ამიტომ, თუ ვაგიზიარებთ მოსაზრებას, იმის შესახებ, რომ საქართველოში ტერასული მიწათმოქმედება ბრინჯაოს ხანიდანაა სავარაუდო, მაშინ, გვიანბრინჯაოს ხანაში ხსენებული რეგიონისათვის მისი საყოველთაო გავრცელება კანონზომიერად შეიძლება მივიჩნიოთ.

საქართველოს ყველა კუთხეში მემინდვრობისა და მევენახეობა-მებაღეობისათვის გამოყენებული ტერასული მიწათმოქმედების უბნები მისი მაშტაბურობის სურათს ასახავენ. ამ მხრივ შიდა ქართლი ბევრ საინტერესო ობიექტს შეიცავს. ძამას, კავთურას, ლეხურას და სხვა ხეობებში გამოვლენილი ეთნოგრაფიული მონაცემები მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რომ არაფერი ითქვას იმ მდიდარ ტერმინოლოგიაზე, რომელიც კომპლექსური კვლევის აუცილებელი ელემენტია.

ივ. ჭავჭავაძის მიუთითებს: „უეჭველია იმ ხელოვნური ნიჟარებისათვის ძველ ქართლში უნდა რაიმე განსაკუთრებული ტერმინი ყოფილიყო, ყოფილა კიდევაც. ეს სიტყვა საბასაც აქვს თავის ლექსიკონში შეტანილი — როდესაც „წალკოტა და საყანურთა ხარისხნი მოვაკებულად გამართული იყო“, როდესაც „მიწა ბაქან-ბაქანად მოვაკებული იყო“, ამას ოროკი ეწოდებოდა. მაშასადამე, აქ ხელოვნურად გაკეთებული, ტერასებიანი ნიჟარის სწორედ ძველი ქართული ტერმინი გვაქვს დაცული“<sup>6</sup>.

მივმართოთ ლექსიკონებს:

მიწა ბ ა ქ ა ნ-ბ ა ქ (ა) ნ ა დ მოვაკებული — ო რ ო კ ო 7.

წალკოტა და საყანურთა ხ ა რ ი ს ხ ნ ი მოვაკებად — ო რ ო კ ო 8.

ჭვითა და კირით შეკებულივით სხვადასხვა აღსავალი-ხ ა რ ი ს ხ ი 9.

ძელით ფრიალო გვერდი ბ ა ქ ა ნ-ბ ა ქ ა ნ ა დ მოასწროს დასათესველად-კადონი<sup>10</sup>.

ფიცართა და ძელთაგან ხ ა რ ი ს ხ უ ლ ი აღსავალი, ვინა გვერდობა ბ ა ქ ა ნ-ბ ა ქ ა ნ ა დ (ბაქან-ბაქნილად) ქმნილ-ს ხ უ ნ ი<sup>11</sup>.

ხარისხი ბ ა ქ ა ნ-ბ ა ქ ა ნ ა დ-მ ე ქ ო ნ ო თ ი 12.

მრავალთ სახსდომელი ბ ა ქ ა ნ-ბ ა ქ ა ნ ა დ-ტ ვ ქ ი ა ნ თ ტ ო გ უ ნ ი 13.

სრათა და ტაძართა კართ შესავალი ხ ა რ ი ს ხ უ ლ ი ბ ა ქ ა ნ-ბ ა ქ ა ნ ა დ გარემოვლებული — ა დ ს ა ვ ა ლ ი 14.

6 ივ. ჭავჭავაძის შვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 135.

7 ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ლექსიკონი ქართული, წიგნი 1, თბ., 1966.

8 იქვე.

9 იქვე.

10 იქვე.

11 იქვე.

12 ნ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961.

13 იქვე.

14 იქვე.

ხარისხი შემზადებული ხეთაგან, ქვათაგან... ქვე-ზეობით კიბესავით — მენაკი<sup>15</sup>.

როგორც მასალებიდან გამოჩნდა, მიწის დატერასების მთავარი სახელია ბაქანი. რაც შეეხება ხარისხს, იგი განმარტებულია როგორც დასაყრდენი, საფუძველი, რომელიც შექმნილია სათანადო მასალით, — ქვით, ქვიტკირით, ლითონით და სხვ. ბიბლიაში არაერთხელაა მოხსენიებული — „ქმენ ემზაზო რვალისა და ხარისხი მისი რვალისა“, „... და სუეტნი მისნი ოცნი... და ხარისხნი მისნი ოცნი — რვალისანი“<sup>16</sup>. „დადგა ზედა ქვებსა ხარისხსა...“<sup>17</sup> და ა. შ. ხარისხი ნ. ჩუბინაშვილთან — ქვიტკირის კიბეთა ფეხის დასადგმელია, საფეხურია<sup>18</sup>.

ამავე დროს, ხარისხი მიმართებითი გაგების ამსახველი სახელია — რალაცაზე მალალი, ზემდგომი, აღმართული.

ს.ს. ორბელიანთან ხარისხი იგივეა რაც-მეჭონოთი; სხვა განმარტებით კი „ეწოდების ზე აღსავალსა და აღსავალსა ტახტ-ტახტად“<sup>19</sup>. აქ კიდევ გამოჩნდა ახალი ტერმინი — ტახტი.

შემოთქმული შეიძლება შემდეგნაირად დავაზუსტოთ: ხარისხი არის საყრდენი, საფუძველი, კვარცხლბეკი. ამავე დროს სიბრტყის მნიშვნელობით იგი ერთიარუსიანი ტერასული მოედნის ამსახველიცაა. ხარისხი ვადმოსცემს ამასთანავე შედარებით გაგებას აღმატების ნიშნით — აზიდული, ზემდგომი, ზეაღმართული და აუცილებლად რალაცა მასალით ნაგები. თვით ხარისხი არ არის მოწყობილი ტერასულად. როდესაც საქიროა გამოიკვეთოს მისი ტერასულობა, ლექსიკონებში ამაზე სავანგებოდაა მითითებული: „ხარისხი ეწოდება ზე აღსავალსა და აღსავალსა ტახტ-ტახტად“, ან „ხარისხი ქვიტკირის კიბეთა ფეხის დასადგმელი“, ან „ხარისხი ბაქან-ბაქანად“. ამდენად, როდესაც ნიადაგი „ხარისხებრ მოვაკებულია, ეს იმას აღნიშნავს, რომ შექმნილია სათანადო სიბრტყის, მალალი ექსპოზიციის მქონე ფართობი საყრდენის, თუგინდ ტერასის გაგებით და ნებისმიერი დანიშნულებით. მაგრიამ „წალკოტთა და საყანურთა ხარისხნი მოვაკებად“ — აქ სრულიად თვალსაჩინოა ხარისხის სამეურნეო პროფილი.

რაკი ოროკო არის „მიწა ბაქან-ბაქანად მოვაკებული“, აქ ოროკი უკვე არის მცენარის დასანერგად ხელოვნურად შექმნილი იარუსული განლაგების ტერასული ნაკვეთი, რომლის დასაფეხურება, ტერასათა სიმრავლე მიწის ბაქან-ბაქანად მოვაკებით“ არის ახსნილი. ისე რომ, ბაქანი ამ გაგებისათვის ძირითადი მსაზღვრელია.

მიემართოთ ეთნოგრაფიულ მასალას: — რას გვაძლევს იგი? შესაძლებელია თუ არა ამ უკვე კანონზომიერად აგებულ სქემაში რაიმე ახალი მიმართებების მონახვა? აქ ისიც უნდა დაემატოს, რომ საუკუნეთა მანძილზე კვლავ ჰქონდა ადგილი იდენტური ტერმინების წარმოქმნას, რომელთა ნაწილი დღესაც დასტურდება ყოფაში — დარიჯი, საქმე, დუქანი, ყათარი, ეტი დ სხვ. დღეისათვის, ტერასული უბნების ძირითადი სახელწოდებაა ბაქანი, რომელიც აღმო-

<sup>15</sup> ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი.  
<sup>16</sup> მცხეთური ხელნაწერი (ტექსტი გამოს. მოამზ. და გამოკლევია დაურთო ელ. დოჩინაშვილმა, გამოსვლათა, თ. 30. 18).  
<sup>17</sup> იქვე, შესავალი. 17. გვ. 12.  
<sup>18</sup> ნ. ჩუბინაშვილი, დასახ. ნაშრომი.  
<sup>19</sup> ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებანი, ტ. IV, თბ., 1966.



სავლეთ საქართველოს ყველა რეგიონში მოწმდება. ამ ტერმინითვე ხდება სხვა იდენტური მნიშვნელობის მქონე სახელების განმარტება — საქვები, ტახტები, ეტები... აღმოსავლეთ საქართველოში ტერმინი ოროკი ამჟამად მხოლოდ აჭარაში იხმარება უკველო ტერასის აღმნიშვნელად. ეთნოგრაფიული ცნობები ზემო და შიდა ქართლში, ახლო წარსულში, ეს იყო დაბაჟებული ნიადაგის საყოვეთოდ გავრცელებული სახელწოდება. ამდენად თვალსაჩინოა, რომ ეს ორი ტერმინი — ბაქანი და ოროკო გარკვეულ პერიოდში თანაარსებობდა. მაგრამ, რადგან ოროკოს მნიშვნელობა ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონშივე ბაქნის მეშვეობით არის ახსნილი, ჩანს, უკვე იმ დროსვე ბაქანმა მოიპოვა უპირატესობა და სამეურნეო ტერასირებული ნიადაგის აღმნიშვნელ ზოგად სახელწოდებად იქცა.

ივ. ჯავახიშვილი ოროკის შესახებ მიუთითებს „ამჟამად ეს სიტყვა გური-აშია გადაარჩენილი, მაგრამ გურიაში ოროკი და ცარე თითქოს თიხნარი ნიადაგის აღმნიშვნელ ტერმინად არიან ქცეული“-ო.

დასავლეთ საქართველოს ტერასული მიწათმოქმედების შესახებ ივ. ჯავახიშვილთან არაფერია ნათქვამი. ამაზე არც სამეცნიერო ლიტერატურაში ვხვდებით რაიმე მითითებას. ერთადერთი გამოწვევისა ვ. დოლგუშინის ცნობა სვანეთში, ჩოლურის თემში ტერასული მიწათმოქმედების არსებობის შესახებ, რომლის დაზუსტება ეთნოგრაფიული კვლევით ჯერჯერობით არ მოხერხდა.

რადგან აღმოსავლეთ საქართველოში ტერასები აბსოლუტურად ყველა შემთხვევაში სარწყავი მეურნეობაა — როგორც ტერასული მევენახეობა, ასევე მებაღეობა-მებოსტნეობა — ამიტომ დასავლეთ საქართველოს ტენიანი, სუბტროპიკული გარემოსათვის მისი არსებობა თითქოს არ უნდა იყოს კანონზომიერი. ამ განწყობილებების მიუხედავად დასავლეთ საქართველოს რეგიონებში მუშაობა მიმდინარეობდა, რამაც 1982—83 წლებში შედეგი გამოიღო: სამეგრელოში მიკვლეული იქნა უძველესი ტერასული კომპლექსები ჩხოროწყუს, წალენჯიხის და ვეგეჭკორის რაიონებში. იმისათვის, რომ უფრო რელიეფურად გამოიკვეთოს მოძიებული მასალის ხასიათი, მოვიტანთ სამეგრელოში დადასტურებულ რამოდენიმე ტერასული უბნის აღწერას.

უძველესი სამეურნეო ტერასები დავიმოწმეთ ჩხოროწყუს რაიონის სოფ. მუხურის ტერიტორიაზე. ადგილის სახელწოდებაა ლეგაბედე. ესაა ადრე გაბედავების სამოსახლო, რომელიც განლაგებულია სოფლიდან ორიოდე კილომეტრის დაშორებით, მის აღმოსავლეთით მდებარე მთის კალთებზე, მიუხედავად სოფლის სიახლოვისა, ამჟამად ეს მიდამო უკაცრიელი და სრულიად გავერანებულია. ქვის მშრალი წყობით ნაგები ტერასები საკმაოდ კარგადაა შემონახული და ფერდობზე ცალკეული ნაკვეთის სახით წარმოგვიდგება. მეზობლად მდებარე ტერასულ უბნებს ერთმანეთისაგან ქვით ნაგები მიჯნა/ხურგა საზღვრავს. ტერასების ადგილობრივი სახელწოდებაა ხ'იბლი, რომლის მნიშვნელობა ყორეთი იქნა განმარტებული. ტერასათა სიმრავლე ფერდობის სხვადასხვა ნაწილში განსხვავებულია — უფრო ჭარბობს 6 იარუსიანი მონაკვეთები. მშენებლობაში გამოყენებულია დიდი ზომის ქვები, რომელთა ერთმანეთთან დაკავშირება მცირე მოცულობის ქვით ოსტატურად არის შესრულებული. კედლების სიმაღლე 1—1,5 მეტრის ფარგლებში დასტურდება; მთლიანად მწვანე ხავსითაა დაფარული. ფერდობის დახრილობა 40° არ აღემატება. ნიადაგი ძლიერადაა დაზიანებული, აქა-იქ შემორჩენილია მუხა, მსხალი, აკაცია, წვრილი ბუჩქნარი.



რამდენიმე ადგილას კლდის ქანობი მიწის ზედაპირზეა ამოზიდული და ბუნებრივ ზღუდეს ქმნის. ასეთ ადგილებში კლდე ფერდობის გაყოლებაზე გავრძელებულია ქვის ხელოვნური წყობით და მთლიანობაში აფორმებს ტერასულ კედელს. კლდის ქანობი და შენებაში გამოყენებული ქვის ჯიში იდენტურია, რაც ამ უკანასკნელის ადგილობრივ წარმოშობაზე მიუთითებს. სოფ. მუხურში მოძიებული ცნობებით ეს ადგილები მოსახლეობას გაურკვეველი მიზეზით მიუტოვებია და სხვაგან გადასულა. ტერასულ ნაკვეთებზე დღემდე ზედმიან მაღლარი ვაზის ნაშთებს, უფრო გვიან კი ჭვავი და სიმინდი უთესიათ. ამგვარ ნაშენობათა სიმრავლეზე მიგვითითებს ლუგელას ხეობასა და მის გაყოლებაზე განლაგებული საყანეები, რომლებსაც მოსახლეობა ზინდს უწოდებს.

წალენჯიხის რაიონში ქვისკედლიანი ტერასების გამოყენება ასევე საყოველთაო ჩანს. ტერასი ანუ ხბილი ყველა მოსახლეს ჰქონდა თავის ყანაში, რომელთა უდიდეს ნაწილს მთაგორიანი ადგილები ეკავა. ამჟამად ისინი მთლიანად დაშლილია და განადგურებული. უფრო კარგადაა დაცული საკარმიდამო ნაკვეთებში, სადაც განკუთვნილია საბაღედ, საბოსტნედ, სავენახედ ხ ბილის საყოველთაო გავრცელების ადგილებად უხუცესი მაცხოვრებლები გვისახელებენ სკურის ხეობაში ძველ ნასოფლარებს — თარზენი, ნაოხვამო, სკურის თავი, ნასკაღე, ლევშოღე, როხოხა, სადაც კიდევაც შესაძლებელი მათი ნაშთების ნახვა. სკურის ხეობაშივე საინტერესო კომპლექსია XI საუკუნით დათარიღებული ნახევრადანგრული ეკლესია, რომელიც მთლიანად ორ იარუსად მოწყობილ ტერასულ მოედანზეა განლაგებული. თვით ეკლესიაც დიდი ღონისძიებებისაგან არის მშრალად ნაგები.

სამეურნეო ტერასების ნაკვალევს მივაგენით გეგმქორის რაიონის სოფ. II ბაღის მიდამოებში, სადაც მათ ყო რ ეს უწოდებენ. ყორეები ზებერდეკირდეს ანუ ზებერდეს მთის კალთებზეა განლაგებული. აქვეა ბაღის ღვთისმშობლის ეკლესია, რომელსაც მარიაშობას და აღდგომას დღესასწაულობენ. ადგილის სახელია როდი. ფერდობის დახრილობა 40° აღემატება. ძლიერად ეროზირებული ნიადაგური ფენა დაშლილია და დარეცხილი. ყორეების მიდამოშიშველია მცენარეულისაგან. კედლების მთლიანი, დაუზიანებელი კონტურის დადგენა არ ხერხდება. შემორჩენილი ადგილების მეშვეობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კედლები დიდ სიგრძეზე გასდევდა ფერდობს განივად და ქმნიდა ჰორიზონტალური ექსპოზიციის მქონე სამეურნეო ნაკვეთებს. უფრო კარგად იკვეთება მათი იარუსული განლაგება, რომელიც ფერდობის უმაღლეს ნაწილში 8 საფეხურს აღწევს. ფერდობის ძირში, ვაზის გაყოლებაზე, შედარებით კარგად დაცული ყორის ფრაგმენტის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ კედლები 1,5 მეტრამდე სიმაღლისა უნდა ყოფილიყო. ქვის წყობა მშრალადაა ნაგები. მიწის „დასაკავებლად“ ყოველ უბანს ფერდობის თავში დარგული აქვს კაკალი, მუხა, თხმელა. ნიადაგის დაცვის ეს უძველესი, ტრადიციული ხერხი კარგად შეიმჩნევა ზებერდეკირდეს ფერდობებზე.

როგორც ვაჩვენებთ, ამ ძველ „ყორეებში“ ოდესღაც ვაზი ჰქონიათ, მერე კი ღობი და ჭვავი მოჰყავდათ. ომის შემდეგ ასეთი ადგილები მთლიანად მიუტოვებიათ. ტერასული ნაშენობანი დიდი რაოდენობით შემორჩენილია ასევე ჩხერის ფერდობებზე და ქვიბიის მთაზე, სადაც განსაკუთრებით ხშირია მეწყერი. კარგად შემონახული ქვით ნაგები ყორეები დავადასტურებთ დადიან-





ბის სასახლის ეზოში. ისინი ღღემდე იცავენ ეროზიისაგან კარმიდამოს, სადაც შემორჩენილია მუხისა და წიფელის ასწლოვანი ხეები.

სამეგრელოში ტერასების ტრადიცია კარგად მეღვენდება ასევე სამოსახლოსა და მასთან მდებარე სამეურნეო ნაკვეთების დამცველი ყორეების მაგალითზე: ს. სალხინოში, ს. გაქედლოში, ს. ჩქვალურში, ს. ჭვალში, ს. სკურში და სხვაგან, საკარმიდამოს ნიადაგების გასამაგრებლად აგებული ყორეები რამდენიმე თაობას უძლებდა. ნიადაგდამცველი ფუნქციის გარდა, მშრალი წყობით აყვანილი ეს ნაგებობანი ესთეტური დანიშნულებითაც იყო შესანიშნავი, როგორც მთელი ეზოს მშვენება.

როგორც ეთნოგრაფიული მასალით ირკვევა, ტერასების შესაქმნელად ადგილობრივ გამოყენებული ყოფილა ასევე ხის მასალა. ხის ძელებისაგან მოწყობილ ნიადაგდასაცავ ნაგებობას აქ ხ ა რ ხ ი ლ ს უწოდებენ. იგი ხ' ბილის ანალოგიურ ფუნქციას ასრულებდა და უფრო ტყით მდიდარ, მიუვალ სახნავებში იყენებდნენ. ხარხილი ფართოდ იყო გამოყენებული ასევე გზისპირებისა და კარმიდამოს სამეურნეო ნაკვეთების დასაცავად (ბოსტანი, ბაღი...).

სამეგრელოში ტერასების გარშემო მოძიებული ეთნოგრაფიული ცნობები მთელ რიგ საკითხებს მოიცავს, როგორცაა პუნქტების ზონალური ჩამონაცვლება—მიგრაცია, გეო-კლიმატური რეჟიმის ადგილობრივი თავისებურებანი, ბუნებრივ-სამეურნეო გარემოს სპეციფიკა, ტერასების მშენებლობის ტექნიკა, ნაგებობათა ტიპოლოგია, ტერმინოლოგია და სხვ. და სხვ. მათ შესახებ აქ აღარ შევჩერდებით. საჭიროდ მიგვაჩნია ყურადღების გამახვილება შემდეგზე. სამეგრელოს ტერასული მეურნეობის შესწავლისათვის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა არქეოლოგიური კვლევის მონაცემები. მათ საფუძველზე დადგენილია, რომ ძველ კოლხეთში მეურნეობის წამყვანი დარგია მიწათმოქმედება. რომელიც განსაკუთრებით ვითარდება გვიანბრინჯაოს ხანაში. არქეოლოგიური ძიების შედეგად კოლხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილია ასეულობით ძველი ნამოსახლარი. მათი შესწავლით დადგენილი იქნა, რომ კოლხეთისათვის დამახასიათებელია დასახლების ტერასული ფორმა, რასაც ბუნებრივ თუ ხელოვნურ ბორცვებზე განლაგებული მრავალრიცხოვანი ნამოსახლარის შესწავლა ადასტურებს (ნ. ხოშტარია, ნ. გოგაძე, გ. გამყრელიძე...).

რამდენიმე ასეთი უბანი კოლხეთის ტერიტორიაზე დაზვერილი და შესწავლილი იქნა არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ, რომლის მუშაობა ენგურის პიდროლექტროსადგურის მშენებლობით იყო შეპირობებული. მათ რიცხვშია წალენჯიხის რაიონის სოფ. ლიას მახლობლად მდებარე ბორცვი, რომელიც ადგილობრივ „დიდა ქირსას“ (ქრისტეს დედის, ღვთისმშობლის) სახელით არის ცნობილი. მიღებული შედეგები გამოაქვეყნეს ჯ. ჯღამაიამ და ლ. წითლანაძემ სხვადასხვა დროს, ძეგლის შესწავლის პროცესში<sup>21</sup>.

ბორცვ „დიდა ქირსას“ კვერცხისებური მოყვანილობა აქვს. იგი 70—80 მეტრის სიმაღლის გორაა, რომელიც საკმაოდ დამრეცი კალთების ხასიათდება. ბორცვზე შემორჩენილია რიყის ქვით ნაშენები შუა საუკუნეების ციხის ნანგრევები. გათხრების შედეგად დადასტურდა ეკლესიის არსებობაც, რომელიც ადრეიზანტიური ხანისათვის დამახასიათებელი არქიტექტურული წე-

<sup>20</sup> ჯ. ჯღამაია, სოფელ ლიას შუა საუკუნეების ნაციხვარი, „მაცნე“, ისტორიის სერია, თბ., 1980, № 1, გვ. 128—134.

<sup>21</sup> ლ. წითლანაძე, არქეოლოგიური აღმოჩენები სოფელ ლიაში, „ძეგლის მეგობარი“, თბ., 1973, № 33, გვ. 66—72.

სით არის ნაგები. და აი, ექსპედიციის მუშაობის პროცესში, ბორცვის „ციცა-  
ბო ფერდობებზე“ ალაგ-ალაგ ხელოვნური ტერასები იქნა მიკვლეული, რომ-  
ლებიც „გაკეთებულია ისტორიულ ხანაში“<sup>22</sup>.

„დიდა ქირსას“ არქეოლოგიურ კომპლექსში გამოვლენილი ერთ-ერთი  
კოშკის საძირკვლის ძირში მიკვლეული იქნა კოლხური ქვევრის ძირგვერდის  
ნატეხი, რომელიც გვიან-ელისისტურ ხანას მიეკუთვნება. ეს ფენა ბორცვის  
განათხარ მასალაში ყველაზე მძლავრად არის წარმოდგენილი. ექსპედიციამ  
დაზვერა ასევე ბორცვის ფერდობები, და ჩრდილო ფერდობზე, ერთ-ერთ  
ტერასზე გავლებულ თხრილში აღმოჩნდა ოთხი დიდი ქვევრის ძირგვერდა.  
ქვევრები დაკირული იყვნენ და ფეოდალური ხანით დათარიღდნენ. აშკარაა,  
— ასკენის ავტორი, — რომ აქ საქმე გვქონდა ციხესთან კავშირში მყოფ ღია  
მარანთან<sup>23</sup>. აღნიშნული გარემოება ჩვენი საკვლევი თემისათვის მეტად მნი-  
შვნელოვანია. „დიდი ქირსას“ ფერდობებზე დადგენილი ტერასების სამეურ-  
ნეო დანიშნულება თვალსაჩინოა. უფრო მეტიც, ტერასებზე ნახაბი „ღია მარა-  
ნი“ ამ ობიექტზე ტერასული მევენახეობის დაშვების უფლებებსაც გვაძლევს.

როგორც ძველის შესწავლა ცხადყოფს, „დიდა ქირსას“ მრავალფეროვანი  
არქეოლოგიური ძეგლია, სადაც ცხოვრება ძვ. წ. I ათასწლეულიდან შუა-  
ფეოდალურ ხანამდე გრძელდებოდა. მის ფერდობებზე შეგროვილი ანაქროფო  
მასალის სიუხვე კულტურული ფენების ხასიათი და სხვ., დიდა ქირსას ფერ-  
დობებზე მოსახლეობის სიმრავლესა და აქ მიმდინარე ხანგრძლივი ცხოვრების  
კვალზე მიუთითებს<sup>24</sup>. მოხერხებული გეოგრაფიული მდგომარეობის გამო დიდა  
ქირსას ციხეს მოგვიანო ხანაში ენგურის ხეობაში მნიშვნელოვანი ადგილი  
უნდა სჭეროდა. იგი კონტროლს უწევდა, ერთი მხრივ, სვანეთისაკენ მიმავ-  
ალ დიდ სავაჭრო გზას, ხოლო, მეორე მხრივ, წალენჯიხისაკენ მიმავალ  
უმოკლეს გზასაც<sup>25</sup>. ამდენად, თუ მოტანილ ფაქტობრივ მონაცემებს შეუდა-  
რებთ ჩვენ ხელთ არსებული ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების შედეგებს, მათი  
ერთიან ასპექტში გააზრების ეჭვს არ იწვევს. სამეგრელოში გამოვლენილი  
სამეურნეო ტერასები და ტრადიციულ მიწათმოქმედებაში მისი შემდგომი კვლე-  
ვა გარკვეულ მიმართულებაში უნდა იყოს განხილული არქეოლოგიურ მასა-  
ლასთან, რაც საკითხის კომპლექსურად შესწავლის შესაძლებლობას გაზრდის.

სამეგრელოს ტერიტორიაზე გამოვლენილი ტერასული მიწათმოქმედებია  
დამადასტურებელი უბნები და მათ შესახებ მოძიებული ეთნოგრაფიული მონა-  
ცემები იმაზე მიუთითებენ, რომ ნიადაგის ათვისებისა და დაცვის აღნიშნული  
ლონისძიება ფართოდ იყო გამოყენებული ამ რეგიონში. ქვისა და ხის მასა-  
ლით შექმნილი ტერასები თავისი სტრუქტურითა და მეურნეობრივი დანიშნუ-  
ლებით იმავე შინაარსს ატარებენ, რაც აღმოსავლეთ საქართველოს ამავე სა-  
ხის მიწათმოქმედებას გააჩნია. ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოში,  
ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე ტერასული მიწათმოქმედება მყდუნდება მისა  
მთისწინეთის გარდამავალი ზონალობის სარტყელში, სადაც გავრცელების  
ფართო მასშტაბი აქვს მიღებული. ამდენად, უფლება გვეძლევა, ტერასული  
მეურნეობა ქართველი ეთნოსისათვის დამახასიათებელ მოვლენად და მისი სა-  
მიწათმოქმედო ტრადიციის ერთიან კულტურულ მონაპოვრად მივიჩნიოთ.

22 ქ. ჯღამია, დასახ. ნაშრომი, გვ. 126.

23 ქ. ჯღამია, დასახ. ნაშრომი, გვ. 132.

24 ლ. წითლანაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 72.

25 ქ. ჯღამია, დასახ. ნაშრომი, გვ. 132.

აქ ერთხელ კიდევ გამოჩნდა, თუ როგორი გზით ყალიბდებოდა ის დიდი ტრადიცია, რომელიც საფუძვლად დაედო გარემოს პირობებთან მაქსიმალურად შეგუებული და მისი თავისებურებებით განსაზღვრული მეურნეობის ფორმათა და საშუალებათა შექმნას. ბუნებით სარგებლობის მკაცრად რეგლამენტირებული წესები გამოუმუშავებული იყო ყოველი ცალკეული რეგიონის მიკროლოკალური გარემოს სპეციფიკის გათვალისწინებით და მას ექვემდებარებოდა. ამის მაგალითი არა ერთია. ამ გარემოებას კარგად ასახავს აგრეთვე საქართველოს ტერასული მეურნეობა. აღმოსავლეთ საქართველოში ტერასული მიწათმოქმედება მთის რელიეფის ათვისებისა და მისი ინტენსიური გამოყენების მიზნით აღმოცენებული, რწყვის რეჟიმის მარეგულირებელ ეფექტურ საშუალებად გვევლინება, რაც მისი არსებობის მთავარ სასიცოცხლო პირობაა. დასავლეთ საქართველოში კი პირიქით, ტერასირებით შესაძლებელი ხდება ჭარბტენიანი ნიადაგების გამოყენება.

ამდენად, საქართველოს ტერასული მიწათმოქმედების ეთნოგრაფიული შესწავლა მრავალ საკითხს წამოჭრის. იგი ასევე პერსპექტიული ჩანს ისტორიული მეცნიერების ცალკეული პრობლემების კვლევისათვის.

**Л. БЕРИАШВИЛИ**  
**НОВЫЕ ДАННЫЕ О ТЕРРАСНОМ**  
**ЗЕМЛЕДЕЛИИ ГРУЗИИ**

Вопросов террасного земледелия Грузии академик И. А. Джавахишвили специально касается в своем фундаментальном труде «Экономической истории Грузии».

За последние годы, в ходе этнографических исследований, на территории Самегрело были выявлены новые очаги древнейших сельскехозяйственных террас, которые ранее зафиксированы не были в Западной Грузии.

На основе новых материалов становится возможным в ареал распространения террасного земледелия Грузии включить ее западные регионы. Поэтому, можно заключить, что несмотря на различные природных гео-климатических условий, террасное хозяйство находило широкое распространение не только в Восточной, но и в Западной Грузии.

Специальное изучение террасного земледелия Грузии представляет безусловный интерес, как с точки зрения разработки отдельных вопросов истории культуры, так и для освещения аналогичных проблем в масштабе всего Закавказского региона.

**L. BERIASHVILI**  
**NEW INFORMATIONS ABOUT TERRACE**  
**AGRICULTURE OF GEORGIA**

**Summary**

An Academician I. Djavakhishvili especially touches the questions about the terrace agriculture of Georgia in his fundamental work „Economic History of Georgia“.

For the latest years in the course of ethnographical researches on the territory of Megrelia there were found new hearths of the ancient agricultural terraces which were not fixed earlier in West Georgia.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული შესწავლის განყოფილებამ



ДЖ. ВАТЕИШВИЛИ

По следам Никифора Ирбаха

2. ОРМУЗСКИЙ РЕГИОН В ПОЛИТИЧЕСКИХ ИНТЕРЕСАХ  
ВОСТОЧНОГРУЗИНСКИХ ЦАРСТВ КАРТЛИ И КАХЕТИ\*

Прежде чем высказать некоторые соображения о причинах крайней засекреченности посольства Никифора Ирбаха в Западную Европу, представляется не лишним в историческом ракурсе коснуться Ормузской проблемы, чтобы в общих чертах восстановить политическую обстановку, сложившуюся в этом важнейшем торгово-экономическом и стратегическом регионе Персидского залива к концу первой трети XVII века.

Известно, что еще в средние века остров Ормуз, расположенный при входе из Аравийского моря в Персидский залив и окаймленный Ормузским проливом, занимал один из самых удобных перекрестков караванных путей в осуществлении торгово-экономических связей западноевропейских стран с Китаем и Индией. В более широком толковании Ормузский регион, объединявший этот сравнительно небольшой остров, пролив и город с таким же наименованием, приобрел постепенно совершенно особое значение и как стратегический плацдарм. Вряд ли было случайным, что на этот красивейший и во многих отношениях выгодный уголок Персидского залива, который служил притягательным местом для купцов и коммерсантов не только Малой и Передней Азии, но и всего Ближнего и Среднего Востока, первыми среди европейцев обратили взоры португальцы, являвшиеся пионерами колониальных завоеваний. Им же принадлежит известное изречение о том, что «если бы мир был золотым перстнем, то Ормуз был бы его алмазом», которое воздавало должное, как нам кажется, не столько природной красоте этого региона, сколько возможностям его практического использования.

Началом обоснования и более чем векового колониального господства в этом регионе португальцев считается октябрь 1507 года, когда Ормуз был завоеван известным конкистадором Афонсу да Альбукерки, который наложил на местное население тяжелую контрибуцию. С того времени не ослабевала ожесточенная борьба за Ормуз между, с одной стороны, Португалией — некогда мощной, но уже заметно сдавшей свои позиции морской державой и, с другой стороны, — Персией, которая также значительно была ослаблена нескончаемыми войнами с Турцией и внутригосударственными противоречиями. Персию в этой борьбе нередко поддерживали конкурирующие с Португалией и Испанией за приоритетное положение в этом регионе другие европейские державы, особенно Англия и Голландия. В качестве неких этапных событий в истории этого перманентного военного конфликта следует расценить присоединение в 1580 году Португалии к Испании и вос-

\* Продолжение, начало см., «Мацпе», серия истории, № 2, 1991.



шествие на персидский престол в 1587 году молодого наместника Хорасана — продолжателя династии Сефевидов, прославившегося впоследствии под именем шаха Аббаса I (великого).

Первое событие способствовало превращению Испанской монархии в гигантскую колониальную империю, хотя оно не имело своим следствием полное совпадение политических интересов и действий двух объединившихся государств, о чем, наряду с другими симптомами, свидетельствовала также последующая эпопея единоборства за обладание Ормузским регионом.

Осуществлению второго события — восшествию на шахский престол Аббаса I — среди приближенных последнего, как об этом хорошо известно в нашей историографии, с особым усердием способствовал омусульманившийся грузин, впоследствии зять шаха (супруг его сестры) именовавшийся Аллаверди-ханом Георгий Ундиладзе. Будучи крупным военачальником и доверенным человеком шаха, он по личному распоряжению последнего был назначен бегларбегом (губернатором) крупнейшей в стране провинции Фарса. Тогда же Аллаверди-хану было вменено в обязанность опекать весь Ормузский регион и быть главнокомандующим над всеми сосредоточенными в округе персидскими войсками, предназначенными для боевых операций против расположенных неподалеку португальских гарнизонов.

С этим поручением шаха Аббаса Аллаверди-хан справлялся довольно успешно, чему во многом способствовало крайне негативное отношение к португальцам местного населения региона. Персидские войска во главе с Аллаверди-ханом нанесли португальцам не одно поражение. Следует отметить также, что в годы правления шаха Аббаса I Персия значительно окрепла и восстановила не только государственную целостность, но и ранее вынужденно утраченные в различных регионах свои позиции. Вследствие мира, заключенного в 1612 году в Стамбуле, Персия получила возможность упорядочить свои внутри- и внешнеполитические проблемы, среди которых шах в качестве первоочередной определил «наказание» восточногрузинских царств Картли и Кахети якобы за непоследовательность в исполнении ими своих вассально-союзнических обязанностей по отношению к шаху в период персидско-турецкой войны. На самом же деле основополагающими являлись цель и задача аннексии и полной ассимиляции коренного христианского населения восточногрузинских царств с включением его в орбиту политических, экономических и прочих интересов персидского государства.

Почти одновременно с трагедией, обрушившейся на Картли и Кахети в 1614—1617 годах, когда население этих восточногрузинских царств наполовину сократилось путем его истребления и насильственного переселения в Мазандеран, Ферейдан и другие провинции Персии, шах Аббас предпринял энергичное наступление и на позиции португальцев в Ормузском регионе, откуда намеревался полностью их вытеснить при поддержке военных кораблей Англии и Голландии. Как и в предшествующие годы, персидскими войсками в борьбе за овладение Ормузом предводительствовал владетель Фарса Аллаверди-хан, рядом с которым вскоре встал и старший его сын, также омусульманившийся Имам-Кули ан Ундиладзе. Ощутимые результаты общего руководства персидскими войсками отцом и сыном Ундиладзе не замедлили сказаться: сперва был отвоеван у португальцев сильно укрепленный ими город Гомрун, названный позднее Бендер-Аббасом, вследствие чего от колонизаторов была высвобождена персидская часть побережья залива;

затем последовало освобождение от португальцев в 1616 году Сохара, а в 1619 году — Рас эль Хайму. Бесплодными оказались также действия военного флота португальцев в Персидском заливе: в 1601 году он потерпел поражение в сражении с голландской эскадрой при Маскате, а затем англичане около Сурата дважды взяли верх над ним в 1612 и 1615 годах. Этим и было вызвано в июне 1619 года вступление в Персидский залив португальской «великой эскадры» во главе с Руи Ферейрой Д'Андрادا. Несмотря на это, к концу 1620 году Ормузский остров, который являлся цитаделью португальских владений в регионе, фактически оказался блокированным: противоположное острову персидское побережье залива находилось в руках Аллаверди-хана, а форт, который португальцы вслед за утратой ими бендер-Аббаса спешно построили на острове Кешм, откуда Ормуз обеспечивался питьевой водой и продовольствием, был осажден войсками Имам-Кули Ундиладзе. Основной опорой португальцев служила вошедшая в Ормузский пролив эскадра Руи Ферейры, которая, однако, весьма напряженную обстановку в регионе лишь минимально уравнивала, не обеспечивая даже бесперебойного снабжения гарнизона водой и продовольствием.

В этих условиях правительство Испании оказалось вынужденным требовать снятия осады, в противном случае оно угрожало объявлением войны Персии. Но благодаря политической прозорливости и воинскому опыту Имам Кули-хана контрмеры испанцев удалось опередить: в начале февраля 1622 года он обратился с просьбой к капитанам вошедших в Бендер-Аббас английских военных кораблей поддержать его осаду с моря. Просьба была исполнена и военные подразделения, подчиненные Имам Кухи-хану, уже 11 февраля штурмом взяли форт, воздвигнутый португальцами на острове Кешм. Во время сражения штурмующими был пленен сам Руи Ферейра, которого англичане вместе с другими захваченными в плен высокопоставленными португальскими офицерами отправили в Сурат в качестве заложников. Спустя неделю после падения форта, Имам Кули-хан высадил свои десантные части на остров Ормуз и штурмом взял главный город острова, тогда как гарнизон португальцев, понесший значительные потери и укрепившийся в цитадели, спустя два месяца (23 апреля) вынужден был сдаться победителям. Шах Аббас высоко оценил усердную службу Имам-Кули Ундиладзе, возведя его в достоинство хана-владельца богатейшей Ширазской провинции. Он же способствовал возвеличиванию Имам Кули-хана при шахском дворе в качестве одного из первейших вельмож государства.

Ормузская эпопея на этом однако не завершилась. Она имела большой резонанс в Западной Европе, особенно при мадридском дворе, где ее восприняли как верный симптом крушения португальской колониальной системы в Персидском заливе. Последовавшие почти два десятилетия XVII века подтвердили правильность такого прогноза. Но невольно возникает вопрос: какая могла быть связь между Ормузской проблемой и грузинским посольством в Западную Европу, если оно тем более было отправлено туда не в самый напряженный период его решения (1619—1622 гг.), а спустя три с половиной года после завоевания острова Имам Кули-ханом (1625—1629 гг.)?

Дело в том, что незадолго до отъезда Никифора Ирбаха из Грузии в Западную Европу португальцы возобновили в Ормузском регионе боевые действия, вылившиеся в кровопролитные сражения с персидскими войсками. Это стало возможным лишь после того, как уже



знакомому нам Руи Ферейре удалось вырваться из плена: сбжав от англичан, он собрал вокруг себя португальские войсковые соединения, разбросанные в разных местах Ормузского региона, и оказал упорнейшее сопротивление штурмующим персидским войскам. Это сопротивление оказалось настолько эффективным и сравнительно продолжительным, что португальцам удалось отвоевать и некоторое время удерживать в своих руках Сохар и Хор-Факан, а на побережье Оманского залива, в частности между Джаском и Бендер-Аббасом — стереть с лица земли расположенные там селения, воспрепятствовав одновременно внешним связям персов, обосновавшихся на Ормузе.

Именно с этой конкретной политической обстановкой, сложившейся в Ормузском регионе к исходу первой четверти XVII века, и увязывается, как нам кажется, непосредственно посольство Никифора Ирбаха в Западную Европу и хронологически, и, особенно, своей сверхсекретной целенаправленностью. Эта разумно взвешенная дипломатическая акция восточногрузинского царя, как можно будет убедиться в этом ниже, была рассчитана не столько на успех действий восставшего Руи Ферейры, сколько на успех своих тайных планов в Персии. Такое предположение не расходится с действительностью, ибо основано на подлинных фактах.

Как явствует из рассмотренных выше архивных документов, своевременному отпору со стороны персов и локализации боевых действий Руи Ферейры в Ормузском регионе после его побега из плена воспрепятствовал грузинский заговор против шаха Аббаса I, обнаружившийся во время сражения при Марткопи в 1625 году. Если попытаться коротко изложить сущность этого заговора, который был связан не только с Марткопским сражением, но и с целом рядом предшествовавших событий, надо хотя бы вскользь коснуться некоторых из них, вызвавших его к жизни и стимулировавших действенный характер политических мероприятий заговорщиков.

Опустошительные нашествия персидских войск на восточно-грузинские царства Картли и Кахети в 1614—1617 годах создали, по мнению шаха Аббаса I, благоприятную обстановку для инкорпорации этих царств и окончательной ассимиляции их коренного населения. Этой основополагающей цели служила, в частности, шахская политика насильственного переселения грузин в пределы Персии и планомерного водворения в восточногрузинские провинции туркменских кочевников племен «Борчалу», равно как и политика «кнута и пряника» в деле принуждения родовитых грузин, особенно представителей династии Багратиони, к принятию ислама. По хитроумной мысли шаха, на массу восточногрузинского населения можно было воздействовать примером вероотступничества их венценосцев, но с самого начала реализации этой мысли он столкнулся со стойким сопротивлением достойных представителей царского рода Багратиони.

Среди находившихся тогда в Персии в качестве заложников представителей этого рода именно в связи с отказом принять мусульманство в 1620 году в Гулабской крепости был казнен (удавлен тетивой) картлийский царь Луарсаб II (1606—1620). Некоторое время спустя после этого в Ширазе, где наместником шаха уже был назначен Имам Кули-хан Ундиладзе, были оскоплены двое сыновей Теймураза I Леван и Александр, скончавшиеся тотчас по совершении этого варварского акта. Здесь же, в Ширазе, отдельно от своих внуков содержалась в заточении и мать Теймураза, вдовствующая царица Кахети Кетеван.



В 1624 году в связи с тем, что она решительно отвергла предложение шаха о вероотступничестве, ее казнили четвертованием, а святые ее мощи католическими миссионерами, которые наблюдали за казнью и первыми причислили ее к лику святых, позже были вывезены частично в Грузию, Индию и Западную Европу.

Почти одновременно с совершением этих преступлений, шах Аббас I отправил в Восточную Грузию большое войско во главе с ближайшими своими сардарами, вероотступниками Карчиха-ханом, армянином по происхождению, и Георгием Саакадзе, грузином по происхождению, который превратностями судьбы и вследствие феодальной междоусобицы в Грузии вынужден был стать военачальником шаха. Персидскому войску, прибывшему в Грузию, формально вменялось в обязанность поддержание порядка в царствах Картли и Кахети в условиях, когда в первом, после умершвления в Персии законного царя Луарсаба II, престол оставался вакантным, а во втором, — хотя царь Теймураз I и здравствовал, но не признавался шахом законным государем своей страны и преследовался.

По прибытии персидского войска в Картли Георгию Саакадзе — крупному полководцу и большому патриоту своей родины, — случайно удалось узнать о коварном замысле шаха: вероломно истребив наиболее боеспособные силы картлийцев и кахетинцев, лишить их всяких надежд на независимость и положить тем самым начало фактической аннексии Картли и Кахети. Тогда и сработал впервые вышеупомянутый грузинский заговор против шаха Аббаса I: благодаря энергичным действиям Георгию Саакадзе удалось наладить связь с Теймуразом I и согласовать с ним план нападения картлийско-кахетинских отрядов на персидское войско, которое расположилось в пригороде Тбилиси, на Марткопском поле. Именно здесь 25 марта (по новому стилю — 4 апреля) 1625 года произошло кровопролитное столкновение грузин с численно во много раз превосходившими силами персов, вошедшее в историю Грузии под именем Марткопского сражения, в результате которого не только был сорван коварный замысел шаха, но и было провозглашено объединение восточногрузинских царств Картли и Кахети под скипетром Теймураза I.

На основании новых фактических сведений по истории Грузии, грузино-персидских и грузино-испанских отношений, в том числе обнаруженных в архиве Сяманкас, выясняется, что грузинский заговор против шаха Аббаса I во время Марткопского сражения проявился не полностью, а лишь частично, что существовал также другой аспект этого заговора, нити которого увязывались с самыми высокопоставленными кругами как шахского и султанского дворов, так и некоторых западноевропейских держав. Речь идет, прежде всего, о негласных, тайных сношениях между Теймуразом I и такими видными деятелями тогдашней Персии, какими являлись два сына к тому времени уже покойного Аллаверди-хана Ундиладзе — Имам Кули-хан, владетель Шираза и вельможа шахского двора, продолжавший командовать персидскими войсками в Ормузском регионе, и Дауд-хан, бегларбер Гянджа — Карабахской области, которая непосредственно граничила с Грузией. Не исключено, что налаживанию связей между Теймуразом I и братьями Ундиладзе способствовал не кто иной, как сам Георгий Саакадзе, который, находясь в Персии, поддерживал с последними дружеские отношения. Сохранилось свидетельство армянского историка XVII века Захария Саркавага даже о том, что Дауд-хан Ундиладзе



был связан с Марткопским восстанием против шаха<sup>17</sup>. Надо полагать, что Георгий Саакадзе и после Марткопского сражения вплоть до его разгромной победы с Теймуразом I, которые во многом обострили и накалили внутрисоветскую обстановку в Восточной Грузии, оставался активнейшим участником антишахского грузинского заговора.

В свете отмеченного совершенно особый интерес представляют взаимоотношения между Теймуразом I и братьями Ундиладзе как заговорщиками против шаха Аббаса I. В тех конкретных условиях политического положения в Персии, когда одно упоминание имени свирепого шаха повергало в ужас, вступление на чрезмерно опасную стезю заговорщиков против Аббаса I, который к тому же, как известно, являлся благодетелем и доброжелателем большой семьи омусульманившихся Ундиладзе, для братьев Имам-Кули и Дауда, по нашему мнению, могло быть продиктовано каким-то особенно сильным чувством, способным вытеснить другое не менее сильное чувство признательности и благодарности за благодеяния. Таким чувством, как нам кажется, могла быть постепенно взрастившая себя ненависть к шаху за ту бесчеловечную жестокость, которую он постоянно проявлял, в частности, к соотечественникам братьев Ундиладзе. Последней каплей в день от дня накапливаемом сосуде ненависти к шаху для братьев Ундиладзе вполне могла послужить трагедия 1620—1624 годов, когда пролилась невинная кровь, в том числе в Ширазе, при невольном участии самого Имам Кули-хана, исполнявшего волю шаха, — молодого царя Луарсаба, юных царевичей Левана и Александра, а также необычайно сильным духом и удивительно стойкой в христианской вере царицы Кетеван.

В силу чрезвычайной засекреченности грузинского заговора против шаха Аббаса I круг его участников должен был быть небольшим, хотя он, наверное, не ограничивался четырьмя вышеотмеченными историческими персонажами. Небезынтересен вопрос о возможных практических контактах между заговорщиками, которые, как об этом свидетельствуют сохранившиеся источники, необходимой информацией между собой обменивались не только через доверенных вестовых, но и непосредственно. Согласно грузинским источникам, наиболее тесное общение имело место между Теймуразом I и Дауд-ханом, который, по видимому, являлся связующим звеном, особенно при обмене информацией, между старшим братом и грузинским царем. Любопытно в этом смысле несколько необычное и маловероятное свидетельство одного из источников о «пребывании царя Теймураза в Ширазе на банкете, устроенном Имам Кули-ханом в ознаменование взятия Ормузской крепости»<sup>18</sup>. В роли «связного» между Теймуразом I и Имам Кули-ханом, как

<sup>17</sup> В. Н. Габашвили. Феодалный дом Ундиладзевых в Иране XVI—XVII веков (по грузинским источникам) — в сборн. «Вопросы истории Ближнего Востока», II, Тб.; 1972, с. 69. О жизни и деятельности представителей рода Ундиладзе в Персии и их связях с Грузией см. также: Н. Г. Гелашвили. Восстание Давуд-хана и Теймураза I по данным «Продолжения» («Зейл») Искандера Муниши — «Мацне», 1977, № 2, с. 103—111; Т. Г. Натрошвили. Восстание Теймураза I и Имам Кули-хан Ундиладзе — «Ближневосточный сборник», Тб., 1983, с. 165—173; Г. Г. Жордания. Царь Теймураз и братья Ундиладзе — «Мпатоби», 1984, № 5, с. 138—147 и другие.

<sup>18</sup> Б. Г. Гиоргадзе. По поводу альбома де Кастелли и его сведений. Тб., 1977, с. 14—15.

нам кажется, мог бы выступить и Никифор Ирбах, который, согласно рекомендательному письму патриарха Феофана, до начала осени 1626 года находился в Иерусалиме, проследовав туда, по-видимому, в качестве паломника, скорее всего, через Персию и Багдад (на самом деле для переговоров с патриархом и, возможно, для передачи ему пожертвованной на содержание грузинских монастырей в Иерусалиме).

Независимо от того, насколько убедительны эти свидетельства и предположения, активный характер деятельности грузинских заговорщиков против шаха Аббаса I сомнений не вызывает. Об этом, наряду с итогами Марткопского сражения 1625 года, свидетельствует и сам факт отправления в том же году посольства Никифора Ирбаха в Западную Европу, которое, как теперь выясняется, находилось в русле насущных интересов заговорщиков, пожалуй, несколько запоздало стремивших воспользоваться стратегическими возможностями в Ормузском регионе в своих политических интересах. Иными словами, хронологическое совпадение победоносного для Грузии Марткопского сражения с посольством Никифора Ирбаха в Испанию в свою очередь указывает не только на хронологическую общность, но и на прямую смысловую взаимосвязь, а в определенном толковании — даже и на взаимозависимость этих двух событий грузинского масштаба с событием международного резонанса, а именно с возобновлением военных действий в Ормузском регионе после побега из английского плена командующего португальской эскадрой. Как уже известно, эта эскадра, вместе с расположенными здесь португальскими гарнизонами, ранее потерпела поражение от персидских войск исключительно благодаря умелому руководству ими со стороны Имам Кули-хана Ундиладзе.

Такая взаимосвязь и даже взаимозависимость между вышеотмеченными «грузинскими» событиями и действиями Руи Ферейры после его побега из плена явились следствием новой расстановки противоборствующих политических сил в Закавказском и Ормузском регионах, чему во многом способствовало Марткопское сражение и его итоги. Согласно свидетельству отдельных документов из испанского архива, итоги этого сражения настолько обескуражили и нанесли столь существенный урон военным возможностям Персии, что шах Аббас не смог вовремя и должным образом отреагировать на вылазку Руи Ферейры, позволив ему стабилизироваться и распространить свое влияние на ряд важных районов региона: «так как в это время персидский король — говорится в одном из документов, — был измотан этим королем (Теймуразом I — Д. В.), он (шах — Д. В.) не смог подать помощь (своим) людям в Ормузе против оружия вашего величества (Филиппа IV — Д. В.)»<sup>19</sup>.

Под вынужденной скованностью шаха Аббаса I перед возникшей в Ормузском регионе политической напряженностью после побега из плена Руи Ферейры в испанских документах подразумевается следующее конкретное обстоятельство. Вслед за Марткопским сражением, как и следовало ожидать, мстительный шах спешно снарядил новое карательное войско, предназначенное для разорения Восточной Грузии и искоренения там христианской веры. Именно в связи с тем, что такое персидское войско во главе с зятем шаха Иса-ханом Корчибаши было направлено в Грузию, шах не смог дополнительными силами подкрепить свои войска в Ормузе, что и позволило Руи Ферейре консолидировать разрозненные в регионе португальские военные подразделения

<sup>19</sup> AGS, указ. арх. св., с. 83.



и оказать стойкое сопротивление войскам Имам-Кули Ундиладзе, который к этому времени, возможно, и не очень стремился его подавлять.

Что касается карательного персидского войска, направленного в Восточную Грузию, оно сразилось с объединенными картлийско-кахетинскими отрядами во главе с Теймуразом I при селении Марабда. Несмотря на значительное численное превосходство персов над грузинами, которое сыграло решающую роль в Марабдинском сражении, его исход, судя по значительности урона в живой силе с персидской стороны, трудно назвать полноценной победой шахского войска. Неслучайно, что в соответствующем документе из архива Симанкас речь идет о двух крупных победах, одержанных грузинскими войсками во главе с Теймуразом I над персами, под которыми подразумеваются Марткопское и Марабдинское сражения<sup>20</sup>.

Именно таким являлся статус-кво политического положения в Грузии и Ормузском регионе накануне отправки посольства Никифора Ирбаха в Западную Европу. Грузинские заговорщики спешили выяснить не только степень заинтересованности и готовности испанского правительства к негласному военному союзу и сотрудничеству с ними против персидских интересов в Ормузском регионе (в соответствии с предлагаемым ими через грузинского посла планом конкретных военных действий), но и уточнить политические гарантии для защиты интересов восточногрузинских царств в случае успеха совместных усилий в Персидском заливе. Поэтому существование засекреченных устных переговоров грузинского посла в Мадриде с испанским королем и его доверенными лицами должно было заключаться, на наш взгляд, примерно в следующем: в случае готовности правительства Филиппа IV к военному сотрудничеству с заговорщиками (об этом Никифор Ирбах, по видимому, должен был их известить незамедлительно), Имам Кулихан, как главнокомандующий персидскими войсками в Ормузском регионе, должен был способствовать успеху испано-португальского оружия с тем, чтобы впоследствии воспользоваться им в прямом или переносном смысле в политических интересах восточногрузинских царств Картли и Кахети.

Правда, засекреченная часть протоколов «двух закрытых собраний относительно предложений короля Иберии» Государственного совета Испании<sup>21</sup>, равно как и содержание устных конфиденциальных переговоров Никифора Ирбаха с Филиппом IV и его доверенными лицами не сохранились, но у нас нет сомнения в том, что Ормузская проблема в призме интересов восточногрузинских царств Картли и Кахети должна была присутствовать в переговорах грузинского посла в Испании примерно в предлагаемом нами контексте. Иначе трудно объяснить несомненную, на наш взгляд, взаимосвязь, в частности, между следующими фразами из испанского перевода эпистолы Теймураза I к Филиппу IV и экстрактов на том же языке из рекомендательного письма нерусалимского патриарха Феофана и одного из собеседований с грузинским послом, предназначенных для испанского короля, в первом случае: «вверяем вашему величеству тайну, которая должна быть сохранена до тех пор, пока бог не положит этому конец своей святой волей»<sup>22</sup>; во втором случае: «указанный патриарх просит ваше величество отнестись с вниманием к упомянутому послу (Никифору Ир-

<sup>20</sup> Там же, с. 61.

<sup>21</sup> AGS, указ. арх. св., с. 1Г.

<sup>22</sup> Там же, с. 65.



баху — Д. В.), который является лицом благородным и знатным, и соизволить дать помощь указанному королю (Теймуразу I — Д. В.) через Ормуз»<sup>23</sup>; и в третьем случае: Король грузин «решил предпринять некие действия, и указанный посол сообщит на словах то, что касается времени и способа этих действий, поскольку это тайна огромной важности, так как речь идет о жизни многих христиан и гибели и возрождении многих провинций и королевств. Послу запрещено его королем иметь дело с кем-либо, кроме вашего королевского величества и тех, кому ваше величество весьма доверяет... Прежде всего, указанный король грузин Теймураз желает и просит на вечные времена — мира, дружбы, союза и установления отношений с вашим величеством, предлагая для служения вашему королевскому величеству свои королевства, свое оружие, свое состояние и всю свою мощь против любого врага вашего величества и особенно против персов в тех предприятиях, которые ваше величество имеет в Восточных Индиях»<sup>24</sup>.

Итак, приведенные выдержки из архивных документов не вызывают сомнения в том, что первостепенной и безотлагательной политической проблемой для Теймураза I и его единомышленников, заставившей их адресоваться в Испанию и искать взаимозаинтересованного военного союза с Филиппом IV, являлась проблема Ормузского региона. Решение этой проблемы с желаемым исходом могло гарантировать Восточной Грузии пусть относительную для того времени независимость от персидских притязаний, а испанской короне — стабилизацию политической обстановки в регионе для последующей реализации «предприятий... в Восточных Индиях». Но вместе с тем содержание процитированных и ряда других документов из испанской архивной связи свидетельствует о том, что, наряду с этой выгодной для Испании и Восточной Грузии проблемой, существовала также и другая, почти в равной степени важная и взаимозаинтересованная для обеих сторон проблема совместного нападения на Османскую империю. Судя по фактическим данным из той же связи документов, именно эта, вторая проблема оказалась в центре внимания при обсуждении политических предложений Теймураза I на закрытых заседаниях Государственного совета Испании\*.

<sup>23</sup> Там же, с. 66.

<sup>24</sup> Там же, с. 84—85. Разрядка наша.

\* Продолжение следует



ზურაბ ბრახვაძე

ზარნაზაჲის პოლიტიკა კოლხეთის მიმართ და საირხის ნაქალაქარის ისტორიის ზოგიერთი საკითხი

წერილში „კოლხეთის აღმოსავლეთის რეგიონების (ყვირილის ხეობის) ქართიზაციის საკითხისათვის“ ახალ არქეოლოგიური მასალის ფონზე მიმოვიხილეთ ძვ. წ. IV—I სს-ების აღმოსავლეთ კოლხეთის ისტორიის ცალკეული ეტაპები, შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ ძვ. წ. IV ს-ის II ნახევრიდან და განსაკუთრებით ძვ. წ. III ს-ის I მეოთხედიდან ამ რეგიონში შეინიშნება დიდი სოციალურ-პოლიტიკური ძვრები, რომლებიც ამ რეგიონში ქართლის სამეფოს პოლიტიკური გავლენის გავრცელებას დაუვკავშირეთ. ჩვენი კვლევა-ძიება ძირითადად ემყარებოდა საირხის ნაქალაქარის და მოდინახეს ციხეზე მიკვლეულ არქეოლოგიურ მასალებს, რომელთა ანალიზმა საშუალება მოგვცა კოლხეთის აღმოსავლეთის რეგიონების ქართიზაციის პროცესში გამოვვეყო ცალკეული პერიოდები<sup>1</sup>.

პრობლემა, რომელიც წინამდებარე წერილშია განხილული, ამ რეგიონში ძვ. წ. IV—III სს-ების მიჯნაზე მომხდარ სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებს ეხება, რომელიც მრავალმხრივ კვლევა-ძიებას საჭიროებს და მათი შესწავლა რამდენადმე ავსებს და აზუსტებს მის ცალკეულ ასპექტებს.

არქეოლოგიური მასალის გარდა ჩვენს წინაშეა იმ დროის ამსახველი საისტორიო წერილობითი წყაროების ცნობები, პირველ რიგში კი, „ქართლის ცხოვრება“ და აგრეთვე მრავალი მოსაზრება ქართლის სამეფოს ჩამოყალიბების, მისი საზღვრების, კოლხეთში ფარნავაზის პოლიტიკის და იმ პერიოდის საერთაშორისო მოვლენების შესახებ.

ჩვენი კვლევაც სწორედ ამ მოსაზრებების და საირხის ნაქალაქარის არქეოლოგიური ძეგლების მონაცემების და მათი ერთობლივი გააზრების ცდას წარმოადგენს. ასეთ ვითარებაში კი გადამწყვეტი მნიშვნელობა სწორედ არქეოლოგიურ ძეგლზე გამოვლენილ მასალას ენიჭება.

ჩვენ შევეცდებით მოკლედ განვიხილოთ საირხის ნაქალაქარის ისტორიის ერთ-ერთი უმთავრესი ეტაპი, ანუ ძვ. წ. III ს-ის I და II მეოთხედების მიჯნა, როდესაც ეს მხარე კოლხეთის სამეფოდან ახლადწარმოქმნილი იბერიის სახელმწიფოს მფლობელობაში გადადის: და აქვე იმ დროის საერთაშორისო მოვლენების გათვალისწინებით დავაზუსტოთ ადრეგამოთქმული შეხედულებები აღებულ ხანის აღმოსავლეთ კოლხეთში არსებული ვითარების შესახებ.

სანამ უშუალოდ მთავარ საკითხზე გადავიდოდეთ, აღვნიშნავთ, რომ საირხის ისტორიის კვლევისას ჩვენთვის ამოსავალი საბადურის გორის სტრა-

<sup>1</sup> ზ. ბრახვაძე, კოლხეთის აღმოსავლეთის რეგიონების (ყვირილის ხეობის) ქართიზაციის საკითხისათვის, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1990, № 4.

ტიგრაფიული მონაცემებია. საბადურის გორაზე, იქ სადაც გაითხარა მდიდრული ნეკროპოლი, ფიქსირებული იყო ნამოსახლარი ფენებიც. რომელთა განხილვა, მასალის ტიპოლოგია, და პარალელები მოცემულია ჯ. ნადირაძის, მონოგრაფიაში „საირხე საქართველოს უძველესი ქალაქი“, ხოლო რაც შეეხება ზოგადად ძველის სტრატეგრაფიას, იგი შეისწავლა ხელოვნების მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელმა გ. მახარაძემ, რომელმაც ნამოსახლარი ფენების სტრატეგრაფიული მონაცემებით გამოჰყო ძვ. წ. VIII — ა. წ. I სს-ების საირხის ისტორიის ლოკალური პერიოდები.

ჯ. ნადირაძის, გ. მახარაძის და ჩვენ მიერ შესწავლილია აგრეთვე ის საერთო მოვლენები, რომლებიც დამახასიათებელია საირხისა და ზოგადად კოლხეთის თანადროული არქეოლოგიური ძეგლებისათვის — პირველ რიგში, ვანის ნაქალაქარისათვის<sup>2</sup>, და ასევე წარმოჩენილია ის თავისებურებებიც, რაც საირხეს განასხვავებს ვანისა და მთლიანად კოლხეთის არქეოლოგიური ძეგლებისაგან.

სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილია, რომ მას შემდეგ რაც იბერიის სამეფო შეიქმნა, კოლხეთის აღმოსავლეთი რეგიონები მის გამგებლობაში გადავიდა<sup>3</sup>. რასაც მოჰყვა ახალი კულტურული ნაკადების შემოჭრა მანამდე ერთგვაროვან კოლხურ მატერიალურ კულტურაში, თუმცაღა ეს პროცესი უფრო ადრე, ძვ. წ. IV ს-ის II ნახევრიდან იღებს სათავეს და სხვადასხვა მოვლენებს უკავშირდება<sup>4</sup>.

იბერიის სამეფოს დასავლური ექსპანსიის დაწყების თარიღად ძვ. წ. III ს-ის 80-იანი წლების დასასრულია მიჩნეული. ამ საკითხებზე ქვემოთ გვექნება საუბარი, ახლა კი იმას აღვნიშნავთ, რომ ხსენებული პრობლემის კვლევისას, კერძოდ ამ თარიღის დადგენისას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ყვირილის ხეობის არქეოლოგიურ ძეგლებს (განსაკუთრებით, საირხის ნაქალაქარს). როგორც ვათხრებებს შედეგად მოპოვებული არქეოლოგიური მასალის მიხედვით ირკვევა, ძვ. წ. VI—IV სს-ებში საირხე კოლხეთის უკიდურესი აღმოსავლეთი პროვინციის ცენტრის ყოფილა<sup>5</sup>, და მის სათავეში ერთი საგვარეულო არისტოკრატია მდგარა, რომლის უფლებები მემკვიდრეობით ხასიათს ატარებდა<sup>6</sup>. ელინისტური ხანის არქეოლოგიური მასალის შედარებითი ანალიზის საფუძველზე, აგრეთვე, საბადურის გორის სტრატეგრაფიული მონაცემებით, ჩვენ მიერ გამოთქმული იქნა ვარაუდი, რომ ფარნავაზის პოლიტიკის შედეგად ადრეანტიკურ ხანაში აქ არსებული დიდი სატაძრო და ადმინისტრაციული ცენტრი მოიშალა, ხოლო არისტოკრატულმა ზედაფენამ როგორც სეპტუხისის მმართველმა საგვარეულო შტომ არსებობა შეწყვიტა<sup>7</sup>.

2 ჯ. ნადირაძე, საირხე საქართველოს უძველესი ქალაქი, თბ., 1990; გ. მახარაძე, საირხის საბადურის გორის სტრატეგრაფიისათვის (ხელნაწ.); ზ. ბრაგვაძე, დასახ. ნაშრომი.

3 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, 1970; ო. ლორთქიფანიძე, ვანის ნაქალაქარი, ვანი III, 1976, გვ. 19; მ. ინაძე, ეგრისისა და ქართლის ურთიერთობისათვის, „მნათობი“, № 8, 1989; ჯ. ნადირაძე, დასახ. ნაშრომი და სხვ.

4 მ. ინაძე, ელინიზმის გავლენის საკითხისათვის ამიერკავკასიის ქვეყნებში, თბ., 1978.

5 ჯ. ნადირაძე, ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1975, გვ. 79.

6 მისივე, საირხე; ზ. ბრაგვაძე, აღმოსავლეთ კოლხეთის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის ზოგიერთი საკითხი, „ციცქარი“ 1991, № 1.

7 ზ. ბრაგვაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 127.

ამდენად, ისმის კითხვა, რა ფუნქციის მქონეა ის დასახლება, რომელიც საირხეში დასტურდება ძვ. წ. III ს-ის შუა წლებიდან. ამ საკითხის დაზუსტება-დადგენა მით უფრო დიდ ინტერესს იწვევს, რომ ზოგიერთ მკვლევარს ფარნავაზის დროინდელი არგვეთის საერისთავოს ცენტრი აქ ეგულებათ<sup>8</sup>.

ამ საკითხის მეტ-ნაკლები სიზუსტით გადაჭრისათვის როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საჭიროა მივმართოთ ძვ. წ. III ს-ის II მეოთხედისა და ძვ. წ. III ს-ის შუა წლების არქეოლოგიურ მასალას. აგრეთვე საირხის ნაქალაქარის სტრატეგრაფიულ მონაცემებს.

საირხის საბადურის გორის მდიდრული სამაროვანი ქრონოლოგიურად ძვ. წ. V—III სს-ებს შორის თავსდება. ამჟამინდელი მონაცემებით გამოიყოფა სამარხთა ორი ჯგუფი: ადრეანტიკური (№ 5, 8, 10) და ელინისტური ხანის (№ 1, 4, 6, 9) სამარხები. სამარხების გარდა საბადურის ბორცვზე ფიქსირებულია წინარეანტიკური, ადრეანტიკური და ელინისტური ხანის ნამოსახლარი ფენები. სამაროვანს ჩაჭრილი აქვს ადრეანტიკური ხანის ფენა, რომლის სისქე, რაც შემთხვევაში, ერთ მ-ს აღწევს<sup>9</sup> ჩვენ ხელთ არსებული მასალებიდან გამომდინარე, სამაროვანს მოქმედება უნდა დაეწყო ძვ. წ. V ს-ის I ნახევრის დასასრულს მაინც, დაახლოებით საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში საბადურის გორის ჩრდილო-დასავლეთ ბორცვზე იმარხებოდნენ საირხის ქვეყნის სავგარეულო არისტოკრატიის წარმომადგენლები.

ამჯერად, ჩვენს ყურადღებას იპყრობს მეორე ქრონოლოგიური ჯგუფის სამარხები, რომლებიც ძვ. წ. IV ს-ის მიწურულთა და ძვ. წ. აღ. IV—III სს-ების მიჯნით თარიღდებიან. საბადურის გორაზე სულ ოთხი ასეთი სამარხია. (№ 1, 4, 6, 9). ადრეანტიკური ხანის სამარხებთან შედარებით მათი მოცულობა მცირეა, № 4, 6 და 9 სამარხები თითო კამერაანი ნაგებობაა და თითოეული მათგანის საერთო ფართობი 2 კვ. მ. არ აღემატება<sup>10</sup>. შედარებით დიდია № 1 სამარხის მოცულობა, მაგრამ იმის გამო, რომ მან საკმაოდ დაზიანებული სახით მოაღწია, ვერ განისაზღვრა მისი თავდაპირველი ფართობი, მაგრამ შემორჩენილი რკინის ლურსმნებით ივარაუდება, რომ ისიც ისევე როგორც ადრეანტიკური ხანის დიდი აკლდამები ხის მორებითა და რკინის ლურსმნებით იყო შეკრული.

№ 1 სამარხის ინვენტარიდან აღსანიშნავია: ოქროს ღილაკები, ოქროს მძივები, ელექტრონის საყურე, ოქროს საკერებლები, ოქროს ფირფიტები, ცვარათი შემკული ოქროს მძივი, ოქროს და ვერცხლის ავშრის ბალთები, ვერცხლის საშუბლე, ფარაკიანი ბეჭედი, რკინის ლურსმნები, მინის მძივები. მოწითალო ფერის თიხის დოქი. სამარხეული ინვენტარის ნაწილი აშკარა მსგავსებას ამჟღავნებს ადრეანტიკური ხანის კოლხურ მატერიალურ კულტურასთან, სამარხი ძვ. წ. IV—III სს-ებით არის დათარიღებულად<sup>11</sup>.

ძვ. წ. IV—III სს-ების მიჯნითვე თარიღდება № 6 სამარხიც, სადაც აღმოჩნდა ოქროს საყურეები, ოქროს საკიდები, კოლხური მონეტა, თიხის ხელადა<sup>12</sup>.

8 ჯ. ნ ა დ ი რ ა ძ ე, ფასახ. ნაშრომი, გვ. 147.

9 იქვე, გვ. 14.

10 იქვე, გვ. 58—65.

11 იქვე, გვ. 68—79.

12 იქვე, გვ. 64—65.

ძვ. წ. IV ს-ის მიწურულთ თარიღდება № 9 სამარხი, სადაც დაფიქსირდა ოქროს ყელსაბამი, ბრინჯაოს ილარი, ბრინჯაოს ფირფიტა, ბრინჯაოს მშვილდსაკინძი, თიხის ხელადა, თიხის კოჭობი<sup>13</sup>.

ძვ. წ. IV ს-ის III მეოთხედს მიეკუთვნება № 4 სამარხი, რომელშიც აღმოჩნდა ოქროს მძივები, ოქროს საყურა რგოლები და თუნის ნაწარმი — ჯამები, დოქები, კოჭობი<sup>14</sup>.

როგორც მოტანილმა მასალამ ცხადყო, სამაროვნის ზედაქრონოლოგიური ზღვარი ძვ. წ. III ს-მდე ჩამოდის. ჩანს, საბადურის გორა III ს-ის შემდგომ სამაროვნად აღარ გამოიყენებოდა. მართალია, აქ აღმოჩენილია, შედარებით მოგვიანო ხანის მცირე სამარხები, მაგრამ, როგორც ეტყობა, ისინი სტრატეგრაფიულად დაკავშირებული უნდა იყოს საბადურის გორის ელინისტური ხანის ნამოსახლარ ფენასთან<sup>15</sup>.

ძვ. წ. III ს-ში, მას შემდეგ რაც სამაროვანი არსებობას წყვეტს, ეს ადგილი სტერილური შრით იფარება. სტერილური შრის სიმაღლე 01 ერთიდან 3 მ-მდე მერყეობს, ხოლო უშუალოდ სტერილურ შრეზე დევს ელინისტური ხანის კულტურული ფენა, რომლის სისქე 3 მ-ია. კულტურული ფენა ხასიათდება ძლიერი ცეცხლის კვალით. ამ ფენაში გამოიყოფა ორი ჰორიზონტი. ზედა ჰორიზონტის სიმაღლე 50 სმ-იდან 2.5 მ-ს აღწევს, ხოლო ქვედა ჰორიზონტი 20 სმ-დან 1 მ-მდე მერყეობს.

ელინისტური ხანის ზედა ჰორიზონტი წარმოქმნილია გორის თხემზე არსებული ნამოსახლარის ნგრევისა და ჩამორყევის შედეგად. რაც შეეხება ქვედა ჰორიზონტს იგი in situ დაფიქსირდა, რაზეც მეტყველებს ჩვენამდე მოღწეული მცირე ნაგებობების (სათავსების) ნაშთები<sup>16</sup>.

ელინისტური ხანის ფენა ძვ. წ. III ახ. წ. I სს-ებით არის დათარიღებული. მის მასალაში გამოყოფილია სამი ქრონოლოგიური ჯგუფი — 1. ძვ. წ. III—II სს-ები, II. ძვ. წ. I სს. და III. ახ. წ. I ს-ე<sup>17</sup>, ამთავან ქვედა ჰორიზონტის მასალაში არ გვხვდება II და III ქრონოლოგიური ჯგუფისათვის დამახასიათებელი კერამიკა და წარმოდგენილია მხოლოდ I ქრონოლოგიური ჯგუფის თუნის ნაწარმი. ამ ვითარების გათვალისწინებით ქვედა ჰორიზონტის თარიღად ძვ. წ. III—II სს-ებია განსაზღვრული. ამდენად, ქვედა შრის არქეოლოგიური მასალა ყველაზე ადრეულია ზედა ნამოსახლარი ფენისათვის. გამოიყოფა წითლად ანგობირებული, ზედაპირნაპარალები დოქების ნიმუშები, რომლებიც ემსგავსებიან ე. წ. მსხლისებურ-კორპუსიან დოქებს.

I ქრონოლოგიურ ჯგუფში ერთიანდებიან პირვადამშლილი, თანაბარმომრგვალებულმუცლიანი ქოთნებიც, რომლებიც გამომწვარია შავად ან ჩალისფრად, მათ შორის გვხვდება მოხატული ცალეებიც. ამავე ქრონოლოგიურ ჯგუფს მიეკუთვნებიან წითლადმოხატული და შეღებილი ქვევრებიც<sup>18</sup>.

13 ჯ. ნადირაძე, გვ. 61—64.  
14 იქვე, გვ. 58—60.  
15 გ. მახარაძე, საირხე ძვ. წ. III — ა. ხ. I სს-ებში (ხელნაწერი).  
16 საბადურის გორის სტრატეგრაფიაზე დაწერილებით იხ. ჯ. ნადირაძე, დასახ. ნაშრომი; აგრეთვე, გ. მახარაძე, საირხის საბადურის გორის...  
17 ჯ. ნადირაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 18; გ. მახარაძე, საირხის ელინისტური ხანის კერამიკა, სსმ მოამბე, 1990.  
18 ჯ. ნადირაძე, დასახ. ნაშრომი; გ. მახარაძე, დასახ. ნაშრომი.

საირხის ძვ. წ. IV ს-ის მიწურულისა და ძვ. წ. III ს-ის არქეოლოგიური მასალა ძირითად პარალელებს ვაწევი, ცხიავორაზე, სამადლოში აღმოჩენილ ნიმუშებთან პოულობს. ხოლო საირხის ძვ. წ. III—I ს-ების თუნის ნაწარმითი თქმის არ განიჩევა აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე მიკვლეული კერამიკისაგან<sup>19</sup>. თუ გავითვალისწინებთ იმდროინდელ ისტორიულ ვითარებას, ცხადი გახდება, რომ ამ შემთხვევაში კანონზომიერ მოვლენასთან გვაქვს საქმე, რადგან როგორც აღნიშნულია, მას შემდეგ, რაც ქართლის სამეფომ კოლხეთის აღმოსავლეთ პროვინციებში შექმნა ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული, ეს მიწა-წყალი მჭიდროდ დაუკავშირდა აღმოსავლურ ქართულ სახელმწიფოს და მის შემადგენელ ნაწილად იქცა<sup>20</sup>.

არგვეთის საერისთავოს შექმნას და ფარნავაზის მიერ ამ ტერიტორიების ქართლის სამეფოს გავლენის არეალში მოქცევის ზოგადად ძვ. წ. III ს-ის 80-იანი წწ. დასასრულიდან განსაზღვრავენ<sup>21</sup>. მაგრამ საირხის ნაქალაქარის ბოლოდროინდელი აღმოჩენები საშუალებას იძლევა იმ პერიოდის საერთაშორისო ვითარების გათვალისწინებით უფრო დავაზუსტოთ კოლხეთის შინაურ საქმეებში ფარნავაზის აქტიური ჩარევის თარიღი.

ამ საკითხების კვლევისათვის საჭიროა მივუბრუნდეთ ცოტა ადრინდელ ვითარებას, ძვ. წ. IV—III სს-ების მიჯნას, რადგან ზოგიერთი მკვლევრის აზრით, სწორედ ამ დროს უნდა მომხდარიყო აზოს შემოჭრა კოლხეთის მიწაზე და ამ პერიოდიდან უნდა ივარაუდებოდეს აღმოსავლურ-ქართულ გავლენის გავრცელება კოლხეთის ცენტრალურ და აღმოსავლურ რეგიონებზე. როგორც ვარაუდობენ ძვ. წ. IV—III სს-ების მიჯნაზე აზო-ფარნავაზს შორის უნდა მომხდარიყო ბრძოლები ქართლში ძალაუფლების მოპოვებისათვის და ამ საომარი მოქმედებებით უნდა აიხსნას მოდინახეზე, საირხეში, ვარციხეში, ვანში, მთისძირში არსებული ნაგებობის განადგურება და ნახანძრალი ფენების გაჩენა<sup>22</sup>. ჩვენი აზრით, აღნიშნულ ძეგლებს შორის საირხისა და მოდინახის დასახელება რამდენადმე დაზუსტებას მოითხოვს. კერძოდ, თუ ძვ. წ. IV ს-ის II ნახევარში მოხდა აზოს მიერ საირხის განადგურება, მაშინ ცხადია, ეს ვითარება საბადურის გორის სამაროვანზეც უნდა ასახულიყო. ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია, კიდევ ერთხელ შევეხოთ საბადურის გორის სამაროვნის ქრონოლოგიის საკითხს. საირხეში შესწავლილი და გამოქვეყნებულია 7 მეტ-ნაკლებად მდიდრული სამარხი. მათი აღმოჩენის პირობები, მასალის აღწერა და ზუსტი პარალელები წარდგენილია ჯ. ნადირაძის ნაშრომში, ამიტომ მასზე დაწვრილებით აღარ შევჩერდებით. გავიმეორებთ მხოლოდ, რომ სამარხები ქრონოლოგიურად ძვ. წ. V—III სს-ებს მოიცავენ. და ეს გარემოება საშუალებას გვაძლევს საირხის ნაქალაქარის ისტორიაში გამოვეყოთ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი, რომელიც საირხეში საქალაქო ცხოვრების აღმავლობის პერიოდს ემთხვევა. ძვ. წ. V—IV და III სს-ის სამარხთა აღნაგობის, დაკრძალვის წესის, და მიცვალებულთა დამხრობის შედარებითი შესწავლა გვარწმუნებს, რომ არავითარი განსხვავება ამ სამ

<sup>19</sup> ჯ. ნადირაძე, დასახ. ნაშრომი, გ. მახარაძე, დასახ. ნაშრომი.  
<sup>20</sup> Г. А. Меликишвили, К истории Древней Грузии, 1959, გვ. 304.  
<sup>21</sup> იქვე.  
<sup>22</sup> გ. გამყრელიძე, აზო-ფარნავაზის დროინდელი კოლხეთის ისტორიისათვის, „მაცნე“, ისტორიის სერია, № 3, 1985, გვ. 92—93.



საუკუნის სამარხებში არ შეიმჩნევა. ყველა სამარხი წარმოადგენს აკლდამებს, რომლებიც ნაგებია ქვის მშრალი წყობით, ხის მორებით და რკინის ლურსმნებით. ყველა მათგანი დაცულია ქვეყრილებით.

მართალია, სამარხთა ფართობი არაერთგვაროვანია, ზოგი დიდია (№ 1, 5, 8), ზოგიც შედარებით ნაკლები (№ 4, 6, 0), მაგრამ ცხადია, ეს ვითარება მხოლოდ და მხოლოდ სამარხში დაკრძალულ პირთა პოლიტიკური სტატუსით უნდა აიხსნას<sup>23</sup>.

ის ფაქტი, რომ საბადუს გორაზე ადრეანტიკური და ელინისტური ხანის სამარხები ერთადაა ფიქსირებული, საყურადღებო მოვლენა უნდა იყოს. მრავლისმეტყველია ის გარემოება, რომ საირხის ქვეყანაში არ გვხვდება სამარხთა სხვადასხვა ტიპი, რომლებიც ვანშია ფიქსირებული (სარკოფაგები, კრამიტსამარხები, ქვევრსამარხები)<sup>24</sup>. საბადურის გორაზე საზოგადოების დაწინაურებული ფენისათვის გამართულია აკლდამები, ხოლო თანადროულ მოდინახეს სამაროვანზე ქვით შემოსაზღვრული ორმოსამარხებია გამოყენებული<sup>25</sup>, რომლებიც როგორც ჩანს, საზოგადოების არცთუ ისე დაწინაურებული ფენის საძვალე უნდა იყოს. უფრო დაბალი სტატუსის მქონე მოქალაქეებისათვის საირხეში, ადგილ კოდისწყალზე ადრეანტიკური ხანის სამაროვანზე ფართოდ გავრცელებული ორმოსამარხებია გათხრილი<sup>26</sup>. აქედან ის დასკვნა შეიძლება გაეთდეს, რომ მთელ საირხის ქვეყანაში ძვ. წ. V—III სს-ების განმავლობაში სამარხთა მხოლოდ სამი ტიპი არსებობს. საზოგადოების დაბალი ფენის წარმომადგენლებისათვის, რიგითი, ღარიბული ინვენტარის მქონე ორმოსამარხები, შედარებით დაწინაურებული ფენისათვის ქვით შემოსაზღვრული, იატაკ-მოკირწყლული სამარხები და არისტოკრატიისათვის — რთულად ნაგები აკლდამები.

განსაკუთრებით საინტერესოა ის გარემოება: რომ სამარხთა არც ერთი ტიპი საუკუნეების მანძილზე არ განიცდის არავითარ ტრანსფორმაციას და მყარად ინარჩუნებს უძველეს თავდაპირველ სახეს<sup>27</sup>.

მიცვალებულთა დაკრძალვის წესიც ძვ. წ. V—III სს-ებისათვის ერთი და იგივეა. ასე რომ, როგორც არქეოლოგიური მონაცემები გვიჩვენებენ, ამ საუკუნეების განმავლობაში საირხის ქვეყანას რაიმე დიდი სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებები არ განუცდია. მხედველობაში თუ არ მივიღებთ, ძვ. წ. IV ს-ის II მეოთხედიდან ადრეანტიკური ხანის მატერიალური კულტურისაგან რამდენადმე განსხვავებული ელემენტების შემოჭრას, მაგრამ ეს მოვლენა ვფიქრობთ, სხვა ვითარებასთან, კერძოდ, ქართიზაციის პროცესთან არის დაკავშირებული.

შემოთქმულს მხარს უჭერს ის გარემოებაც, რომ საბადური გორის არც ერთ სამარხში, განსაკუთრებით, ელინისტური ხანის სამარხებში, არ მოიპოვება ამ დროისათვის ფართოდ გავრცელებული ალექსანდრე მაკედონელისა

<sup>23</sup> ჯ. ნაღირაძე, დასახ. ნაშრომი, ზ. ბრავდაძე, აღმოსავლეთ კოლხეთის სოციალურ-პოლიტიკური ისტორია...

<sup>24</sup> О. Д. Лордкипанидзе, Вани VI V—II вв до н. э. „Цхалტუბო 111, 1982“ Тб., 1986, გვ. 411.

<sup>25</sup> ჯ. ნაღირაძე, ყვირილის ხეობის ..., გვ. 41.

<sup>26</sup> მისივე, საირხე... გვ. 147.

<sup>27</sup> სამარხთა ტიპებთან დაკავშირებით დაწერილებით საუბარი გვაქვს ნაშრომში „კოლხეთის აღმოსავლეთის რეგიონების (ყვირილის ხეობის) ქართიზაციის საკითხისათვის“.

და ლისიმახეს სახელით მოჭრილი სტატერები. უფრო მეტიც ძვ. წ. IV—III სს-ების მიჯნის № 6 სამარხში კოლხური თეთრია აღმოჩენილი<sup>28</sup>. ამდენად, ყოველივე ამის გათვალისწინებით, ჩვენ გამოვიცხავთ საირხის განადგურებას ძვ. წ. IV—III სს-ების მიჯნაზე და მით უფრო ძვ. წ. IV ს-ის II ნახევარში (რადგან ამ პერიოდს ეკუთვნის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მოცულობის სამარხი № 8)<sup>29</sup>. საირხის საბაღურის გორის სტრატეგრაფიული სურათი თითქოს ესადაგება ლეონტი მროველის ცნობას ფარნავაზის მიერ ქართლის სამეფოს დასავლეთის საზღვრების გაფართოების შესახებ, მაგრამ გვაქვს საფუძველი უფრო დავაზუსტოთ მისი ქრონოლოგიური ჩარჩოები.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ფარნავაზს ქართლის სამეფოს ტახტი ბრძოლით უნდა მოეპოვებინა ძვ. წ. 284—280 წწ-ში და ამ ბრძოლების შედეგად დაინგრა ქართლის ზოგიერთი საქალაქო ცენტრი (სამადლო)<sup>30</sup>.

ეს პერიოდი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ხანაა საქართველოს ისტორიაში. ამ დროს მომხდარმა ფაქტებმა ბევრად განაპირობებს შემდეგდროინდელი ისტორიული განვითარების მსვლელობა.

ამჟერად ჩვენ გვაინტერესებს ფარნავაზის მიერ კოლხეთის სამეფოს აღმოსავლეთი მიწა-წყლის შეერთების თარიღის განსაზღვრა, რამეთუ ეს მოვლენა უშუალოდ უკავშირდება საირხის ქვეყნის ისტორიას. ლეონტი მროველი გადმოგვცემს, რომ როდესაც ფარნავაზმა ქუჯის საგამგეო ქვეყანა დაუმკვიდრა „ეგრის წყალს ქვემოთ დარჩათ ბერძენთა, რამეთუ მკუდრთა მის ადგილისათა არა ინდომეს განდგომა ბერძენთა“<sup>31</sup>.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული ვარაუდის თანახმად, ამ ცნობის ბერძნებში უნდა იგულისხმებოდეს პონტოს სამეფო<sup>32</sup>, რომელსაც კოლხეთის ჩრდილოეთ რეგიონებში ფართო პოლიტიკური ინტერესები ჰქონდა. ამის გამო, ცხადია, ეგრისის მმართველი ქუჯი შეეცდებოდა საიმედო მოკავშირის გაჩენას ბერძნების წინააღმდეგ თავისი მიწა-წყლის დასაცავად. რადგან საფიქრებელია, რომ ბერძნები კოლხეთის შიგა რეგიონებსაც შეუქმნიდნენ საფრთხეს. ასეთი მოკავშირე იყო ფარნავაზი, რომელსაც თავისი პოლიტიკური გეგმები ჰქონდა დასავლეთ საქართველოში და ცდილობდა ამ მხარის იბერიის გავლენის სფეროში მოქცევას. ასე რომ, ქუჯისა და ფარნავაზის შეკავშირება ნაწილობრივ მაინც გამოწვეული იყო პონტოს ექსპანსიის საშიშროებით. მაგრამ ისმის კითხვა, როდის უნდა მომხდარიყო ყოველივე ეს. რადგან ცნობილია, რომ პონტოს ძვ. წ. 279 წ-მდე გასასვლელი არ ჰქონდა შავ ზღვაზე და ამის გამო, ვფიქრობთ, იგი დიდ საფრთხეს ვერ შეუქმნიდა საქმაოდ ჩრდილოეთით მდებარე კოლხეთის მიწა-წყალს.

ძვ. წ. 279 წ. პონტომ შავ ზღვაზე პირველი ქალაქი — ამასტრია დაიპყრო<sup>33</sup>. საგარაუდოა, რომ პონტოს მხოლოდ ამისი შემდეგ შეეძლო რეალური საფრთხე შეექმნა ჩრდილოეთ კოლხეთისათვის. |

28 ვ. ნაღორაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 65.

29 იქვე, გვ. 58.

30 Ю. М. Гагошидзе, Самадло, Тб., 1979, გვ. 99.

31 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 24.

32 მ. ი ნ ა ძ ე, ეგრისისა და ქართლის ურთიერთობისათვის, „მნათობი“, № 8, 1989, გვ. 159.

33 Э. Бикерман, Хронология Древнего Мира, М., 1976, გვ. 260.

რაც შეეხება ფარნავაზის პოლიტიკურ ნაბიჯს, რომელიც მან კოლხეთის სამხრეთი რეგიონების შემოერთებისათვის გადადგა, შესძლოა, ცოტა აღრე დაწყებულყო.

როგორც ცნობილია, ძვ. წ. 282 წლიდან მახლობელ აღმოსავლეთში სიტუაცია საკმაოდ დაიძაბა. მოვლენები აირია და ეს მხარე ინტენსიური ომების კერად იქცა. ძვ. წ. 281 წელს სელევკ I კორუპედიონთან გამართულ ბრძოლაში ამარცხებს ლისიმახეს და კლავს მას. იმავე წელს კვდება თვით სელევკ I და მეფობა ანტიოქოს I ხელში გადადის<sup>34</sup>. ეს ის ანტიოქოსია, რომელმაც შეიწყნარა ფარნავაზის ძღვენი და ფარნავაზს „უწოდა შვილად თვსად“ და „წარმოსცა ვერგვნი“<sup>35</sup>. ანტიოქოს I აშკარად დიპლომატიური სერხებით ცდილობს იბერიაზე თავისი გავლენის განმტკიცებას, რადგან ამ დროს, 280 წ-ს, იგი ეომება პტოლემეოს II და არაფრად აწყობს, რომ კავკასიაშიც მოწინააღმდეგე ჰყავდეს. ფარნავაზსა და ანტიოქოსის ურთიერთობის ამსახველ ცნობებს მოსდევს ლეონტი მროველის გადმოცემა ბერძენთა გაძლიერების შესახებ. ე. ი. როგორც ირკვევა, ეგრისწყალს ქვემოთა მხარე ბერძენებს მას მერე დარჩათ, რაც ანტიოქოსმა სცნო ფარნავაზის უფლებები იბერიის სამეფო ტახტზე.

ლეონტი მროველი თითქოს არაპირდაპირ გვეუბნება, რომ სელევკიდების სახელმწიფოსთან ფარნავაზის კარგი დამოკიდებულება მიუღებელი იყო პონტოსათვის და ფარნავაზის ამ ნაბიჯის საპასუხოდ მითრიდატე შავ ზღვაზე ამასტრიას ეუფლება. თუმცა პონტო მყარად ვერ იკიდებს ფეხს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, რადგან ქ. ამისოს იგი მხოლოდ ძვ. წ. III ს-ის 70-იან წლებში იღებს<sup>36</sup>. მაგრამ საფიქრებელია, რომ პონტოს სამეფოს აღმავლობის პერიოდი ჰერაკლის სამოკავშირეო ხელშეკრულების შემდეგ დაიწყო (ძვ. წ. 281 წ.). რადგან ეს კავშირი იმდენად ძლიერი იყო, რომ სელევკიდებმა ვერ შეძლეს მცირე აზიის ჩრდილოეთ რეგიონებზე თავისი გავლენის გავრცელება. ამასთანავე, ალექსანდრე მაკედონელის მემკვიდრეებმა თანდათან დაკარგეს კონტროლი პონტოსპირა ქალაქებზე და ჰერაკლის ვარდა ყველა ეს ქალაქი პონტოს მფლობელობაში გადავიდა. ამდენად, სრულიად რეალურად გვეჩვენება, რომ პონტო კოლხეთისათვის მეტად საშიშ ძალას წარმოადგენდა. და ამასთანავე ფარნავაზის ურთიერთობის გაღრმავება ანტიოქოსთან პონტოს ექსპანსიის საშიშროებით იყო გამოწვეული. ასე რომ, პონტო მიისწრაფოდა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი თავის გამგებლობაში მოექცია და არ დაეშვა აქ თავისი მეტოქეების გაბატონება. ამ ვითარებაში პონტოს მეტოქე იყო პტოლემეოს II, რომელიც თავის მხრივ ილტვოდა შავი ზღვის სამხრეთ რეგიონებში გაბატონებისათვის<sup>37</sup>, მაგრამ სელევკიდებთან ომმა დიდი ხნით შეაჩერა ეს პროცესი და ჰერაკლის კავშირით გაძლიერებულ პონტოს შესაძლებლობა მიეცა შავ ზღვაზე თავისი კონტროლის დასაწესებლად. ამის უშუალო შედეგი იყო ამასტრიის დაუფლება და როგორც

<sup>34</sup> Э. Бикерман, *История. Багродом, г. 260.*

<sup>35</sup> ქართლის ცხოვრება, გვ. 23. i

<sup>36</sup> В. Тари, *Эллинистическая цивилизация, М., 1949, г. 29.*

<sup>37</sup> М. И. Максимова, *Античные города Юго-Восточного Причерноморья, М.-Л., 1956, г. 176.*

საფიქრებელია, კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთ რაიონებზე თავისი გავლენის გავრცელება.

ჰერაკლიის სამოკავშირეო ხელშეკრულებაც სელევკიდების წინააღმდეგ განხორციელებული აქტი იყო. გამოიკვეთა ორი ერთმანეთს დაპირისპირებული მხარე. ერთი მხრივ, პონტოს სამეფო, რომელიც აერთიანებდა ჰერაკლიას, კიუსს, ტიასს. ქალკედონს და მეორე მხრივ, სელევკიდების სამეფო, რომელიც ამ დროს ეომებოდა პტოლემეოს II და ერთვულ მოკავშირეს ეძებდა. ქნელია, ასეთ მოკავშირედ იბერია მივიჩნიოთ, მაგრამ ფაქტია, რომ იგი სელევკიდების პროტექტორატს ნამდვილად განიცდიდა. ამ ორ დაპირისპირებულ ძალას შორის უნებურად გვხვდებოდა კოლხეთის სამეფოც, რომელიც ორივე მხარის პოლიტიკურ ინტერესებში შედიოდა.

როგორც ირკვევა, კოლხეთისათვის ბრძოლას პონტო ეტაპობრივად ახორციელებს. იგი ჯერ თავის დასაყრდენ ქალაქებს აარსებს სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში (სიდე, ხაბაკტა, ფაბდა) და მათი მეშვეობით ახორციელებს თავის პოლიტიკას კოლხეთის ზღვისპირეთში<sup>38</sup>. ხოლო შემდეგ პონტო აქტიურად ერევა ქართლის საშინაო საქმეებში, როცა ფარნავაზის წინააღმდეგ აზოს უჭერს მხარს<sup>39</sup>. დაბოლოს ჰერაკლიის დახმარებით ქმნის თავის დასაყრდენ პუნქტებს ჩრდილო კოლხეთშიც (ეშერა, დიოსკურია)<sup>40</sup>, სადაც პონტოს პოლიტიკური მიზნები უფრო ამოძრავებს, ვიდრე ეკონომიკური მისწრაფებები (ლითონის მოპოვება და სხვ.) ასე რომ, პონტო ცდილობს კოლხეთი ერთგვარ პლაცდარმად გამოიყენოს, უფრო ჩრდილოეთი რეგიონების თავის გავლენის ქვეშ დაქვემდებარებისათვის.

ამდენად, კოლხეთი და იბერია თავიანთი სურვილებისა და პოლიტიკური ინტერესების მიუხედავად აქტიურად ებმებიან იმ დროის საერთაშორისო ცხოვრებაში. ასე რომ, მაშინდელი საერთაშორისო პოლიტიკური ვითარებიდან და აგრეთვე „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ცნობებიდან გამომდინარე ფარნავაზის ე. წ. დასავლური (კოლხური) ექსპანსიის აქტიურ დასაწყისად ძვ. წ. 279 წ-ის შემდგომ ხანას მივიჩნევთ. ჩვენ ამ ვარაუდს ერთგვარ ხაზს მხარს უჭერს ისიც, რომ ძვ. წ. 275—270 წწ. პონტო თვითონ იმყოფება საომარ ვითარებაში პტოლემეოსების ეგვიპტესთან. ე. ი. ეს დრო ალბათ ყველაზე ხელსაყრელი იყო ფარნავაზისათვის. კოლხეთის სამეფოს, განსაკუთრებით, მისი აღმოსავლური რეგიონების ხელში ჩასაგდებად.

ერთი მხრივ, ფარნავაზის პოლიტიკურ ნაბიჯს და, მეორე მხრივ, პონტოს აგრესიას მოჰყვა კოლხეთის სამეფოს საზღვრების შემცირება. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ამ დროის კოლხეთი მხოლოდ დღევანდელი სამეგრელოსა და სვანეთის ნაწილს მოიცავდა<sup>41</sup>. კოლხეთის ჩრდილოეთი საზღვარი მდ. ეგრისწყალს არ სცილდებოდა, ხოლო სამხრეთით კოლხეთის მიწა-წყალი რიონამდე აღწევდა<sup>42</sup>. ასეთ თვალსაზრისს ამაგრებს კოლხური თეთრის გავრცელების არეალიც.

ძვ. წ. III—II სს-ში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე კოლხური

38 ზ. ბ რ ა ვ ე ა ძ ე, ეშერის ბერძნული წარწერის გაგებისათვის, „მნათობი“, № 1, 1988, გვ. 150—152.

39 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ. 443.

40 ზ. ბ რ ა ვ ე ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 1502—152.

41 მისი ი ვ ე, ეგრისისა და ქართლის ურთიერთობებისათვის, გვ. 154—164.

42 მისი ი ვ ე, ეშერის ბერძნული წარწერის გაგებისათვის, გვ. 150.



თეთრი მხოლოდ ნოქალაქევში და მის მიდამოებშია დამოწმებული<sup>43</sup>. განსაკუთრებით საინტერესოა ის ვითარება, რომ როდესაც დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ და აღმოსავლეთ რეგიონებში ხმარებაშია ამ პერიოდის (ძვ. წ. III—II სს.) სხვადასხვა სახის მონეტა<sup>44</sup>, ხსენებულ რაიონებში მხოლოდ კოლხური თეთრი გვხვდება. საინტერესოა ისიც, რომ საკუთრივ კოლხური თეთრი, არ ფიქსირდება ოჩამჩირის მიდამოებში და მის ჩრდილო-დასავლეთით, რაც იმის პირდაპირი მითითება უნდა იყოს, რომ ამ კუთხეში კოლხეთის გავლენა თითქმის აღარ იყო (როგორც ამას გადმოგვცემს ლეონტი ბროველი). და თვით კოლხეთი შედარებით მცირე პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა. რა თქმა უნდა კოლხეთის სამეფოს ასეთი დაკნინება პირველ რიგში ქართლის გაძლიერებით უნდა აიხსნას. ფარნავაზმა თავისი მიზნების გასაზოგადებლად წარმატებით გამოიყენა კოლხი დიდებულები, რომელნიც „ქართლის ცხოვრებაში“ ქუჯის სახითაა ნაგულისხმევი, ხოლო შემდეგ მათი პოლიტიკური სტატუსი დააქვეითა და კოლხეთის გარკვეული ნაწილიც თავის გამგებლობაში მოაქცია.

ანალოგიური ვითარება შეინიშნება საირხეშიც. ის ფაქტი, რომ მდიდრულმა სამაროვანმა არსებობა შეწყვიტა, ხოლო აქედან გამომდინარე ამ სამაროვანზე დაკრძალული პირთა გვარმა პრიორიტეტი დაკარგა<sup>45</sup>, ზემოთქმულის მანიშნებელი უნდა იყოს. ე. ი. კოლხეთის აღმოსავლეთის რეგიონები (საირხე) ქართლის ნაწილად იქცა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ფარნავაზი კოლხეთის საშინაო საქმეებში აქტიურად ძვ. წ. III ს-ის 70-იანი წწ. დასაწყისიდან ერევა, საირხის ქვეყანაში მისი პოზიციების განმტკიცება ამ ვითარების პარალელურად უნდა მომხდარიყო. და საირხის ქვეყნის იბერიის გავლენის ორბიტაში შესვლაც ძვ. წ. 70-იან წწ. ქვემოთ ველარ ჩამოვწევით. მიუხედავად ამისა, მაინც ძვ. წ. III ს-ში, როგორც ჩანს, საირხე კვლავ ინარჩუნებდა ფარნავაზის მიერ შექმნილი საგამგეო ერთეულის ცენტრალური ქალაქის ფუნქციას. რაზეც მეტყველებს საბადურის გორის ზედა ნაშოსახლარი ფენაც, ჩვენ გამოვთქვით ვარაუდი იმის შესახებ, რომ საირხეში არსებულ კოლხურ სატაძრო გაერთიანებას, კოლხურ საგვარეულო არისტოკრატას და საერთოდ საირხის სეკტულების ფარნავაზის პოლიტიკის შედეგად რაღაც ცვლილებები უნდა განეცადა.

ის გარემოება, რომ ფარნავაზის დროს საირხე კვლავ ინარჩუნებს საერთოთავო ცენტრის ფუნქციას, რამდენადმე მხარს უჭერს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ფარნავაზის დროინდელი საერისთავოები შედარებით მცირე მოცულობისანი იყვნენ, და მხოლოდ შემდგომ მოხდა მათი ერთ დიდ საერისთავოში გაერთიანება. (არგვეთის საერისთავო)<sup>46</sup>. ელინისტური ხანის მიწურულს ან შესაძლოა გვიანანტიკური ხანის დასაწყისში აღმოსავლეთ კოლხეთში არსებული მცირე ტერიტორიული ადმინისტრაციული ერთეულები ერთ დიდ საგამგეო ცენტრად ერთიანდებიან (არგვეთის საერისთავოს სახით). რომლის ცენტრალური ქალაქიც, ალბათ შორაპანი გახდა. ეს ვითარება არქეოლოგიური მასალითაც კარგად დასტურდება. ა. წ. I ს-ზე უფრო გვიანდელი

<sup>43</sup> გ. გვინჩიძე, ელინისტური ხანის კოლხეთის მოსახლეობის ისტორიისათვის, თბ., 1988, გვ. 26—30.

<sup>44</sup> Г. Ф. Дундуа, Нумизматика античной Грузии, Тб., 1987.

<sup>45</sup> ამ საკითხზე დაწვრილებით გვაქვს საუბარი ნაშრომში „კოლხეთის აღმოსავლეთი რეგიონების ქართოზაციის საკითხისათვის, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1990, № 4.

<sup>46</sup> მ. ი ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 159—164.

მასალა საირხეში აღარ გვხვდება<sup>47</sup> და როგორც ჩანს, აქ არსებულმა დასახლებამ სწორედ ამ დროს შეწყვიტა არსებობა<sup>48</sup>. ხოლო შორაპანში ყველაზე ადრეული ფენა სწორედ ა. წ. I ს-ის სამშენებლო ჰორიზონტია. ე. ი. ეს ორი მოვლენა კარგად ესადაგება ერთმანეთს. ამის გამო, ვფიქრობთ, რომ ლეონტი მროველის თხზულებაში დაკული ცნობა არგვეთის დიდი საერისთავოს შექმნის შესახებ რასაც ის ფარნავაზს მიაწერს, შესაძლებელია შედარებით მოგვიანო ხანის ისტორიულ ვითარებას ასახავდეს.

3. D. BRAGVAZDE

## ПОЛИТИКА ПАРНАВАЗА В КОЛХИДЕ И НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ИСТОРИИ ГОРОДИЩА САИРХЕ

Резюме

Согласно материалу, добытому из эллинистических слоев городища Саирхе, и стратиграфических данных Сабадурского холма, а также с учетом тогдашней международной обстановки в работе высказано предположение, что активная политическая деятельность Парнаваза в отношении Колхидского царства могла осуществляться после 279 г. до н. э.

В то же время, подчеркнута, что Саирхское эриставство на первоначальном этапе представляло сравнительно маленькую политическую единицу, и позже, может в I в. н. э., произошло объединение таких маленьких административно-политических единиц в одну большую политическую систему. Таким образом, сведения Леонти Мровели о создании Парнавазом Аргветского эриставства, может отражать сравнительно позднюю историческую ситуацию.

Z. BRAGVAZDE

## PARNAVAZ'S POLICY IN COLCHES AND PROBLEMS RELAVANT TO THE HISTORY OF ANCIENT TOWN OF SAIRKHE

Summary

The research considers with the important region in Ibero-Colchian relations.

Archaeological materials discovered in the ancient town of Sairkhe dated to the Hellinistic period, stratigraphic data of Sabaduri Gora and the study in the fields of international Situation of the time give ground so the suggestion that Iberia's active interference in Colches may have began after 279 B. C.

During the time of Parnavas Sairkhe was a small political unit and late after the 1 A. D. it had been incorporated in leager principality thus, Leonti Mrovelli's information about the establishment of Argveti principality by Parnavas most probably reflects later historical reality.

წარმოადგინა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ძველი ისტორიის განყოფილებაში

7 გ. ნადირაძე, დსახ. ნაშრომი.

48 გ. მახარაძე, ზ. ბრაგვაძე, არქეოლოგიური გათხრები კარხტინში, „ძეგლის მეგობარი“, 1990, № 1 გვ. 38.



### ქართლის (იპატა) მეფის შემდეგ მეორე პირის ინსტიტუტის სოციალური ისტორია

ქართველი ერის ისტორიის ის მეკლევარნი, რომელნიც ძველ ქართლში სახელმწიფოებრიობის ცენტრის საკითხებს სწავლობენ, დიდი ხანია, ყურადღებას აქცევენ ლეონტი მროველთან შემონახულ გადმოცემას იმის შესახებ, რომ ქართლის საქვეფოა შექმნის ჟამს ფარნავაზმა განაწესა ერთთავნი რვანი და სპასპეტი და ამ უკანასკნელს საბრძანებლად მისცა მიწა-წყალი „ტფილისითგან (ანაქრონიზშია, იგულისხმება ლეონტი მროველის დროინდელი ტფილისის მიმდებარე სანახები, — ტ. ა.) და არაგვთგან ვიდრე ტა-სისკარამდე და ფანავარამდე, რომელ არს შიდა ქართლი. და ესე სპასპეტი იყო შემდგომადვე წინაშე მეფისა მთავრობით განაგებდის ყოველთა ერისთავთა ზედა“<sup>1</sup>. როგორც მოტანილი ცნობიდან ჩანს, ქართლის სამეფოს უზენაესი სამხედრო ხელისუფალი — „სპასპეტი“, რომელიც შიდა ქართლის ერისთავი და დანარჩენ რვა ერისთავთა „მთავარი“ (უფროსი) იყო, მეორე პირად („შემდგომად“) თვლებოდა სამეფოში მეფის შემდეგ.

ლეონტი მროველთან შემონახულ ცნობას „სპასპეტთა“ შიდა ქართლში ერისთავობისა და დანარჩენ ერისთავთა შორის პირველობის შესახებ მხარს უჭერს ჭუაწმერიც, რომელიც ლეონტის დარად დაბეჭითებით ამტკიცებს, რომ ვახტანგ გორგასლის სპასპეტი ჭუაწმერი „მპყრობელი შიდა ქართლისა და მფლობელი ყოველთა ერისთავთა“ ყოფილა<sup>2</sup>. თუკი ჩსოგნა სპასპეტთა შიდა ქართლში, ანუ ისტორიული „ზენა სოფლის“ ფარგლებში ერისთავობის შესახებ ლეონტი მროველისა და ჭუაწმერის წყაროებს შემორჩათ, მოგონებები სპასპეტთა „შემდგომობის“ შესახებ ლეონტი მროველის გარდა „შიოსა და ევაგრეს ცხოვრების“ მეტაფრასული ვერსიის ავტორმაც შემოგვინახა, რომლის თანახმად, ციხედიდის მთავარი, სახელად ევაგრე „შემდგომად მეფისა ივანეგებელ სამეფოსა და ფრიად მკენე და განმარჯუებულ სპასპეტ“ ყოფილა<sup>3</sup>.

თავად ძველი ქართული სოციალური ტერმინი „სპასპეტი“//„სპაპეტი“ საშუალო სპარსული spāhpat-იდან მომდინარეობს, რის გამოც „სპასპეტის“, როგორც სოციალური ტერმინის არსებობა ფარნავაზის ხანაში არ არის მოსალოდნელი<sup>4</sup>. იმისგან დამოუკიდებლად, რომ ლეონტი მროველის

1 ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 24—25.  
 2 იქვე, გვ. 125.  
 3 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. III, თბ., 1971, გვ. 140.  
 4 გ. წერეთელი არმაზის ბილინგვა, ენიშის მოამბე, ტ. XIII, 1942, გვ. 38; მ. ანდრონიკაშვილი, ინარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., 1966, გვ. 371; თ. გამსახურდია, პიტიახშინ ინსტიტუტის საკითხისათვის, მაცნე, 1970, № 6, გვ. 72.  
 7 „მაცნე“, ისტორიის სერია, 1991, № 3.



მიერ ფარნავაზის ეპოქის მიმართ ტერმინ „სპასპეტის“ ხმარება აშკარა ანაქრონიზმია, ძველი ქართული საისტორიო ტრადიციის ცნობა, რომელიც ქართლის სამეფოს უზენაეს სამხედრო ხელისუფალს მეფის შემდეგ მეორე პირად სხავს, სწორი ჩანს, რასაც მხარს უჭერს სტრაბონიც, რომელიც იბერიის აღწერილობის დასასრულს წერს: „ხოლო ადამიანთა ოთხი გვარი მოსახლეობს ამ ქვეყანაში: ერთია და პირველი, რომლისგანაც მეფეებს სხამენათესაობისა და ასაკის მიხედვით უხუცესს, ხოლო მეორე (პირი, — ტ. ა.) მოსამართლეობს და მხედართმთავრობს“<sup>5</sup>. ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მეფის შემდეგ მეორე პირს, რომელსაც ბერძენი გეოგრაფი ბენაპროც-ს (მეორეს), ხოლო ქართული საისტორიო ტრადიცია „შემდგომს“ უწოდებს, უმაღლესი სამხედრო და სასამართლო ძალაუფლება ეპყრა ხელთ<sup>6</sup>.

ჩვენი ძიების მიზნებისათვის უაღრესად საყურადღებო ცნობები ესთერის წიგნის ძველქართულმა თარგმანებმა შემოგვინახა და ვიღრე ესთერის წიგნის ძველქართულ თარგმანებში შემონახულ სოციალურ ტერმინთა ანალოზზე გადავიდოდეთ, მოკლედ შევეხოთ ესთერის წიგნის შინაარსს\*.

ესთერის წიგნში მოთხრობილია, რომ აქემენიანთა სატახტო ქალაქ სუზაში ცხოვრობდა ებრაელი, სახელად მარდოქე, რომელიც სპარსთა მეფე არტაქსერქსეს კარზე მსახურობდა მცველად. დედოფალ ვასტიანეს ქედმაღლობით განრისხებულმა არტაქსერქსემ ვასტიანეს დედოფლის პატივი აპყარა და ცოლად შეირთო მარდოქეს ბიძაშვილი ესთერი, ხოლო მარდოქეზე განრისხებულმა ჰამანმა, რომელსაც სასახლის კარზე მეფის „შემდგომის“ ხელი ეპყრა, მარდოქეს სიკვდილით დასჯა და ირანში მოსახლე ებრაელი ერის ამოხოცვა ბრძანა. ესთერმა არტაქსერქსეს ჰამანის მზაკვრული განზრახვის შესახებ მოუთხრო, და მეფემაც ჰამანი სიკვდილით დასაჯა, ხოლო მარდოქე ჰამანის წილ „შემდგომად“ განაჩინა.

ესთერის წიგნის ცნობით, ჰამანის ზრახვა ებრაელი ერის ამოწყვეტის შესახებ მარდოქემ ესთერს შემდეგი სიტყვებით ამცნო: „რამეთუ აჲან, რომელი შემდგომებს წინაშე მეფისა, ეტყოდა მეფესა ჩუენთჳს მოსიკუდიდ“, (ესთერი, 4. 8-9). ამ შემთხვევაში ძველქართულ თარგმანთა „შემდგომი“ ბერძნ. ბენაპროც-ს (მეორე), სომხ. სიქიოც არცაქის-ს (მეორე მეფის შემდეგ) და ლათ. secundus à rege-ს (მეორე მეფის შემდეგ) პასუხობს, რაც მხარს უჭერს ლეონტი მროველის ცნობას იმის შესახებ, რომ მეფის შემდეგ მეორე პირი ძველ ქართლში „შემდგომად“ იწოდებოდა.

თავად ტერმინი „შემდგომი“ თავისთავში „მეორეს“ მნიშვნელობას რომ შეიცავდა, იერემიას წინასწარმეტყველების ძველქართული თარგმანები მიგვი-

<sup>5</sup> თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1957, გვ. 129—130.

<sup>6</sup> პ. ინგოროყვა, ძველქართული მატთანე „მოქცევაი ქართლისაი“ და ანტიკურ ბანის იბერიის მეფეთა სია, თხზულებათა კრებული, ტ. IV, თბ., 1978, გვ. 544—545; Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1957, გვ. 59, 455; С. Тошманов, Studies in Christian Caucasian History, Georgetown, 1963, გვ. 97, n. 144; თ. გამსახურდია, დასახ. ნაშრომი, გვ. 71—74.

\* ამ წერილის დაწერის დროს ვსარგებლობდი გ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლის გ. კიკნაძის მიერ მომზადებული ესთერის წიგნის ძველქართულ თარგმანთა ხელნაწერი ტექსტით.



თითებენ, სადაც ერთი რედაქციის „შემდგომს“ მეორე რედაქციაში „მეორე“ ენაცვლება — „წარიყვანა მატაკარანთან ...სოფონია, მღვდელი შემდგომი“ (იერემია, 52. 24 4) და „წარიყვანა მთავარქონდაქარმან ...სოფონია, მღვდელი მეორე“ S.

სახელო, რომელიც ჰამანს ებუკრა, ძველქართულ სოციალურ ტერმინთა ენაზე „შემდგომი მეფისაჲ“-დ ესმის შატბერდის კრებულში (X ს.) შემონახულ „სახმ ალთქუმისაჲს“ ქართველ მთარგმნელსაც, რომელიც წერს: „მღიდარ იყო ჰამანი, შემდგომი მეფისაჲ, და აზრახა ცოლმან მისმან წარწყმედად ჰურიათა“<sup>7</sup>. „შემდგომი მეფისაჲ“ სახელოს, თანამდებობას რომ წარმოადგენდა ძველ ქართლში, ამაზე ესთერის წიგნის შემდეგი ცნობა მივითითებებს: „შემდგომი მეფისაჲ პატივი მოუღებეს ამანს“ (3. 12). „პატივი“ კი, როგორც ცნობილია, ძველქართულში „ველს“, თანამდებობას აღნიშნავდა.

„შემდგომს“ მეფის შემდეგ მეორე პირის მნიშვნელობით ტობის, ივლითისა და მეფეთა პირველი წიგნის ძველქართული თარგმანებიც იცნობენ. თუ ტობის წიგნის თანახმად, „დაადგინა იგი საყერდონსორ შემდგომად თჳსა“ (1.22), ივლითის წიგნის მიხედვით, „მოუწოდა ნაბუქოდონოსორ მეფემან ასურასტანისამან ოლომფორნეს... რომელი შემდგომი იყო მისი“ (2. 4), ხოლო I მეფეთა 23. 17-ში ვკითხულობთ: „და ჰმეფობდე ისრაჲლსა ზედა და მე ვიყო შემდგომად შენსა“. ყველა ამ შემთხვევაში ძველქართულ თარგმანთა „შემდგომი“ შესაბამის ბერძნულ, ლათინურ, სომხურ, ებრაულ, არამეულ და სირიულ ტექსტთა „მეორეს“ პასუხობს მეფის შემდეგ მეორე პირის ინსტიტუტის მნიშვნელობით.

„შემდგომის“ ინსტიტუტის სოციალური შინაარსის შესაყენობად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ესთერის წიგნის 4 რედაქციის ზემომოტანილ 4. 8-ში დამოწმებულ „შემდგომს“ C რედაქციის შესაბამის მუხლში „ლერკოლოტი“ ესიტყვება — „რამეთუ ჰამანს ლერკოლოტს წარუთქუამს... წინაშე მეფისა ჩუენ ყოველთა სიკუდილი“ (4.8)<sup>8</sup>. „ლერკოლოტი“ ძველქართულში „შემდგომის“ ანალოგიურად „მეორეს“ რომ ნიშნავდა, ძველქართული „ლერკოლოტის“ სომხ. *სերკოლო*-ისაგან (მეორე) მომდინარეობაც ადასტურებს<sup>9</sup>, რაც ნიშნავს, რომ „ლერკოლოტი“ სომხურის გზით შეთვისებული სოციალური ტერმინია. „შემდგომისა“ და „ლერკოლოტის“ ურთიერთმიმართება ესთერის წიგნის სხვა ცნობებითაც დასტურდება. თუ 4 რედაქციის თანახმად, ჰამანს „შემდგომი სამეუფოჲ საყდარი დაეპყრა“ (8. 12 1), ოშკური ბიბლიის მიხედვით, „საჯღომელსა სალერკოლოტოსა ჳდა იგი“ C, რაც უტყუარი საბუთია იმისა, რომ „შემდგომ“ — „ლერკოლოტა“ სკამს ძველ ქართლში „შემდგომი სამეუფოჲ საყდარი“ და „საჯღომელი სალერკოლოტო“ ერქვა.

ესთერის წიგნში მოთხრობილია, თუ როგორ აღმოაჩინა მეფემ მარდოქეს შემწეობით შეთქმულება, რის სანაცვლოდაც მეფემ მარდოქე იმით დააჯილდოვა, რომ „შემდგომ ყო იგი ეზოასმოძღურისა ჰამანისა“ C (ესთერ, 1. 1r). შესაბამის ბერძნულ, ლათინურსა და სომხურ ტექსტებში ძველქართული „ეზოასმოძღურის“ შესატყვისი სოციალური ტერმინი არ დასტურდება, რაც იმას

<sup>7</sup> შატბერდის კრებული, თბ., 1979, გვ. 308.

<sup>8</sup> თ. გამსახურდია, დასახ. ნაშრომი, გვ. 69.

<sup>9</sup> აკ. შანიძის აზრი იხ. თ. გამსახურდია, დასახ. ნაშრომი, გვ. 69; გ. კიკნაძე, ესთერის წიგნის ქართული რედაქციები, მრავალთავი, II, 1973, გვ. 19.



მოწმობს, რომ ძველი ქართული სოციალური ტერმინებით მოაზრებულნი იყვნენ ბიბლიის მთარგმნელისათვის, რომლის ერთადერთ პირველწყაროს ქართული სოციალური სინამდვილე წარმოადგენდა, მეფის შემდეგ მეორე პირი „შემდგომისა“ და „ლერკოლოტის“ გარდა „ეზოას მოძღუარადაც“ იწოდებოდა. ძველი ქართული სოციალური ტერმინი „ეზოას მოძღუარი“ ორნაწილადი სიტყვა არის, რომელიც „ეზო“ და „მოძღუარ“ ტერმინებისაგან შედგება. ამის გამო, „ეზოას მოძღუარის“ ინსტიტუტის სოციალური ბუნების გასახსნელად წარმოვაჩინოთ „ეზო“ და „მოძღუარ“ ტერმინთა სოციალური მნიშვნელობანი ძველქართულ წყაროებში.

ბიბლიური წიგნების ძველქართულ თარგმანებში „ეზო“ „სახლი“ ენაცვლება. „ეზო“ და „სახლ“ ტერმინთა სინონიმურობით იყო შეპირობებული ის გარემოება, რომ ივლითის წიგნის ქართველი მთარგმნელი ერთსა და იმავე ბერძნულ სოციალურ ტერმინ ძვიდ-ს (სახლი) ხან „ეზო“ (ივლით, 11. 5) და ხან „სახლი“ (ივლით, 11. 21) ტერმინებით რომ თარგმნიდა „ეზო“ არა მხოლოდ „სახლის“, არამედ „ტაძარის“ სინონიმიდაც გამოდიოდა ძველქართულში. ამიტომ არის, რომ ესთერის წიგნის 4 რედაქციის „შუდ დღემდენ შინაგან ეზოსა სამეფუფოსა“-ს (1.5) ო რედაქციაში „შუდ დღმ შინაგან ტაძარსა სამეფუფოსა“ ესიტყვება. „ტაძარისა“ და „სახლისა“ ურთიერთმონაცვლეობა გამოხვლათას წიგნის ძველქართულ თარგმანთა სხვადასხვა რედაქციის ურთიერთშეჯერებითაც დასტურდება: „მოისპოს მყუარი ესე ...სახლთა თქუენთაგან“ (8. 9) და „მოისპოს მყუარი ესე... ტაძრებისა მავისა თქუენისა“. „სახლ“ და „ტაძარ“ ტერმინთა სინონიმურობა განაპირობებდა იმ გარემოებას, რომ ქართულში ძველსპარსულიდან მომდინარე „ტაძარი“<sup>10</sup> არა მხოლოდ სასახლეს, არამედ ეკლესიასაც მიემართებოდა. „ტაძარად“ წოდებული ეკლესია უფლის სახლად რომ იგაიზრებოდა, მეფეთა მესამე წიგნის ერთი ცნობა მიგვითითებს: „სადაც წერია: „აღაშენა სოლომონ ორნი იგი ტაძარნი: ტაძარი იგი უფლისა და ტაძარი იგი მეფისა“ (9. 10). ამრიგად, მოტიანილი მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ „ეზო“, „სახლი“ და „ტაძარი“ თანაბარი ღირებულების სოციალური ტერმინები იყვნენ და ამ თვალსაზრისით ისინი ძველქართულ წყაროებში სასახლის მნიშვნელობით დამოწმებული „სეფესა“ და „პალატის“ სოციალურ სინონიმებად გამოდიოდნენ.

ძველი ქართული წყაროები „ეზოსა“ და „სახლს“ უფრო ფართო მნიშვნელობით იცნობენ და ამის გამოც „ეზოს“ სოციალური შინაარსის ყოველმხრივ წარმოსაჩინად თავდაპირველად „სახლ“ ტერმინის სოციალურ ისტორიას გავადევნოთ თვალი. ძველი ქართულის დონეზე „სახლ“ ტერმინში -ხლ-ძირი გამოიყოფა „ახლოს ყოფნის, ერთად ყოფნის“ მნიშვნელობით<sup>11</sup> და „სახლიც“ აგნატურ ჯგუფს რომ აღნიშნავდა ძველქართულ ტომებში, მხარს უჭერს ივ. ჯავახიშვილის დაკვირვება იმის შესახებ, რომ ტერმინ „გუარის“ დამკვიდრებამდე ძველქართულში ამ მნიშვნელობით „სახლი“ იხმარებოდა<sup>12</sup>. ივ. ჯავა-

<sup>10</sup> ბ. ანდრონიკაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 377—379.

<sup>11</sup> Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, М., 1964, 260.

<sup>12</sup> И. А. Джавахов, Государственный строй древней Грузии и древней Армении, СПб., 1905, გვ. 33.



ხიშვილმა ისიც მიუთითა, რომ ტერმინი „სახლი“ ძველქართულში ვრცელი მიწა-წყლის აღსანიშნავადაც იხმარებოდა<sup>13</sup>, რაც ნიშნავს, რომ „სახლი“ არა მხოლოდ „ნათესავ“ — „მახლობელთაგან“ შემდგარ სოციალურ კოლექტივს წარმოადგენდა პატრიარქალური გვარის სახით, არამედ „სახლი“ იმ მიწა-წყალსაც აღნიშნავდა, რომელიც აღნიშნული სოციალური კოლექტივის — „სახლის“ (გვარის) საკუთრებას შეადგენდა. ამ თვალსაზრისით „სახლი“ იმ საცხოვრებელ ნაგებობასაც მიემართა, რომელშიც მისი მფლობელი პატრიარქალური გვარი — „სახლი“ იჯდა ხოლმე და ძველი ქართული „სახლიც“ გვარის კუთვნილი ქონების მნიშვნელობით მიწა-წყლისაგან, გამწევი ძალისაგან, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობისაგან და სხვ. შედგებოდა<sup>14</sup>. ძველი ქართული წყაროები, რასაკვირველია, ყველა იმ სოციალურ მნიშვნელობას არ ასახავენ, რასაც „სახლი“ წარმოადგენდა ისტორიულად. ამისდა მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ ძვ. წ. III ათასწლეულის ძველქართულ ტომთა სოციალურ აზროვნებაში „სახლს“ შეადგენდა ყველაფერი ის, რაც „სახლად“ სახელდებული შემოსაზღვრული მიწის ნაკვეთის შიგნით ექცეოდა და იყრიდა თავს. ამ თვალსაზრისით „სახლი“ ფართო ცნება იყო პატრიარქალური გვარისა და გვარის ფლობის ობიექტის — მეურნეობის მნიშვნელობით.

თუ ზოგადად მიწა-წყალს ტერმინი „ქუეყანა“ გადმოსცემდა, ძველქართულში „სახლის“ სინონიმად დამოწმებული „ეზო“ „სახლის“ ანალოგიურად შემოზღუდულ, შემოსაზღვრულ ადგილს აღნიშნავდა უმეტესწილად, რასაც გენეტიურად მიწაზე „სახლი“-„ეზოდ“ წოდებული პატრიარქალური გვარის საკუთრება ედო საფუძვლად. ამაზე უფრო ის მიგვიანიშნებს, რომ „ეზო“ ძველქართულში გალავანს, ზღუდეს, კედელს გამოხატავდა მიჯნის, საზღვრის მნიშვნელობით. ეზეციელის წიგნის ძველქართულ თარგმანთა ცნობაში, — „და ვიხილე... ეზოა გარეშე კერძოსა სახლსა მას გარემოჲს გარემო“, — „ეზო“ (ბერძნ. περιψιςი: გალავანი, ლათ. murus კედელი, ებრ. חומה კედელი) ის კედელია, რომელიც „სახლის“ ირგვლივ განფენილ ეზოს ზღუდედ ჰქონდა შემოვლებული. მაშასადამე, თუ „ეზო“ შემოზღუდულ ადგილს აღნიშნავდა ზოგადად, „ეზოს“ საზღვარს, მიჯნას ასევე „ეზო“ ერქვა, რაც რელიგიურად წარმოაჩენს „ეზოს“, როგორც შემოზღუდული მიწის ნაკვეთის სოციალურ მნიშვნელობას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, „ეზო“ „ქუეყანის“ ის ნაწილია, რომელიც ამა თუ იმ სოციალური კოლექტივის საკუთრებაში ირიცხებოდა და ამის გამოც, შემთხვევითი არ არის, რომ „ეზო“ შემოსაზღვრული ადგილის მნიშვნელობით არა მხოლოდ საცხოვრებელ ნაგებობას — „სახლს“, „ტბარს“ მიემართებოდა, არამედ ამ „სახლს“ — „ტბარის“ ოთახს, სამეურნეო ნაგებობასა და გვარის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთსაც. მაგალითად, თუ დანიელის წიგნის ძველქართულ თარგმანთა ცნობაში, — „დანიელ იყო ეზოსა შინა მეფისასა“ (დანიელ, 2. 49), — „ეზო“ სსახლეს აღნიშნავს, ივდიის წიგნის ცნობაში — „ცნას ნაბუქოდონოსორ... და ყოველმან ეზომან მისმან“ (ივდი, 11. 5), „ეზო“ სასახლეში შემავალი სოციალური კოლექტივი არის. იერემიას წინასწარმეტყველების ძველქართულ

<sup>13</sup> И. А. Джавахов, Государственный строй древней Грузии и древней Армении, СПб., 1905.

<sup>14</sup> გ. მამულია, კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში, თბ., 1979, გვ. 44.

თარგმანთა ცნობის „მოუწოდე მათ სახიდ უფლისა, ერთსა ეზოთაგანსა, და ასუ მათ ღვინა“ (იერემია, 35.2), „ერთი ეზოთაგანი“ უფლის სახლის ის ოთახთაგანია, სადაც სერობა იმართებოდა ხოლმე. პურობა; რასაკვირველია, დარბაზში ეწყობოდა, რაც ნიშნავს, რომ „ეზოს“ დარბაზს ასევე „ეზო“ ერქვა. იოვანეს სახარების ძველქართულ თარგმანებში კი ვკითხულობთ: „სხუანიცა ცხოვარნი მიდგან, რომელნი არა არიან ამის ეზოასანი“ (10.16). ამ შემთხვევაში „ეზო“ ის შემოზღუდული ადგილია სათანადო ნაგებობებითურთ, რომელიც პირტყვის სადგომ ბაგას, ბოსელს, თუ გომს წარმოადგენდა. ამიტომ არის, რომ DE რედაქციის „ეზოს“ C რედაქციაში „ბაკი“ ენაცვლება: „რომელ არა არიან ამის ბაკისანი“. „ეზო“ გვარის საკუთრებაში არსებული მიწა-წყლის მნიშვნელობით შესაქმის წიგნის ძველქართულ თარგმანებში დასტურდება: „ქარეგბსა მათსა და ეზოთა შინა მათსა“ S და „ქარეგბსა მათსა და საყოფელთა მათსა“ O (დაბადება, 25.16). თუკი „ქარაგი“ აღამიანთა სადგომს აღნიშნავს, „ეზო“ და „საყოფელი“ ის შემოზღუდული მიწის ნაკვეთია, რომლის ცენტრშიც „ქარავს“ გამართავდნენ ხოლმე. დავასკვნით: „ეზოში“ არა მხოლოდ საცხოვრებელი ნაგებობა — „სახლი“, არამედ მეურნეობა — „სახლიც“ იგულისხმებოდა, ხოლო „სახლი და „ეზო“ საერთოქართულური ენობრივი ერთიანობის დროინდელი ტერმინები რომ უნდა ყოფილიყვნენ, ის მიგვანიშნებს, რომ ძველი ქართული „სახლის“- ხლ- ძირს სვან. „ლახორ“, და მეგრ.-ჭან. „ოხორ“ ფორმებს გვაძლევს, ხოლო ძველქართული „ეზო“ სვან. ჰაზუ“ (ლაშხ. „აეზუ“) და მეგრ. „ოზე“ ფორმით წარმოგვიდგება.

ბიბლიურ წიგნთა ძველქართულ თარგმანებში „მოძღუარ“ ტერმინი „მთავართან“ მონაცვლეობს ხოლმე. „მოძღუარისა“ და „მთავარის“ ურთიერთმონაცვლეობა ესაიას წინასწარმეტყველებების სხვადასხვა ვერსიაში დასტურდება: „არიან შორის ტაიანისა მოძღუარნი“ G(30.4) და „არიან შორის ტაიანისა მთავარნი“ S. „მოძღუარისა“ და „მთავარის“ სინონიმურობა იმ ფაქტითაც დასტურდება, რომ ბიბლიური წიგნების ძველქართულ თარგმანებში „მოძღუარ“ ტერმინთან დაკავშირებულ რთული შედგენილობის სოციალურ ტერმინთა შორის კომპოზიტის მეორე წევრად შემავალი „მოძღუარ“ ტერმინი „მთავარ“ ტერმინთან მონაცვლეობს ხოლმე. მაგალითად, „უკეთუ მღვდელთ-მოძღუარმან მან ცხებულმან ცოდოს“ O (ლევიტელთა, 4.3) და „უკეთუ მღვდელთ-მთავარმან ვიდრემე ცხებულმან ცოდოს“ G, სადაც ერთი ვერსიის „მღვდელთ-მოძღუარს“ მეორე ვერსიაში „მღვდელთ-მთავარი“ შეესიტყვება.

„მოძღუარი“ უძველეს ქართულ სოციალურ ტერმინთა რიგს რომ განეკუთვნება და გენეტურად „მამასახლისის“ ცნებასთან რომ უნდა ყოფილიყო შეკავშირებული, ამას თავად ტერმინის ეტიმოლოგიური ანალიზიც წარმოაჩენს. ძველქართული „მოძღუარის“ -ძღუ-//ძელუ- ძირი სვან. -ჟღლა // -ჟჳელ/უ/-და მეგრ. -ჟღუ- ფორმებს გვაძლევს გამძღოლის, წინამძღოლის, სოციალურად უფროსის მნიშვნელობით<sup>15</sup>. და თუ პატრიარქალურ გვარში არსებული სოციალური ნორმებიდან ამოვალთ, „მოძღუარი“ გამძღოლისა და სოციალურად უფროსის მნიშვნელობით მხოლოდ „მამასახლისი“ შეიძლება ყოფილიყო ძვ. წ. III ათასწლეულის ძველქართულ ტომებში. ეს ნიშნავს, რომ ტერმინ „მოძღუარის“ უძველესი მნიშვნელობა პატრიარქატის ხანას

<sup>15</sup> Г. А. Климов, *დისკ. ნაშრომი*, გვ. 240—241.

ეკუთვნის, რძს გამოც „ეზოასმოდლუარის“, როგორც სოციალური ტერმინისა სახელოს არსებობა ფარნავაზის ხანაშივე არის მოსალოდნელი.

სოციალური ტერმინის თვალსაზრისით „ეზოასმოდლუარი“ ის იყო, ვინც ქართლის მეფის „ეზოდ“ წოდებულ სასახლეს უძღვებოდა, ანუ მართავდა და განაგებდა რადგან ქართლის მეფის „ეზოს“ (სახლ-სეფე-ტაძარ-პალატს) თავში „შემდგომ“- „ლერკოლოტად“ წოდებული მეფის შემდეგ მეორე პირი ედგა, „შემდგომისა“ და „ეზოასმოდლუარის“ ინსტიტუტთა თანმთხვევა არც არის შემთხვევითი. ამის გამო, გასაგებია ესთერის წიგნის ძველქართულ თარგმანთა 8.3-ის ფრაზის სოციალური შინაარსი, რომ ჰამან ეზოსმოდღერის სიკვდილით დასჯის შემდეგ მეფემან მოიყვანა მარდოქე და დაადგინა ყოველსა ზედა ეზოსა თუსსა“ 4. მეფის „ეზოს“ მიღებით მარდოქე, რასაკვირველია, „ეზოასმოდლუარად“ გადაიქცა და ამიერიდან მარდოქე მეფის „შემდგომი“ რომ გახდა, იმავე ესთერის წიგნის 10.3-ის ცნობაც ადასტურებს: „მარდოქე ბრძანებდა ასუერ მეფისა შემდგომად“ 7, სადაც ძველქართულ „შემდგომს“ ბერძნ. *μισθολογος* (ნაცვალი, მოადგილე), ებრ. *mišne lamelek* (მეორე მეფის შემდეგ), არამ. *ptšgr dmalā* (მეორე მეფის შემდეგ)\*, სირ. *tenyanā dmalā* (მეორე მეფის შემდეგ) და ლათ. *secundus à rege* პასუხობს. სეპტანტის ცნობა იმის შესახებ, რომ მარდოქე „დიადოხოსი“, ანუ მეფის ნაცვალი, მეფის მოადგილე გამხდარა, უაღრესად საყურადღებოა. ის გარემოება, რომ ძველი ქართული სოციალური ტერმინებით მოაზროვნე ოშკის ბიბლიის მთარგმნელის თვალსაზრისით *μισθολογος* — მეფის ნაცვალი ძველქართულ სოციალურ ტერმინთა ენაზე მხოლოდ „შემდგომი“ შეიძლება ყოფილიყო, მოწმობს, რომ ბერძნ. *μισθολογος* ქართველ მთარგმნელს იმ ტერმინით გადმოჟღერია, რაც ქართული სოციალური სინამდვილისათვის იყო დამახასიათებელი. ეს კი თავისთავად გამორიცხავს ყოველგვარ ვარაუდს ტერმინ „შემდგომის“ მწიგნობრული გზით წარმოშობის შესახებ, ხოლო *μισθολογος*-ისა და „შემდგომის“ შესატყვისობა ყველაზე რელიეფურად წარმოაჩენს „შემდგომის“ ინსტიტუტის სოციალურ შინაარსს, რაც „შემდგომის“ ხელის მპყრობელთა მეფის ნაცვლობაში, ანუ ვიცე-მეფობაში მდგომარეობდა.

ჰამან ეზოსმოდღერის ტახტის დაპყრობით მარდოქე თავად იქცა „შემდგომ“-ლერკოლოტ“-ეზოასმოდლუარად“ და მცხეთურ ბიბლიაში შემონახული ესთერის წიგნის 9.3-ის ცნობით, „ყოველნი მსაჯულნი და სპასპეტნი და მთავარნი სათნო-ეყვენეს ჰურიათა, რამეთუ იცოდენ დიდებამ მარდოქესი, ეშინოდათ მისგან. რამეთუ მეფისა პალატისა მთავარი იყო“. თუ რომელი ენიდან არის ნათარგმნი ესთერის წიგნის ზემომოტანილი ფრაზა, გადაწყვეტილი არ არის, რადგან ძველქართული „მეფისა პალატისა მთავარის“ შესატყვისი სოციალური ტერმინოლოგია შესაბამის ბერძნულ, სომხურ, ებრაულსა და სირიულ ტექსტებში არ მოიპოვება, თუმცა იგი სიახლოვეს ლათ. *princeps palatii*-სა (პალატის მთავარი) და არამულ *rab beyt*-თან (უზუტკის სახლისა) აშეღავნებს.

სოციალური ტერმინის თვალსაზრისით ესთერის წიგნის არამულ ტექსტის *rb byt* იგივეა, რაც არამზის ბილინგვის (ახ. წ. II ს.) არამულ

\* არამ. *ptšgr*-ს შესახებ იხ. E. Benvenist, *Titres et noms propres en iranien ancien*, Paris, 1966, გვ. 56—65.

დამწერლობით შესრულებული ტექსტის *rab tarbaša* (უხუცესი სახლისა), რაც ესიტყვება ძველქართული „ეზოას მოძღუარისა“ და „პალატისა მთავარის“ სოციალურ მნიშვნელობას. ამის გამო, მოვიტანოთ თავდაპირველად არმაზის ბილინგვის არამეული დამწერლობით შესრულებული ტექსტი: „მე (ვარ) სერაფიტი ასული ზევახისა, მცირისა პიტიახშისა ფარსმან მეფისა, მეუღლე იოლმანგანისა — ძლევა მოსილისა და მრავალი გამარჯვების მომპოვებელი *rb trbš*-სი (ეზოას მოძღუარისა) ხსეფარნუგ მეფისა, ძისა აგრიფა *rb trbš* სი (ეზოას მოძღუარის) ფარსმან მეფისა“<sup>16</sup>.

გ. წერეთელს არამ. *rb trbš* ძველქართულ სოციალურ ტერმინთა ენაზე „ეზოას მოძღუარად“ ესმის<sup>17</sup>. არამ. *rb trbš* ორნაწილადი სიტყვა არის, რომელიც *rb* და *trbš* ტერმინებად იშლება. არმაზის ბილინგვისეული *rb*, როგორც საერთო-სემიტური ძირის სიტყვა, „უიღს“, „უხუცესს“, „მნეს“, „თავს“, „მთავარს“, „მოძღვარსა“ და „უფალს“ აღნიშნავდა სოციალურად უფროსის მნიშვნელობით. ხოლო *trbš* „ეზოს“, შემოსახდვრულ ადგილს. ენობრივი თვალსაზრისით არმაზის ბილინგვისეული არამ. თრბს. იგივეა, რაც სირ. *tarbaša* (ეზო), უგარიტ. *tsbš* (საჯინიზო, ეზო) და ასურულ-ბაბილონური (აქადური) *tarbašu* (ეზო)<sup>18</sup>, რაც ნიშნავს, რომ არმაზის ბილინგვისეულ თრბს-ეზოში შემოზღუდული ადგილის სახით როგორც მეურნეობა — „სახლი“, ისე საცხოვრებელი ნაგებობა — „სახლი“ იგულისხმებოდა სამეფო კარისა და სპახლის მნიშვნელობით. დავასკვნით: მართებული ჩანს არმაზის ბილინგვისეული არამ. თრბს.-ს ძველქართულ სოციალურ ტერმინთა ენაზე „ეზო“ — „სახლი“ — „სეფე“ — „პალატ“ — „ტაძრად“ გააზრება, მით უფრო, რომ მკვლევართა მიერ შემჩნეულია არამ. „თარბასა“ — სა და ქართულ „დარბაზს“ შორის არსებული ენობრივი მსგავსება<sup>19</sup>.

სოციალური თვალსაზრისით ის „ბეათ“-ი (სახლი), რომლის „რაბ“-იც (უხუცესი, მთავარი) მარდოქეა, ირანის მეფის სასახლე არის. არმაზის ბილინგვის არამეულ ტექსტში კი „ბეათ“-ის ნაცვლად „თარბასა“ იხმარება და ეს უკანასკნელიც საერთო-სემიტური *byt*-ის სინონიმურ სოციალურ ტერმინს წარმოადგენდა ეზოს, სასახლის მნიშვნელობით. ე: ნიშნავს, რომ ესთერის წიგნის არამ. რბბთ და არმაზის ბილინგვის არამ. რბ თრბს ერთი და იგივე სოციალური ინსტიტუტის სხვადასხვა ტერმინოლოგიურ გამოვლენას წარმოადგენდნენ და აღნიშნული ტერმინებიც წარმოშობის თვალსაზრისით ისევე არიან ნაწარმოები, როგორც ძველქართული „ეზოას მოძღუარი“ და „პალატისა მთავარი“. თუ გავიხსენებთ იმ გარემოებასაც, რომ ესთერის წიგნის არამეულ ენაზე მთარგმნელნი ირანის მეფის „რაბ ბეათ“-ად მეფის შემდეგ მეორე პირს სახავენ, გასაგები ვახდება „რაბ ბეათ“-ის ბაღალი არმაზის ბილინგვი-

<sup>16</sup> გ. წერეთელი, არმაზის ბილინგვა, გვ. 16.

<sup>17</sup> იქვე, გვ. 16, 23.

<sup>18</sup> გ. წერეთელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 22—23; *Lexicon Syriacum*, ed. C. Brockelmann, 1928, გვ. 710—b; *Lexicon in Veteris Testamenti Libros*, ed. L. Kohler and W. Baumgartner, Leiden, 1958, გვ. 867—868, 871.

<sup>19</sup> ილ. ანთელავა, საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI—XIII სს., 1983, გვ. 16; გ. მამულია, პატრონეობა, თბ., 1987, გვ. 74.

სეული „რბ თარბასა“-ს ინსტიტუტის შესწავლის მნიშვნელობა ჩვენი ძიების მიზნებისათვის. ამის გამო, ქართლის მეფის რბ თარბას-ს ინსტიტუტის სოციალური შინაარსის შესაცნობად მოვიტანოთ არმაზის ბილინგვის ბერძნული ტექსტი: „სერაპიტი, მცირე პიტიაზმის ზევახის ასული, პიტიაზმ პუბლიკიოს აგრიაპს ძის, იბერთა დიდი მეფის ქსეფარნუგის მრავალი გამარჯვების მომპოვებელი ეზოსმოძღვრის (ἐπιτροπιδ) იოდმანგანის მეუღლე“<sup>20</sup>. არამეული დამწერლობით შესრულებული არმაზის ბილინგვის rb trbs-ს ბილინგვის ბერძნულ ტექსტში ἄνωθεν და ἐπιτροπιδ შეესიტყვება. ამის გამო, ქართლის მეფის რბ თარბას-ს ინსტიტუტის სოციალური პროფილი „ეპიტროპოსის“ ინსტიტუტის სოციალური ბუნების შეცნობაზე ჩანს დამოკიდებული.

ძველი ბერძნული სოციალური ტერმინი ἐπιτροπιδ ახალი აღთქმის წიგნებში მხოლოდ სამგზის გვხვდება (მათე 20, 8, ლუკა 8, 3, გალატ. 4, 2) და სამსავე შემთხვევაში ქართველ მთარგმნელთ „ეზოასმოძღვარ“ ტერმინით აქვთ გადმოღებული, რაც მხარს უჭერს არმაზის ბილინგვის რბ თარბას-სა და ეპიტროპოსის ძველქართულ სოციალურ ტერმინთა ენაზე „ეზოასმოძღვარად“ გააზრებას<sup>21</sup>. ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ თუკი არმაზის ბილინგვასა და პალმირის წარწერაში (267 წ.) ბერძნ. ეპიტროპოსს არამ. რბ თარბს შეესიტყვება<sup>22</sup>, მათე 20, 8-ისა და ლუკა 8,3-ის ბერძნ. ეპიტროპოსს (ძვ. ქართ. „ეზოასმოძღვარს“) შესაბამის სირიულ ტექსტში rbyyt'-რბბბაითა (უხუცესი სახლისა) პასუხობს\*, რაც ნიშნავს რომ არმაზის ბილინგვის არამ. რბ თარბს, ესთერის წიგნის არამ. რბ ბთ და სახარების წიგნთა სირ რბბბთ' ბერძნ. ეპიტროპოს-ის ტიპის სოციალურ ინსტიტუტებს წარმოადგენდნენ.

„ეპიტროპოსი“ კარგად შესწავლილი სოციალური ტერმინი არის. იგი მმართველის, ზედამხედველის ზოგადი მნიშვნელობის გვერდით მეურნეობის გამძღოლისა და მცირეწლოვანთა მეურვის — უმამოდ დარჩენილი ბავშვის გამზრდელის მნიშვნელობასაც შეიცავდა<sup>23</sup>. ისტორიკოსის თვალსაზრისით „სახლად“ წოდებული პატრიარქალური გვარი უძველეს სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურას წარმოადგენდა ძველქართულ ტომებში და რადგან „სახლი“ უძველესი საწარმოო კოლექტივი იყო, „სახლიც“ პატრიარქალური გვარის სოციალურ ბუნებას სამეურნეო თვალსაზრისით ასახავდა, რაც განაპიბირობებდა იმ გარემოებას, რომ ძველქართული „სახლის“ თავში მდგომი

<sup>20</sup> თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბ., 1976, გვ. 246.

<sup>21</sup> ს. ყაუხჩიშვილი, არმაზში აღმოჩენილი ბერძნული წარწერები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. II, № 1-2, 1941, გვ. 174.

<sup>22</sup> Corpus Inscriptorum Semiticarum, part. II, vol. III, (Paris, 1926), nos. 3940-1.

\* ბერძნ. ἐπιτροπιδ-ისა და სირ. rbyyt'-ს ძვ. ქართ. „ეზოასმოძღვარი“ პასუხობს ეფრემ ასურის თხზულების „იოსებისათჳს“-ის ძველქართულ თარგმანშიაც (საკითხავი წიგნი ძველქართულ ენაში, II, 1966, გვ. 72).

<sup>23</sup> Paulys Real-Encyclopädie der classischen Altertumswissenschaft, B. VI, Stuttgart, 1909, S. 224-225; W. Bauer, Wörterbuch zum neuen Testament, Berlin, 1971, col. 600-601; A Greek-English Lexicon, compiled by H. G. Liddel and R. Scott, Oxford, 1951, vol I, p. 669; Fr. Passow, Handwörterbuch der griechischen Sprache, Leipzig, 1841, B. 1, S. 1130; Rost, Griechisch-Deutsches Wörterbuch, Braunschweig, 1871, B. I, S. 372.

„მამასახლისად“ წოდებული საერო და სასულიერო ხელისუფლების განმახორციელებელი განმგებელი სახლის მეურნეობის გამძღოლი და სახლში შემავალ უსაკოთა „გამზრდელი“ (მკვებავი, მარჩენალი, მზრუნველი, მფარველი) იყო<sup>24</sup>. ამ აზრს ისიც უჭერს მხარს, რომ ძველბერძნულ ტომებში οἰκονομῆς-ებად წოდებული მეურნეობის მმართველნი წარმოშობით οἰκονομῆται-ები (მამასახლისები) იყვნენ<sup>25</sup>. თუ შევიწყნარებთ იმ აზრს, რომ „ეპიტროპოსი“ თავის თავში უსაკოთა გამზრდელისა და მეურნეობის გამძღოლის ხელს აერთიანებდა, გასაგები ვახდება იმ ინსტიტუტის სოციალური შინაარსი, რასაც ეპიტროპოს-რბთრბს-რაბბაით-ეზოასმოდლუარ-შემდგომის ინსტიტუტის გენეზოად გენდა ისტორიულად. რადგან გენეტურად „ეპიტროპოსის“ სოციალური ფუნქციები პატრიარქალური გვარის მეთაურს საერთოდ და, კერძოდ, ძველქართულ ტომებში „მამასახლისად“ წოდებულ პირს ეკისრებოდა, ძნელი არ არის, „ეპიტროპოსის“ ტიპის სოციალურ ინსტიტუტებში „მამასახლისის“ ნაცვალი, მოადგილე რომ შევიცნოთ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, „ეპიტროპოსის“ ტიპის ინსტიტუტები მამასახლისის ნაცვალია, მამასახლისის მოადგილეთა ინსტიტუტებს წარმოადგენდნენ. ეს ნიშნავს, რომ თუკი „სახლს“ თავში „მამასახლისი“ ედგა, იერარქიულად „სახლის“ მართვა-გამგეობის მომდევნო დაღმავალი საფეხური „ეპიტროპოსი“ (მამასახლისის შემწეს) ეკავა და რადგან „ეპიტროპოსი“ მამასახლისის ნაცვლობას მამასახლისის ფუნქციების დასაკუთრებამ აზიარა, „ეპიტროპოსი“ მამასახლისის შემდეგ „მეორე“ (ძვ. ქართ. „შემდგომ“) ადგილს დაეუფლა სახლის მართვა-გამგეობის სოციალურ სტრუქტურაში, რის გამოც იგი ძველქართულ სოციალურ ტერმინთა ენაზე „შემდგომად“ იწოდა. ამრიგად, „ეპიტროპოსის“ სოციალური ფუნქციების წარმოჩენა გვეკარნახობს „ეპიტროპოსის“ ხელის მპყრობელთა „მეორე“ (ძვ. ქართ. „შემდგომ“) პირებად შექმნის საფუძველს, რადგან „მამასახლისის“ ხელისაგან „ეპიტროპოსის“ სახელს გამოყოფით ეპიტროპოს-რაბთარბას-რაბბაითა-ეზოასმოდლუარი მამასახლისის ნაცვალი — „შემდგომი“ ვახდა ძველი ქართული „სახლის“ დონეზე, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ „ეპიტროპოსში“ იმთავითვე არა მხოლოდ სახლის მეურნეობის მმართველის — „ეზოასმოდლუარის“, არამედ სახლის გამძღოლის შემდეგ მეორე პირის — „შემდგომის“ სოციალური შინაარსიც დებულა იმისგან დამოუკიდებლად, რომ ძველი ქართული წყაროები „ეპიტროპოსის“ „შემდგომობით“ არასოდეს მიმართავენ. „ეპიტროპოსის“ სოციალური ისტორია თავისთავად გამოირიცხავს იმ მკვლევართა თვალსაზრისს, რომელნიც უარყოფენ ქართლის (იბერთა) მეფის „ეზოასმოდლუართა“ (ეპიტროპოს-რბთრბს) „შემდგომობას“, რადგან „სახლის“, როგორც სამეურნეო ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურიდან გამომდინარე „მამასახლისის“ ნაცვალი — „შემდგომი“ ფუნქციებით მხოლოდ მეურნეობის გამძღოლი — „ეზოასმოდლუარი“ შეიძლება ყოფილიყო. თუკი „მამასახლისის“ ინსტიტუტი ისტორიულად ძველქართულ ტომებში პატრიარქალური გვარის ჩამოყალიბების ხანას უკავშირდება, „ეპიტროპოსის“ ტიპის მამასახლისის ნაცვალია სოციალური ინსტიტუტი გენეზისის თვალსაზრისით არა მონარქიის — ქართლის (იბერიის) სამეფოს ხანას, არამედ

<sup>24</sup> გ. მამულაია, პატრონეზობა, თბ., 1987, გვ. 59—60.

<sup>25</sup> A Greek-English Lexicon, compiled by H. G. Liddel and R. Scott, vol. II, გვ. 1204.

ძვ. წ. II ათასწლეულის უკანასკნელ საუკუნეებს განეკუთვნება, როცა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძველქართულ ტომებში „უფალთა“ სოციალური აღზევება მიმდინარეობდა. სამწუხაროდ, წყაროთა უქონლობის გამო, ეპიტროპოს-რბთბრს-რბბაჟთ-ეზოასმოდლუარ-შემდგომის ინსტიტუტის გენეზისა და განვითარების ეტაპების კონკრეტული ისტორიული პროცესების წარმოჩენა ჭირს, ზოგადად კი შეიძლება ითქვას, რომ ძველქართული „სახლის“ შიგნითვე მამასახლისის ნაცვალთა — „შემდგომ“-ეზოასმოდლუართა“ ინსტიტუტის აღმოცენება ძველი ქართული „სახლის“ განვითარების არა საწყის საფეხურებს, არამედ იმ ეტაპს უკავშირდება, რომლის ზღურბლსაც ძველქართულმა „სახლმა“ გვიანბრინჯაოს ხანის ძველქართულ ტომებში მიმდინარე რთული სოციალური პროცესების შედეგად მიაღწია. ცნობილია, რომ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძველქართულ ტომებში სახელმწიფოებრივ ორგანიზმთა ჩამოყალიბება გაბატონების გზაზე შემდგარ „სახლთა“ სოციალური კონსოლიდაციის შედეგად განხორციელდა<sup>26</sup>. „უფალის“ სტატუსამდე აღზევებულ „სახლთა“ სინოიკიზმი (ერთსახლად გაერთიანება) კი ამ „სახლების“ კუთვნილი მიწა-წყლის (მეურნეობების) გაერთიანებას გულისხმობდა, რაზეც სტრაბონის ის ცნობა მიგვანიშნებს, რომ „სიუნგენეიბად“ წოდებულ სოციალურ ორგანიზმებში კონსოლიდირებულ „სახლთა“ სოციალური ერთიანობის სიმტკიცის საფუძველს ქონების (მეურნეობის) კოლექტიური მფლობელობა წარმოადგენდა. სოციალური კონსოლიდაციის საფუძველზე „სიუნგენეიაში“ შემავალი შედარებით ძლიერი „უფალი“-მამასახლისისა და შედარებით სუსტი „უფალი“-მამასახლისის სახლები „უფროს“ და „უმცროს“ სახლებად ფორმდებოდნენ. მეურნეობის (მიწა-წყლის) გაერთიანების შედეგად „უფროსი“ მამასახლისის უფლება „უმცროსი“ მამასახლისის სახლის კუთვნილ მიწა-წყალზეც ვრცელდებოდა, რაც საბოლოოდ „უფროსი“ მამასახლისის „სახლის“ მეურნეობის გაფართოებას ნიშნავდა. ამიერიდან გაფართოებული მეურნეობის გამძღვლად, სტრაბონისავე განმარტებით, „უფროსი“ სახლის მამასახლისი გამოდიოდა, ხოლო გაფართოებული მეურნეობის მართვა-გამგეობა „უფროსი“ მამასახლისის „სეფედ“ (სასახლედ) ქცეული „სახლიდან“ ხორციელდებოდა. „უმცროს“ და „უფროს“ სახლთა სოციალური შეკავშირების სიმტკიცის უზრუნველსაყოფად „უფროსი“ სახლის მამასახლისს „უმცროსი“ მამასახლისი თავის „სეფე“-სასახლეში, ანუ მმართველობის აპარატში უნდა შეეყვანა და სათანადო კელის მინიჭებით „უმცროსი“ სახლის თავისუფლება უნდა ელიარებინა, რადგან ძველქართულ ტომთა სოციალურ აზროვნებაში მართვა-გამგებლობაში მონაწილეობის მიღების უფლების გადაკვეთა დაპყრობისა და არათავისუფლების ნიშანი იყო. და რაკი ძველქართული „სახლის“ სოციალურ-ეკონომიკური ბუნებიდან გამომდინარე, „სახლის“ მმართველობის ძირითადი ფუნქცია მეურნეობის გაძღვლაში მდგომარეობდა, „უფროსი“ სახლის მამასახლისმაც „უმცროს“ მამასახლისს გაფართოებული მეურნეობის (იკულისხმება საკუთარი და „უმცროსი“ უფალის მეურნეობა) მართვა-გამგებლობა ჩააბარა და მეურნეობის გამძღვლისა—„ეზოასმოდლუარის“ ხელს მინიჭებით თავის ნაცვლად, მოადგილედ — ძველქართულ სოციალურ ტერმინთა ენაზე „შემდგომად“ აქცია. მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ

<sup>26</sup> გ. მამულაია, კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში, გვ. 62—92.

„ეპიტროპოსის“ დარი „მეორე“ პირის ინსტიტუტის აღმოცენება არა მხოლოდ სახლის მეურნეობის გაფართოების კვალობაზე სახლის მართვა-გამგეობის ვართულებით იყო შეპირობებული, არამედ იმითაც იყო გამოწვეული, რომ მამასახლისის ნაცვლად დადგინება „უმცროს“ და „უფროს“ მამასახლისთა „სახლების“ სინოიგიზმის გარანტი იყო. ჩვენი ძიების მიზნებისათვის კი არსებითი ის არის, რომ ქართლის მეფის „შემდგომის“ (არმაზის ბილინგვისეული რბ თრბს-ეპიტროპოსის) ინსტიტუტი გენეზისის თვალსაზრისით ძველი ქართული „სახლის“ „სეფე“-სასახლისაყენ ზრდის იმ ეტაპზე არის წარმოქმნილი, როდესაც ძველქართულ ტომებში მიმდინარე სოციალური განსწრეების პროცესების შედეგად „უფალის“ სტატუსამდე აღწევებულ „სახლთა“ სოციალური კონსოლიდაცია მიმდინარეობდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქართლის მეფის „შემდგომ“-„ეზოასმოდღუარ“-„ეპიტროპოს“-„რბ თრბს“-ს სოციალური წინაპარი ძვ. წ. II—I ათასწლეულთა მიჯნის ძველი ქართული „სახლის“ წიაღში ეძებნება, რის გამოც, მეფის შემდეგ მეორე პირის ინსტიტუტი, როგორც ითქვა, კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების ხანის „მამასახლისთა“ დროინდელი ინსტიტუტი ჩანს, მით უფრო, რომ ქართლის მეფე წარმოშობით „მამასახლისია“ და, შესაბამისად, ის აღწევებული „ხუცესი“, რომელმაც უკვე ძვ. წ. II—I ათასწლეულთა მიჯნაზე „უფალის“ სტატუსამდე აღწევების პროცესში საკუთარი გაფართოებული სახლის მეურნეობის მართვა-გამგეობა იმ პირს ჩააბარა, რომლის გვიც ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნის ეპოს ქართლის მეფის „შემდგომ“ — „ეზოასმოდღუარის“ (ეპიტროპოს-რბ თრბს) ხელად გაფორმდა.

მამასადაამე, ქართლის მეფის „შემდგომთა“ სოციალური ინსტიტუტის აღმოცენება ძველი ქართული „სახლის“ სოციალური აღნაგობით ყოფილა შეპირობებული, რადგან ქართლის მეფის „სეფე“ იმ „სახლიდან“ გამოიზარდა რომელსაც ძვ. წ. II—I ათასწლეულთა მიჯნაზე „უფალის“ სტატუსამდე აღწევებული „ხუცესი“ ედგა თავში თავისი „შემდგომ“-„ეზოასმოდღუარითურთ“ (ეპიტროპოს-რბ თრბს.). ის გარემოება, რომ ქართლის მეფის „შემდგომნი“ ძველქართულ სახლში მსხდომ „შემდგომთა“ სოციალური მემკვიდრენი არიან, იმის უცილობელი მოწმობა უნდა იყოს, რომ შემდგომ-ეზოასმოდღუარ-ეპიტროპოს-რბ თარბასას ინსტიტუტი არ წარმოადგენდა რაიმე სპეციფიკურ მოვლენას, დამახასიათებელს მხოლოდ ქართლის მეფის სეფესათვის. „ეზოასმოდღუარ“-„შემდგომი“ მეფის დარად სეფეწულებსაც უნდა მყოლოდათ. ყოველივე ზემოთქმული კი თავისთავად გამოირიცხავს თ. გამსახურდიას თვალსაზრისს, რომ ფარნაევს ქართლის მეფის შემდეგ მეორე პირის ინსტიტუტი ირანიდან პიტიახშის ინსტიტუტის ვადმოღებით დაეწესებინათ<sup>27</sup>. არმაზის ბილინგვის ცნობით, იოდმანგანი რაბ თარბასად და ეპიტროპოსად, ხოლო პუბლიკოს აგრიბა რაბ თარბასად და პიტიახშად იწოდება, რაც ნიშნავს, რომ პუბლიკოსი და მისი ვაჟი იოდმანგანი ქართლის პიტიახშთა სახლს ეკუთვნოდნენ, ანუ ქართლის მეფის „შემდგომ“-„ეზოასმოდღუარის“ ხელი ქართლის სამეფოს საერისთავო სახლთა შორის ქართლის პიტიახშთა სახლს ეპყრა. ის ფაქტი, რომ ქართლის მეფის ეზოასმოდღვარი პატიახშად იწოდება, მოწმობს, რომ ქართლის მეფის „შემდგომი“ და თავად მეფე სხვადასხვა არისტოკრატიულ „სახლებს“ მიეკუთვნებოდნენ, რაც გამოირიცხავს ყო-

27 თ. გამსახურდი, პიტიახშის ინსტიტუტის საკითხისათვის, გვ. 49—74.



ველგვარ ვარაუდს იმის შესახებ რომ სტრაბონისეულ „დეუტეროსში“ სამეფოს სახლის წარმომადგენელი და უშუალოდ ტახტის მემკვიდრე შევიცნოთ.

„შემდგომის“ ინსტიტუტის სოციალური ისტორიის ამგვარი გააზრების ფონზე ძველი ქართული საისტორიო ტრადიციის ცნობა ქართლის მეფის „შემდგომთა“ „ზენა სოფლის“ (ისტორიული შიდა ქართლი) ფარგლებში ერისთავობის შესახებ ისტორიულად ასე გვესახება. ცნობილია, რომ ქართლის (იბერიის) სამეფო ძვ. წ. IV ს-ის მიწურულს ისტორიული ქართლის მიწა-წყალზე არსებული შვიდი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის გაერთიანების შედეგად იშვა. ამ შვიდი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნიდან ერთ-ერთი — ქართლოსიან „უფლოსის“ წილი მიწა-წყალი — არავითარ ტასისკარამდე განფენილ ტერიტორიას მოიცავდა, რომელსაც წყაროები „ზენა სოფლის“ სახელით იცნობენ. „ზენა სოფლის“ მიწა-წყალზე მოსახლე ტომს მმართველად ქართლის მთაზე მსხდომ „მამასახლისთა“ (ტომის ბელადთა) ის სახლი ედგა, რომლის ჩამომავალი ფარნავაზიც ძვ. წ. IV ს-ის მიწურულს „ყოველსა ქართლსა და ეგრისსა ზედა“ გამოწარქდა<sup>28</sup>. დაახლოებით ძვ. წ. 900-იანი წლები-სათვის აღმოცენებული „ზენა სოფელი“ ქართლის მთაზე მსხდომ „მამასახლისთა“ გაფართოებულ მეურნეობა — „სახლს“ წარმოადგენდა და საკუთარი გაფართოებული მეურნეობა — „სახლის“ მართვა-გამგეობა „ზენა სოფლის“ მამასახლისმა „შემდგომობისა“ და „ეზოასმოდლუარობის“ უფლებით იმ არისტოკრატიულ სახლს ჩააბარა, საიდანაც ფარნავაზის ეპოქაში ქართლის მეფის „სპასპეტთა“ (იგულისხმებიან უზენაესი სამხედრო ხელისუფალნი) სახლი გამოვიდა. ამრიგად, ქართლის მეფის „შემდგომი“ არა მხოლოდ მეფის „ეზო“-სასახლის გამგებელი იყო „ეზოასმოდლუარის“ სტატუსით, არამედ „ზენა სოფლის“ ფარგლებში მოქცეული „ეზო“ — მეურნეობის გამძღოლიც „ეზოასმოდლუარისა“ და ზენა სოფლის „ერისთავის“ სახით. ეს ნიშნავს, რომ ქართლის მეფის „შემდგომთა“ ზენა სოფლის ერისთავობა ჯერ კიდევ „ქართლოსიანთა“ ხანიდან (ძვ. წ. XII—IV სს.) მოსდგამდათ და რაკი ქართლის მეფეც შემდგომ-ეზოასმოდლუართა (ეპიტროპოს-რბ თრბს) შემეფოებით თავისი სახლის მეურნეობის მართვა-გამგეობას ახორციელებდა, „ეზოასმოდლუარის“ ძირითადი ვალდებულება „ხარკი სამეუფოს“ შეკრება უნდა ყოფილიყო<sup>29</sup>. და თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ „ქართლოსიან“ სახელმწიფო წარმონაქმნთა ჩამოყალიბება ომისა და დაპყრობების გზით მიმდინარეობდა, ომის ფუნქციის წინა პლანზე წამოწევის გამო „ზენა სოფლის“ მამასახლისთა „შემდგომ“-„ეზოასმოდლუარი“ უკვე ქართლოსიან „უფლოსის“ ხანიდან „ზენა სოფლის“ ფარგლებში სამხედრო წინამძღვრობას იმკვიდრებს და ფარნავაზის „შემდგომის“ სახლის „სპასპეტობაც“ ამ ისტორიული სიტუაციის ანარეკლია.

ქართლის მეფის „შემდგომთა“ „ეპიტროპოსობა“, როგორც ამას სერაფიტის ეპიტაფიის ბერძნული ტექსტი წარმოგვიდგენს, მხოლოდ ქართლის მეფის „ეზოასმოდლუართა“ მეურნეობის გამძღოლის ფუნქციაზე არ მიგვანიშნებს, რადგან ამ ნიშნით „ეზოასმოდლუარის“ სოციალურ პროფილს უფრო რელიეფურად ბერძნ. οἰκονόμος (ეკონომი) ტერმინი წარმოაჩენდა. „ეპი-

<sup>28</sup> დაწვრილებით იხ., გ. მამულაია, კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში, გვ. 50—88; მისივე, პატრონეჟობა, გვ. 63—110.

<sup>29</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, გვ. 648.



ტროპოსს“, როგორც ითქვა, მეურნეობის გაძღოლის გარდა უსასაკოთა აღზრდა-მფარველობა ეკითხებოდა და ამ ნიშნით განსხვავდება კიდევ „ოიკონომოსისაგან“. მკირეწლოვანთა გამზრდელებად კი ძველ ქართლში „მამამძუძუები“ გამოდიოდნენ<sup>30</sup>, რაც ნიშნავს, რომ არმაზის ბილინგვის ბერძნულ ტექსტში დამოწმებული „ეპიტროპოსი“ იოდმანგან ეზოსმოდღვის სახლის მიერ ქსეფარნუგ იბერთა მეფის „მამამძუძუებით“ გაზრდას გულისხმობდა<sup>31</sup>.

თეორიული თვალსაზრისით „უფალის“ სტატუსამდე აღზევებულ არისტოკრატიულ სახლთა სოციალური კონსოლიდაციის გარეშე სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის წარმოქმნა შეუძლებელია. „უფალთა“ სახლების სოციალური შექავეობის გაბატონებულ ფორმას კი გვიანბრინჯაო-ადრერეკინის ხანის ძველქართულ ტომებში „მამამძუძუების“ სოციალური ინსტიტუტის წარმოადგენდა<sup>32</sup>. თუკი „მამამძუძუე“ გამზრდელი არის, მამამძუძუს გაზრდილი „ძუძუელ“ ტერმინით აღინიშნებოდა, ხოლო მამამძუძუს შვილი ძუძუელის მიმართ „ძუძუეს-მტედ“ (ძუძუს მოზიარედ) გაიზრებოდა<sup>33</sup> და რადგან მამამძუძუს სახლი ძუძუელის სახლის ქვეშევრდომ სახლს წარმოადგენდა, მამამძუძუობაც ძუძუელის სახლის უახლოესი ვასალის (ქვეშევრდომის მნიშვნელობით, — ტ. ა.) სახლს ეკისრებოდა<sup>34</sup>, რაზეც იაკობ ხუცესის ის ცნობაც მიგვანიშნებს, რომელიც ვარსკენ პიტიახშის მამამძუძუს სახლის წარმომადგენელს— პიტიახშის ძუძუესმტეს „საკუთარობით“ უხმობს: „პიტიახშმა გამოარჩია ძუძუეს-მტე მისი საკუთარი“<sup>35</sup>. „საკუთარის“ კუთვ- ძირი იმაზე მიგვანიშნებს, რომ „საკუთარი“ ის არის, ვინც უფალის ვასალთა შორის გამოკვეთილი, გამორჩეული არის და ამ აზრით „საკუთარიც“ უფალის ვასალთა შორის ყველაზე უახლოეს ქვეშევრდომს წარმოადგენდა<sup>36</sup>. ამის გამო, ვარსკენის მამამძუძუს სახლი ქართლის პიტიახშთა „შემდგომის“ სახლი უნდა ყოფილიყო, იმისგან დამოუკიდებლად, რომ იაკობ ხუცესი არას გვამცნობს ვარსკენის მამამძუძუს სახლის „შემდგომობაზე“. |

ძველი ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად, ქართლის მეფეთა ოჯახის მამამძუძედ „შემდგომის“ ხელის მპყრობელ სპასპეტთა სახლი გამოდიოდა<sup>37</sup>, რაც შემთხვევითი არ არის, თუ გავითვალისწინებთ, რომ მამამძუძუობა ძუძუელის სახლის უახლოესი ვასალის სახლს ეკისრებოდა. ქართლის მეფეთა მამამძუძუს სახლს მამამძუძუობა მეგვიდრეობით რომ მოსდგამდა, ლეონტი მროველთან შემონახული გადმოცემები მიგვითითებენ. ლეონტი მროველის ცნობით, ქართლის მეფე ფარსმან ქველს ჰყავდა სპასპეტი, „სახელით ფარნავაზ. ესე ფარნავაზ ძუძუესმტე იყო ფარსმანისი“<sup>38</sup>. ამ ცნობიდან ჩანს, რომ ფარსმან ქველს მამამძუძუ ფარნავაზ სპასპეტის მამა ყოფილა. როდესაც სპარ-

30 გ. მამულაია, კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში, გვ. 63—86.

31 მისივე, პატრონყმობა, გვ. 79—80. |

32 გ. მამულაია, კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში, გვ. 63—86.

33 იქვე, გვ. 72—73.

34 იქვე, გვ. 69—73.

35 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 24.

36 ილ. აბულაძე, შრომები, ტ. II, თბ., 1976, გვ. 12—22; ა. ზოგვერაძე, ქართლის ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1961, გვ. 21—22.

37 გ. მამულაია, კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში, გვ. 67—68, 70—72. |

38 ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 51.

სელებმა ფარსმან ქველი მოწამლეს, ლეონტი მროველის თანახმად, „ფარსმან-ვაზ სპასპეტმან წარიყვანა ცოლი და ძე ფარსმან ქუელისა, და ივლტოდა, და მივიდა სომხითს“<sup>39</sup>. ეს ნიშნავს, რომ ფარსმან ქველის ძუძუსმტე ფარსმან ქველის შვილის მამამძუძედ იქცა. უფრო საყურადღებო კი ის არის, რომ მეფის გარდაცვალების შემთხვევაში მეფის ობლად დარჩენილი უფლისწულისა და უმწეო ქვრივის მეურვეობა-მფარველობა მამამძუძის სახლს ეკისრებოდა. მამამძუძე უფლისწულის გამზრდელი რომ იყო და უფლისწული გა-საზრდელად მამამძუძისთანავე რომ მიჰყავდა, ჭუანშერის ცნობითაც დასტურდება, რომლის თანახმადაც, როდესაც ვახტანგ გორგასალი იშვა, „მოითხოვა მეფისაგან საზრდოდ საურმაგ სპასპეტმან ვახტანგ, დიდითა ვედრებითა, ზოლო მიანიჭა მეფემან და მისცა ძე მისი ვახტანგ საურმაგს სპასპეტსა საზრდოდ. რამეთუ წესი იყო, რომელ შვილნი მეფეთანი წარჩინებულთა სახლსა შინა აღიზარდიან. შემდგომად ამისსა, მეექუსესა წელსა, შვა საგდუხტ ასულმ სხუა, და უწოდა სახელი მისი მირანდუხტ. და მოითხოვა იგი საზრდოდ სპასალარმან კასპისამან, და მისცა იგი მეფემან“<sup>40</sup>. ჭუანშერის ცნობები ქართლის მეფეთა მამამძუძეების შესახებ ნდობას იმდენად იმსახურებენ, რამდენადაც მათში ის არქაული ტრადიცია აირეკლა, რომლის თანახმად, ქართლის მეფის მამამძუძე სახლთა შორის მამამძუძეობის უპირატესი უფლებით ქართლის მეფის უახლოესი ვასალის — „შემდგომის“ სახლი სარგებლობდა. სწორედ აღნიშნული იურიდიული ფიქცია — „მამამძუძეობა“ იყო სპასპეტთა „შემდგომობის“ საფუძველი, რადგან ჯერ კიდევ „ქართლოსიანთა“ ხანაში „ზენა სოფლის“ (არაგვითვან ტასისკარამდე) სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის „მამასახლისისა“ (ტომის ბელადის) და მისი „შემდგომ“-„ეზოასმოდლუარის“ სახლთა სოციალური კონსოლიდაცია „მამამძუძეობის“ ხელოვნური ნათესაობის ინსტიტუტის გარეშე ვერ განხორციელდებოდა<sup>41</sup>.

მეფის გარდაცვალების შემთხვევაში უფლისწულის მეურვედ დადგინებულ მამამძუძეს უფლისწულის სრულწლოვანებამდე და მეფედ კურთხევამდე უმეფოდ დარჩენილი საეფოს მართვა-გამგეობა რომ ევალებოდა, ლეონტი მროველის ცნობა მიგვითითებს<sup>42</sup>. როდესაც სპარსთა მეფე ქასრემ თავისი შვიდი წლის ვაჟი მირიანი ქართლის უფლისწულად დაადგინა, ლეონტი მროველის თქმით, ქასრემ „დაუტევა მამამძუძედ და განმგებლად წარჩინებული ერთი, რომელსა ერქუა სახელად მირვანოზ“<sup>43</sup>. ამრიგად, მამამძუძეობის ინსტიტუტის შესახებ ზემომოტანილ ცნობებს თუ შევაჯამებთ, შეიძლება ითქვას, რომ მამამძუძის ის ვალდებულება, რომელიც მეფის გარდაცვალების შემთხვევაში მამამძუძეს უფლისწულისა და დედოფლის მეურვეობის გვერდით ქვეყნის მართვა-გამგებლობის უფლებასაც ანიჭებდა რეგენტის სტატუსით, მამამძუძის ძირითადი ვალდებულებებისაგან — ძუძულის გამზრდელის ვალდებულებიდან მომდინარეობდა.

<sup>39</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 2.

<sup>40</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 143.

<sup>41</sup> ამ სახლების სოციალური ისტორია დაწერილებით იხ., გ. შამუღია, პატრონჟმობა, გვ. 72—88.

<sup>42</sup> გ. შამუღია, კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში, გვ. 67.

<sup>43</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 64—65.

დავაცენით: „შემდგომ“-„ლეკოლოტ“-„ეზოასმოძღუარ“-პალატისა მთავარ“-რბ თრბს-ეპიტროპოსად წოდებული მეფის შემდეგ მეორე პირი, როგორც უფლისწულის ეპიტროპოს-„მამამძუძე“, უფლისწულის გამზრდელს, მეურვე-მზრუნველსა და რეგენტს წარმოადგენდა, ხოლო როგორც ქართლის მეფის ეპიტროპოს-„ეზოასმოძღუარი“ და ზენა სოფლის ერისთავი, სამეფო სახლის მეურნეობის გამძლოლი იყო. „შემდგომის“ სპასპეტობა და ქართლის „ერისთავთა მთავრობა“ იმავე მიგვანიშნებს, რომ „შემდგომი მეფისაჲ“ უზენაესი სამხედრო და სასამართლო ძალაუფლებით აღჭურვილი პირი იყო. ამის გამო, მართებული ჩანს ა. ნოვოსელცევის თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ არმაზის ბილინგვის ბერძნულ ტექსტში დამოწმებული „ეპიტროპოსი“ არა მხოლოდ მეფის მეურნეობის გამძლოლს, არამედ უფლისწულის მეურვესა და მეფის ნაცვალს, ვიცე-მეფეს წარმოადგენდა<sup>44</sup>, რაც ნიშნავს, რომ „შემდგომ“-„ეზოასმოძღუარად“ წოდებულმა ზენა სოფლის ერისთავმა დანარჩენ ერისთავთა „მთავრობა“ (უფროსობა) და სამეფოს განმგებლობა ვიცე-მეფობის უფლებით დაიმკვიდრა. „შემდგომი მეფისაჲ“ მეფის ნაცვალი, მეფის მოადგილე, ანუ ვიცე-მეფე რომ იყო, ოშკის ბიბლიაში შემონახული ესთერის წიგნის ძველქართულ ენაზე მთარგმნელი მიგვანიშნებს, რომელიც ბერძნ. „დიადოხოს“ — მეფის ნაცვალს ძველქართულ სოციალურ ტერმინთა ენაზე „შემდგომად“ (ესთერ, 9,3) თარგმნის. ამის გამო, შემთხვევითი არ არის, რომ „ეპიტროპოსი“ მეურნეობის გამძლოლისა და უსააკოთა გამზრდელ-მზრუნველის გვერდით მეფის ნაცვალად, ვიცე-მეფედ განიშარტება<sup>45</sup>. ქართლის მეფის „შემდგომის“ ვიცე-მეფობას გახაზავს ტრაბონი, როცა „დეუტეროსს“ მეფის ფუნქციებით აღჭურვილ პირად — უზენაეს მხედართმთავრად და მსაჯულად წარმოგვიდგენს. ქართული ორიგინალური წყარო, რომელიც „შემდგომის“ ვიცე-მეფობაზე მიგვანიშნებს, ჟუანშერი არის. ჟუანშერის გადმოცემის თანახმად, „ვითარ იქმნა ვახტანგ წლისა თხუთმეტისა, მოუწოდა ყოველთა წარჩინებულთა ქართლისათა, და შემოკრიბნა ყოველნი ქალაქად. და განმზადა მეფემან სახლი ერთი და დაჯდა საყდართა ზედა მაღალთა, ხოლო ჟუანშერ სპასპეტი და ორივე ეპისკოპოსნი დასხდეს საყდართავე, და სხუანი ყოველნი ერისთავნი დასხდეს სელებითა“<sup>46</sup>. როგორც მოტანილი ცნობიდან ჩანს, ქართლის მეფე სასახლის დარბაზის თავში მდგარ „საყდართა ზედა მაღალთა“ დაბრძანდებოდა. „საყდარსავე“ ეუფლებოდა სპასპეტი, ხოლო ერისთავნი „სელებზე“ ისხდნენ. „საყდარი“ ძველქართულში ტახტს აღნიშნავდა და „საყდარიც“ „სელისაგან“ განსხვავებით ის სკამი იყო, რომელიც „სეფე“-სასახლეს ედგა თავში იმისგან დამოუკიდებლად, თუ ვის ეკუთვნოდა სეფე — მეფეს, ერისთავს, კათალიკოსსა თუ ეპისკოპოსს. „საყდარი“ სეფეს თავში მდგომ ტახტს რომ აღნიშნავდა, ამას ფეოდალური ხანის წყაროებში კათედრალის მნიშვნელობით დადასტურებული ტერმინ „საყდარის“ სოციალური ანალიზიც მოწმობს. „საყდარ“ ტერმინით კათედრალი იმითომ აღინიშნა, რომ მასში ეპისკოპოსისა თუ კათალიკოსის ტახტი — „საყდარი“ იდგა და

<sup>44</sup> А. П. Новосельцев, Генезис феодализма в странах Закавказья, М., 1980, 83-112.

<sup>45</sup> A Greek-English Lexicon compiled by H. G. Liddell and R. Scott, vol. I, 83-669.

<sup>46</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 147.

ამ თვალსაზრისით „საყდარი“ (კათედრალი) ტახტსა და სატახტო ეკლესიას ნიშნავს მხოლოდ. ამრიგად, „საყდარი“ სეფეს ფლობისა და სეფეში სოციალური უფროსობის გარეგნული ნიშანი იყო, „სელი“ კი — უმცროსობისა. რაკი ერისთავებს სკამად არა „საყდარი“, არამედ „სელები“ ედგათ, „საყდარისა“ და „სელთა“ ამგვარი დაპირისპირებით ჭუნაშერი მეფესა და ერისთავებს შორის არსებულ იმ სოციალურ სხვაობაზე მიგვანიშნებს, რაც უფროს-უმცროსობით იყო შეპირობებული. სწორედ სოციალური უფროსობა და უმცროსობა განაპირობებდა იმას, რომ მეფე „უფროს“ სკამზე — „საყდარზე“ სუფევდა, ხოლო ერისთავნი „საყდარის“ მპყრობელი მეფისადმი უმცროსობის ნიშნად „უმცროს“ სკამებზე — „სელებზე“ იხდნენ.

ჭუნაშერის გადმოცემის თანახმად, სპასპეტი მეფის დარად „საყდარზე“ იჯდა, თუმც, როგორც ერისთავს, დანარჩენ ერისთავთა მსგავსად „უმცროსი“ სკამი — „სელი“ უნდა დგმოდა. ერისთავთა შორის სპასპეტის, როგორც ზენა სოფლის ერისთავის მეფესთან ყველაზე ახლოს ჯდომა შემთხვევითი არ არის. იგი იმ „პატივის“ რიგით უნდა ყოფილიყო შეპირობებული, ზენა სოფლის ერისთავს რომ ეპყრა. იმისდა მიუხედავად, რომ ჭუნაშერი არას გვამცნობს სპასპეტის „შემდგომობის“ შესახებ, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ძველი ქართული საისტორიო ტრადიციის ცნობას სპასპეტთა „შემდგომობის“ თაობაზე გარკვეულწილად ეხმაურება ჭუნაშერიც, როცა სპასპეტს „საყდარის“ მპყრობელად სახავს. რაკი ესთერის წიგნის ძველქართულ თარგმანთა 8. 12 l-ის ცნობით, „შემდგომის“ სკამს „შემდგომი სამეუფოა საყდარი“ ერქვა, შეიძლება დავასკვნათ, რომ სპასპეტს „საყდარი“ „შემდგომობის“ უფლებით ედგა. მაშასადამე, როგორც ქართლის მეფე, ისე მისი „შემდგომი“, „სამეუფო საყდარზე“ იხდნენ. მათ მხოლოდ ის განასხვავებდათ, რომ თუ მეფის „საყდარი“ უფროსობა-უზენაესობის გამო „მაღალი“ იყო, „შემდგომის“ საყდარი მეფე-მონარქისადმი უმცროსობა-„შემოდგომის“ საფუძველზე მეფის საყდარის სწორი ვერ იყო და რიგით „მეორე“, „შემდგომი“, ანუ უმცროს „სამეუფო საყდარს“ წარმოადგენდა.

კითხვა დაისმის, — რამ განაპირობა ის გარემოება, რომ ზენა სოფლის ერისთავი სხვა ერისთავთა ანალოგიურად „სელზე“ კი არ იჯდა, არამედ მეფის დარად „საყდარზე“ სუფევდა, ანუ მეფისადმი უმცროსობა არა „სელის“ პყრობაში, არამედ „საყდარის“ უმცროსობაში აისახა? თუ შევიწყნარებთ იმ აზრს, რომ „საყდარი“ სეფეს ფლობის გარეგნულ სოციალურ ნიშანს წარმოადგენდა და მეფეც „საყდარზე“ სეფეს ფლობის ნიშნად იჯდა, ძნელი მისახვედრი აღარ არის, რომ რიგით „მეორე“ (ძვ. ქართ. „შემდგომი“), „უმცროსი“ საყდარის პყრობის საფუძველზე „შემდგომი მეფისადა“ სეფეს რიგით „მეორე“, „უმცროსი“ მესაკუთრე იყო და, შესაბამისად, „უფროს“ საყდარზე მჯდომი სეფეს უზენაესი მფლობელის — ქართლის მონარქის ნაცვალი, მოადგილე, ანუ ვიცე-მეფე. „შემდგომის“ ვიცე-მეფობაზე მის მიერ „სამეუფო საყდარის“ პყრობა მიგვანიშნებს. „სამეუფო საყდარი“ მეფის კუთვნილ ტახტს ნიშნავს, „შემდგომი სამეუფოა საყდარი“ — რიგით „მეორე“ („უმცროს“) სამეფო ტახტს; და „მეორე“, „უმცროსი“ სამეფო ტახტზე მჯდომიც, შესაბამისად, „მეორე“, „უმცროსი“ მეფე, ანუ მეფის ფუნქციებით აღჭურვილი პირი — ვიცე-მეფე არის. ამრიგად, ჭუნაშერის ცნობა „საყდარების“ შესახებ ყველაზე რელიეფურად წარმოაჩენს „შემდგომის“, როგორც მეფის ნაცვლის სოციალურ ფუნქციას და მოტანილი ცნობაც „საყდართა“ და „სელ-

თა“ შეპირისპირების თაობაზე ამ მხრივ არის საყურადღებო. დავასკვნით: ქართლის მეფის „შემდგომს“ სეფეში „საყდარი“ ვიცე-მეფობის სოციალურ წინადასტურებას.

„შემდგომის“ საყდრისა და სახელოს სოციალური ფუნქცია ყველაზე რელიეფურად იმ სიტუაციიდან გამოსჰვივის, რომელიც ქართლის სამეფოში მეფე-მონარქის გარდაცვალების შემთხვევაში უფლისწულის მცირეწლოვნობის გამო წარმოიქმნებოდა. რადგან უსაკობის გამო ტახტის მემკვიდრეს მეფედ კურთხევის უფლება გადაკვეთილი ჰქონდა, მცირეწლოვანი უფლისწულის მეურვეობა-რეგენტობა „მამამძუძობის“ საფუძველზე „შემდგომს“ ეკისრებოდა, ხოლო ქვეყნის მართვა-გამგეობა, ვიდრე ტახტის მემკვიდრე ასაკს არ მიაღწევდა და „სამეფო საყდარზე“ არ აღსაყრდებოდა, „შემდგომი სამეფო საყდრიდან“ ხორციელდებოდა.

ჯუანშერის ცნობებს „შემდგომთა“ ვიცე-მეფობის შესახებ ეხმაურება ლეონტი მროველიც, რომელიც გვამცნობს: „იყვის ფარნავაზ სპასპეტ ქართლსა შინა, ხოლო მეფე ფარსმან ქუელი იარებოდის და განაგებდის სამეფოსა თვისა“<sup>47</sup>. ამ ცნობის მიმართ ნ. ბერძენიშვილი შენიშნავდა, რომ საქართველოს მეფეთა ეს ბოლომოუღებელი „იარებოდის და განაგებდის“ მათი თავმესაქცევი სიძნობა კი არ იყო, არამედ სახელმწიფოს მართვა-გამგეობის აუცილებლობით გამოწვეული გარემოება. „ბაგრატ III, დავით აღმაშენებელი, თამარი, გიორგი ბრწყინვალე, ალექსანდრე I, — განაგრობს ნ. ბერძენიშვილი, — ყველანი „იარებოდის და განაგებდის“ „საქმესა მანდაურსა“. ურჩებს სწურთინდის, ერთგულთ შეიწყალებდეს, ავარებდნენ ხარკის და სამართლის საქმეებს“<sup>48</sup>. ეს ნიშნავს, რომ ლეონტი მროველი აღნიშნულ სიტუაციას თვითვერ შეთხზავდა. ხოლო მის ცნობაში არქაულ პლასტს ის რეალურ-ისტორიული ფაქტი წარმოადგენს, რომ მეფის „იარებოდის და განაგებდის“-ის შემთხვევაში მეფის ნაცვალი მცხეთას რჩებოდა. აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ რომში ჩასულ ფარსმან II-ს უახლოეს ქვეშევრდომთაგან „შემდგომი“ მხლებელთა ამაღში არ უნდა ჰყოლოდა.

ახლა დავადგინოთ, 523 წლის აჯანყების მარცხით თუ რა ბედი ეწია „შემდგომთა“ ტახტს?

ამ თვალსაზრისით საყურადღებო ცნობა „ეესტათი მცხეთელის მარტვილობამ“ შემოგვინახა, რომლის თანახმად, ეესტათის შეპყრობიდან მეექვსე თვეს სპარსთა მეფემ ქართლის მარზპანი არვანდ გუშნასპი სპარსეთს გაიწვია. „და ვითარ წარემართებოდა მარზპანი იგი მეფისა მის, შეკრბეს ქართლისა მთავარნი, მარზპანისა მის ჯმნად მოვიდეს. რაჟამს ამკვიდრდებოდა მარზპანი იგი, აღდგეს ქართლისა მთავარნი: და სამუელ ქართლისა კათალიკოსი და გრიგოლ ქართლისა მამასახლისი და არშუშა ქართლისა პატიახში და სხუანი სეფეწულნი“<sup>49</sup>. ის გარემოება, რომ გრიგოლ ქართლისა მამასახლისი ქართლის „სეფეწულ“-„მთავართა“ შორის არის დასახელებული, თავისთავად გამოირიცხავს იმ მკვლევართა თვალსაზრისს, რომელნიც „ქართლის მამასახლისის“ სახელოში ქართლის მეფის ხელისუფლებას ხედავენ<sup>50</sup>. უკანასკნელად აღნიშნუ-

<sup>47</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 51.

<sup>48</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. VIII, გვ. 646.

<sup>49</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, გვ. 34.

<sup>50</sup> საკითხის ისტორია იხ., ა. ზოგვერაძე, ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-კონომიკური განვითარება IV—VIII საუკუნეებში, თბ., 1979, გვ. 63—68.



ლი საკითხი გ. მამულიამ განიხილა, რომელიც ამ ცნობასთან დაკავშირებით წერს: თუკი ქართლის მამასახლისი „ქართლის სამეფო ხელისუფლების გაუქმების შემდეგ სპარსელი მარზპანის წინაშე ქართლის საერო ხელისუფლებას წარმოადგენდა, მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გრიგოლი ქართლის მეფის „შემდგომთა“ სახლს ეკუთვნოდა“<sup>51</sup>. სპარსელებმა ქართლში მეფობა დააშვეს და ქართლის მეფეთა საყდარს სპარსელი მარზპანი დაესაკუთრა, რომელიც, როგორც შაჰის მოხელე, სპარსთა უზენაესობას განასახიერებდა ქართლის სამეფოში. ქართლის მეფის წილ ქართლის მეფეთა ტახტზე სპარსელი მარზპანის დაჯდომა ქართლის სამეფოს სუვერენიტეტის დამზობას მოასწავებდა მხოლოდ და არა მმართველობის აპარატის მოშლას. ქართლის მეფის „შემდგომთა“ ტახტი, ბუნებრივია, მეფობის გაუქმებას არ გადაჰყოლია, რადგან „შემდგომი“, როგორც ქართლის „ერისთავთა მთავარი“, ქართლის მარზპანის წინაშე ადმინისტრაციულ მოხელედლა დარჩა მხოლოდ. ა. ბოგვერაძე უდავოდ მართალია, როცა გრიგოლ ქართლის მამასახლისის ადმინისტრაციულ ფუნქციებს ყოფილი სამეფო სახლის მეურნეობის გაძლოლაში ხედავს<sup>52</sup>. „ევესთათი მცხეთელის მარტილობის“ ავტორის ცნობით, ვეჟან ბუზშიპრი მარზპანად სამიოდე წლის შემდეგ შემოვიდა ქართლს<sup>53</sup>. თუკი გრიგოლი ქართლის უზენაეს გამგებლად მყოფი მარზპანის წინაშე ქართლის საერო ხელისუფლებას განასახიერებდა, სამი წლის განმავლობაში ირანის შაჰისადმი დაქვემდებარებულ უმარზპანოდ დარჩენილ ქვეყანას, რასაკვირველია, „ქართლის მამასახლისი“ განაგებდა. ამის გამოც, „ქართლის მამასახლისის“ შემდგომ-ეზოსმომძღუარობა მართებული გვეჩვენება, ხოლო ყოველივე შემოთქმულის საფუძველზე დავასკვნით, რომ „ევესთათი მცხეთელის მარტილობის“ ავტორი „შემდგომის“ ინსტიტუტთან დაკავშირებულ სოციალურ ტერმინთა შორის კიდევ ერთ სოციალურ ტერმინს ასახელებს. „ქართლის მამასახლისი“ ამ კონკრეტულ შემთხვევაში სამეფო „სახლი“-მეურნეობის უფროსს („მამას“) ნიშნავს „სახლის უხუცესის“ მნიშვნელობით და „ეზოსმომძღუარის“ ანალოგიურად არამეფულ-სირიული სამყაროსათვის ცნობილ რაბ თარბასა-სა და რაბ ბაათა-ს დარი სოციალური ტერმინია.

დავასკვნით: ძველი ქართული საისტორიო ტრადიცია, ბიბლიურ წიგნთა ძველქართული თარგმანები, სტრაბონისა და არმაზის ბილინგვის ცნობები ერთხმად მიგვანიშნებენ, რომ ქართლის (იბერთა) სამეფოში მეფის შემდეგ მეორე პირის ინსტიტუტი არსებობდა, რომელსაც ძველქართული წყაროები „შემდგომ“-„ეზოსმომძღუარ“-„ქართლისა მამასახლის“-„ლერკოლოტ“-„მეფისა პალატისა მთავარს“ უწოდებენ. თუ სტრაბონისა და ძველქართული საისტორიო ტრადიციის მიხედვით, ქართლის მეფის „შემდგომი“ ქართლის სამეფოს უზენაესი სამხედრო ხელისუფალი — „სპასპეტი“ და მოსამართლე — „მსაჯული“ იყო და იმავდროულად ზენა სოფლის ერისთავად და ქართლის „ერისთავთა მთავრად“ ითვლებოდა, არმაზის ბილინგვის არამ. რბ თარბს-ს ექვივალენტი ეპიტროპოსი იოდმანგან ეზოსმომძღვრის სახლის „შემდგომობაზე“, „მამამძქეობაზე“ და „ეზოსმომძღუარობაზე“ მიგვანიშნებს, რადგან არმაზის ბილინგვის „ეპიტროპოსი“ ძველქართულ სოციალურ ტერმინთა ენა-

51 გ. მამულია, პატრონეჟობა, გვ. 93. ;

52 ა. ბოგვერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 68. ;

53 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, გვ. 35.

ზე „შემდგომად“ (ვიცე-მეფე), „მამამძუძედ“ (გამზრდელი, მეურვე, რეგენტი) და „ეზოაზმოდგუარად“ (მეურნეობის გამძღოლი, მწე) შეიძლება განიხილოს მხოლოდ. ამიტომაც იყო, ქართლის მეფის „ეზოს“ თავში ორი „საყდარი“ რომ ედგა — „სამეუფო საყდარი“ მეფე-მონარქისათვის და „შემდგომი სამეუფო საყდარი“ ქართლის მეფის „შემდგომისათვის“. ერისთავები კი, როგორც უმცროსნი „საყდართა“ მპყრობელ მეფე-მონარქისა და ვიცე-მეფის მიმართ, „სეღებზე“ ისხდნენ.

Т. З. АХАЛАИА

## СОЦИАЛЬНАЯ ИСТОРИЯ ИНСТИТУТА ВТОРОГО ПОСЛЕ КАРТЛИЙСКОГО (ИБЕРИЙСКОГО) ЦАРЯ ЛИЦА

Резюме

Древнегрузинская историческая традиция указывает на наличие в древней Картли (Иберии) института второго после царя лица (др. груз. шемдгоми меписай — эзойсмодзгуари).

В статье доказано, что *ἑπιτροπος*—*ἐπιτροπος* (древнегрузинский «эзойсмодзгаури») армазской билингвы (II в.) — являлся наместником царя, вице-царем. На основе изучения института «эпитропоса» установлено, что древнегрузинский эквивалент институтов типа эпитропоса «шемдгоми» — эзойсмодзгуари является, с точки зрения генезиса, социальным институтом, возникшим в древнегрузинском «сахли» (дом). Если во главе «сахли» стоял «мамасахлиси» (старейшина дома), то следующую после него ступень занимал эпитропос — наместник мамасахлиси («шемдгоми» — «эзойсмодзгуари»). Поэтому эпитропоса армазской билингвы следует воспринимать лишь как «шемдгоми меписай» (вице-царь), «эзойсмодзгуари» (эконом) и «мамамдздудзе» (воспитатель, опекун, регент).

T. AKHALAIA

## THE SOCIAL HISTORY OF THE INSTITUTION OF THE NEXT TO THE KING OF KARTLI (IBERIA)

Summary

According to Georgian historical tradition in old Kartli (Iberia) there existed an institution of the next to the King—„shemdgomi mepisai“ (the next to the King)—„ezoismodzguari“ (the prince of the court). In the given article it is argued that the Armazi bilingual Inscription (2 nd cent.) aram. *rb trbs* and gr. *ἐπιτροπος* (old georg. «ezoismodzguari») represented a vice-roy. The study of the social history of the institution of epitropos has revealed that «shemdgomi»—«ezoismodzguari» which is an old Georgian equivalent of the social institutions of the type of epitropos is originated

in old Georgian «sakhli» («House»). «Sakhli» was headed by the «mamasakhli» (father of the house) and the next hierarchically descending step in the scale of ranks was occupied by epitropos—vice-mamasakhli. Hence the epitropos of the Armasi bilingual Inscription should be interpreted only as «shemdgomi mepisai» (vice-roy), «ezoismodzguari» (royal steward) and «mamamdzudze» (governor, protector, regent).

წარმოადგინა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა მ. ლორთქიფანიძემ



მანა ლიხაშიძე

ივანე ნებეირიძე და XIX საუკუნის სამხრეთ საქართველოს  
ისტორიის საკითხები

ივანე ნებეირიძე XIX ს-ის საინტერესო მოღვაწეა. მისი ლიტერატურული შემოქმედება საყურადღებო მასალას გვაწვდის XIX ს-ის სამხრეთ საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ვითარების შესახებ.

ი. ნებეირიძის ცხოვრება და შემოქმედება საგანგებოდ ღღემდე არ ყოფილა შესწავლილი. ამის გამო მის შემოქმედებას ღღემდე არ ჰქონდა მიჩენილი ადგილი XIX ს-ის სამხრეთ საქართველოს მოღვაწეთა შორის.

ი. ნებეირიძეს უმოღვაწია პედაგოგიკისა და ლექსიკოლოგიის სფეროში, ჩაუსწორებია და გაუმართავს ძველი აღთქმის ქართული ტექსტი<sup>1</sup>, გადაუწერია ბიბლიის წიგნთა საკითხავები (ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი Q 508), შეუდგენია კრებული „ედემი, რომელ არს სამოთხე, გინა წალკოტი შუშნიერი ბალი“ (Q 524), ასეტიკურ-პომილტიკური კრებული „გოდება ყოველთა ცოდვათათვის“ (S 4872) და სხვა. |

ნაწერების მიხედვით, ი. ნებეირიძე თავისი დროის კვალობაზე განათლებულ პიროვნებად წარმოგვიდგება. გარდა ამისა იგი პროფესიონალი გადაწერ-კალიგრაფიც ყოფილა. არ შეიძლება მკითხველს სიაშოვნება არ მოჰგვაროს მისი კალიგრაფიული ხელით შესრულებულმა ხელნაწერებმა.

ი. ნებეირიძის თხზულებათა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კრებული „ედემი, რომელ არს სამოთხე, გინა წალკოტი შუშნიერი ბალი“ (Q 524). ხელნაწერი ორი ნაწილისაგან შედგება და წარმოადგენს კანონიკურ და დოქტორულ თხზულებათა კრებულს, რომელიც შეიცავს კატეხიზმოს, საქრისტიანო მოძღვრებას და სხვა თხზულებებს. ხელნაწერს წინ ერთვის ი. ნებეირიძის ავტობიოგრაფიული თხზულება (გვ. 2r—34v), რომელიც საყურადღებო მასალას შეიცავს XIX ს-ის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ვითარების შესახებ. წინამდებარე წერილი მიზნად ისახავს ი. ნებეირიძის ამ თხზულების, როგორც საისტორიო წყაროს, განხილვას. ვინაიდან ი. ნებეირიძე მის მიერ აღწერილ მოვლენათა მონაწილედ და თვითმხილველად გვევლინება, მის მიერ დამოწმებული ფაქტები სანდო და მნიშვნელოვანია საისტორიო მეცნიერებისათვის. „რაც გამიგონია ყურითა, რამდენიც გარდამხდენია თავზედ და რამდენიც რომ მომაგონდა და გამახსენდა ფიქრში, სულ აქ წვრილად დამიწერიაო“<sup>2</sup> —წერს იგი თხზულების ბოლოს

1 ი. ნებეირიძის მიერ ჩასწორებული ბიბლია დაუთვლია ეროვნული ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა განყოფილებაში K  $\frac{36}{609}$ . ამასთან დაკავშირებით იხ. ჩვენი წერილი „ქართული ბიბლიური ტექსტის სწორების ერთი გვიანდელი შემთხვევა“, „მატენე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1990, № 2, გვ. 49—60.

4 ხელნაწერთა ინსტ., Q 524, გვ. 30v. |

დართულ ანდერძში და, მართლაც, მოგონებებში აღწერილია ავტორის თავგადასავალი დაბადებიდან ნაწარმოების წერის მომენტამდე. ვინაიდან თხზულებაში გადმოცემულია თვითმხილველის მიერ საკუთარი თვალით ნანახი და განცდილი ამბები, მას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, როგორც საუკეთესო პირველწყაროს XIX ს-ის I ნახევრის სამხრეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ვითარების შესასწავლად. შ. ლომსაძის აზრით, „მოვლენათა თანმიმდევრული აღწერისა და საკითხთა ინტერესების სიფართოვით, ი. ნებიერიძე შეიძლება მივიჩნიოთ ახალციხური ქრონიკების ავტორთა ერთ-ერთ შემავსებლად და გამგრძელებლად. იგი თვითმხილველი შეისტორიის სიმკაცრით აღგენს ჩვენს წინაშე ცალკეულ ფაქტსა და მოვლენას“<sup>3</sup>. მართლაც, საკუთარი ბიოგრაფიის ფონზე, ი. ნებიერიძე გააზრებულად გადმოსცემს XIX ს-ის დასაწყისში მესხეთში მომხდარ ამბებს, ნაწარმოების ენა მარტივია და ადვილად გასაგები, რის გამოც ინტერესით იკითხება. ი. ნებიერიძის თხზულება წარმოადგენს მემუარული ჟანრის ნაწარმოებს, რომელშიც ავტორმა შეძლო თავისი დაკვირვებების, ფიქრებისა და განცდების გადმოცემა, გამოავლინა ცოდნა და ინტერესი მისი თანამედროვე ცხოვრების ყველა მხარისადმი. თხზულებას თავდაპირველად ყურადღება მიაქცია აჭარის ისტორიის მკვლევარმა ხუსეინ ახვლედიანმა და გამოსცა ნაწარმოების ის ნაწილი, რომელიც აჭარის ისტორიასა და სამხრეთ საქართველოში ტყვეებით ვაჭრობას ეხება. მკვლევარმა წიგნი ასე დაასათაურა: „ი. ს. ნებიერიძის მოგონებანი თურქების მიერ სამხრეთ საქართველოში გოგო-ბიჭების მოტაცებისა და ტყვეებით ვაჭრობის შესახებ“ (ბათუმი, 1948). ი. ნებიერიძის მოგონებები გამოყენებული აქვს აგრეთვე სამხრეთ საქართველოს ისტორიის მკვლევარს შ. ლომსაძეს წიგნში „სამცხე-ჯავახეთი“, თბ., 1975, გვ. 509—510.

ი. ნებიერიძის თხზულება, როგორც აღვნიშნეთ, უხვად შეიცავს ცნობებს XIX ს-ის სამხრეთ საქართველოს ისტორიის შესახებ. მასში შეიძლება გამოიყოს შემდეგი ძირითადი საკითხები:

1. რუსეთ-თურქეთის ომი და საქართველოს რუსეთთან შეერთება;
2. თურქების მიერ გოგო-ბიჭების მოტაცების ამბავი;
3. აჭარის ისტორიის საკითხები;
4. სკოლების მდგომარეობა XIX ს-ის დასაწყისის ახალციხეში;
5. სომეხთა გადმოსახლება არზრუმიდან ახალციხეში;
6. დუხობორების მდგომარეობა მესხეთში;
7. სომხეთში, ირანსა და ოსმალეთში მოგზაურობის შთაბეჭდილებანი;
8. კათოლიკე მოძღვართა მდგომარეობა საქართველოში;
9. სომეხ კათოლიკეთა მოღვაწეობა მესხეთში.

ამ ძირითადი საკითხების გარდა, თხზულებაში უხვადაა XIX ს-ის სამხრეთ საქართველოს სოციალური ყოფის ამსახველი მასალა. ნაწარმოებში გეცნობით სხვადასხვაგვარი ზნეობის მქონე ადამიანებს, მათ ურთიერთდამოკიდებულებას, მათ ზნე-ჩვეულებებსა თუ ადამიანურ სისუსტეებს. ნაწარმოებში მოცემულია მესხეთის მკვიდრთა მთელი გალერეა. გარდა ამისა ი. ნებიერიძის თხზულებაში გვხვდება ბევრი ცნობილი ფაქტისა და მოვლენის დადასტურება.

„მოგონებები“ ერთადერთი წყაროა ი. ნებიერიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესასწავლად. ავტორი ცდილობს მაქსიმალური სიზუსტით მოუთხროს მკითხველს თავისი ბიოგრაფია დაბადებიდან — მოგონებების წერის მო-

<sup>3</sup> შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, თბ., 1975, გვ. 510.

მენტამდე. ეს კი საშუალებას გვაძლევს თვალნათლივ წარმოვიდგინოთ მის მიერ განვლილი ცხოვრების გზა.

ი. ნებიერიძის ბიოგრაფია 1817—1882 წლებით იფარგლება. მის მოგონებებში კი მოთხრობილია სამხრეთ საქართველოში დაახლოებით ორმოცდაათი წლის მანძილზე (1817—1867) მომხდარი ამბები.

მოგონებებში მოხსენიებულ მოვლენათა ზედა ქრონოლოგიური ზღვარია 1867 წელი. მოგონებების ბოლოს დართულ ანდერძსაც შემდეგი მინაწერი ახლავს: „4 სა აგვისტოსა 1867 სა წელსა, დუხობორების სოფელსა შინა გორელსა<sup>4</sup> აქედან გამომდინარე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ მოგონებები დაწერილი უნდა იყო 1867 წლის ახლო ხანებში.

მართებულად გვეჩვენება შ. ლომსაძის მოსაზრებაც იმის თაობაზე, რომ ი. ნებიერიძეს „მანამდე შედგენილი ჰქონდა დღიურები ან რაღაც ჩანაწერები, რომელსაც იყენებდა თავის, მოგონებათა დასაწერად და გარდასულ მოვლენათა თარიღების დასადგენად, რაც უზგადაა მოცემული მის „ზრომაში“<sup>5</sup>. მართლაც, მოვლენათა დათარიღების სიზუსტე, აზრის ლაკონურობა გვაფიქრებინებს, რომ ი. ნებიერიძეს მოგონებების წერისას ზეღთ ჰქონდა ჩანაწერები ან შავი მონახაზები, რომელთა საშუალებით შემდგომში თხზულებას მიეცა დასრულებული, ჩამოყალიბებული სახე.

იოანეს პირველი შთაბეჭდილებანი 1828—1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომს უკავშირდება. პატარა იოანე ამ დროს ათიოდე წლის თუ იქნებოდა. მან თავისი თვალთ იხილა ახალციხეში დატრიალებული ტრაგედია. იოანეს მონათხრობის მიხედვით, შეიძლება წარმოვიდგინოთ ის საბრძოლო მოქმედებანი, რომელიც რუსეთისა და თურქეთის ჯარს შორის გაიმართა ახალციხეში. ი. ნებიერიძის თხზულებიდან კარგად ჩანს, რომ ახალციხის ქრისტიანი მოსახლეობა იმედის თვალთ შესცქეროდა რუსთა შემოსვლას ახალციხეში. როგორც იოანე აღმოგვცემს, მეორე დღით, ე. ი. 16 აგვისტოს ახალციხის კათოლიკენი მინდორში ზემო საყდრის მხარეს „შეიკრიბნენ და მივიდნენ პასკევიჩთან მისალოცველად ძღვევაოსილებისა თათართა ზედა“<sup>6</sup>. მათ წინ მიუძღვოდათ ახალციხის კათოლიკეთა უფროსი პოლოს შაჰყულიანი. რუსეთის მთავრობისადმი ქრისტიანთა კეთილგანწყობილი დამოკიდებულება ახალციხელ კათოლიკეთა მთავარუფროსის—პოლოს შაჰყულიანის [პავლე ჭილიმუზაშვილის] მცდელობის შედეგი იყო. მისი ვარაუდით, რუსეთის ჯარის გამარჯვების შემთხვევაში ქრისტიანთა მდგომარეობა ბევრად უფრო გაუმჯობესდებოდა. ამიტომ ნატრობდა იგი რუსთა გამარჯვებას და შეძლებისდაგვარად თავადაც ცდილობდა ხელი შეეწყო მათთვის. იგი დაუახლოვდა რუსეთის მთავრობას და საიდუმლო მიმოწერაც კი ჰქონდა მათთან. რუსეთის ჯარის ამ გამარჯვებაში გარკვეული წვლილი ბ. შაჰყულიანსაც მიუძღოდა. ამ ბრძოლების შედეგად, მრავალი უბედურება დაატყდა თავს ახალციხის ქართულ მოსახლეობას. ი. ნებიერიძე შთამბეჭდავად აღწერს ქალაქში დატრიალებულ საშინელ ამბებს<sup>7</sup>.

პასკევიჩმა იმავე დროს შეადგინა ახალციხის დროებითი მმართველობა, რომელსაც სათავეში ჩაუყენა გენერალი ვასილ ბებუთოვი. ამით, მართალია,

<sup>4</sup> ხელნაწერთა ინსტ., Q 524, გვ. 30r.

<sup>5</sup> შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, თბ., 1975, გვ. 510.

<sup>6</sup> ხელნაწერთა ინსტ., Q 524, გვ. 13v.

<sup>7</sup> იქვე, 13r-13v

ახალციხეში მოიშალა საფაშოს ტახტი, მაგრამ აჭარის ხელში ჩაგდება რუსებმა ვერ მოახერხეს. 1828 წლის 16 აგვისტოდან ახალციხის საფაშოს მმართველობა აჭარაში არსებობდა 1829 წლის ბოლომდე. ფაშა იყო ახმედ ხიმშიაშვილი. მისი რეზიდენცია კი ხულოში მდებარეობდა. ახმედ ფაშას თანამედროვენი ახასიათებენ როგორც მამაც, ენერგიულ სარდალს და ოსმალეთის ხელისუფლების ერთგულ მოხელეს<sup>7</sup>. 1828—29 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებისას მან მოლაპარაკება გამართა რუსეთის სარდლობასთან, კერძოდ ბებუთოვთან აჭარის რუსეთთან შეერთების თაობაზე, მაგრამ ეს მოლაპარაკება ჩაიშალა და ახმედი კვლავ ოსმალეთის მხარეს დადგა. მან საოცარი სისწრაფით მოუყარა თავი საბრძოლო რაზმს ახალციხის რუსთაგან წახართმევად. 1829 წლის 20 თებერვალს იგი თავს დაესხა ახალციხეს. ი. ნებეირიძის თხზულებაში აღწერილია ამ თავდასხმის მიმდინარეობა და ქალაქში დატრიალებული საშინელებანი: „მაშინ ციხეში იყო ნაჩაღნიკად გვარათ ბებუთოვი, სომეხი, რომელმაც მზაკურობით განსცა ახალციხე აჭარის აჰმად ფაშას, რომელიც დაესხა თავისის აჭარის ჯარით ხორციელისა ანუ ყველეირის კვირაში თებერვლის წინა დღეებში 1829 წელსა ახალციხეს, მოაოხრა ქალაქი, წარსტყვევნა ვიდრე ოც სულამდე და მრავალნიცა მოჰკლეს ახალციხის მცხოვრებთაგანნი ციხის წინათ ყოფილს მეჩეთში, სადაც შიშისა გამო შეკრებულ იყუნენ, რამეთუ ციხის კარები იყო დახშულ და დაკეტილ და აღკრძალულ იყო შესვლად მუნ, ხოლო ხალხი იყო დიდს საცოდავობაში, რამეთუ ღალადება მათი აღიწეოდა ზეცამდისინ. მაშინ შებრალებითა ციხის კედლებიდან თოკის აღწევით აიყუანდნენ ციხეში, ვინც რომ მოასწრობდა გადარჩენას, მინამდისინ მოეშველებოდა ტფილისიდან რუსის ჯარი ახალციხის მხსნელს<sup>8</sup>. როგორც ვხედავთ, ი. ნებეირიძესაც რუსეთის ჯარი ახალციხის მხსნელად ჰყავდა წარმოდგენილი. ეს განწყობილება ახალციხის ქრისტიანი მოსახლეობის დიდი ნაწილში იყო გავრცელებული რუსთა ერთმორწმუნეობის გამო.

როგორც ზემოთ მოყვანილი ნაწყვეტიდან ჩანს, ი. ნებეირიძე ახმედ ფაშას ახალციხეზე თავდასხმაში ვასილ ბებუთოვს ადანაშაულებს. ბებუთოვები იმ გაქართველებულ სომხურ საგვარეულოს ეკუთვნოდნენ, რომლებმაც XVIII ს-ში ქართული თავადობა მიიღეს. მიუხედავად ამისა, იგი გაქართველებული სომეხი, გრიგორიანული სარწმუნოების მიმდევარი, სომხური ეკლესიის ერთგული შვილი იყო<sup>9</sup>. მას სასტიკად სძულდა ქართველი მაჰმადიანები და ყოველნაირად უწყობდა ხელს მათ მშობლიური მიწა-წყლიდან აყრას და თურქეთში გასახლებას. როგორც ჩანს, მისმა ამგვარმა სიძულვილმა მაჰმადიანთა მიმართ განაპირობა ახმედ-ბეგთან წინასწარი მოლაპარაკების მარცხით დამთავრება. როდესაც ახმედ-ფაშას ჯარი ახალციხეში შემოიჭრა, ვ. ბებუთოვმა ჩაკეტა ციხის კარი და არ მისცა ხალხს ციხეში შესვლის უფლება. ბედისანაზარად მიტოვებული ხალხი მძიმე ვაკირვებაში აღმოჩნდა. გარეთ დარჩენილები თოკით აჰყავდათ ციხის კედელზე. ციხის გარეთ შეკრებილი ხალხი მეჩეთში შეიკრიბა. „ახალციხელები სილაფთ ანუ საომრის იარაღით მორთულნი იყუნენ

7 იქვე, გვ. 13v. 13r.

8 შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, თბ., 1975, გვ. 248.

9 ხელნაწერთა ინსტ., Q 524, გვ. 10v.—11r.

10 შ. ლომსაძე, ახალციხის მხარის ისტორიიდან [XIX ს-ის I მესამედი], წიგნში: საქართველოს სოციალ-ეკონომიკური განვითარების ისტორიიდან XIX ს-ში, თბ., 1973, გვ. 78.

და მეჩეთიდან ანუ თათრის ჯამიდგან ებრძოდნენ აჭარლებს<sup>11</sup>. აჭარლებმა გააღეს მეჩეთის რკინის კარები, შიგ შეცვივდნენ და მრავალი ადამიანი გამოასალმეს სიცოცხლეს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ი. ნებიერიძისგან „აჭარის ჯარად“ წოდებული ახმედ-ფაშას რაზმი ძირითადად თურქებისაგან შედგებოდა. აჭარელთაგან ამ ლაშქარში მონაწილეობას იღებდა ფაშის ამალა. აჭარის მოსახლეობა ამ ლაშქარში მცირე ნაწილს შეადგენდა<sup>12</sup>. ახმედ ფაშას ჯარი ამ ბრძოლაში დამარცხდა. ბებუთოვს რუსეთის ჯარი მოეშველა. ახალციხე კვლავ რუსეთის გამაგებლობაში დარჩა.

ი. ნებიერიძის თხზულებაში საყურადღებო მასალა მოცემული თურქების მიერ ბავშვების მოტაცებისა და ტყვედ წაყვანის შესახებ.

ქართველი ტყვეებით ვაჭრობა საქართველოში ოსმალეთის ბატონობის დროიდან გავრცელდა. საუკუნეთა მანძილზე გაპყავდათ დარჩეული გოგობიძეები საქართველოდან. სტამბოლის ბაზარზე არა ერთ ქართველს რგებია გაყიდვისა თუ რაიმე საქონელზე გაცვლის ხვედრი. მრავალ უცხოელ მოგზაურს უნახავს სტამბოლის ბაზარზე გასაყიდად ჩამწკრივებული ქართველი ტყვეები. არქანჯელო ლამბერტის<sup>13</sup>, ჟან შარდენისა<sup>14</sup> და სხვა მოგზაურთა თხზულებაში გადმოცემულია ქართველ ტყვეთა ბედი უცხოეთში. ტყვეებით დატვირთული გემები შავი ზღვით შედიოდნენ კონსტანტინოპოლში. თურქები არც ფულს და არც ჯაფას არ ზოგავდნენ ქართველ ტყვეთა შესაძენად. VI ს-ში უკვე არსებობდა ქართველ ტყვეთა რამდენიმე კატეგორია: ნადავლის ტყვე, ხარკის ტყვე, ნაჩუქარი ტყვე<sup>15</sup>. იმ პირობით, რომლებიც ტყვეებით ვაჭრობდნენ, იესირაგები ეწოდებოდნენ. იყიდდნენ თუ არა პატარა ბიჭუნებს, მაშინვე თურქულ ტანსაცმელს ჩაცმევდნენ და რჯულს გამოაცვლევიანებდნენ. მათ ან სამხედრო მოსამსახურებად ზრდიდნენ, ან შავი სამუშაოების შესასრულებლად იყენებდნენ. დამცირება და ტანჯვა-უაება იყო მათი ხვედრი. დროთა ვითარებაში ისინი თავიანთ გვარსა და წარმომავლობასაც ივიწყებდნენ. ქართველი ტყვეები უნახავს სტამბოლში სულხან-საბა ორბელიანს, რასაც მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოუხდენია. ქართველი ტყვეების შესახებ მოთხრობილი აქვთ, აგრეთვე, ტიმოთე გაბაშვილსა<sup>16</sup> და გიორგი ავალიშვილს<sup>17</sup>.

ტყვეებით ვაჭრობა გავრცელებული ყოფილა XIX ს-შიც. ი. ნებიერიძის თხზულებიდან კარგად ჩანს, რომ ქართველი ტყვეებით ვაჭრობა შემოსავლის წყარო იყო ალა-ბეგებისათვის. 11 წლის იოანეს საკუთარ თავზე გამოუცდია ტყვეობაში ყოფნის სიმწარე. ახმედ ფაშას ჯარები ახალციხეზე თავდასხმისას გარდა იმისა, რომ სასტიკად უსწორდებოდნენ ქრისტიანებს, შემთხვევას არ უშვებდნენ ხელიდან ქართველი ბავშვების ხელში ჩასაგდებად. იგივე ბედი ეწია პატარა იოანეს და მის ძმას — პავლეს. იმ შემთხვევაში, თუ იოანესა და

11 ხელნაწერთა ინსტ., Q 524, გვ. 11r.

12 ხ. ახვლედიანი, ი. ნებიერიძის მოგონებები გოგობიძეების მოტაცებისა და ტყვეებით ვაჭრობის შესახებ, ბათუმი, 1948, გვ. 35.

13 არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938, გვ. 158; 161—162.

14 ჟან შარდენი, მოგზაურობა საქართველოში, თბ., 1935, გვ. 36.

15 შ. ლომსაძე, მ. თამარაშვილი და ქართველი კათოლიკენი, თბ., 1989, გვ. 144.

16 ტიმოთე გაბაშვილი, მოხილთა წმიდათა და სხუთთა აღმოსავლეთისა ადგილთა, ტფ., 1852, გვ. 80—82.

17 გიორგი ავალიშვილი, მგზავრობა, ტექსტი გამოსაც. მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა, თბ., 1967, გვ. 046—049.

მის ძმას მამა ვერ დაიხსნიდა ტყვეობიდან, მათ სტამბოლის ან ეგვიპტის ბაზარზე გაყიდვა მოელოდათ. იოანეს მამას თავზარი დასცა შვილების მოტაცების ამბავმა. მან კარგად იცოდა, რომ ტყვეობიდან ბავშვების დახსნას დიდძალი გამოსასყიდი სჭირდებოდა.

ი. ნებიერიძის თხზულებიდან კარგად ჩანს, რომ მცირეწლოვანი ტყვეების ფასი უფრო ნაკლები ყოფილა. ამიტომ პავლე უფრო იათად—5—6 თუმნად დაუხსნია მამას. რაც შეეხება იოანეს, მისი დასახსნელი ფული სტეფანე ნებიერიძეს არ ჰქონდა.

იმისთვის, რომ ბიჭები სტამბოლში არ წაეყვანათ გასაყიდად, იესირჯისთვის სტეფანეს წინასწარ რამდენიმე მანეთი მიუცია. თხზულებაში კარგად არის გადმოცემული პატარა იოანეს განცდები: „...რომ ვსკამდი, გულშიდ ღუთისაგან მეცემოდა ნუგეში ნუგეშზედა და ვიტყოდი: ოჰ, ღმერთო, ის დღე მელირსება ჩემი სახლობის ნახვა და ჩემი სამშობლო ქვეყანა<sup>18</sup>“. როდესაც ბიჭუნამ გაიგო მამის ქედამი ჩამოსვლის და გულო აღასთვის წინასწარ მიცემული ფულის ამბავი, იოანეს იმედის შუქი აენთო გულში: „იმ დღეებში მესიზმრებოდა ხოლმე, რომ ცაში ვფრინავდი და რადგან ვიცოდი ზებირად ლოცვები და მახსოვდა, მივიდოდი ძელთან დამთენილს ნასაყრდევს ადგილს, ვლოცულობდი, პირაჯვარს გამოვისახამდი და მრავალჯერ საცთურისაგან დავისხნებოდი ხოლმე“<sup>19</sup>.

ისევე, როგორც ყველა დატყვევებულ ბავშვს იოანესაც აიძულებდნენ ქრისტეს რჯულის უარყოფას: „ჩემს გათათრებაზე თუალი ჰქონდათ და მაგულთანებდნენ, რომ ალა შეიქმნებოი“<sup>20</sup>. იოანეს სიმტკიცე გამოუჩენია და ადვილად არ დაუთმია სარწმუნოება. ამასობაში ექვსი თვე გავიდა. „თითქმის დაიწყოებული მყვანდა დედ-მამა და სახლობა ჩემი, ჩემი უძვირფასესი სამშობლო“<sup>21</sup> — იღონებს იგი. სწორედ იმ ხანებში, გულო აღამ იყიდა მოტაცებული ორი გოგო და ერთი ბიჭი და სტამბოლში გასაყიდად აპირებდა მათ წაყვანას. მრავალი უბედურება გადახდა თავს იოანეს მამას, ვიდრე შვილს გამოისყიდოდა. გაყიდა ძვირფასეულობები. დიდი გაჭირვებით მოგროვილი ფული კი მისმა ამხანაგმა ნონო იმერლიშვილმა მოპარა, რომელსაც ასევე ტყვედ ყავდა თავისი ცოლ-შვილი. იოანეს დასახსნელად ხელახლა რომ ეშოვა ფული, სტეფანემ აჰარის ფაშის ოჯახში მკერავობა დაიწყო. სწორედ ფაშის დახმარებით მოახერხა სტეფანე ნებიერიძემ შვილის დახსნა იესირჯისგან.

ტყვეობის სიმწარე გარდა იმისა, რომ უდიდესი ტრაგედია იყო მოტაცებულისათვის, ამ მოვლენას ხშირად სავალალო შედეგები მოჰქონდა მისი ოჯახის წევრებისათვისაც. ი ნებიერიძე მოგვითხრობს თავისი ბიძაშვილების 13 წლის სიმონას და 10 წლის ოჯანოს მოტაცების ამბავს. ბავშვების მამას და ბებიას ისღა დარჩენოდათ გულა-ნაბადი აეკრათ და ბავშვების მოსაძებნად წასულიყვნენ. მრავალი გაჭირვება გადახდათ თავს, საბოლოოდ კი მთელი ოჯახის ბედი ტრაგიკულად დასრულდა.

ეს ხვედრი არა ერთმა და ორმა ქართულმა ოჯახმა გაიზიარა. ტყვეების მოტაცების გამო საქართველოსთვის მიყენებული სავალალო შედეგები კარგად

18 ხელნაწერთა ინსტ., Q524, გვ. 16r.  
19 იქვე, გვ. 14r.  
20 იქვე.  
21 იქვე, გვ. 16r.

არის შეფასებული საქართველოს ისტორიის 1946 წლის გამოცემაში „ტყვის სციდება ქართველი ერის განვითარებას, მის დამოუკიდებლობას უდიდეს საფრთხეს უქმნიდა. ხალხის საუკეთესო ნაწილი, მისი ჯანსაღი ახალგაზრდობა მიედინებოდა უცხოეთში და საქართველოს სამუდამოდ ეკარგებოდა. არც ერთ ომს, არც ერთ უცხოელ დამპყრობელს ხმლით იმდენი ზარალი არ მიუყენებია საქართველოსთვის, რამდენიც ტყვის სციდვამ მიაყენა მას“<sup>22</sup>. ი. ნებიერიძის თხზულებაში მოთხრობილი ამბები ამის საუკეთესო დადასტურებაა.

ი. ნებიერიძის თხზულებაში საყურადღებო ცნობებია დაცული აგრეთვე, ახალციხეში სწავლა-განათლების სისტემის მდგომარეობის შესახებ.

მესხეთ-ჯავახეთი საუკუნეთა მანძილზე სწავლა-განათლებისა და კულტურის ცენტრს წარმოადგენდა საქართველოში. მესხეთის მონასტრებსა და ეკლესიებში საუკუნეთა მანძილზე ჩქეფდა ლიტერატურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა. ქართველი ახალგაზრდები ეკლესიებსა და მონასტრებში ეწაფებოდნენ სწავლა-განათლებას. მაგრამ მას შემდეგ, რაც თურქეთმა დაიპყრო ეს მხარე, სავანმანათლებლო საქმიანობა აქ სავალალო მდგომარეობაში აღზოჩნდა. დაიხურა მონასტრები და ეკლესიები. დაიწყო მესხეთის მკვიდრთა გამაჰმადიანების პროცესი. სავანმანათლებლო საქმიანობას ამ რეგიონში ძირითადად კათოლიკე მისიონერები ეწეოდნენ. კათოლიკური სასწავლებლები მესხეთში XVII ს-ის II ნახევრიდან არსებობდა<sup>23</sup>. ეს იყო სამრევლო სასწავლებელი, რომელიც XVIII ს-ში ჯერ გაფართოვდა, ხოლო საუკუნის დამლევს პოდოს შაჰყულიანის მიერ ევროპულად გადაკეთდა. ამ სასწავლებელს მდიდარი ისტორია აქვს. ზ. ჭიჭინაძის ვადმოცემით „ვიცე კი ძველთაგანვე სამცხე-საათაბაგოში ქართველთ გვარის კათოლიკეთ შორის ქართველი მოძღვარნი გამოსულან, ყველა ესენი ამ სკოლიდამ ყოფილან, პირველად აქ უსწავლიათ და მერე აქედამ სხვაგან წასულან“<sup>24</sup>. ამ სკოლაში მიუღიათ განათლება პავლე შაჰყულიანს, პეტრე ხარისჭირაშვილს, ივანე გვარამაძეს, ანტონ ხუციშვილს, გრიგოლ მამულაშვილს და სხვა მრავალ ცნობილ ქართველ კათოლიკე მოძღვარს. აქ მიუღია თავდაპირველი განათლება ი. ნებიერიძესაც. მისი პირველი მასწავლებელი იყო იაკობ მურადოვი. „მერმე მიმცეს ოსტატს სასწავლებლად კითხვსა, რომ იყო ჩემი ხალიფა იაკობ მურადოვი. ნამდვილად დიღისა იყო საშვირდო, სადაც არის ახლა ყმარწვილების შკოლა, ქვემო საყდრის წინ შაჰყულიანისგან აღშენებული“<sup>25</sup>. მასწავლებელს, როგორც იოანეს თხზულებიდან ჩანს, „ხალიფას“ უწოდებდნენ. სკოლაში მოსწავლეთა მიმართ უხეში ზომები გამოიყენებოდა: „ერთ დღესაც მომიყვანა ხალიფამ და რა რომ არ ვიცოდი ჩემი ვაკვეთილი — ანბანი, უეცრად შემომკრა სილა მაგრათ და შიშისაგან ჩამივარდა ენა და დამება. ასე, რომ ერთ სიტყვასა გვიან ვიტყვიდი ხოლმე და ერთს-ორს წელიწადსა ენაბრგვილი ანუ ენაჩლუნგი ვიყავ“<sup>26</sup>.

კათოლიკეთა სკოლებში სწავლება რიტის [კონდაკის] მიხედვით წარმოებდა. თავდაპირველად ლათინურად და ქართულად XVIII ს-ის 30-იანი

22 ი. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, თბ., 1946, ნაწ. I, გვ. 316.

23 ზ. ჭიჭინაძე, სამცხე-საათაბაგო, ტფ., 1905, გვ. 78.

24 იქვე, გვ. 79.

25 ხელნაწერთა ინსტ., კ 524, გვ. 20r.

26 იქვე.

წლებიდან კი, მას შემდეგ რაც კათოლიკეთა მართვა-გამგებლობა სომხებმა იგდეს ხელთ, სომხურად. „ქვემო საშავირდოში“ სომხური ენის სწავლება მაღალ დონეზე რომ იყო, ამას თვალნათლივ მიუთითებს ი. ნებეირიძის ლიტერატურული მემკვიდრეობა. მისი ნაწერებიდან კარგად ჩანს სომხური სასულიერო ლიტერატურის შესანიშნავი ცოდნა. ამას განაპირობებდა ის, რომ ახალციხეში ქართველ კათოლიკეთა შორის სამღვდლო პირთათვის სახელმძღვანელოდ სომხური ენა იყო მიღებული. მხითარისტთა კონგრეგაციაში, წმ. ლაზარეს კუნძულზე, მრავლად იბეჭდებოდა წიგნები კათოლიკეთათვის. ეს ლიტერატურა ახალციხეში მიღვწეე კათოლიკეთა შორისაც ვრცელდებოდა. მხითარისტთა მოღვაწეობამ განაპირობა ისიც, რომ კავკასიის ქრისტიან კათოლიკეთა შორის ყველაზე დიდი უფლებით სომეხი კათოლიკენი სარგებლობდნენ. ევროპაში სომეხთა მრავლად ცხოვრებამ და ვაჭრობაში წარმატებამ მათ დიდი ავტორიტეტი მოუპოვა რომის პაპების წინაშე. ამის გამო სომეხ კათოლიკეთ „პროპაგანდა ფიდეში“ მოწინავე პოზიციები ეკავათ ქართველებთან შედარებით. ამან განსაზღვრა სომხური ენის ცოდნის აუცილებლობა ქართველისათვის. მესხეთში არსებულ სასწავლებლებში სომხური ენა მთავარ სავალდებულო სავანს წარმოადგენდა. რუსეთთან შეერთების შემდეგ, სავალდებულო სავანთა რიცხვს რუსულიც დაემატა. 1831 წელს ახალციხეში გაიხსნა ე. წ. სამაზრო სასწავლებელი ანუ როგორც ი. ნებეირიძე უწოდებს „რუსის შკოლა“. იოანეს მოგონებებიდან კარგად ჩანს, რომ სამაზრო სასწავლებელში რუსულ, სომხურ და თურქულ ენებს ასწავლიდნენ. რაც შეეხება ქართულს, ამ ენას სასწავლებელში არავითარი ადგილი არ ჰქონდა დათმობილი: „შემიყვანეს სასწავლებლად ციხის რუსის შკოლაში, რომელიც ვაიმართა 1831 წელში ციხის ჯამის მარჯვენა მხრის ნათლის ქვით აღშენებულს ზემოთ ოთახში... მაშინ სკოლაში იყო ერთი კლასი და ასწავლიდნენ ორს ენასა — რუსულსა და სომხურსა. ორი-სამი წლის მერმე მეორე კლასი და თათრული ენაც“<sup>27</sup>. როგორც ვხედავთ, სასწავლებლის პირველ კლასში სწავლა ორ სამ წელს გრძელდებოდა, ასწავლიდნენ რუსულ და სომხურ ენებს. მეორე კლასიდან კი ემატებოდათ თურქული ენა. ეს გარემოება, ბუნებრივია, უარყოფით ვავლენას ახდენდა ქართველ ბავშვებზე. მათ არამშობლიურ ენაზე უზღებოდათ განათლების მიღება. „რადგანაც ქართულისა ენის მასწავლებელი არავინ იყო, არ მესმოდა რუსული ენა, მეტადრე როდესაც ვკითხულობდი ზეპირად რუსულს ღრამმატიკასო“<sup>28</sup>... — იგონებს იოანე. სწავლების პროცესის არაქართულ ენაზე წარმართვა რუსეთის იმპერიის პოლიტიკის გამოხატულება იყო, რომელიც მიზნად ქართველი ხალხის ცნობიერების გადაგვარებას, ეროვნული თვითშეგნების მოსპობას ისახავდა. რუსული ენის უცოდინარობის გამო, სწავლა მოსწავლეთათვის ტანჯვა-წამების ტოლფასი იყო. შეგირდის ნიჭსა და უნარზე იყო დამოკიდებული, როგორ გაართმევდა თავს რუსული ენის შესწავლას. იმავე დღეში აღმოჩნდა ი. ნებეირიძეც, მაგრამ სწავლის მოყვარე ქაბუჯს ადვილად გაუერთმევია თავი ამ სიძნელისთვის: „ძლივს მოვატანინე ქუთაისილამ გოდერძი ფირალოვს ლექსიკონი და რა რომ ვნახე რუსულად და ქართულად თარგმნილი [რომ მაშინ იშვიათად და ძნელად იშოვებოდა], ესრეთი სურვილი აღმენთო სწავლისა, რომ უოსტატოთ

27 ხელნაწერთა ინსტ., Q 524, გვ. 21v.

28 იქვე.



თავიდან ბოლომდისინ თითქმის ზეპირად დავისწავლე და მაშინ კი ცოტა რაოდენ მივხატედი რუსულის ღრამმატიკის კანონსა, ენასა, ლაპარაკსა და წერილსა<sup>29</sup>. ზემოთმოყვანილი ფრაგმენტი იოანეს გულმოდგინებასა და ნიჭიერებაზე მიუთითებს.

რუსეთის იმპერიის ანტიქართული პოლიტიკის გამოხატულება იყო აგრეთვე არზრუმელი სომხების გადმოსახლება ახალციხეში. რუსთა მიერ ახალციხის აღების შემდეგ მაჰმადიანი ქართული მოსახლეობის აყრისა და თურქეთში გადასახლების გამო, ახალციხე და მრავალი დასახლებული პუნქტი დაცარიელდა. გენერალ პასკევიჩის გადაწყვეტილებით „დაცარიელებული ადგილები არზრუმიდან გადმოსახლებული სომხური მოსახლეობით უნდა შევსებულიყო. არზრუმელი სომხები რუსეთ-თურქეთის ომამდე სთხოვდნენ რუსეთის მთავრობას, მიეღო ისინი თავის ქვეშევრდომობაში. მათ რამდენჯერმე გაუზგავენეს დეპუტაცია აგრეთვე არზრუმში მყოფ გ. ავალიშვილსაც<sup>30</sup>. თხონით, რათა მას ეშუამდგომლა რუსეთის მთავრობასთან რუსეთის იმპერიის საზღვრებში მათ გადმოსახლებასთან დაკავშირებით, სანაცვლოდ რუსეთს პირდებოდნენ დახმარებას თურქთა წინააღმდეგ ბრძოლაში. მართლაც, არზრუმის ქრისტიანმა სომხურმა მოსახლეობამ დიდი დახმარება აღმოუჩინა რუსეთის ჯარს თურქეთთან ომის დროს. რუსეთის მთავრობამ დაინახა რა სომხთა ერთგულება, გადაწყვიტა საქართველოში საზღვრისპირა ტერიტორიაზე მიეცა მათთვის თავშესაფარი. რუს მოხელეთა აზრით, თურქეთთან ან, ირანთან მოსალოდნელი ომის შემთხვევაში, საზღვრისპირა სომხური მოსახლეობა საიმედო დასაყრდენი იქნებოდა რუსეთისათვის. ვარდა ამისა, რუსეთის ხელისუფლებამ კარგად იცოდა სომხთა დიდი უნარი კომერციული საქმიანობისა. რუსეთის მთავრობა, რომელიც ტრადიციულად ვითომცა ქრისტიანი ხალხების „მფარველად“ აცხადებდა თავს, არზრუმელი სომხების საქართველოში გადმოსახლებით მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ინტერესების განხორციელებას ისახავდა მიზნად. როგორც პაატა გუგუშვილი აღნიშნავს: „რუსეთის იმპერიას მიზნად ჰქონდა შეექმნა ამ მხარეში დასაყრდენი ძალა სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენელთა და საერთოდ სხვა ელემენტთა სახით, რომლის დაპირისპირება საჭიროების დროს ადვილად შეიძლებოდა, როგორც მუსლიმანების, ისე ქართველების მხრივ მოსალოდნელი წინააღმდეგობისათვის, რამდენადაც ამ ხალხებს შორის გაღვივებული უთანხმოება და მტრული დამოკიდებულება, რასაც ცარიზმი მეტ-ნაკლები ინტენსივობით ყოველთვის ასაზრდოვებდა, ხელს უწყობდა ამ მხარის კოლონიური ექსპლუატაციის საქმეში მეტროპოლიის საერთო პოლიტიკას“<sup>31</sup>.

1829 წელს ადრიანოპოლისში დადებული ზავის თანახმად, თურქეთის ქვეშევრდომობაში მყოფ ქრისტიან მოსახლეობას მიეცა საშუალება დაეტოვებინა ოსმალეთი და რუსეთის იმპერიაში გადასულიყო. თურქეთის ქრისტიანი მოსახლეობის ძირითად ნაწილს სომხები შეადგენდნენ. ისარგებლეს რა ზავის პირობებით, სომხებმა მასიურად იწყეს თურქეთიდან გადმოსახლება. ბაიანუთის და ყარსის მცხოვრებლები ერევნის გუბერნიაში გადასახლდნენ, არზრუმელი სომხები კი — არქიეპისკოპოს კარაპეტთან ერთად, ახალციხეს მო-

29 ხელნაწერთა ინსტ., Q524, გვ. 21v.

30 იხ. გ. ავალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 331; 332.

31 პ. გუგუშვილი, საქართველოს ეკონომიური განვითარების ისტორიიდან XIX-XX სს-ში, ტ. I, თბ., გვ. 527—28.



ადგენ. ი. ნებიერიძე თავის თხზულებაში მოგვითხრობს არზრუმელი სომხების ახალციხეში გადმოსახლების ამბავს. „1830 წელსა არზრუმიდან [კარნუ ქალაქიდან] გარდმოსახლდნენ მრავალნი სომეხნი ათასამდე მოსახლენი და დამკვდრდნენ ძველს ახალციხეში და კარვებში ორ სამ წლამდის და მერმე ვიწროებისა გამო ახალციხის წყალგალმა გააშენეს ქალაქი, რომელსაც სახელად დაარქვეს პლანი“<sup>32</sup>.

არზრუმელი სომხები საქართველოში თავიანთ გადმოსახლებას არზრუმისა და მესხეთის ჰავის მსგავსებით ხსნიდნენ. მაგრამ სომხები ადგილად როდი შეგუებიან ახალციხის ბუნებრივ პირობებს. როგორც ი. ნებიერიძე გადმოგვცემს, „არზრუმელები თავიანთს ახალგაშენებულს ნაზიანს სახლებში დგომითა და ჰავის დაცემითა ჰავა ჩაღლუნნი შეიქმნენ და მრავალნი კუდებოდნენ პლანში. ყოველდღივ უკლებლივ იყო მათი მკუდარი ოცი და ორმოცი სული, ვიდრე ჰაერი გამოიცივლებოდა და შეეჩვეოდნენ ცხოვრებასა“<sup>33</sup>. მაგრამ შემდგომში, არზრუმელ სომეხთა წინამძღოლის კარაპეტას დიდი მცდელობით, გადმოსახლებულებმა ათასგვარი დახმარება მიიღეს ბეშუთოვისა და პასკევიჩისაგან. გადმოსახლებულები განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობდნენ, მაშინ, როდესაც ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა მთავრობის მხარდაჭერას მოკლებული იყო. 1836 წელს არზრუმელმა სომეხებმა მიიღეს უფლება ახალციხის ცენტრში წმ. მაცხოვრის სახელზე ეკლესია აეშენებინათ. ეკლესიის საძირკველში ჩატანებულ იქნა ტყვიის დაფა სომხურენოვანი წარწერით. წარწერა აღმოჩენილ იქნა 1948 წელს ქალაქის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით, სომხური ეკლესიის აღების შემდგომ. წარწერაში დაცულია ცნობები არზრუმელი სომეხების გადმოსახლების შესახებ. წარწერა გამოქვეყნებულია ნ. სულაძის მიერ. (იხ. ძეგლის მეგობარი, 1986, № 2, გვ. 70—71). წარწერა დათარიღებულია 1836 წლით და გვაუწყებს, რომ 1830 წელს არზრუმიდან გადმოსახლდა 6000 სომხური ოჯახი ტერარქიებისკოპოს კარაპეტის წინამძღოლობით. წარწერაში აღწერილია აგრეთვე სომხური ეკლესიის კურთხევის ცერემონიალიც.

ი. ნებიერიძის თხზულებაში დაცულია აგრეთვე ცნობები დუხობორების სოფლების მდგომარეობაზე მესხეთში, დუხობორები ანუ „სულისათვის მებრძოლნი“ ეწოდება უკიდურესად პროტესტანტულ რუსულ სექტას, რომელიც ჩამოყალიბდა XVIII ს-ის II ნახევარში ვორონეჟის, ტამბოვის, ეკატერინოსლავის გუბერნიებში<sup>34</sup>. დუხობორებს საკუთარი თავი მიაჩნიათ ჭეშმარიტ და რჩეულ ხალხად, რომელმაც უნდა შექმნას ღვთის სამართლით გამსჭვალული ძმობა. ისინი არ იცავენ არავითარ წეს-ჩვეულებებს, გარდა ქორწინებისა. აქვთ ფსალმუნები, რომელთაც ასრულებენ საგანგებო კრებებზე. 1826 წელს რუსეთში 27000 დუხობორი ცხოვრობდა. 1837 წელს რუსეთის მთავრობამ გამოსცა განკარგულება დუხობორების გადმოსახლების შესახებ ამიერკავკასიაში<sup>35</sup>. დუხობორების პირველი ნაკადი საქართველოში შემოვიდა

<sup>32</sup> ხელნაწერთა ინსტ., Q524, გვ. 21r—21v.

<sup>33</sup> იქვე.

<sup>34</sup> ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, III, თბ., 1978, გვ. 662.

<sup>35</sup> Брокгауз Ф. А., Эфрон И. А. Энциклопедический словарь, т. XI, СПб., 1893, გვ. 250.

1841 წლის ივნისში<sup>36</sup>. დუხობორების ჩამოსახლებით რუსეთის მთავრობა სამ მიზანს ისახავდა: 1. გავრიდებინა ცენტრალური რუსული გუბურნიებისაგან სექტანტები და ამით აქ მართლმადიდებლური რწმენა განემტკიცებინა; 2. ხელი შეეწყო ჯავახეთის მოსახლეობის გარუსებისთვის; 3. ოდნავ მაინც წაეწია წინ ამ მხარეში მეურნეობის განვითარება. ჯავახეთში დუხობორები დაემკვიდრნენ იმ ტერიტორიებზე, რომლებიც დაუსახლებელი იყო. განახლებულ სოფლებს რუსული სახელები დაარქვეს. ასე გაჩნდა ჯავახეთში 8 რუსული სოფელი: ბოგდანოვკა, ტამბოვკა, არლოვკა, გორელოვკა, სპასოვკა, ტროიცკოე, ეფრემოვკა, როდიონოვკა<sup>37</sup>. 1851—1867 წლებს შორის ი. ნებიერიძე მსახურობდა დუხობორების სოფლებში, ჯერ ბოგდანოვკაში, 1853 წლიდან ორლოვკაში, შემდეგ კი გორელოვკაში. აი, როგორ ახასიათებს იგი დუხობორებს: „მრავალნი [ე. ი. დუხობორები — მ. დ.] დაბრუნებულან, დაუტოვებით ეკლესია, მღუდელი, წმ. ხატები და შესდგომიან მოვანილს, ცრუ სექტას და არ ცდილობენ, რომ დაინათლონ, კეთილად იცხოვრონ და თავიანთი სული აცხოვნონ, მაგრამ მთვრალობითა, მრუშობითა და სიძვითა წყმდებიან საუკუნო ჯოჯოხეთში“<sup>38</sup>...

ი. ნებიერიძე მივიღებულ იქნა დუხობორებში ახალციხის უეზდის მმართველის გოროდინსკის მიერ საგანგებო დავალებით, კერძოდ დუხობორების მოსაქცევად მართლმადიდებლურ სარწმუნოებაზე. „იანვარში, 1851 წელსა, ახალციხის უეზდის ნაჩალიკმან გოროდინსკიმ, ქუთაისის გუბერნატორის მიწერილობით საკუთრად დამარიგა, რომ კეთილად და პატიოსნად მოვიქცე ურწმუნო წარმართის ხალხში. ველმწიფის უქაზის ძალითა საიდუმლოდ დამნიშნა ახალქალაქის უჩასტკის დუხობორებში რასპრავის მწერლად, რათა რომ დუხობორები მოქცეულიყვნენ რუსის სარწმუნოებაზე“<sup>39</sup>. ი. ნებიერიძე პირადი ცხოვრებით მაგალითს აძლევდა მის გარშემო მცხოვრებ დუხობორებს: „ერთვულად და სიმართლით ვემსახურებოდი, არც ოტკას ესევმდი, არც აქა-იქ დავენეტებოდი, არც ქალებს ვემუსაიფებოდი... ყველას სიყვარულით და პატივისცემით ვეპყრობოდი, ამისთვისავე შემიყვარეს... და მეუბნებოდნენ თუ შენისთანა მაგარი და პატიოსანი კაცი არც გვიანახამს და არც გაგვიგონიაო“<sup>40</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ დუხობორები ნოყიერ მიწებზე ცხოვრობდნენ, მათ შემოსვლას ამ მხარის სამეურნეო ცხოვრებაში უკეთესი ძვრები არ მოჰყოლია. როგორც ი. ნებიერიძის თხზულებიდან ჩანს, ისინი მთვრალობით და მრუშობით ცხოვრობდნენ. ცხადია, ასეთი ცხოვრების წესის მქონე ხალხი მეურნეობის განვითარების საქმეს წინ ვერ წასწევდა. საბედნიეროდ, არ მოხდა მათი აღრევაც ადგილობრივ მოსახლეობასთან. დუხობორებთან დაკავშირებით რუსეთის იმპერიის გეგმის ვერც ერთი პუნქტი ვერ განხორციელდა.

ი. ნებიერიძის თხზულებაში საინტერესოდ არის აღწერილი სპარსეთში მოგზაურობის შთაბეჭდილებანი, სადაც მან 1842 წელს ერთი თვის მანძილი იმოგზაურა. იგი ხატოვნად აღწერს ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებებს. ნა-

36 შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, თბ., 1975, გვ. 338.

37 იქვე.

38 ხელნაწერთა ინსტ., Q524, გვ. 272v.

39 იქვე.

40 იქვე, გვ. 28r.



წარმოებში აღწერილია თავრიზი, მისი მდებარეობა, ჰავა, ხალხის ზნე-ჩვეულებანი.

თავრიზში ყოფნისას ი. ნებეირიძემ გაიცნო ორი კათოლიკე ფრანგი პატრი სახელად მუსი დარნი და მუსი რუში, რომლებიც ცხოვრობდნენ ურმი-აში. პატრებმა ვნების კვირაში თავისთან მიიბატიყეს ი. ნებეირიძე. სწორედ ამ დროს სპარსეთის შაჰმა გამოსცა ბრძანება მათი ურმიიდან სტამბოლში გადასახლების თაობაზე. პატრები წავიდნენ და ეკლესიის ნივთების პატრონობა ი. ნებეირიძეს და ერთ ახალგაზრდას დაუტოვეს. „მე და ახალგაზრდა პატრი-უწვერო, ტანისამოსით გამოცვლილი ვყარაულობდით, რათა აჯამის ხალხს არ დაეტაცა“<sup>41</sup>. სწორედ ამ დროს თეირანში ჩამოსულა საფრანგეთის ელჩი, რომელთან მოლაპარაკების წყალობით, განდევნილი პატრები კვლავ უკან დაბრუნდნენ ურმი-აში. ურმი-აში ამ პერიოდში ქართველების რიცხვი დიდი ყოფილა. გარკვეული პერიოდის განმავლობაში აქ ცხოვრობდა ერეკლე მეფის შემგვიდრე აღექსანდრე ბატონიშვილიც [1770—1844]. თავრიზში დაბრუნებისას ი. ნებეირიძე შეხვედრია აღქესანდრე ბატონიშვილთან ერთად სპარსეთში გადმოსახლებულ ქართველებს: „მეც მოვბრუნდი უკანვე თავრიზს, სადაც არიან პატიცემული ხანები — სომხები და ქართველები, ტფილისიდან გადმოსახლებულნი აღექსანდრე ბატონიშვილის დროს, რომელიც იყო უფროსი [Sic] შვილი ერეკლე მეფისა, რომ იყვნენ ჩემს დროს სულეიმან-ხანი, ალალარ-ხანი [ენაკოლოფოვი], დავით-ხანი საგინაშვილი, სამსონ-ხანი რუსის უნტერ ოფიცერი, თავრიზის ომის დროს გაქცეული. ამ ხანებმა, რა რომ ჰსცნეს ჩემი საქართველოდამ მოსვლაი, ქართულისა და სხვა ენების ცოდნაი, გამოიჩინეს ჩემთან სიყვარული კავშირისა მათთან შეერთებისა“<sup>42</sup> ი. ნებეირიძე არ დარჩენილა სპარსეთში, რადგან მისთვის ძნელი ყოფილა „განშორება... სამშობლო ქვეყნისაგან და დასახლება უცხო ქვეყანაში“<sup>43</sup> და არზრუმი-დან ყარსის გავლით ის კვლავ თბილისში დაბრუნებულა.

ი. ნებეირიძე, როგორც თავად კათოლიკური სარწმუნოების აღმსარებელი, კათოლიკეთა წრეში ტრიალებდა და კარგად იცნობდა საქართველოში მცხოვრებ კათოლიკე მოძღვართა მოღვაწეობას. მის მოგონებებში გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი აგრეთვე იმ დევნა-შევიწროებას, რომელიც არა ერთხელ დაატყდათ თავს კათოლიკე პატრებს. მათ ავიწროებდნენ საქართველოში როგორც ოსმალების, ისე რუსეთის იმპერიის მოხელენი. კათოლიკე მისიონერთა პირველი შემოსვლა საქართველოში XIII ს-ის 30-იან წლებში მოხდა. დასავლური ორიენტაცია ამ პერიოდში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, კათოლიკეთა მოღვაწეობა საქართველოში ხან ინტენსიური იყო, ხან კი სუსტდებოდა. კათოლიკობა პირველად სამცხეში გავრცელდა. ვინაიდან მესხეთი ევროპისა და ქართლის შემაერთებელ გზაზე მდებარეობდა, საქართველოში კათოლიკური სარწმუნოების საქადაგებლად მომავალი მისიონერები თავიანთ საქმიანობას აქ იწყებდნენ. ამან განაპირობა მესხეთ-ჯავახეთში დიდი რაოდენობით კათოლიკური მრევლის არსებობა. ქართველ კათოლიკეთა შორის დამყარდა არამის კათოლიკეთა საეკლესიო წესები. მღვდელი სწირავდა ლათინუ-

41 ხელნაწერთა ინსტ., Q524, გვ. 24v.

42 ხელნაწერთა ინსტ., Q524, გვ. 24v—25r.

43 იქვე.



რად, ლათინური ტიპიკონის წესის მიხედვით. გალობა იყო ქართულად და სახარებისა და სამოციქულოს კითხვაც ქართულ ენაზე მიმდინარეობდა<sup>44</sup>.

ქართული ეკლესია დიდ შემწყნარებლობას იჩენდა ევროპიდან მოსული კათოლიკე მისიონერებისადმი. ეს განპირობებული იყო იმით; რომ მათ შემოსვლას მოჰყვა ევროპული კულტურის ბევრი ახალი მიღწევა. მისიონერები საქართველოში ხსნიდნენ სკოლებს, ასწავლიდნენ იტალიურ, ლათინურ, ფრანგულ ენებს. კათოლიკეთა შემოსვლასთან ერთად შედარებით გამოიღვიძა მესხეთის კულტურულმა ცხოვრებამ. ამ თვალსაზრისით სამცხეში კათოლიკობის გავრცელებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. თურქეთის მიერ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობის შემდეგ კათოლიკენი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ყველაზე მეტად თურქეთის იმპერიას ამიწებდა ქართველთა დასავლური ორიენტაცია და მართლმადიდებელ ხალხთა ურთიერკონტაქტები. სწორედ ამიტომ ოსმალებმა პირველ და მთავარ ამოცანად დაისახეს ქართულ მოსახლეობაში ეროვნული თვითშეგნების ამოძიკვა. თურქმა მოხელეებმა კარგად იცოდნენ, რომ ამას ისინი ქართველ ერში ეროვნული სარწმუნოების შეცვლით თუ მიაღწევდნენ. ახალციხის საფაშოში მართლმადიდებლობა შეუწყნარებელ რელიგიად იქნა გამოცხადებული. დაიწყო ახალციხის ქართული მოსახლეობის გამაჰმადიანების პროცესი. კათოლიკურ სექტებს შორის თურქი მოხელენი უპირატესობას ანიჭებდნენ მხოლოდ სომეხ კათოლიკეთა ტიპიკონს და ამ ტიპიკონის აღმსარებელთ გარკვეულ პირივილეგიებსაც ანიჭებდნენ. თურქთა აზრით, თუ ქართველი არ გამაჰმადიანდებოდა ან უნდა გასომეხებულიყო — გრიგორიანული სარწმუნოება უნდა მიეღო, ან სომხურ კათოლიკურ რიტზე უნდა გადასულიყო. თურქთა მიერ დასახული მიზანი ამ გზითაც წარმატებით სრულდებოდა, რადგან სომხურ სარწმუნოებაზე გადასულთ გასომეხება ემუქრებოდათ.

XVIII ს-ის 60-იან წლებში კათოლიკეთა შორის სომხურენოვანი ტიპიკონი დაკანონდა და სომხური კათოლიკური ეკლესია ამ მხარეში გაბატონებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. სომეხ სამღვდელთა თვითნებობა ყოველგვარ ზღვარს სცილდებოდა. ისინი მიზანმიმართულად ცდილობდნენ ყველა კათოლიკე ქართველი გაესომეხებინათ. სახელისა და გვარის შეცვლა სომხური ონომასტიკის მიხედვით ხდებოდა. ამან, რასაკვირველია, მესხეთის კათოლიკეთა სოციალურ, ეთნიკურ და კულტურულ ყოფას თავისი კვალი დააჩნია. სომეხ მოძღვართა თვითნებობას არა ერთი ცნობილი ქართველი მოღვაწე აღუდგა წინ. საყმარისია დავასახელოთ მ. თამარაშვილის<sup>45</sup>, ი. ჭავჭავაძის<sup>46</sup>, ზ. ჭიჭინაძის<sup>47</sup>, პ. იზაშვილის<sup>48</sup> და სხვათა წერილები, რომლებშიც წარმოჩენილია ქართველ კათოლიკეთა ცხოვრების რეალური სურათი. სომეხ კათოლიკე მოძღვართა ამგვარი საქმიანობის ერთი ნიმუში წარმოდგენილია ი. ნეზიერაძის თხზულებაშიც. 1827 წლის აგვისტოში სომეხ კათოლიკეთ დიდძალი თანხით მოუსყიდიათ სულთანმა მაჰმუდი, რათა მას დაეპატონებინა და გაესახლებინა ახალციხიდან კათოლიკე მოძღვარნი. სამი თვის განმავლობაში მიცვა-

44 ზ. ჭიჭინაძე, ქართველ კათოლიკეთა ქართული ტიპიკონის ამაჰმადი, ტფ., 1920, გვ. 3.

45 მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ., 1902, მისივე: პასუხად სომხის მწერლებს, თბ., 1904.

46 ი. ჭავჭავაძე, ქვათა ღაღადი, თხზულებანი, ტ. 5, თბ., 1987, გვ. 21.

47 ზ. ჭიჭინაძე, ქართველ კათოლიკეთა ქართული ტიპიკონის ამაჰმადი, ტფ., 1920.

48 პ. იზაშვილი, ქართველ კათოლიკეთა შესახებ, ტფ., 1898.



ლებულებს მღვდლების გარეშე ასაფლავებდნენ. „1827-სა წელსა, მარიობის თვეში, უამსა ექსორიობისა ახალციხის კათოლიკეთა მღვდელთა, რომელნიც სომეხების შევიგზივებითა და დამტერებითა კათოლიკის ერსა ზედა, სტამბოლის სულთან მღვდელთა, თვისსა საბრძანებელსა შინა ახალციხის ფაშამან შესხნა ივინი ციხეში რავედენსამე თვეს [ორსა თუ სამ თვეს] და არა ჰქონდათ ნება დაშარხუად მიცვალებულთა“<sup>49</sup>. ამ ამბავმა რომის პაპის და ევროპის კათოლიკე მეფეთა ყურამღე მიაღწია. მათ პასუხი მოსთხოვეს ახალციხის ფაშას, რომელმაც აღიარა შეცოდება და კათოლიკე მოძღვარნი გაათავისუფლა. „ხოლო შემდგომად განთავისუფლებისა მათისა, შესრულდა ყოველი ეკლესიისა წესი და კანონი მის ზედა. ხოლო ოდესცა აღმოჩნდა მზაკურობითი იღუმალი ჰაზრი სომეხთა, რეცა თუ სომხის კათოლიკენი არიან სომეხთაგან მოქცეულნი და რათამცა შეერთდნენ ივინი კვალად სომეხთა თანა და რა განითქუჟ ამბავი ესე შეიწროებისა, ჰრომის წმინდა პაპი და ევროპის კათოლიკეთა მეფენი აღიძრნენ ამ საგანსა და წინა აღუდგნენ სულთან მაჰმუდსა, რომელმანცა ჰსცნა თვისი განუსჯელი შეცდომამ და აღვიარა წინაშე მათსა სინანული და ჰსთხოვა მიტევებით შენდობამ რამეთუ იტყოდა იგი, ვითარმედ სომხის პატრიარქთა გარდამიბირეს მე დაქრთამეებითა“<sup>50</sup>.

ამ ეპიზოდისგან კარგად ჩანს, რომ სომეხი კათოლიკენი ყოველგვარ ღონეს ხმარობდნენ ქართველი კათოლიკეების წინააღმდეგ. არ ერიდებოდნენ უღირს ხერხებსა და დიდი რაოდენობით თანხებს.

კათოლიკე მოძღვართ არც რუსეთის იმპერიის მმართველობა სწყალობდა. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, კათოლიკე მისიონერთა საქმიონბას ფრთები შეეკვეცა. კათოლიკეთა უცხოურ მისიონს ცარიზმმა კვლავ ადგილობრივი სომეხი კათოლიკენი დაუპირისპირა. ლათინი პატრები მიჩნეულ იყვნენ ევროპის სახელმწიფოთა აგენტებად და მათ უკიდურესად ავიწროებდნენ. რაც შეეხება სომეხ კათოლიკეთ, როგორც რუსული ორიენტაციის მქონეთ, ყოველნაირად უწყობდნენ ხელს<sup>51</sup>. რუსეთის ამ პოლიტიკის გამოხატულება იყო ისიც, რომ თბილისიდან ტრაპიზონში გაასახლეს კათოლიკე პატრები. ი. ნებეირიძე ივონებს: „თავრიზიდან რომ მოვედ ტფილისის აგვსტოს თვეში, 1844 წელსა, ისმოდა ამბავი კაფუჩინის პატრები საქართველოდამ რუსის მთავრობის ბრძანებით უნდა წავიდნენ ჰრომს და ნამდვლად ახალწელიწადს დღეს პირველს იანვარს 1845 წელს, შუადღისას, მთავარმმართველის ბრძანებითა მოუვიდათ ნემცური ფურღონი, ჩასხდნენ ტფილისის პატრები და გამოსალმებითა კათოლიკის ხალხთან, დიდის მწუხარებითა და ტირილითა, რომელთაც ვაჰჰყვევ გზაში, წარემართნენ ქუთაისს. მაშინ ყველა ქალაქებიდან, სადაც რომ იყვნენ პატრები, ახალციხიდან, ალექსანდროპოლიდან, გორიდან და ქუთაისიდან შეიკრიბენ ერთად და ჩავიდნენ ტრაპიზონტს, სადაც აღაშენეს ეკლესია და მონასტერი და ვიდრე აქნობამდისინ იქ სცხოვრობენ. უფროსად იყო მაშინ პატრი დამიანე და სხვანი. პატრი ბონავენტურა, პატრი ფილიპე, პატრი ფლორენციო, პატრი ჩელესტინე, პატრი ბერნარდე, ვიდრე ათამდისინ იქმნებოდნენ. და ფრა ანტონი,

49 ხელნაწერთა ინსტ., Q524, გვ. 10r. !

50 იქვე.

51 შ. ლომსაძე, გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, ახალციხური ქრონიკები, თბ., 1979, გვ. 63.

რომელიც ორდანოს უკრავდა და გალობდა, ტფილისშივე დარჩა და გარდაიცვალა<sup>59</sup>.

ზემოთმოყვანილი ნაწყვეტიდან ჩანს, რომ კათოლიკე პატრების საქართველოდან გასახლებას დიდი გულისტკივილი გამოუწვევია მრევლში. ისინი დიდი მწუხარებითა და ტირილით გაუცილებიათ. ეს არც არის გასაკვირი რადგან პატრები განსწავლულობით, ზნეობრივი სიწმინდითა და პატიოსნებით დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ ქართველ კათოლიკთა შორის.

ი. ნებიერიძის ენა მარტივია და ადვილად წასაკითხი. იგი საინტერესოდ აღწერს საკუთარი თვალით ნანახ შთამბეჭდავ სურათებს.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ი. ნებიერიძის ავტობიოგრაფიული თხზულება წარმოადგენს XIX ს-ის სამხრეთ საქართველოს ისტორიის ამსახველ საყურადღებო ნაწარმოებს. მასში თვითმხილველის მიერ არის აღწერილი ამ პერიოდის მესხეთ-ჯავახეთში მომხდარი ამბები. ი. ნებიერიძის მოგონებები საყურადღებოა ძველი სამხრეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ვითარების შესასწავლად.

М. Д. ДИАСАМИДЗЕ

## И. НЕБИЕРИДЗЕ И ВОПРОСЫ ИСТОРИИ ЮЖНОЙ ГРУЗИИ 19-ГО ВЕКА

### Резюме

И. Небиеридзе является малоизвестным грузинским автором 19-го века.

Из его литературного наследия особый интерес вызывает автобиографическое сочинение, которое содержится в рукописи Q 524, хранящейся в институте рукописей АН Республики Грузия.

В сочинении содержатся ценные сведения о социально-политической и культурной обстановке Южной Грузии 19-го века.

Так как автор является очевидцем тех событий, которые описываются в сочинении, его сведения представляют большой интерес для грузинской историографии.

В данной статье изучены сведения, содержащиеся в означенном памятнике. В работе дается также оценка сочинения, как источника для истории Южной Грузии 19-го века.

<sup>59</sup> ხელოვნებათა ინსტ., Q524, გვ. 25v.

M. DIASAMIDZE

I. NEBERIDZE AND THE QUESTIONS OF THE HISTORY  
OF THE NINETEENTH CENTURY SOUTH GEORGIA

Summary

I. Nebieridze is not a popular Georgian figure of the 19th century. His autobiographic writing, contained in the manuscript Q 524, kept at the Institute of Manuscripts of the Academy of Sciences of the Georgian Republic, arouses a particular interest.

Valuable information about the socio-political and cultural situation of the 19th century South Georgia is contained in the writing.

As the author himself is an eye-witness of the events described in his work his information is very interesting for the Georgian historiography.

This article presents a study of the information given in the above-literary monument and an evaluation of the work as a source for the history of the 19th century South Georgia.

წარმოადგინა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ზელნაწერთა ინსტიტუტმა

დავით სარტანია

ცნება „რჯულის“ მნიშვნელობის

ძველ ქართულ წერილებით ძველებში ცნება „რჯული“ გვხვდება სჯულ-  
ლი<sup>1</sup> შჯული<sup>2</sup> შჩული<sup>3</sup> რჩული ფორმებით<sup>4</sup>.

„რჯული“ მ. ანდრონიკაშვილის მიხედვით ირანული წარმოშობისაა:  
„ეფიქრობთ, აღნიშნული სიტყვებისათვის (შჩული, სჯული, რჯული და მისთანანი) ამოსავალია საშ. სპარსული ფუძე saš იყო შესაფერისი, ჯამს, ეგების, აუცილებელია, ღირსია საჭიროა და სხვა... ქართულში — პირველად გად-  
მოვიდა, როგორც საჩ — და საჯ —, ხოლო ხმოვნის შეკუმშვის შემდეგ მივი-  
ღეთ ერთი მხრივ, შჩის — შჩული და რჩის — რჩული, ხოლო მეორე მხრივ, შჯის — შჯული და რჯის — რჯული... მნიშვნელობათა შემდგომი დიფერენცი-  
აცია ქართულ ნიდაგზეა მომხდარი“<sup>5</sup>. სულ სხვა მოსაზრებას იცავენ ტ. გუ-  
დავა და გ. კლიმოვი. მათი აზრით, რჯული ნაწარმოებია „სჯადან, რომელიც  
თავის მხრივ მიღებულია ქართულ-ზანთური ერთობის ეპოქის ძირიდან (ქართ.  
საჯ-და მეგრ-ზოჯ-)<sup>6</sup>. იგივე აზრი ჰქონდა ადრე გამოთქმული, ოლონდ არგუ-  
მენტაციის გარეშე, ივ. ჯავახიშვილსაც, რომლის მიხედვითაც „რჯული“ ნა-  
წარმოებია ზმნა „სჯადან“ და თავდაპირველად ნაბჭობის, გადაწყვეტილის,  
განსჯილის მნიშვნელობა ჰქონდა<sup>7</sup>.

ძველ ქართულ წერილობით ძველებში „რჯული“ სხვადასხვა მნიშვნელო-  
ბით დასტურდება. ერთ-ერთი მნიშვნელობაა სარწმუნოება, მოძღვრება, რე-  
ლიგია<sup>8</sup>. მიემართოთ მაგალითებს: ანდრია მოციქულმა გააქრისტიანა მეგრე-  
ლები. „ესმა მეფესა ადერკის მეგრელთაგან სჯულისა დატეგება, განუწყრა და  
წარავლინა ერისთავნი, და იძულებით კულადღე მოაქცივნა მეგრელნი, და  
დამალნეს ზატნი და ჯუარნი“<sup>9</sup>. ან კიდევ: სპარსეთის შაჰმა „აღაშენა აღარ-  
ბადავანს სახლი სალოცავი სჯულისა მათისა“<sup>10</sup>.

<sup>1</sup> ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973; ივ. იმნა-  
იშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, თბ., 1986.

<sup>2</sup> მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობი-  
დან, თბ., 1966, გვ. 271.

<sup>3</sup> Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, М., 1964, გვ. 162.

<sup>4</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, თბ., 12 ტომად, ტ. VI; წიგნი I, თბ., 1982, გვ. 29.

<sup>5</sup> ილ. აბულაძე, დასახ. ნაშრომი, ქართლის ცხოვრების სიმფონია — ლექსიკონი, ტ. I, თბ., 1986.

<sup>6</sup> ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, „ქართლის ცხოვრება“, ტ. I, თბ., 1955, გვ. 42.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 15.

ივ. ჯავახიშვილმა თავის დროზე ცხადყო, რომ „რჭული“ აღნიშნავდა სა-  
ეკლესიო სამართალს, კანონს<sup>8</sup>. ამ მოსაზრების საილუსტრაციოდ მაგალითე-  
ბი საკმაოადა ძველი მწერლების ძეგლებში. ლეონტი მროველი ერთგან აღ-  
ნიშნავს: „მაშინ მოიწივნეს ყოვლით ქუეყნით კაცნი ურიცხვნი. სწავლულნი  
სჯულისა მოსესსა, რომელნი-იგი წინააღუდგეს წმიდასა, და რა-იგი ჯერ იყო  
ყოფად ქრისტესსა, მათ აღასრულეს“<sup>9</sup>. ან კიდევ: „დაემორჩილენით რჩულსა  
(შჯულსა) მეფისასა“<sup>10</sup>.

„რჭულით“ აღინიშნებოდა აგრეთვე ის მოძღვრება, რომელსაც ძველი და  
ახალი აღთქმა ეწოდება<sup>11</sup>. ამის ნათელსაყოფად მიემართათ ისევ ლეონტი  
მროველის თხზულებას: „წმიდა ნინო მსახურობდა ნიაფორსა სომეხსა დვი-  
ნელსა ორ წელ, და ჰკითხვიდა ყოვლადვე ვნებათა მათთვის ქრისტესათა:  
ჯუარცმისა, დაფვლისა და აღდგომის მისისა, და საამოსლისა მის ტილოთა და  
სუდარისა, და ჯუარისა და სხვისა ყოველისავე შემდგომითი-შემდგომად გამო-  
ეძიებდა, რამეთუ არავინ ყოფილა და არცა ვინ იყო შორის იერუსალიმისა  
სწორ მისსა მეცნიერებითა სჯულისა, ძუელისა და ახლისა, ყოველსავე ზედ-  
მიწევნით“<sup>12</sup>.

ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში „რჭული“ აღნიშნავდა წესსა და  
ჩვეულებასაც<sup>13</sup>. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია ალექსანდრე მაკედონელ-  
თან დაკავშირებული ლეგენდა, რომ თითქოსდა ალექსანდრემ „პოვნა ყოველ-  
ნი ქართველნი უბოროტეს ყოველთა ნათესავთა სჯულითა. რამეთუ ცოლ-  
ქმრობისა და სიძვისათეს არა უჩინდა ნათესაობა, ყოველსა სულიერსა ჰამდეს,  
მკუდარსა შესჰამდეს, ვითარცა მგეცნი პირუტყუნნი, რომელთა ქცევისა წარ-  
მოთქმა უკმ არს“<sup>14</sup>.

ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით „რჭული“ არის ქცევის ნორ-  
მების ზოგადი სახელი: „შჯული არის სიტყვა მბრძანებლობით ვიდრემდე,  
რომელ-რომელთა ჯერ არს ქმნა; და უარმქნელი უშჯულო არს“. ამასთანავე  
საინტერესოა საბას მიერ „ნამუსის“ განმარტება: „ქართულად პირისწყალი,  
არაბულად შჯული“, „პირისწყალი“ კი ახსნილია, როგორც „უაუგო ქცევა“.  
ე. ი. საბას მიხედვით გამოდის რომ „შჯული“ არაბულია და იგი ნიშნავს ნა-  
მუსს, პირისწყალს, უაუგო ქცევას<sup>15</sup>.

ვახუშტი ბატონიშვილთან ცნება „რჭული“ ეროვნების მნიშვნელობით

8 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 29; იხ. აგრეთვე ილ. აბულაძე,  
დასახ. ნაშრომი; ქართლის ცხოვრების სიმფონია-ლექსიკონი, ტ. I, თბ., 1986.  
9 ლეონტი მროველი, ნინოს მიერ ქართლის მოქცევა, „ქართლის ცხოვრება“, ტ.  
I, თბ., 1955, გვ. 78.  
10 ილ. აბულაძე, დასახ. ნაშრომი.  
11 ილ. აბულაძე, დასახ. ნაშრომი; ქართლის ცხოვრების სიმფონია-ლექსიკონი, ტ.  
I, თბ., 1986.  
12 ლეონტი მროველი, ნინოს მიერ ქართლის მოქცევა, ქმ, გვ. 77.  
13 ქართლის ცხოვრების სიმფონია-ლექსიკონი, ტ. I.  
14 ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა შეფეთა, ქმ, გვ. 17.  
15 ს.-ს. ორბელიანი, თხზ. 4 ტომად, ტ. IV, ნაქ. I, თბ., 1965; ნაქ. II, თბ., 1966.

დასტურდება ერთგან: „უკეთეს ჰკითხო ვისმე ქართველსა ანუ იმერსა, მესხსა, და ჰერკასსა რა რჯული ხარ, წამს მოგიგებს: ქართველი“<sup>16</sup>.

საინტერესო სურათს გვაძლევს ქართველური ხალხური ზეპირმეტყველების ნიმუშები. სამეგრელოში იტყვიან „ჩქიმი რჯული კოჩი“ — ჩემი რჯულის, გვარის კაცი; „მიმ ნარჯულარე||ნარჯულარე“? — ვისი რჯულისაა, გვარისაა, ჯიშისაა, მოდგამისა? „გოჯყვადილი||გოჯყვადი თქვენი რჯული ფოსოუჩათ!“ — ძირფესვიანად ამოწყდეს თქვენი რჯული, გვარი, მოდგმა, ჯილაგი, ჯიშო. „დინა მუარჯული||მუარჯული — მიწა მოვარჯულე, ე. ი. ყამირი მიწა სარეველთაგან გაეწმინდე და საყანედ ვარგისად გავხადე. სვანური „რჯული“ იხმარება „რჯული“ ფორმით და აღნიშნავს სარწმუნოებას, ეროვნებას, გვარს<sup>17</sup>. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გავრცელებულ ერთ-ერთ ხალხურ ლექსში, სადაც შესაქმის ამბებია გადმოცემული „დამბადებლის“ პირით, ნათქვამია, „დუნია გამიჩენავის, რჯულად ათასი გვარია“<sup>18</sup>. ამ კონტექსტში „რჯული“ აღნიშნავს ხალხს, ერს და არავითარ შემთხვევაში სარწმუნოებას.

ამდენად, ქართულ წერილობით ძეგლებსა და ზეპირმეტყველებაში ცნება „რჯული“ დასტურდება სარწმუნოების, რელიგიის. საეკლესიო სამართლის, ძველი და ახალი აღთქმის, წეს-ჩვეულებების, ქცევის რიგის, გვარის, ხალხის, ეროვნების მნიშვნელობით. ჩვენი აზრით, ეს გარემოება უნდა აიხსნას შემდეგნაირად: „რჯულის“ ამოსავალი ფუძე „სჯა“ და მისი თავდაპირველი შინაარსი განსჯა, გადამწყვეტა გულისხმობს გარკვეულ სამართლებრივ ფუნქციას. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ მოვიყვანოთ მკვლევრისეული ერთი ადგილი: „პირისა შენისავენ გასჯო შენ, მონაო ურწმუნოო“ (ლუკა, 19,22). აქ სიტყვა „გსაჯო“ ნიშნავს განსჯას, გასამართლებას და არა დასჯას. ასეც რომ იყო, „დასჯა“ განსჯის, გასამართლების შედეგია ყოველთვის. გ. კლიმოვი მოცემული კონტექსტის ამ სიტყვას ასე თარგმნის რუსულად: „неуду судить тебя“<sup>19</sup>. აქვე უნდა გავიხსნოთ ივ. ჯავახიშვილის შემდეგი მსჯელობა: „სამართალი ან ერის საზოგადოებრივი ცხოვრებით შექმნილი ჩვეულება ან წესია, ან სახელმწიფოს მთავრობისა და კანონმდებელი კრების გაჩენილია ზოლმე. უძველეს ხანაში, რასაკვირველია, სამართალი და ზნე-ჩვეულება ერთი და იგივე იყო, შემდეგ, როცა კაცობრიობა განვითარდა და წარმატებული მოქალაქეობრივი ცხოვრება შექმნა, მაშინ სამართალი ზნე-ჩვეულებას დაჰშორდა, და-

16 ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 291. ეს ფაქტი თავის დროზე შეუნიშნავს ს. ჯანაშიას, რომელიც განიხილავს რა ვახუშტისეულ ზემოთ მოყვანილ ცნობას, ასევე: „ცნობილია, რომ ჩვენს ხალხში დღესაც სიტყვა „რჯული“ უპირატესად იხმარება იმ ცნების აღსანიშნავად, რომლისთვისაც ჩვენ ვხმარობთ სიტყვას — „ეროვნება“. თუ არ ვცდები, ხალხისათვის სიტყვა — ეროვნება უცნობიც უნდა იყოს — (მე ვგულისხმობ ისეთ ხალხს, რომელსაც მწიგნობრული ზეგავლენა არ განუცლია). აი, აქაც ვახუშტის ამ სიტყვას უთვოდ ასეთი მნიშვნელობა აქვს. იგი სარწმუნოებრივ-კონფესიონალური მომენტია და ეს ბუნებრივია, რომ ისინი ერთი მეორეს გენეტურად დაკავშირებული არიან. თავდაპირველად ეს კულტურული ერთობა და მისი ზრდის მომენტი, უწინარეს ყოვლისა, სარწმუნოებრივ-კონფესიონალურ ნიადაგს უნდა შეადგენდეს“ (ს. ჯანაშია, ქართველი ერის წარმოშობის შესახებ, „შრომები“, ტ. VI, თბ., 1988, გვ. 177).

17 ცნობა მომწოდია არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომელმა გ. აზღელიანმა.

18 ქართული ხალხური პოეზია, ტ. I, თბ., 1972, გვ. 137.

19 Г. А. Климов, დასახ. ნაშრომი, გვ. 162.



წინაურდა და კანონდებულ სამართლად გადაიქცა<sup>20</sup>, ამდენად, თუ „რჯული“ ნაწარმოებია ზმნა „სჯა“-დან და თავდაპირველად ნაბჭობის, გადაწყვეტილის, დადგენილისა, განსჯილის მნიშვნელობა ჰქონდა, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი აღნიშნავდა იმ ზნე-ჩვეულებებით განმტკიცებულ ნორმებს, რომლითაც წესრიგდებოდა გარკვეული კოლექტივის საზოგადოებრივი ცხოვრება<sup>21</sup>.

„რჯულს“ მოეპოვება საპირისპირო ცნება „ურჯულო“, რომელიც ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში გვხვდება უშუალოს|უჯულოს|ურჩულო ფორმებით. ზემოთმოყვანილი მაგალითებიდან ჩანს რომ ცნება „რჯული“ არ მიემართება კონკრეტულ ადამიანს, „ურჯულოს“ კი სწორედ ასეთი გაგება აქვს. ეს უკანასკნელი ყოველთვის პიროვნებას გულისხმობს და არასდროს აბსტრაქტულ ცნებებს — სარწმუნოებას, ეროვნებას და ა. შ. ტერმინი „ურჯულო“ გააზრებულია ეთნოცენტრიზმის პოზიციებიდან, რაც გულისხმობს საკუთარი ეთნოსისათვის სხვაზე აღმატებულ ღირსებათა და უპირატესობათა მინიჭებას. მაგ., ძველი ბერძენები ყველა არა ბერძენს „ბარბაროსს“ ეძახდნენ<sup>22</sup>. ამ შემთხვევაში მხედველობაშია მიღებული, რომ „ურჯულოს“ არა აქვს „რჯული“, „რჯულის“ არ მქონია. ასეთი გაგება კი მიეწერება იმ პირს, ვინც არაა ნაზიარები „ჩვენს რჯულს“, არ იცნობს „ჩვენს ზნე-ჩვეულებებს“, არ ცხოვრობს „ჩვენი წესით“, არაა „ჩვენი კოლექტივის“ წევრი. ამიტომ ის „სხვაა“, მაგრამ იმ „სხვას“ ხომ შეიძლება გააჩნდეს „ჩვენი რჯულისაგან“ განსხვავებული „თავისი რჯული“, ამის დაშვება ამ პოზიციიდან გამორიცხულია. ამ განსხვავების ფიქსირება, აღნიშვნა იწვევს შემდეგ აზრს: „ურჯულო“ არის „სხვა“, „უცხო“ „არაჩვენიანი“, რომელმაც არ იცის „რომელ-რომელთა ჯერ არს ქმნაჲ (საბა). „ჩვენ“ კი ვართ ის კოლექტივი, ერთობა, რომელთაც გვაქვს „რჯული“, რომელიც საერთოა თითოეული წევრისათვის. ე. ი. „ჩვენ“ ვართ ერთი რჯულისანი ანუ ერთი „რჯული“, ამდენად, ცნება „რჯულის“ შინაარსი ერის, ეროვნების, ხალხის შინაარსის გაგებამდე ფართოვდება. გავისვენოთ ვახუშტი ბატონიშვილის ზემოთ მოყვანილი ცნობა: „უკეთუ ჰკითხო ვისმე ქართველსა ანუ იმერსა, მესხსა და ჰერაკესსა რა რჯული ხარ, წამს მოგიგებს: „ქართველი“.

გარდა ამისა, როცა ქრისტიანობა საქართველოში ოფიციალური სახელმწიფო რელიგია ხდება და ამიტომ მას საზოგადოებრივი ცხოვრების მომწესრიგებლის ფუნქცია ენიჭება<sup>23</sup>, „რჯულით“ აღინიშნა ქრისტიანული სარწმუნოე-

<sup>20</sup> ი. ე. ჯ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 29.

<sup>21</sup> ვეჟა-ფშაველა წერს: „ეკქნაობის (ხმლით ორთაბრძოლის, დ. ს.) შემთხვევებს ხევსურები ოფიციალურ სამსჯავროს ყურად როდი აგდებენ, თეიანთი „რჯულით“, ჩვეულებით ხელმძღვანელობენ, მითი კმაყოფილდებიან“ (ვეჟა-ფშაველა, ხევსურის თავი, თხზ., ტ. VII, თბ., 1956, გვ. 168). „სისხლის დასაურევებელს ადგილობრივი მოსამართლეები (მერჯულები) გადასწყვეტენ. მერჯულებმა უნდა წულული დაზომონ ქერის მარცვლებით“ (იქვე, გვ. 165).

<sup>22</sup> „Любопытно подчеркнуть, что в первобытном обществе „мы“—это всегда „люди“ в прямом смысле слова, т. е люди вообще, тогда как „они“—не совсем люди. Самоназвание множества племен и народов в переводе означает просто „люди“... На деле это осознание достигается лишь через антинтау, через контраст: „мы“—это те, которые не „они“, те, которые не „они“, это—истинные „люди“. Б. Ф. Поршнев, Социальная психология и история, М., 1966, гв. 82.

<sup>23</sup> ი. ე. ჯ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 23. |

ბა და საეკლესიო სამართალი, ზოლო საპირისპირო ცნებით „ურჯული“-თი ამ სარწმუნოებისა და სამართლის, ე. ი. ქრისტიანული რელიგიური დოგმატის უარყოფელი ადამიანი თუ ადამიანთა ჯგუფი.

ამრიგად, თუ ზემოთ მოცემული მსჯელობა სწორია, მაშინ შეიძლება დავასკვნათ: ცნება „რჯული“ თავდაპირველად აღნიშნავდა მხოლოდ ზნე-ჩვეულებებს. აქედან გამომდინარე, რადგან ზნე-ჩვეულებები იყო სხვადასხვა კოლექტივებს შორის ერთმანეთისაგან განმასხვავებელი ნიშანი „რჯულმა“ შეიძინა ამ ზნე-ჩვეულებებით ერთიანი კოლექტივის — ეთნოსის შინაარსი. ზოლო, ქრისტიანობის გავრცელების ჩანიდან „რჯულით“ აღინიშნა ქრისტიანული სარწმუნოება და საეკლესიო სამართალი, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების წარმმართველი ახალ ზნე-ჩვეულებათა სისტემა.

Д. Г. САРТАНИЯ

## К СОДЕРЖАНИЮ ПОНЯТИЯ «РДЖУЛИ»

Резюме

Понятие «рджули» в древних грузинских письменных памятниках и картвельских языках — в мегрельском и сванском — встречается во многих видоизмененных формах (груз. рджული//რჩული//შჩული//შდჯული//სდჯული; мегр. рджული//рджун; сван, рджуил). «Рджული» происходит от глагола «сджа» (обсуждение, осуждение) и является полисемантическим по содержанию. Первоначально оно означало обряд и обычай, а затем его содержание расширяется и означает, с одной стороны, христианское вероисповедание и церковное право и, с другой стороны, народ и народность.

D. SARTANIA

## ON CONTENT OF „RDZHULI“ NOTION

Summary

Notion of a „rdzhuli“ in ancient Georgian written monuments and cartvelian languages-megrelian and svanian-is meeting in many modified forms (Georgian rdzhuli//rchuli//shuli//shdzhuli//sdzhuli; megrelian rdzhuli//rdzhuli//rdzhui; svanian rdzhui)l. „Rdzhuli“ came from verb „sdzha“ (discussion, blame) and is a polysemantic in content. Originally it stood for ceremony and custom, and then its content is widening and is standing for, from one side, Christian religion and ecclesiastical law, and from the other side, nation and nationality.

წარმოადგინა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის, საქართველოს მატერიალური კულტურისა და სამეურნეო უწყის ეთნოგრაფული შესწავლის განყოფილებამ

მანანა წარბთელი

საირხეში აღმოჩენილი საიუველირო ნაწარმის მხატვრული  
გადაწყვეტის ზოგიერთი საკითხი

ჩვენი კვლევის საგანია დღევანდელი საჩხერის რ-ს ტერიტორიაზე (წარსულში ისტორიული არგვეთის ნაწილი), მოპოვებული არქეოლოგიური მასალა. წინამდებარე ნაშრომში განვიხილავთ სამკაულის მხოლოდ ერთ სახეობას — საყურეს.

დღეისათვის ძვ. წ. V—I საუკუნეების კოლხური ოქრომჭედლობის ძეგლები შედარებით სრულად გამოვლინდა ვანის ნაქალაქარის არქეოლოგიური გათხრებით. აქ მოპოვებული ოქროს ნივთების შესწავლის შედეგად განზოგადებულია კოლხური სამკაულის განმსაზღვრელი ნიშნები. სახელდობრ: „ძვ. წ. V ს.—IVს. პირველი ნახევრის ოქრომჭედლობის ძეგლებისათვის დამახასიათებელია: მდგრადობა; შემკულობასა და სამკაულთა აგებულებაში, გეომეტრიული სახეების გამოყენება (წრე, ოვალი, სამკუთხედი, რომბი, სფერო, პირამიდა, კონუსი, ცილინდრი); შემკულობათა ზოგიერთი სახეობა: ცვარა, სადა, დაკეჭნილი, გრებილი მავთული; წნული, ვარდულას ელემენტი“<sup>1</sup>.

საირხის სამაროვანზე აღმოჩენილი საყურეების განხილვამ, ვანის ნაქალაქარის მასალებთან მიმართებაში, გვაჩვენა, რომ საირხული სამკაულები კოლხური კულტურის ორგანული ნაწილია, ამავე დროს მათთან მხატვრულ-სტილური ერთიანობის საზღვრებში ავლენენ გარკვეულ თავისებურებებს. სწორედ ამ ნიშნების გამოვლენა და შეძლებისდაგვარად ახსნა წარმოადგენს ჩვენს მიზანს.

საირხეში დამოწმებულია ცხრა ერთგული ბურთულიანი საყურე<sup>2</sup>. მათი ძირითადი განმსაზღვრელი ელემენტებია: ოვალური, გახსნილი საყურე რგოლი და მასზე უძრავად დამაგრებული ბურთულა, დაბოლოებული ცვარათი შედგენილი პირამიდებით ან მტევნით. ბურთულა თავისი აგებულებით და შემკულობით სხვადასხვაგვარია. გვხვდება: ჭვირული (სამარხი V); ცვარათი შემკული (სამარხი VIII); დაღარულბურთულიანი (სამარხი X).

ამავე ჯგუფს მიეკუთვნეთ წყვილი ჭვირულბურთულიანი საკიდი, აღმოჩენილი V სამარხის, მთავარი კამერის ჩრდ. აღმოსავლეთ კუთხეში<sup>3</sup>. კომპოზიციურად ისინი იმეორებენ ზემოთ დასახელებული საყურეების ფორმას, რომელიც გართულებულია დამატებითი ელემენტებით — ბურთულას ვარს-შემოყვება ფირფიტოვანი სარტყელი, რომლის ზედა სიბრტყეზე მოთავსებულია ოცდაორი ფრინველის ნახევარფიგურა, ხოლო ქვევიდან შეკიდულია, ძეწკვებზე დამაგრებული, ფუყე მარცვლები. სურ. 1. სამკაული ძლიერ და-

1 ა. ჭყონია, ოქროს სამკაულები ვანის ნაქალაქარიდან, თბ., 1981, გვ. 98.  
2 ჯ. ნადირაძე, 1982—88 წლების სამეცნიერო ანგარიშები, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი.  
3 ჯ. ნადირაძე, საირხე საქართველოს უძველესი ქალაქი, თბ., 1990, გვ. 37, ტაბ. IV.



სურ. 1

ზიანებულია, ვარდულები არ არის შერჩენილი. ერთ-ერთ ყურსაკიდ რგოლზე შემორჩენილია მრგვალგანივკვეთიანი მავთულის რგოლი, რაც ვანის VI სამარხის სხივანა საყურეებთან ანალოგიით ძეწკვის ნაწილად მივიჩნით. განხილული წყვილი ცალკეული ნიშნებით (სკულპტურული ფიგურები, მოძრავი ელემენტები) უახლოვდება ვანის<sup>4</sup> და ახალგორის<sup>5</sup> სასაფეთქლებს. აღნიშ-

<sup>4</sup> ა. ჭყონია, დასახ. ნაშრომი, გვ. 24, სურ. 8—9.

<sup>5</sup> Я. И. Смирнов, Ахалгорийский клад, Тифлис, 1934, გვ. 23—29, ტაბ. 111/26.

ნული კომპლექსები დათარიღებულია ძვ. წ. IV ს-ით, ხოლო ფიგურულგამოსახულებიანი საკიდები განხილულია, როგორც ელინისტური ხანის საყურეების ერთგვარი წინამორბედები, სადაც ახალ ტენდენციებთან — მოძრავსაკიდიანობა, დინამიურობა შერწყმულია ადრეანტიკური ხანისათვის დამახასიათებელი ტრადიციული ელემენტები (ყურსაკიდი რგოლის გაფორმება)<sup>6</sup>. საირხული წყვილი, კომპოზიციური გადაწყვეტით, მნიშვნელოვნად განსხვავდება ზემოთ მოყვანილი ნიმუშებისაგან, სადაც ფიგურული გამოსახულება წარმოადგენს საკიდის კომპოზიციურ ცენტრს, თვისება რომელიც დამახასიათებელია, ელინისტურ ხანაში, ფართო გავრცელებული ფიგურულსაკიდიანი საყურეებისათვის — „პოლუქსის ონომასტიკონი“<sup>7</sup>. ჩვენ შემთხვევაში კი საკიდის ყველა დეტალს ერთნაირი კომპოზიციური დატვირთვა აქვს, ამ ნიშნით იგი უფრო უახლოვდება ვანის № 11 სამარხის, ფრინველის გამოსახულებით შემკულ, სხივიანა საყურებს<sup>8</sup>, რომლებთან ქრონოლოგიურ სიახლოვესაც იჩენს. აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ამავე სამარხის, დანარჩენ ჭვირულბურთულთან საყურეებთან ერთად აღიქმებიან ერთ კომპლექტად, ხოლო მოძრავი ელემენტები ორგანულად ერწყმიან ჩამოყალიბებულ კომპოზიციას. ამავე თვალსაზრისით ინტერესს იწვევს X სამარხში დამოწმებული ყელსაბამი. შედგენილი ნახევარმთვარისებური ფორმის საკიდებისაგან<sup>9</sup>. (სურ. 2). მსგავსი ყელსაბამი, ცვარათი გამოყვანილი სახეებით შემკული, გვხვდება ვანის IX სამარხში. ამ შემთხვევაში მოძრავი საკიდების სიმრავლე, მათი ნახევარმთვარისებური ფორმა განხილულია როგორც ადრეელინისტური და შემდგომი ხანის დამახასიათებელი ნიშნების შერწყმა ადრეული ხანის კოლხური ოქრომჭდელობის ტრადიციებთან<sup>10</sup>. ძვ. წ. IV ს. მეორე ნახევრით დათარიღებული ვანის IX სამარხისათვის დამახასიათებელი ეს ნიშნები მიჩნეულია ახალ ეტაპზე მიმდინარე მოვლენების ნათელ ილუსტრაციად. სადღესოდ ძვ. წ. IV ს-ის პირველი ნახევრით დათარიღებულ საირხის № 10 სამარხში ასეთი სამკაულის გაჩენა განსხვავებულ ახსნას მოითხოვს.

ჩვენი ვარაუდით, ორსავე დასახელებულ შემთხვევაში (სამარხი V, X) სხვა კომპლექსებთან შედარებით, მოძრავი საკიდების უფრო ადრეული გაჩენა განპირობებულია ბრინჯაოს პლასტიკასთან გენეტიკური კავშირით. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე კონკრეტულ მაგალითს. სურათზე 3 მოცემულია განსხვავებული დანიშნულების ნივთები, რომელთა კომპოზიციურ გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მოძრავად შეკიდულ საკიდებს. მსგავსი მოძრავსაკიდიანი ნივთები საყოველთაოდ გავრცელებულია კავკასიის ტერიტორიაზე და განეკუთვნებიან გვიანბრინჯაო, ადრერკინის ხანას.

საირხის V სამარხის სასაფეთქელების კომპოზიციური გადაწყვეტა გამოწვევისი არ უნდა იყოს. იგივე პრინციპს ვხედავთ ახალგორის განძის მერი-


6 ა. ჭყონია, დასახ. ნაშრომი, გვ. 30.

7 R. A. Higgins, Yreek and Roman jewellery, London, 1962, p. 165—168, pl. 48 A—G.

8 ა. ჭყონია, დასახ. ნაშრომი, გვ. 94, სურ. 4.

9 ვ. ნადირაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 94, ტაბ. IX.

10 ა. ჭყონია, დასახ. ნაშრომი, გვ. 70, სურ. 44.



სურ. 2

დიანულად დაღარულ მძივებში, ეკვატორზე შეკიდული საკიდებით<sup>11</sup>. ხოლო მოგვიანებით იგივე მოტივი თავს იჩენს კლდეეთის სამაროვნის მასალაში<sup>12</sup>.

<sup>11</sup> Я. И. Смирнов, დასახ. ნაშრომი.

<sup>12</sup> გ. ლომთათიძე, კლდეეთის სამაროვანი, თბ., 1957.



ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებით დათარიღებული ბრინჯაოს ნივთების დიდი ჯგუფი (კლდეეთი ბორი) ერთი მხრივ, ინარჩუნებს კავშირს წინარეანტიკური ხანის მასალასთან და ამავე დროს ავლენს ძვ. წ. V—IV ს-ის ოქრომჭედლობის გავლენას. ცხადია, ამგვარი გამოჩენა პირობითია. კავშირი ოქროსა და ბრინჯაოს ნივთებს შორის განვითარების არც ერთ ეტაპზე ცალმხრივი ან ერთგვაროვანი არ არის. ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ იმ მომენტზე, რომელიც წამყვანია განსახილველ კონკრეტულ შემთხვევაში და სადაც თავს იჩენს კავშირი, ჩვენთვის სანეტერესო, საირხის სამკაულებთან.

მსგავსი ხასიათისაა კლდეეთის სამარხეული ინვენტარის კუთვნილი საკიდების ერთი ჯგუფი, რომლებიც ზედმიწევნით იმეორებენ საირხის № 5 სამარხის ჭვირულბურთულიანი საყურეების ფორმას და შესაბამისად ახალგორის განძის ზემოთმოყვანილ სამკაულებსაც. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

ჭვირული ბიკონუსური საკიდის ჩონჩხი აგებულია რვა სათანადოდ მოღუნული ღერაკისა და ერთი ირგვლივ სარტყლად შემოვლებული ღეროსაგან. ჩამოსაკიდად საკმაოდ დიდი რგოლი აქვს მირჩილული<sup>13</sup>.

მსგავსია აგებულებით რთული მტევნებასხმული საკიდი. ძირითად ნაწილი დოქისებური ფორმისაა (ანალოგი-სფერული ბურთულა და ცილინდრი), რომელიც ბოლოვდება მსხვილი ჩამოსაკიდი რგოლით. ბურთოს შუაზე, ირგვლივ შემორტყმული აქვს ზედ დარჩილული რვა ერთნაირი ყუნწი. თითოეულზე მარყუჟიანი ძეწვით შეკიდული აქვს პატარა საკიდები.

წინამორბედ მასალასთან კავშირის საინტერესო გამოვლენად მიგვაჩნია ბიკონუსური ფორმის საკიდი, უხვად შემკული წვრილი, მრგვალი და თანაბარი ბურთულებით. სარტყელს ირგვლივ რვა ბურთულა აკრავს, ზედა და ქვედა ღერაკებს ორ-ორი და ერთი ქვედა წვეტს<sup>14</sup>. (ცვარას იმიტაცია).

ბრინჯაოს კულტურასთან კავშირზე მეტყველებს საბადურის ბორცვზე აღმოჩენილი ფიგურული გამოსახულებების მხატვრულ-სტილური ანალიზი<sup>15</sup>. აქ დამოწმებულ ნივთებს ახასიათებთ შესრულების მანერის ერთიანობა. სახელდობრ: გამოსახულება მიღებულია გამოტვიფრული ფირფიტების მირჩილვის შედეგად; მინიმუმამდეა დაყვანილი ყოველგვარი სხვა დეტალის გამოყენება (ცვარა, მავთული). ფორმა განზოგადებულია, მოკლებულია ყოველგვარ დეტალიზაციას; პროპორციები მშვიდი და გაწონასწორებულია; ცალკეულ შემთხვევაში თავს იჩენს დეკორაციული მომენტი. ამ მასალის შედარებისას ვანის თანადროულ XI სამარხის ინვენტართან (ძვ. წ. V ს) მთელ რივ მსგავს ნიშნებთან ერთად, მხატვრული შესრულების მანერის თვალსაზრისით შეინიშნება შესამჩნევი განსხვავება — ვანში, ძირითადი მოცულობის გამოტვიფრის შემდეგ, ცალკეული დეტალები (თვლები, ყურები, რქები) გამოყვანილია ცვარას, მავთულის, ფირფიტების საშუალებით. განსხვავებული მხატვრული გადაწყვეტის საკითხს ეხება ა. ჭყონია № 11 სამარხში აღმოჩენილი, ვერძის

13 გ. ლომთათიძე, კლდეეთის სამაროვანი, თბ., 1957.

14 გ. ლომთათიძე, დასახ. ნაშრომი.

15 მ. წერეთელი, საქართველოს სსრ ხელოვნების სახ. მეზემის IX სამეც. სესია, თბ., № 1987.

16 ა. ჭყონია, დასახ. ნაშრომი, გვ. 70, სურ. 44. 1



სურ. 3

თავისგამოსახულებიანი საკიდებით შედგენილი, ყელსაბამის განხილვისას. იგი მიუთითებს ვანის მასალის სტილური გადაწყვეტის სხვაობაზე და გამოთქვას ვარაუდს კოლხეთის სხვა ცენტრიდან მისი წარმოშობის შესახებ<sup>16</sup>. ამავე დროს უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ამ ყელსაბამის ანალოგიური სამკაული აღმოჩენილია საირხის V და XIII სამარხებში<sup>17</sup>, მათი და აქვე დამოწმებული საკიდების შესრულების მანერა სრულიად იდენტურია.

ზემოთქმულის საფუძველზე ვფიქრობთ, რომ საირხეში დამოწმებული ნივთების მხატვრული სტილის ჩამოყალიბების საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ბრინჯაოს პლასტიკამ. მისთვის დამახასიათებელი ფორმის განზოგადობა, შემკულობაში დამატებითი დეტალების შეზღუდული გამოყენება უნდა მომდინარეობდეს ბრინჯაოს მასალის სპეციფიკიდან.

სამეცნიერო ლიტერატურაში საყოველთაოდ აღიარებულია კოლხეთის ადრეანტიკური ხანის საიუველირო ნაწარმის მხატვრულ-სტილური ერთიანობა, გაანალიზებულია მისი კავშირი როგორც წინამორბედ, ასევე შემდგომი (ადრეელისტური) პერიოდის მასალასთან. ამ საკითხებს ჯერ კიდევ ბ. ა. კუფტინი შეეხა<sup>18</sup>, ხოლო დეტალურად დაამუშავეს ა. ჯავახიშვილმა<sup>19</sup>, ი. გავოშიძემ<sup>20</sup>, თ. ლორთქიფანიძემ<sup>21</sup> და ა. ჭყონიამ<sup>22</sup>.

<sup>17</sup> ჯ. ნაღორაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 29.

<sup>18</sup> Б. А. К у ф т и н, Материалы к археологии Колхиды, 1950.

<sup>19</sup> ა. ჯავახიშვილი, ქართული მხატვრული ხელოსნობის ისტორიიდან, საბჭოთა ხელოვნება, 1956, № 6.

<sup>20</sup> გავოშიძე, მასალები ქართული ოქრომკვდლობის ისტორიისათვის, სსმ, XX XII—? 1976.

<sup>21</sup> თ. ლორთქიფანიძე, ვანის ნაქალაქარი, ვანი I, III.

<sup>22</sup> ი. გავოშიძე, დასახ. ნაშრომი.

ი. გავომიძე ქართული ოქრომჭედლობის საკითხების კვლევისას მიუთითებს, რომ ძვ. წ. VII—VI სს-ში ჩვენ უკვე საქმე გვაქვს ოქრომჭედლობის ჩამოყალიბებულ სკოლასთან, საიდანაც ადრეანტიკური ხანის ოსტატებმა მემკვიდრეობით მიიღეს როგორც სამკაულთა ფორმები (კერძოდ, საყურეები), ისე მხატვრული შემკობის ხერხების სრულიად გარკვეული არსენალი<sup>23</sup>. ამ დროს მიმდინარე ინტენსიური შემოქმედებითი პროცესი, რომელმაც მნიშვნელოვნად განსაზღვრა მთელი ანტიკური ხანის ლითონის მხატვრული დამუშავების ხასიათი, განპირობებული უნდა ყოფილიყო გარკვეული წინამძღვრებით.

ქრონოლოგიურად ამ მოვლენას წინ უსწრებს მხატვრულად დამუშავებული ბრინჯაოს ნაწარმის საყოველთაო გავრცელება მთელ ამიერკავკასიაში (ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევარი). მათი შესრულების მაღალი მხატვრული და ტექნიკური დონე გარკვეულ პროფესიონალიზმზე მეტყველებს. შეინიშნება კულტურული ცენტრების დაწინაურება, სადაც ყალიბდება ცალკეული სახელოსნოები. ხელოვნებაში მიმდინარე ეს პროცესი აისახა ისეთ ძეგლებზე, როგორცაა ე. წ. კოლხურ-ყობანური ცულები და აბზინდები, ბრინჯაოს გრავირებული სარტყლები, მცირე პლასტიკის მრავალრიცხოვანი ნიმუშები. ამ ნივთების დეკორში მხატვრული სახეებითაა ასახული გარკვეული შინაარსის მქონე გამოსახულებები, ვადმოცემულია მითოლოგიური აზროვნების კომპლექსები, ჩამოყალიბდა მხატვრულ სახეთა მთელი სიმბოლიკა<sup>24</sup>.

ამ ძეგლებზე ასახული მითოლოგიურ წარმოდგენათა კომპლექსი, შედარებით რთულ გააზრებაში თავს იჩენს გვიანელინისტური, გვიანანტიკური ხანის მოვლენაში — ბრინჯაოს ბალთებში<sup>25</sup>.

ეს მხატვრული სახეები უდიდეს მდგრადობას იჩენენ, რაც მათ მკვებავ სულიერ წარმოდგენათა სიმყარესა და ღრმა ტრადიციას მოწმობს. ამიერკავკასიის უძველესი ხელოვნების ერთ-ერთ ძირითადი ნიშანია, ის, რომ ღროს დიდი მონაკვეთით ერთმანეთისგან დაცილებულ ძეგლებზე, ჩვენ ერთი და იმავე სიუჟეტის, ან მთელი მითოლოგიური კომპლექსის განმეორებით გადმოცემას ვხვდებით.

ანტიკური ხანის ოქრომჭედლობაში, რომელიც ქრონოლოგიურად თავსდება ბრინჯაოს კულტურის ამ ორ აღმავლობის პერიოდს შორის, მნიშვნელოვნად უნდა ასახულიყო როგორც ლითონის მხატვრული დამუშავების ჩამოყალიბებული ტრადიციები, ისე რწმენა-წარმოდგენათა მთელი კომპლექსი.

ადრეანტიკური ხანის საყურეების და სასაფეთქლეების განწილვისას, უპირველეს ყოვლის, შევეხებით კონკრეტულად ამ პერიოდის ნიშანულან — ყურსაკიდი რგოლის შემკობას დეკორაციული სარტყლით და ვარდულით. ამ ნიშნით ერთიანდება კოლხეთის ტერიტორიაზე დამოწმებული საყურეების დიდი ნაწილი, განურჩევლად მათი ადგილობრივი (ბურთულიანი სხივანა) წარმოშობისა თუ გარედან შემოტანილი (მთვარისებური) ფორმისა. ყურსაკიდი რგოლის ამ სახით შემკობა გვხვდება მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე.

24 მ. ხიდაშელი, ცენტრალური ამიერკავკასიის გარკვეული ხელოვნება ადრეულ რკინის ხანაში, თბ., 1982. Н. Урушадзе, Древняя летопись древней Грузии, 1984; ლ. ფანცხავა, კოლხური კულტურის მხატვრული ხელოსნობის ძეგლები, თბ., 1988.

25 მ. ხიდაშელი, ბრინჯაოს მხატვრული დამუშავების ისტორიისათვის ანტიკურ საქართველოში, თბ., 1972.



აქ კი მისი გავრცელების საზღვრები საქმოდ ფართოა: ვანი, საირხე, ქობულეთ-ფიჭვნარი, ითხვისი, რაჭა... |

მოცემული მოტივის თავისთავადობის, საყოველთაო გავრცელების და მკვეთრი ქრონოლოგიური საზღვრების არსებობის (ძვ. წ. V—IV სს) საფუძველზე შესაძლებლად მივიჩნით მასში, წინამორბედ ხანაში არსებული მითოლოგიური მოტივის განსხვავებული გამოვლენა გვეძებნა. ამავე დროს, დაგვედგინა ანტიკური ხანის შემდგომ ეტაზე იგი წყვეტს არსებობას თუ განიცდის შემდგომ სახეცვლილებას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ საქართველოს ტერიტორიაზე დამოწმებულ საყურეები ძვ. წ. V—IV ს-ში ერთიანდებიან ყურსაკიდი რგოლის შემკობის ერთი პრინციპით (სარტყელი და ვარდული). თვით ამ ელემენტების დეკორი და ცალკეული დეტალების პროპორციული ურთიერთშეფარდება მნიშვნელოვნად იცვლება. რის საფუძველზეც საყურეები დავაჯგუფეთ შემდეგი სახით:

I—საყურეები, რომელთა ყურსაკიდი რგოლი შემკულია დაკეპნილი ან სადა მავთულისაგან გამოყვანილი მარყუჟებით. (საირხე, სამარხი V—2 წყ. ვანი, სამარხი XI—2 წყ., სამარხი VI—2 წყ.).

II—საყურეები, რომელთა ყურსაკიდი რგოლის წინა მხარე ცვარას ან გრებილი და სადა მავთულის განსხვავებული კომბინაციით შემკული ფირფიტა (საირხე, სამარხი VIII—1 ცალი, სამარხი X—1 წყ.; ვანი, სამარხი IX—1 ცალი, სამარხი XV—1 ცალი, 1986 წელს აღმოჩენილი სამარხი—1 წყ.).

III—საყურეები, რომელთა ყურსაკიდი რგოლი სადა, მრგვალგანივიკვეთიანი მავთული ან ცვარას, სადა და დაკეპნილი მავთულის კომბინაციით შემკული ღეროა (საირხე, სამარხი V—7 ცალი, სამარხი VIII—1 ც. სამარხი X—1 წყ.; ვანი, სამარხი XI—5 ცალი, სამარხი VIII—1 ცალი, სამარხი V—2 წყ., სამარხი (XVI—1 წყ.).

სურათი როგორც საილუსტრაციო მასალა გვიჩვენებს, რომ II—და III ჯგუფის ყურსაკიდი რგოლების დეკორაციული შემკობა მსგავსია, მაგრამ განსხვავდება თვით სარტყელის ფორმა. პირველ შემთხვევაში იგი დეკორაციულად შემკული სიბრტყეა, რომელსაც საყურის ძირითად ნაწილსა და მოზრდილ ვარდულთან ერთად თანაბარი კომპოზიციური დატვირთვა აქვს (II ჯგ.). მეორე შემთხვევაში ყურსაკიდი რგოლი, სადა ან დეკორაციულად შემკული ღეროა, ხოლო საერთო კომპოზიციურ სქემაში წინა პლანზე გამოდის საყურის ძირითადი ნაწილი (III ჯგ.) ამ თვალსაზრისით იგი უახლოვდება I ჯგუფის სამკაულების აგებულების კომპოზიციურ პრინციპს.

ჯგუფებს შორის შესამჩნევია გარკვეული ქრონოლოგიური გამოჩენა. I ჯგუფის სარტყლები დამახასიათებელია შედარებით ადრეული კომპლექსებისათვის. (საირხე—ძვ. წ. V ს; ვანი—ძვ. წ. V ს., ძვ. წ. IV ს. დასაწყისი) შემდგომ ეტაზე ისინი იცვლებიან II ტიპით. (საირხე—ძვ. წ. IV ს. ვანი—ძვ. წ. IV ს. მეორე ნახევარი). III ჯგუფში გაერთიანებულია შედარებით გავრცელებული ტიპის საყურეები, რომლებიც გვხვდება ძვ. წ. V—IV სს.

ადრეანტიკური ხანის საქართველოს ტერიტორიაზე დამოწმებული საიუველირო მასალის ფონზე, შედარებით მოულოდნელად გვეჩვენება ყურსაკიდი რგოლის შემკობა მარყუჟებით. სწორედ ამ ჯგუფს განეკუთვნება ჩვენ მიერ განხილული, რთული აგებულების, ჰვირთულბურთულიანი საკიდები (საირხე,

სამარხი № 5). მიუხედავად კომპოზიციური გადაწყვეტის მნიშვნელოვანი განსხვავებისა, შედარებით ახლო პარალელად მივიჩნით ვანის № 11 სამარხის, პირველი მიცვალებულის კუთვნილი, სხივანა საყურეები. ორივე წყვილი შემკულია ფრინველთა სკულპტურული გამოსახულებით, მსგავსი უნდა იყოს მათი დანიშნულება (სასაფეთქლები) და დეკორაციული სიმბოლიკა.

ა. ჭყონია, ვანის ნაქალაქარზე დამოწმებულ, ფრინველის გამოსახულებიან საკიდებს უკავშირებს „დიდი დედის კულტს“ და გამოთქვამს ვარაუდს კოლხი ქალის თავსამკაულში ამ მოტივის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე<sup>26</sup>. ავტორი იმავე შინაარსს ხედავს კლექთის ფრინველის გამოსახულებიან ბალთებშიც. გამოთქმულია მოსაზრება, რომ შესაძლოა, ისინიც თავსამკაულის ნაწილს წარმოადგენენ<sup>27</sup>. მოთვალულ ოქროს ბალთებზე, წარმოდგენილი მხატვრულ-სტილისტური ხერხების და გამოსახულებათა გენეტიკური კავშირი უფრო აღრეული ხანის კოლხურ მხატვრულ-კულტურულ სამყაროსთან აღნიშნულია გონიოს განძის შესწავლისას<sup>28</sup>. ფრინველის გამოსახულება, აგრეთვე სამკაულის სახით, მოცემულია ალექსანდრე მაკედონელის და ლისიმაქეს სტატერების მინაბაძებზე<sup>29</sup>. გ. ღუნდუას აზრით, ეს გამოსახულებები ადგილობრივ რწმენა-წარმოდგენებს უკავშირდებიან<sup>30</sup>.

ვანისა და საირხის მდიდრული სამარხების ინვენტარის საკულტო-რიტუალურ ხასიათზე მიუთითებს მ. ინაძე და ხაზს უსვამს მათ კავშირს ნაყოფიერებისა და ასტრალურ ღვთაებათა თაყვანისცემასთან. იგივე შინაარსს ხედავს ავტორი საყურეების მზისებრი ვარდულებით და ნახევარმთვარისებური გამოსახულებებით შემკობაში<sup>31</sup>.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შესაძლებლად მივიჩნით რელიგიური წარმოდგენის სიმბოლური ასახვა დაგვეჩაბა არა ცალკე ფრინველის გამოსახულებაში, არამედ ყურსაკიდი რგოლის დეკორაციული სარტყელის, ვარდულას და ფრინველის ერთობლიობაში.

მარყუევებით შემკული ყურსაკიდი რგოლი ვიზუალურად მცენარეული მოტივის, სტოტის შთაბეჭდილებას ტოვებს: ხოლო ვარდული სოლარულ ნიშანზე უკავშირდება. ჩვენი აზრით, აქ მოცემულია სიცოცხლის ხის გამოსახულება. იგივე შინაარსი შეიძლება დავინახოთ საკულტო ხასიათის ნივთში სოფელ ხოვლედან, რომელიც განსაზღვრულია, როგორც ძველი ტიპის რელიგიურ-რიტუალური დროშა<sup>32</sup>. მისი შემადგენელი ნაწილია ოქროს სალტე, ფირფიტას იგარშემოყვება წნევით ამოყვანილი წერტილოვანი სარტყელი. დამუშავების ამავე წესით, ზედ დატანილია შემდეგი კომპოზიცია — ცენტრში ხის სტილიზებული გამოსახულება, რომლის ორსავე მხარეს მოთავსებულია

<sup>26</sup> ა. ჭყონია, დასახ. ნაშრომი, გვ. 31.

<sup>27</sup> გ. ლოთათიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 35, 168.

<sup>28</sup> ოთ. ლოთათიძე, თ. შიქელაძე, დ. ხახუტაიშვილი, გონიოს განძი, თბ., 1980, გვ. 23.

<sup>29</sup> Д. Г. Капанадзе, Изображение знаков власти на древне-грузинских монетах, КСИИМАК, вып. 66, 1965, гв. 83, 88.

<sup>30</sup> Г. Ф. Дондуа, Монетная глистика Колхиды в контексте античной культуры (к постановке вопроса). Тезисы докладов научной конференции „Историчность и актуальность античной культуры“, Тб., 1980, гв. 108—109.

<sup>31</sup> მ. ინაძე, საქარო ცენტრები ძველ კოლხეთში, მაცნე, ისტორიის სერია, 4, 1985, გვ. 48.

<sup>32</sup> ქ. გვასალია, ელინისტური ხანის საკულტო ხასიათის არქ. მასალა სოფელ ხოვლედან, მას. საქართველოს ეთნოგრაფიისთვის, ტ. XVI—XVIII, თბ., 1972, გვ. 48.



სოლარული ნიშნები. ამ შემთხვევაში სრულიად იდენტურია საკუთრივ ნიუტონის ფუნქციონალური შინაარსი და ოქროს სალტეზე დატანილი გამოსახულება. ქართველ მთიელთა დროშები, რომელთაც უკანასკნელ ხანებამდე შემოინახეს დიდი საკრალური მნიშვნელობა, სიცოცხლის ხის ერთ-ერთი სიმბოლოა<sup>33</sup>. ჭვართან სალაპარაკო სპეციალური ტერმინოლოგიით დროშას „აღვის ტანი“ ეწოდებოდა. გარეგნულად იგი დახრილტოტიანი ხის სქემატური გამოსახულებაა, მის ტოტემზე ბინადრობდა ღვთისშვილი, რომელსაც მიღებული ჰქონდა ფრინველის ან ჭვრის სახე, ხოლო წვერზე დამაგრებული ჭვრიაანი ბურთულა სხივმფენ მნათობს განასახიერებდა. ამგვარად, აქ წარმოდგენილია ყველა ის ელემენტი, რომელიც შედის, საკვლევი საკიდების შემადგენლობაში (ხე, ფრინველი, ასტრალური სხეული).

სიცოცხლის ხე სამყაროს ღერძისთვის დამახასიათებელი ვარიანტების ერთ-ერთ სახვითი გამოვლენაა (სვეტი, მთა, კოშკი, ჭვარი, ტაძარი, ჯაჭვი და სხვა.)

ქართული ორნამენტის სიმბოლიკის კვლევისას ი. სურგულაძე ფოლკლორული, ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მასალის განხილვისას ხაზს უსვამს დასახელებული სახეების ვერტიკალურობას—ე. ი. ავლენს მათ „ზე“ და „ქვე“ სამყაროს შორის გადაწყვენი საკომუნიკაციო საშუალების ფუნქციას<sup>34</sup>. ამგვარად, ხე, მთა, კოშკი, ჯაჭვი, რქები, სვეტი... იდენტური მნიშვნელობის საკრალური ობიექტებია, ისინი არიან ღვთაებების მიწიერი საბრძანისი, ამიტომ თავისთავადაც კულტის ობიექტს წარმოადგენენ.

სამენციერო ლიტერატურაში ამ მოტივის კონკრეტული გამოვლენა დამოწმებულია ეთნოგრაფიულ მასალებში: ნაძვის და ხის ბოძის აღმართვა მურყვამობა-კვირიაობის დღესასწაულებზე, სვანური კამარაის რიტუალი<sup>35</sup>, ჩიჩილაკი, საქორწილო რიტუალებში გავრცელებული „მამხალა“ ან „ჩირადანი“, გვერგვი<sup>36</sup>, სახალწლოდ შესრულებული გრაფიკული გამოსახულება „თხები ფიჭვს ჭამენ“<sup>37</sup>.

ხესთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები ჩამოყალიბდა სიცოცხლის და ცხოვრების ხის კოსმოგონიურ-მითოლოგიური კონცეფციის სახით, რომლის განსხვავებული სახვითი გამოვლენა დამოწმებულია, როგორც დღევანდელ სინამდვილეში, ისე შორეულ წარსულში.

ძვ. წ. IX—VII სს. მთელ ამიერკავკასიაში ფართოდ ვრცელდება სახვითი ხელოვნების ერთიანი მხატვრული მიმდინარეობა. ბრინჯაოს გრავირებული სარტყლები, ისევე როგორც კოლხურ-ყოზანური ძეგლები ერთიანია, როგორც თავისი სტილით, ისე შინაარსით, რაც განპირობებულია საერთო იდეოლოგიური შეხედულებებით. ამ ძეგლების სიმბოლიკა და ზედ გამოსახული სიუჟეტები მითოლოგიურ-კოსმოგონიური სამყაროდან არის ამოღებული. უნდა ვიფიქროთ, რომ იმდროინდელი ადამიანის აზროვნებაში გარკვეულად არის ჩამოყალიბებული რწმენა სამი სამყაროს არსებობის შესახებ: ციური

33 ვ. ბარდაველიძე, სიცოცხლის და სიუხვის ხე ქართველთა სარწმუნოებაში, საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები.

34 ი. სურგულაძე, ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, 1986, გვ. 164.

35 ვ. ონიანი, კამარაი, „ძეგლის მეგობარი“, 55, 1980, 1

36 ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან.

37 ვ. ბარდაველიძე, ქართულ-სვანური საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, 1953, ტაბ. XX.

სამყარო — ზესენელი, მიწიერი — შუასენელი და ქვესენელი. ამ სამი სენელის შემაკავშირებლად ხშირად გვევლინება ირემი. გველი, ფასკუნჯი (ფრინველი) და სიცოცხლის ხე. ამ უკანასკნელის კონკრეტული გამოსახულება ბრინჯაოს კულტურის კუთვნილ ძეგლებზე ძალზე იშვიათია (ძვ. წ. I ათასწ. I ნახევარი). ლ. ფანცხავამ ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ კოლხურ ცულებზე წარმოდგენილ ირემებს, მცენარის ფორმის არაპროპორციულად დიდი რქები აქვთ. ამის გამო ავტორი ირემს სიცოცხლის ხის სიმბოლოდ თვლის<sup>38</sup>. იგივე მოვლენა დასტურდება სარტყელების დეკორატივ<sup>39</sup>. აქ ირმის რქები — სიცოცხლის ხე და თვით ირმის ფიგურა (ღვთაების ზოომორფული ხატი) შერწყმულია.

ადრეანტიკური ხანის საიუველირო ნაწარმის მხატვრულ დეკორში, რქამაღალი ირმის გამოსახულება, ჩვენი ვარაუდით შეცვლილია იდენტური შინაარსის გამოსახულებით — სტილიზებული სიცოცხლის ხით და ცისკრის ვარსკვლავით (ვარდულით). ცისკრის ვარსკვლავი ცხოველთა მფარველი ღვთაება დალის ასტრალური სახეა<sup>40</sup>.

უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ თუ აზროვნების რთული მითოლოგიური კომპლექსი, ძირითადად ჩამოყალიბდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში, ძვ. წ. VII—VI სს-ში ჩამოყალიბდა სამკაულთა ძირითადი სახეები და ფორმები. თუ ზემოთ გამოთქმული ჩვენი მოსაზრება მართებულია; სწორედ აქ ძვ. წ. VII—VI სს-ით დათარიღებულ სამკაულში უნდა გვქონდეს წინამორბედი ხანის რწმენა-წარმოდგენების ასახვის პირველი ცდები. ამ თვალსაზრისით, ჩვენი ყურადღება მიიქცია სამკუთხა საკიდების ერთმა ჯგუფმა. ამ სამკაულების დიდი ნაწილი აღნუსხული და გაანალიზებული აქვს ი. გაგოშიძეს, როგორც ადრეანტიკურ ხანაში ფართოდ გავრცელებული სხივანა საყურეების წინამორბედი, საწყისი ფორმა<sup>41</sup>. ჩვენთვის საინტერესოა გაირკვეს, მათი ფორმა (სამკუთხედი) განპირობებულია გარკვეული შინაარსით, თუ მოცემული საკიდების სიმბოლური დატვირთვა შემოიფარგლება ზედ დატანილი გამოსახულების შინაარსით.

ს. ივანოვსკის მიერ გამოქვეყნებულია განჯაში აღმოჩენილი ბრინჯაოს ბალთა, რომელზეც გადმოცემულია ბრინჯაოს ხანის საზოგადოების შეხედულებები სამყაროს აგებულებაზე. კომპოზიციის ცენტრში, რომში ჩახაზულია გამასებური ჯვარი, რომლის წვეროებს უკავშირდება სამკუთხედები, მათ შორის მოთავსებულია ოთხი ცხოველი. თითოეულს უჭირავს სამკუთხედებს შორის სივრცე. მათ მოსდევს ორი რქამაღალი ირემი. მიუხედავად ამ გამოსახულებას გარს შემოუყვება ზოლი, რომელზეც გამოსახულია წყლის ფრინველები<sup>42</sup>. მოცემული სიუჟეტის ახსნა მოგვცა ა. მილერმა. ცენტრში გამოსახული ჯვარი მას მზის სიმბოლოდ მიაჩნია, ხოლო სამკუთხედები, რომელთა შორის ცხოველებია მოთავსებული მთებად. გარე სარტყელს იგი მსოფლიო ოკეანის გამოსახულებად მიიჩნევს<sup>43</sup>. როგორც ვხედავთ, მკვლევარი აქ კოსმოგონიურ სუ-

<sup>38</sup> ლ. ფანცხავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 40.

<sup>39</sup> მ. ხიდაშელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 64.

<sup>40</sup> ი. სურგულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 118.

<sup>41</sup> ი. გაგოშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 30.

<sup>42</sup> С. В. Ивановский, По Закавказью, „Материалы по археологии Кавказа“, вып. VI, таб. VI.

<sup>43</sup> А. А. Миллер, Элемент неба на вещественных памятниках, в сборнике „Из истории докапиталистических формаций“, М.,—I, 1933.



რათს ხედავს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ცხოველთა გამოსახულება აქ კავკასიური ბრინჯაოს კულტურისათვის დამახასიათებელ სტილშია შესრულებული. სურათის განხილულ კომპოზიციაში რქამაღალი ირემი და სამკუთხედი ერთ ფუნქციას ასრულებენ — აკავშირებენ „ზე“ და „ქვე“ სკენლებს. ე. ი. საქმე გვაქვს ერთი შინაარსის, სამყაროს ვერტიკალური ღერძის განსხვავებულ, სახვით გამოვლენასთან. დასახელებულ სახეებს (ზე, მთა) მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ ქართულ ზეპირსიტყვიერებაში. ცალკეულ შემთხვევაში, მიწის და ცის კავშირის განსხვავებული საშუალებანი ერთ სახეშია შერწყმული. ეს გამოკვეთილად ჩანს ლაშარის თქმულებაში: )

„ბერი გიორგი მეც ვიყავ, ცას ვები ოქროს შიბითა,  
გორაზე მდგა ბერმუხა, ზედ ავდიოდი კიბითა,  
ჩემს საყმით შემონახენი ღმერთთან აქონდა იქითა“<sup>44</sup>.

მოცემულ ნაწყვეტში, ცისა და მიწის კავშირის კლასიკურ სახეებს ემატებათ შიბი. მთა, როგორც ამ შინაარსის შემცველი სახე დიდი თვალსაჩინოებით არის მოცემული ერთ-ერთ ქართულ ზღაპარში — „ბოჭმის ყვავილი“ — ყვავილის საძებნელად წასულ ვაჟს, ერთ კლდეს მიასწავლიან, რომელსაც თავი თეთრი ჰქონდა, შუაგული წითელი და ძირი შავი<sup>45</sup>. თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართული მითოლოგიური წარმოდგენის თანახმად, ქვესკნელი შავი ფერის იყო, ზესკნელი — თეთრისა ზოლო შუასაკნელი წითელი ან ჭრელი<sup>46</sup>, სრულიად ნათელია, რომ ქართული ზღაპრის ეს კლდე სამ სკნელს განასახიერებს.

იმ შემთხვევაში, თუ იმავე სიმბოლიკას დავინახავთ წინარეანტიკური ხანის სამკუთხა ფორმის საკიდებში, შედარებით ადვილად ასახსნელი ხდება მათზე არსებული გამოსახულებების კავშირი ძირითად ფორმასთან.

ი. გაგოშიძე განიხილავს ცხინვალის მუზეუმში დაცულ სამკლავა სვასტიკებით შემკულ, სამკუთხა საკიდს (ძვ. წ. VII—VI სს.)<sup>47</sup>; ამავე პერიოდით თარღდება სამთავროს ორმო-სამარხის ვერცხლის საყურეები, ცვარათი გამოყვანილი, სხივებიანი რგოლით ცენტრში<sup>48</sup>; გამსაკუთრებული ოსტატობით გამოირჩევა ძვ. წ. VI ს-ის ხარის თავის გამოსახულებით შემკული ფირფიტა სიმაგრის ნამოსახლარიდან<sup>49</sup>. როგორც ვხედავთ, ყველა ჩამოთვლილი საკიდი უკავშირდება ციურ მნათობებს.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შესაძლებლად მივიჩნიეთ, მსგავსი შინაარსი დაგვენახა წინარეანტიკური ხანის ციური მნათობებით შემკულ, საკიდებსა და ძვ. წ. V—IV სს დათარიღებულ სასაფეთქლეებში.

სამკაულების შემდეგი ჭკუფი წარმოდგენილია, ტიპოლოგიური და მხა-

44 ქართული ხალხური პოეზია, ტ. I, მითოლოგიური ლექსები, თბ., 1972.

45 ა. ბაკრაძე, ვაჟა-ფშაველა და მითოსი, კრ. ფიქრი და განსჯა, თბ. 1972, გვ. 85.

46 დ. შენგელია, სამი სკნელი, წიგნში „წერილები“, 1955.

47 ი. გაგოშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 25, ტაბ. IV, 29.

48 რ. აბრამიშვილი, სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანბრინჯაოს ხანისა და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის, სსმ ტ. XIX—და XXI—თბ., 1957.

49 თ. მიქელაძე, არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე, თბ., 1958, გვ. 61, სურ. 3.

ტვრულ-სტილისტური თვალსაზრისით ერთი ხასიათის ნივთებით, ახ. წ. 1—II სს-ით დათარიღებული მოთვალული ბალთები.

ისევე, როგორც ადრეანტიკური ხანის სასაფეთქლეების შემკულობის განხილვისას, შევეხეთ არა ცალკეულ დეტალებს, არამედ მათ ურთიერთკავშირში დავინახეთ ერთი მხატვრული სახე, ანალოგიურად განვიხილავთ გვიანანტიკური ხანის ბალთებსაც.

კლდეეთის ბალთები ტიპოლოგიურად შედარებით ერთგვაროვანია, სწორკუთხა ნაწილის ცენტრში დიდი ზომის თვალბუდეა, ხოლო კუთხეებში შედარებით მცირე ზომისა.

ზედა ნაწილში ორი სამკუთხედიან ფრინველის გამოსახულებით. სამკუთხედების ნაწილი გაყოფილია შვეული სვეტით. ბალთის ქვედა ნაწილზე ძეწკვზე ჩამოკიდებულია მრგვალი ფირფიტები<sup>50</sup>.

გ. ლომთათიძე, კლდეეთის ბალთების სწორკუთხოვანი ნაწილის ანალოგად მიიჩნევს ასპარუგ ერისთავის სარტყლის ბალთებს. შემდეგი წლების აღმოჩენებმა მოგვცა ამ სამკაულების შედარებით ახლო პარალელები, მათ დადასტურებს მეკლევრის მოსაზრება ამ ბალთების ზოგადად ერთი წრის ნივთებისადმი მიკუთვნების შესახებ, რომელშიც გამოიყო კონკრეტული ფუნქციონალური დანიშნულების სამკაულების ჯგუფი.

ჩვენი აზრით, ამ რიგის სამკაულებში ცალკე ჯგუფის გამოყოფა განხირობებულია მათი განსხვავებული ფუნქციონალური დანიშნულებით, რაც გამოიხატა ძირითადი ფორმის, დამატებითი დეტალებით გართულებაში. აქედან გამომდინარე, სწორედ ეს დამატებითი დეტალები უნდა შეიცავდნენ ფუნქციონალური დანიშნულებიდან (თავსამკაული) გამომდინარე შინააარსს. ამიტომ შედარებით დეტალურად შევეხეთ ყოველი ბალთის შემკულობას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, კლდეეთის სამაროვანზე აღმოჩენილი ეგზემპლარები ხასიათდებიან, შედარებითი ერთგვაროვნებით. ანალოგიური გონიოს ბალთებისგან განსხვავებით, ზედა ნაწილში მოთავსებული სამკუთხედები გამოყოფილია შვეული სვეტით, რომელიც მიუხედავად სხვა დეტალებთან შედარებით მცირე ზომისა, ზედა ნაწილის კომპოზიციურ ცენტრს წარმოადგენს. ამავე დროს მისი დანიშნულება არ უნდა ისაზღვრებოდეს წმინდა დეკორაციული ფუნქციით. წარმოადგენს რა ფირფიტაზე მიჩილულ ორად მოკეცილ მრგვალგანივკეთიან მავთულს, რომელსაც გარშემოყვება ცვარა, ხოლო ზედა ნაწილში კეთდება მცირე მარყუჟი. მიღებული გამოსახულება სქემატურად, განსხვავებული ტექნიკური ხერხების გამოყენებით, იმეორებს ადრეანტიკური ხანის საყურეების ყურსაკიდი რგოლების შემკულობას.

მსგავსი ხასიათის რამდენიმე ბალთა აღმოჩენილია დაბა ლოს მახლობლად, ძლიერ დანგრეულ მდიდრულ სამარხში. ერთი მათგანის სწორკუთხა ნაწილი რომბისებურადაა წარმოდგენილი, ხოლო წვერზე მოთავსებულია სამყურა ფოთლისებური გამოსახულება, რომლის ორსავე მხარეს, ფირფიტის მხრებზე ჩიტის ორი ფიგურაა. ამ შემთხვევაში, მიუხედავად ფორმის ცვლილებისა, კლდეეთის ბალთების სრული ანალოგია გვაქვს — კომპოზიციის

<sup>50</sup> გ. ლომთათიძე, დასახ. ნაშრომი.

<sup>51</sup> Ю. Н. Воронов, Материалы по археологии Абхазии и Санигии (II—VII), Сб. Материалы по археологии Абхазии, Тб., 1979 გვ. 57.

ცენტრში სიცოცხლის ხე, რომლის სახვითი გამოვლენა, მრავალგვარია (საკუთარივ. ხე, ტოტი, ბუჩქისებური მცენარე) და სიმეტრიულად განლაგებული ფრინველები — ზესკნელის სიმბოლური მინიმუნება. დანარჩენი ორი ბალთის ძირითადი ნაწილი, სწორკუთხედიანია, რომელიც დავგირგვინებულია ერთი სამკუთხედით. ერთ შემთხვევაში იგი მოქცეულია ჩიტების ფიგურებს შორის და ხედ პორტრეტული გამოსახულებათა მოთავსებული, ხოლო მეორე ეგზემპლარზე ცვარათი შედგენილ რომბებს შორის ცვარას ჩარჩოში ჩასმული წრეა (მზის დისკო?)<sup>50</sup>. ორ უკანასკნელ ბალთაზე ძირითადი აქცენტი სამკუთხედებზეა გადატანილი. იგი წარმოადგენს, როგორც კომპოზიციურ, ისე შესაძლებელია შინაარსობრივ ცენტრსაც. სტილისტურად, ფუნქციონალურად და ქრონოლოგიურად დაკავშირებულ ნივთებზე მივიღეთ გამოსახულებათა ერთი მწკრივი: სტილიზებული ხე — სამყურა ფოთოლი — სამკუთხედი.

მიუხედავად იმისა, რომ სამკუთხედი (მთა) და მცენარე სამყაროს ვერტიკალური დერძის ასახველი კლასიკური სახეებია, გარკვეულ ახსნას მოითხოვს მათი პარალელური გამოყენება, სრულიად იდენტურ ძეგლებზე, როგორცია გვიანბრინჯიერი ხანის მოთვალული ბალთები. |

მსგავსი მოვლენა დადასტურებულია თანადროულ ბრინჯაოს ნივთებზეც. ანტიკური ხანის აქურულ ბალთებზე ასახულია გაცილებით ძველი მითოლოგიური შეხედულებანი. თუ გავითვალისწინებთ ამ ძეგლების შედარებით გვიანდელ თარიღს, მათზე მოცემული გამოსახულებების შინაარსის კვლევისას უნდა დავინახოთ არა მხატვრული სახეების გაჩენის სავარაუდო ქრონოლოგიური თანმიმდევრობა, არამედ ძველი წარმოდგენების ერთდროული და მრავალფეროვანი ანარეკლი, რაც დამახასიათებელია მოცემული ეპოქისათვის<sup>51</sup>.

ადრეანტიკური ხანის ოქრომჭედლობის აყვავება მნიშვნელოვნად განპირობებულია გვიანბრინჯაო-ადრერკინის პერიოდის ბრინჯაოს კულტურის მაღალი დონით. აღნიშნული კავშირი ვლინდება კომპოზიციის აგების კულტურაში; ნივთის და მისი დეკორაციული შემკულობის ორგანიზებაში. ამ კავშირის რეალური გამოვლენა, განსხვავებულ რეგიონში მეტნაკლები სიძლიერით იჩენს თავს.

ანტიკური პერიოდის საიუველირო ნაწარმში აისახა არა მარტო ლითონის მხატვრული დამუშავების მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები, არამედ რწმენა-წარმოდგენათა მთელი კომპლექსი, თუმცა რიგ შემთხვევაში სიუჟეტს ან გამოსახულებას დაკარგული აქვს თავისი პირვანდელი შინაარსი და იგი დეკორაციული სტილიზაციის ელემენტად არის ქცეული.

ჩვენ განვიხილეთ საქართველოს ტერიტორიაზე დამოწმებული სამკაულების რამდენიმე ჯგუფი და გამოვთქვით ვარაუდი მათი უშუალო კავშირის შესახებ, კავკასიური გრაფიკული სტილის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ სახესთან, რქამალაი ირმის გამოსახულებასთან. ყველა დასახელებულ შემთხვევაში ჩვენ დავინახეთ ცისა და მიწის კავშირის განსხვავებული საგნობრივ-სიმბოლური განსაზიერება, მისი ვერტიკალიზმის ხილული გამოვლენა.

М. В. ЦЕРЕТЕЛИ

## НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ХУДОЖЕСТВЕННОГО РЕШЕНИЯ ЮВЕЛИРНЫХ ИЗДЕЛИЙ ИЗ САИРХЕ

Резюме

Серьги, найденные в богатых погребениях Саирхе, раскопанных на холме Сабадური 1982—86 гг. еще раз подтвердили художественно-стилистическое единство ювелирных изделий Колхиды в раннеантичную эпоху.

Ушные кольца серег из Саирхе, как и подвески, найденные в разных центрах Колхиды, украшены декоративным поясом и резеткой.

Исходя из самобытного характера данного мотива и его всеобщего распространения на всей территории Колхиды раннеантичной эпохи, мы попытались выявить его символическое содержание.

Рассмотрев несколько групп украшений, найденных на территории Грузии античного периода, мы высказали предположения о их связи с одним из самых популярных образов оленя, характерного для «Кавказского графического стиля».

Во всех названных случаях мы увидели модель вертикального членения мира.

M. TSERETELI

## SOME QUESTIONS OF ARTISTIC SOLUTIONS IN THE JEWELRY FROM SAIRKHE

Summary

Ear-rings from the rich burials of Sairkhe excavated at Sabaduri Hill in 1882—1986, reaffirmed the artistic and stylistic unity of the jewelry from Colches in early antiquity.

Ear-rings hoops from Sairkhe and the pendants excavated in different centers of Colchès, both had been ornamented with decorative bands and rosettes.

Proceeding from the original character of the motif and its dissemination on a large scale in early antique Colches we've tried to reveal its symbolic content. Examining several jewel groups coming from the different regions of antique Georgia we supposed its connection with the most popular image of the deer, typical for the „Caucasian graphic style“.

In our opinion, in all these cases model of the vertical articulation of the Universe can be noticed.

ნანა გაგალაშვილი

**მეფე არჩილ II როგორც რუსეთის დიდი ფეოდალი**

(რამდენიმე საბუთი მოსკოვის არქივიდან)

1689 წლის იანვარში არჩილ მეფე რუსეთიდან ბრუნდება საქართველოში და თითქმის 10 წელზე მეტი იბრძვის იმერეთის ტახტისათვის, მაგრამ ამ ბრძოლაში საბოლოოდ დამარცხებული აღმოჩნდა. მან როგორც პოლიტიკოსმა თავი ვერ გაართვა იმ რთულ ვითარებას, რომელიც იმერეთში იყო, ვერ აღაგმა ფეოდალური ანარქია, რაც დიდ ზიანს აყენებდა ქვეყანას. არჩილ II-ემ ვერ განიმტკიცა ტახტი ვერც საკუთარს ძალით და ვერც გარეშე ძალების გამოყენებით. ერთმორწმუნე რუსეთმაც ვერ აღმოუჩინა საჭირო დახმარება. ასე რომ, არჩილ მეფემ განიცადა როგორც პოლიტიკური, ისე დიპლომატიური მარცხი. დამარცხებულმა და იმედგადაწურულმა მეფემ საბოლოოდ ხელი აიღო იმერეთის ტახტზე და საქართველოს პოლიტიკურ საქმეებში აქტიურ მონაწილეობაზე<sup>1</sup>.

1699 წ. არჩილი თავისი მომხრე დასით სამუდამოდ სტოვეებს საქართველოს და მიემგზავრება რუსეთში. რუსეთის ხელისუფლებამ სპეციალური განკარგულება გასცა არჩილის მიღებასთან დაკავშირებით. ამ მიზნით, 1699 წ. გაზაფხულზე ასტრახანის ვოევოდას ივანე ალექსის ძე მუსინ-პუშკინს მოსკოვიდან ეგზავნება სპეციალური სიგელი, სადაც ნათქვამია:

«Велено царя Арчила с Терка отпустить с добрыми провожатыми на Астрахань». А из Астрахани отпустить к Москве с подобаючи ему чести<sup>2</sup>.

თერგიდან ასტრახანში არჩილ II (თანხლები ამალით) 1699 წ. აპრილში ჩადის. ასტრახანის ვოევოდას მეფე შესაფერისი პატივით მიუღია და მოსკოვისაკენ გაუსტუმრებია<sup>3</sup>.

რუსეთში არჩილ მეფის ქონების ჩამოყალიბება ასე მოხდა: არჩილის ძემ ალექსანდრემ საქართველოში გამოგზავრებამდე ცოლად შეირთო ფეოდალთა, ივანე მიხეილის ძის მილოსლავესკის ქალიშვილი, რომელსაც მზითვად მამულები მოჰყვა. ეს იყო მოსკოვის მაზრის სოფელი ვსესვიატსკოე, სოფელი კრასნოე პახოვო, დიმიტრიევსკის უეზდის სოფელი კუნეცოვო — (ამ სოფელს მეფის ასული სოფიო ჯილდოდ პირდებოდა პოლკოვნიკ ციკლურს პეტრე I-ის მოკვლისათვის). ფეოდალთა სამზიოთვოში ვტერნიკოსისა და ვალატარსკის უეზდის სოფლებიც შევიდა — ეს მიწები მეტად მდიდარი ყოფილა წიაღისეულით. აქ აწარმოებდნენ პოტაშსა და ფისს, რაც დიდ მოგებას აძლევდა არჩილის ოჯახს\*.

<sup>1</sup> არჩილ II-ის ბრძოლა იმერეთის ტახტისათვის 1689—1699 წლებში ცალკე სტატიაში გვიქნება განხილული.

<sup>2</sup> ЦГАДА, ф. 110, опись 1, 1699 г., л. 1, л. 1.

<sup>3</sup> ЦГАДА, ф. 110, опись 1, 1699 г., л. 1, л. 2.

\* პოტაში არის მინერალური წიაღისეული, რომელიც საზღვარგარეთ გაჰქონდათ, რითაც უმაღლეს ხარისხის ბროლს აშხადებდნენ.

პოლიტიკური გადატრიალების შედეგად, როცა ნარიშკინებმა სძლიეს მილოსლავსკების საგვარეულოს და ხელისუფლების სათავეში სულ სხვა პირები მოვიდნენ, მილოსლავსკები ჩრდილში მოექცნენ, ხოლო საელჩო პრიკაზის გამგებელი კანცლერი ვ. ვ. გოლიცინი გადასახლებულ იქნა. ამ გადატრიალების შედეგად არჩილმა დიდი მფარველები დაკარგა, როგორც მილოსლავსკების, ასევე გოლიცინის სახით. „არჩილის ახალი მოსკოველი ნათესავებისა და მეგობრების დიდი უმრავლესობა უსასტიკესად იღვენებოდა“<sup>4</sup>.

არჩილის ძენი ჩრდილოეთ კავკასიიდან 1690 წელს დაბრუნდნენ, ალექსანდრეს ცოლი — ფეოდოსია ივანეს ასული მილოსლავსკაია გარდაცვლილი დახვდა. ხოლო ალექსანდრეს მათზე მიკუთვნებული მიწების ნაწილი აღარ დაუმტკიცეს. 1691 წ. 9 ივლისის ბრძანებულებაში, კერძოდ, ნათქვამი იყო:

«А что отписано было в Терниковском и в Алатарском уезде село Ржественское им царевичам не отдавать, а быть тем селам со всеми угодии в приказе большой казны, для того, что будным маданом и поташному промыслу и смальчужному делу не за кем быть»<sup>5</sup>.

ჩანს, ნარიშკინებმა ჩათვალეს, რომ არჩილ მეფის შვილებს ამ მიწებიდან დიდი მოგება რჩებოდათ და ამიტომ ვტერნიკოვოსა და ვალატარევსკის მაზრის სოფლები, მდიდარი წიაღისეული მადნით, ჩამოართვეს და ხაზინას გადასცეს. თუმცა ახალმა მთავრობამ (ნარიშკინებმა) საჭიროდ არ ჩათვალა არჩილის ოჯახის შევიწროება მილოსლავსკებთან სიახლოვის გამო — ჩამორთმეულის სანაცვლოდ ალექსანდრესა და მამუკას დაუნიშნეს ფულადი ჯამაგირი წელიწადში 4 ათასი მანეთი. ასევე არჩილის ოჯახს გადასცეს რუსეთის ყოფილი საელჩო პრიკაზის გამგებლის და მეფის ასულ სოფიის ფავორიტის ვ. ვ. გოლიცინის სასახლე<sup>6</sup>. სასახლე მდებარეობდა:

«Белом породе, между Тверской и Дмитревскою на просторном дворе, жилия полати занимали более тридцать трех сажен в длину, десять сажен в ширину, и до восьми сажен в вышину, дом состоял из пятидесяти трех комнат»<sup>7</sup>.

სასახლეს სილამაზითა და სიდიდით განცვიფრებაში მოჰყავდა უცხოელები. კლუჩევსკი ასე აღწერს ამ სასახლეს:

«В его обширном московском доме на Охотничьем ряду, который иноземцы считали одним из великолепнейших в Европе, все было устроено на европейский лад».

როგორც ცნობილია, სამწუხაროდ, ეს ულამაზესი სასახლე რამდენჯერმე დაზიანდა ხანძრით 1692 წ., 1696 წ., 1703 წ., და 1709 წლებში.

საქართველოდან რუსეთში დაბრუნების შემდეგ არჩილი და მისი ძე ალექსანდრე კვლავ დასაჩქრდნენ ღიდძალი მიწებითა და ყმებით.

<sup>4</sup> ვლ. ტატიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 197.

<sup>5</sup> ЦГАДА, ф. 110, опись 1, д. 1, л. 26.

<sup>6</sup> ეს სასახლე გოლიცინს ჩამოართვეს 1689 წელს გადატრიალების შემდეგ, ხოლო მოგვიანებით, 1691 წელს, ეს სასახლე არჩილის მეუღლეს ეკატერინესა და მის ძეებს უბოძეს.

<sup>7</sup> Е. Опочинин, Дом боярина XVII столетия, СПб., 1889.

პეტრე პირველმა 1699 წ. უფლისწულ ალექსანდრე არჩილის ძეს მეორედ დაუმკვიდრა ცოლისეული სოფლების ნაწილი, კერძოდ: ვსესვიატსკოე, პახრა, კრასნოე პახოვო (მოსკოვის მაზრაში) და სოფელი კუზნეცოვო (დიმიტრიევსკის მაზრაში) მთელი ვარგისი და უვარგისი ადგილებითა და გლეხებით. ყმა გლეხების რაოდენობა სამივე სოფელში შეადგენა 146 კომლს. ალექსანდრეს საცხოვრებლად აურჩევია სოფ. სვესვიატსკოე<sup>8</sup>. ხოლო 1700 წ. არჩილი და მისი ძე ალექსანდრე დასაჩუქრებული იქნა პეტრე პირველისაგან ნიჟნი ნოვგოროდის (ქალაქი გორკის) მაზრის მიწებით. ეს იყო ტერუშევის, ბელოგოროდსკისა და ლისკოვოს ვოლოსტები.

არჩილისათვის ეს ახალი გადაცემული მიწები შეიცავდა საკარმიდამო ნაკვეთს, სახნავ-სათესს, საძოვრებს, სათიბს, ტყეებს, ტბებს, მდინარეებს, ქარხანას. „1700 წ. მონაცემით სამივე ვოლოსტში 18 დიდი სოფელი (село), 458 პატარა (деревня) სოფელია, 3644 კომლით. სახნავ-სათესი მიწის ფართობი შეადგენდა 20 464 „ჩეთვერტს“, ყოველწლიურად 399 მანეთი ფულადი შემოსავლით“<sup>9</sup>.

ამ ვოლოსტებიდან ბელგოროდი გამოირჩეოდა თავისი სიდიდით: ეს იყო სლობოდა კატუნეი, 4 დიდი და 346 პატარა სოფელი 1907 კომლით.

ბელგოროდის ვოლოსტის აღწერილობაში ვკითხულობთ:

«В Белгородской волости, слободе Катунки, да четыре села, да триста сорок шесть деревень, до пятьдесят девять пустошей, а в слободе и в селах и в деревнях тысяча девятьсот семь дворов крестьянских и бобыльских без полу, трети десятин пашен, пахание, и перелогом и лесом поросло в селах и деревням и в пустошах четыре тысячи восемьсот сорок девять десятин с третью, а три версты сениных покосов к деревням и около и в пустошах и по берегу Волги реки и на островах, что на Волге реке триста шестьдесят десятин да по островам присыпного песку девяносто десятин да лесу пять десятин да в тех же данных покосам рыбные ловли, по берегу Волги реки под деревнею Кербатовым заводы, да два озера безымянные, да озеро Чернецкое затворное, озеро Глубокое, озеро Долгое, озеро Свято, озеро Колодливое, два озера Выловятые»<sup>11</sup>.

ამ აღწერილობიდან ჩანს, რომ ბელგოროდი არა მარტო სიდიდით, არამედ ბუნებრივი სიმდიდრითაც გამოირჩეოდა სხვა ვოლოსტებიდან. ლისკოვოსა და ტერუშევის ვოლოსტები კი სიდიდით ჩამორჩებოდნენ. ამ ვოლოსტებს ადრე დიდი ბოიარი ბ. მოროზოვი ფლობდა. ლისკოვოში 1124—25 წ. ითვლებოდა 360 კომლი. აქ ყოფილა ლუდისა და არყის სახდელი ქარხნები, ხოლო ტერუშევის ვოლოსტში განვითარებული ყოფილა პოტაშის წარმოება.

<sup>8</sup> С. Ф. Платонов, Москва и запад в XVII и XVIII вв. М., 1925.

<sup>9</sup> გ. პაპოვა, საქართველოს დასახლება რუსეთსა და უკრაინაში (XVIII ს.) ი. გოგებაშვილის სახ. თელავის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები. 1957. გვ. 119.

<sup>10</sup> იქვე, 112.

<sup>11</sup> ЦГАДА, ф. 110, 1704 г., опись 1, д. 1, л. 136.

1682 წ. მოროზოვისეული ეს მამულები სახელმწიფო ხაზინის საკუთრებაში გადასულა<sup>12</sup>.

აღსანიშნავია, რომ რუსეთში მიწისმფლობელობის ორი ფორმა არსებობდა: პომესტიე — დროებით ბოძებული და ვოტჩინა — სამემკვიდრეო. ტრადიციულად მიღებული აზრი, რომ ორ მიწისმფლობელობას შორის განსხვავება თითქმის წაშლილი იყო და განსხვავება შეუმჩნეველი გახდა XVII ს-ის დასასრულსა და XVIII ს-ის დასაწყისში, სწორი არ არის. განსხვავება მათ შორის მხოლოდ 1714 წ. წაიშალა. როგორც გ. ლიანინა აღნიშნავს, მთავრობაც და მიწისმფლობელებიც აშკარად განასხვავებდნენ მიწის მფლობელობის ამ ორ ფორმას. ცხადია, ფეოდალები ვოტჩინას აძლევენ უპირატესობას და ცდილობდნენ სწორედ ვოტჩინის მიწები ჩაეგდოთ ხელში. თავის მხრივ „Правительство за особые заслуги жалует земли в вотчину“<sup>13</sup>.

ჩვენ ნოვგოროდის მარტის ეს დიდძალი მიწები პეტრე I-მა არჩილსა და მის ძეს ალექსანდრეს 1700 წ. სწორედ სამემკვიდრეოდ ანუ „ვოტჩინად“ დაუმტკიცა. საბუთში ვკითხულობთ:

«Ему поданному нашему царю Арчилу Вахтанговичу и сыну его царевичу Александру Арчиловичу по нашему всемилосердному государеву осмотрению даны в прошлом 1700 г. вместо кормовых денег и питей в вотчину»<sup>14</sup>.

სიგელში ხაზია გასმული ამ მამულების სამემკვიდრეოდ ბოძებაზე და აღნიშნულია ამ მამულებზე საბოლოო უფლებები:

«И по нашему просветлейшего и державнейшего великого государя царя и князя Петра Алексеевича всяя Великия, и Малыя и Бельяя Росии самодержца жалованая та вотчина ему поданному нашему царю Арчилу Вахтанговичу и сыну его царевичу Александру Арчиловичу и детей их и внучатам, и правнучатам в той вотчине они поданы наши Арчилу Вахтангович и сын ево царевич Александр Арчилович и дети их и внучата по сей наше царско жаловано и Грамоте волен продать и заложить, в приданое дати, а в монастыри тое вотчине не отдавать, а буде они поданы наш царь Арчил Вахтангиевич и сын ево царевич Александр Арчилович ту вотчину выкупить и ему тое вотчину выкупить по уложению, а буд роду их не останится, а та вотчину выкупить по уложению, а буд роду их не останется, а та вотчина взята на нас, великого государя царя и великого князя Петра Алексеевича всяя Великаяя и Малыя и Бельяя Росии самодержца в дворцовые земли»<sup>15</sup>.

ჩვენ ვარაუდით, პეტრე პირველის ასეთი დიდი წყალობა არჩილისადმი განპირობებული იყო შემდეგი მიზეზით: როგორც ცნობილია, არჩილის უფ-

<sup>12</sup> Г. С. Лянина, К характеристике феодального земледелия во II половине XVII в., «Труды Московского государственного историко-архивного института», т. 16, М., 1961, л. 105.

<sup>13</sup> იქვე.

<sup>14</sup> ЦГАДА, ф. 110, 1704, опись 1, д. 1, л. 36.

<sup>15</sup> იქვე, ფ. 139 об.

როსი ძე ალექსანდრე მეგობრულ დამოკიდებულებაში იყო პეტრე I-თან. იგი რუსეთის სახელმწიფოს სამსახურში იმყოფებოდა და იყო რუსეთის არტილერიის პირველი გენერალ-ფერცხმაისტერი. იგი პეტრე I-თან ერთ-ერთმ ყველაზე დაახლოებული პირი იყო.

გარდა ამისა, პეტრე I-მა ამ მამულების დარიგებით სახელმწიფო ხარჯებიც შეიძირა. როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, საელჩო პრიკაზნი არჩილისა და მის თანმხლებთ წელიწადში 4 ათას მანეთს უზღიდა გარდა ყოველდღიური საზრდოსი ანუ ე. წ. „поддний корм“-ისა<sup>16</sup>. 1700 წ. პეტრე პირველმა არჩილის ამალის წევრების ეს წლიური ჯამაგირი და ყოველდღიური ულუფა ნატურით გააუქმა და წინადადება მისცა რუსეთის სახელმწიფო სამსახურში შესულიყვნენ, თუ არა და, შესაძლებლობა ეძლეოდათ საქართველოში დაბრუნებისა<sup>17</sup>.

ამრიგად, მოსკოვში საბოლოოდ გადახვეწილმა მეფე არჩილმა, პეტრე I სავანგებო ბრძანებულების საფუძველზე, უდიდესი მოცულობის ლატიფუნდია დაიმკვიდრა და რუსეთის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ფეოდალი გახდა. იგი ისეთ ცნობილ რუს დიდ მემამულეთა რიცხვს შეემატა, როგორც იყვნენ დოლგორუკები, ნარიშკინები, ლობუხინები და სხვანი, რომლებიც უზარმაზარ მამულებსა და ათასობით სულ ყმა გლეხს ფლობდნენ.

იოანე ბატონიშვილის ცნობით, „არჩილმა მიიღო პატივი და ოცდაათხუთასი სული ყმა რუსეთსა შინა“<sup>18</sup>.

აღსანიშნავია, რომ ნიჟნი ნოვგოროდის ეს ეკონომიურად მდიდარი ვოლგისპირა მიწები მოსკოვის სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ სავაჭრო ცენტრად ითვლებოდა, რომელიც დაკავშირებული იყო რუსეთის მრავალრიცხოვან ქალაქებთან როგორც სამდინარო (მდ. ვოლგა), ისევე სახმელეთო გზებით. ამ რაიონში მეტად განვითარებული ყოფილა მრეწველობა და ვაჭრობა. დიდი რაოდენობით მოყავდათ მარცვლეული, მრავალი მდინარეებისა და ტბების წყალობით განვითარებული ყოფილა მეთევზეობა, გარდა ამისა ნიჟნი ნოვგოროდის მაზრის შუა ვოლგისპირეთის მიწები გამოირჩეოდა წიაღისეული სიმდიდრით, განვითარებული ყოფილა პოტაშის წარმოება რომლის ექსპორტი საზღვარგარეთაც ხდებოდა.

ასეთი დიდი მიწებით დასაჩუქრებული მეფე არჩილი იწყებს ზრუნვას მისთვის ბოძებული მამულების მეურნეობის მოწყობისათვის. ჰყავდა მოურავები, რომლებიც აგვარებდნენ სამეურნეო საქმეებს. მაგ., ცნობილია, რომ სოფელ ლისკოვის მოურავი ყოფილა თავადი ბეჟან ფალავანდიშვილი. არჩილი ძირითადად ცხოვრობდა მოსკოვში, გოლიცინის ყოფილ სასახლეში და იქიდან ხელმძღვანელობდა მამულის საქმეებს. მისი ბრძანების გარეშე არაფერი არ კეთდებოდა. არჩილ მეფე თავის ამ უზარმაზარ ლატიფუნდიებში მეურნეობის მოწყობასა და თავის ყმა-გლეხებზე ზრუნვის გარდა შესაბამისად ცდილობს ვაჭრობის განვითარებაზეც. იგი პირადად სავაჭრო ურთიერთობას ამყარებს რუსეთის გარეთაც. ჩვენ მიერ არქივში მიკვლეული საბუთების მიხედვით მტკიცდება რომ არჩილმა სავაჭრო ურთიერთობა დაამყარა თურქეთ-

<sup>16</sup> ЦГАДА, ф. 110, опись 1, 1704, д. 1, л. 134.

<sup>17</sup> იქვე, ფ. 135.

<sup>18</sup> ლ. მენაბდე, ქართული კულტურის სავანმანათლებლო კერებს ისტორიიდან, თბ. სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 96, 1963, გვ. 194.



თან. საბუთში ვკითხულობთ. „ჩვენი ხანის უმაღლესობის სურვილს ვაცხადებთ, ძლევამოსილი, კეთილმოსურნე, მოწყალე, სახელოვანი სულთან მეჰმედ ხანის ძის სულთან აჰმედ ხანის უმაღლესობის ფაშებს, ბეგებს, ალებს, „სუბაშებს“. ბაჟის ამკრეფებს, ყველა სახის ლაშქარში და ციხეში მყოფ „ზებეჯიებს“ და საზღვარზე მყოფ ყველა „ზებეჯეთ“ ჩვენი დიდებული ფადიშახის უმაღლესობის ფირმანის მიღების დღეს, ჩვენი რუსული ვილაითებიდან ჩვენს მორჩილებაში მყოფ ქართველი ხანის ვახტანგის ძე არჩილ ხანის კარგიკაცები — გრიგორიანელი მათეველი — სულთანის ვილაეთში, სტამბოლში იმ ადგილებში სასარგებლო რაღაცეების ყიდვა-გაყიდვისათვის როგორც არ უნდა იყოს თუ მოვლენ, იმ სულთანის უმაღლესობის უპირატესობის მაღიარებელი ფაშები, ბეგები და სხვა მართველები, ყველა სახის ზებეჯი და სხვები, ჩვენი ხანის უმაღლესობისათვის იმათ გავატარებთ და უკან არ გავაბრძანებთ — ბრძანებთ, ხმელეთზე იქმნება თუ წყალზე და ის რაც მათ ხელთ ექნებათ ერთ ადგილზე არ დაადვენოს და ყველგან, სადაც კი რაღაცეების ყიდვას მოისურვებენ არანაირი წინააღმდეგობა არ შეახვედრონ, ბრძანებთ, რომ ყველგან იყიდონ და ზედმეტი ბაჟი არ გადაახდევინონ, თანაც ყოველგვარი პატივი ეცით და მოსვლისას დაეხმარეთ, ყველგან ისე დაეხმარეთ როგორც მათ სურს ისე როგორც საქმეს შეეფერება. 1706 წ. მარტის თვეში დაიწერა. ჩვ. მათთვის გაიცა ჩვენი ეს გზის ქაღალდი ხანის უმაღლესობის ბეჰედ დასმული და ჩვენი ფადიშახის აშენებულ დიდ სატახტო ქალაქ მოსკოვში. ქრისტ. წელ. აღ. 1706 წ.<sup>19</sup> ზუსტად არ ჩანს თუ რა მასშტაბით ეწეოდა არჩილ მეფე თურქეთთან ვაჭრობას, მაგრამ ფაქტია, რომ სავაჭროდ თავის ხალხს აგზავნიდა.

რაც შეეხება მამულების სამეურნეო მოწყობაში პეტრე I-ს სიტყვიერი პირობა მიუცია არჩილის ძისათვის, რომ მის ვოტჩინის გლეხებს გაანთავისუფლებდა ყველა სახელმწიფო გადასახადებისაგან გარდა სამხედრო (Стрелецкий хлеб). როგორც ცნობილია, პეტრე I-ს მრავალი ახალი გადასახადი ჰქონდა დაწესებული: „деньги корабельные, рекрутские, драгунские и многие другие“<sup>20</sup>. ალბათ, არჩილს ასევე იმედი ჰქონდა, რომ მას პეტრე სახელმწიფო სავაჭრო ბაჟისაგან გაათავისუფლებდა და ხელს შეუწყობდა მის ვაჭრობას თურქეთთან და საქართველოსთან, მაგრამ საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ რუსეთის მეფეს ეს სიტყვიერი პირობა არ შეუსრულებია. და არჩილ მეფე საბაჟო გადასახადისაგან არ გაანთავისუფლა, არც მის გლეხებს მისცა პრივილეგია. ზოლო ეს მრავალი გადასახადი და საბაჟო სისტემა მეტად მძიმე ტვირთად აწვა მოსახლეობას და აჩანაგებდა გლეხების მეურნეობას, აფერხებდა ვაჭრობას. ბევრ ქალაქსა და სოფელში შეიმჩნეოდა ხალხის მასიური გაღატაკება, წყდება ვაჭრობა. მეფესთან ისეთი დაახლოებული პირები, როგორიც იყვნენ მენშიკოვი, ოსტერმანი, ვოლკოვი იძულებული იყვნენ ელიარებინათ, რომ ასეთი დიდი გადასახადებისაგან გლეხობა დიდ სიღარიბეში და გასაჭირშია<sup>21</sup>.

<sup>19</sup> ЦГАДА, ф. 110, опись 1, 1704 г., д. 1, л. 42.

<sup>20</sup> В. И. Буганов. Крестьянские войны России XVII—XVIII вв., М., 1976, л. 118.

<sup>21</sup> იქვე, გვ. 119.



თავისი ყმა — გლეხების სიღარიბითა და აუტანელი მდგომარეობით შეწუხებული მეფე არჩილი არა ერთი თხოვნით მიმართავს რუსეთის იმპერატორს, სადაც აღწერს გლეხების მძიმე მდგომარეობას, რომელიც გამოწვეული იყო დიდი გადასახლებითა და ახალი სავაჭრო ბაჟის სისტემით. აქვე ახსენებს მეფეს დანაპირებს მისთვის გადასახადების შემცირების თაობაზე.

1701 წ. მიწერილ წერილში პეტრეს სახელზე არჩილი წერს:

«И тогда государь, было твое милостивое слово, что с тех наших вотчин, кроме стрелцкого хлеба, податей никаких не собирать, а ныне государь с тех наших вотчин на прошлой 1700 и на нынешней 1701 год сверх стрелцкого хлеба и в карабли и всегда и к слюзному делу и на Таганрог и запросной хлеб и всякие подати Правят и от того крестьянишко наши разорились и разбрелись... милостивый Великий Государь Царь и великий князь Петр Алексеевич всея великия и малыя и белыя России самодержец пожалуй нас поданных твоих по своему милостивому слову вели Государь снаших вотчинах излишние подати снять за великие несносные нужды чтоб им бедным вконец не разорища...»<sup>22</sup>

გარდა იმ დიდი გადასახადებისა არჩილ მეფეს აწუხებს გლეხებზე სახელმწიფოსაგან დაკისრებული ის იძულებითი სამუშაოები, როგორც იყო ტაგანროგის, აზოვის და სხვა ქალაქების მშენებლობა. გლეხებს თავისი მეურნეობისაგან წყვეტდნენ და იძულებით ერეკებოდნენ ამ სამუშაოებზე. მაგალითად, „1698—1701 წწ. აზოვისა და ტაგანროგის მშენებლობაზე ყოველწლიურად იმყოფებოდა 25-დან 35 ათასამდე ადამიანი“<sup>23</sup>.

არჩილ მეფე თხოვნით მიმართავს მასთან დაახლოვებულ პირს, საელჩო პრიკაზის თავკაც ფ. ა. გოლოვინს:

«Донеси великому государю чтоб по своему предречному слову указал с наших вотчин иных лишние поборы снять»<sup>24</sup>.

თავდაპირველად შესაძლოა პეტრე I-ს სურდა კიდევ სხვა ფეოდალებთან შედარებით რაღაც პრივილეგია მიეცა არჩილისა და მისი ძისათვის, მაგრამ, როგორც მომდევნო წლების საბუთებიდან ირკვევა არჩილ მეფის მამულის გლეხები მძიმე გადასახადებიდან არ გაათავისუფლეს. ვფიქრობთ, სიტყვიერი პირობის შეუსრულებლობის მიზეზი უნდა იყოს პეტრე I-ის მძიმე ფინანსური მდგომარეობა, რომელიც, ერთი მხრივ, გამოწვეული იყო რუსეთ-შვეიცის ხანგრძლივი ომით, რომელშიც რუსეთი მარცხს-მარცხზე განიცდიდა და როგორც აღმოჩნდა „Вели войну не покарману“<sup>25</sup>, ხოლო, მეორე მხრივ, ახალი არმიისა და ფლოტის შექმნა, ქარხნებისა და არხების მშენებლობა დიდძალ თანხას მოითხოვდა.

ქვეყანა ისეთ რთულ პოლიტიკურ და ფინანსურ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომ როგორც კლუჩევსკი აღნიშნავს, ასეთი დიდი ფინანსური კრიზისი ნარვის მარცხის ტოლფასი იყო. პეტრე ამ მძიმე ფინანსური კრიზისიდან

<sup>22</sup> ЦГАДА, ф. 110, опись 1, 1701, д. 1, л. 4.

<sup>23</sup> В. И. Буганов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 120.

<sup>24</sup> ЦГАДА, ф. 110, опись 1, 1701, д. 1, л. 9.

<sup>25</sup> В. О. Ключевский, *Курс русской истории*, М., 1989, л. 62.

თავის დაღწევას ცდილობს ახალი გადასახადების შემოღებით. მეფე ბაჟს ადებს ყველაფერს. არ ინდობს არავის:

«Налоги брали со всех с бань, с постоянных дворов, мельниц, с лавок, с шалашей, со всего что продавалось и покупалось»<sup>26</sup>.

ეს ახალი საბაჟო სისტემა გარკვეულ რეაქციას იწვევდა ხალხში, რაც პროტესტის ნიშნად ფეოდალების მამულებიდან გლეხების მასიური გაქცევით აღინიშნებოდა. არჩილ მეფეც შეწუხებულია ამ მდგომარეობით და ამის შესახებ იგი წერს პეტრე I-ს: «Крестьянишко вконец разорились и разбредлись»<sup>27</sup>.

მაგალითად, 1704 წ. აღწერილობის მიხედვით, არჩილის მამულში ნიქნი ნოვგოროდის ბელოგოროდსკის მამულში ითვლებოდა ათას ცხრაასი კომლი, ხოლო სულ რაღაც 7 წლის შემდეგ 1711 წ. აღწერილობით კი ათასასი კომლია. საგულისხმოა, რომ გლეხების დიდი ნაწილი გაქცეულია. გაქცევის გარდა პროტესტის ნიშნად არჩილ მეფის გლეხები უარს ამბობდნენ ბაჟის გადახდაზე და მეფის ბრძანებას არ ემორჩილებოდნენ. საბუთში ვკითხულობთ:

«В нынешнем 1703 году марта в 19 да июля 16 и в 28 числах писали к великому Государю арзамаские земские бурмистры Василий Масленков, что Терюшевской волости жители великого государя указу чинятся непослушны и питей таможенным и кабацким бурмистрам Илье Журавлеву невяя и явочных пошлин не платят»<sup>28</sup>.

არჩილ მეფემ მიუხედავად დიდი მცდელობისა ვერ მისცა შედეგათი თავის გლეხებს. ვერც სახელმწიფო გადასახადები შეუმცირა და ვერც ბაჟის გადახდისაგან გაანთავისუფლა.

უსაზღვროდ დიდმა გადასახადებმა, საბაჟო სისტემამ, ადმინისტრაციულ ბიუროკრატიული აპარატის მექრთამეობამ და თავგასულობამ 1703 წ. აგვისტოში არჩილის ნიქნი ნოვგოროდის მამულებში, კერძოდ ტერუშევოსა და ლისკოვოში გამოიწვია დიდი შეიარაღებული გამოსვლები: 1703 წ. 16 აგვისტოს ნიქნი ნოვგოროდის მაზრაში, ზელინგოროდსკის მონასტერთან ახლოს გამართულ იარაღარკაზე, დიდი შეიარაღებული გამოსვლები დაწყებულია. მეფე არჩილის ვოტჩინის ტერუშევისა და ლისკოვოს მცხოვრებთ, რომელნიც სავაჭროდ იყვნენ იარაღარკაზე მოსულნი, არ სურდათ ბაჟის გადახდა, მათ სხვა მოვაჭრენიც აჰყვნენ. საბუთში ვკითხულობთ:

«И они не хотя пошлин платить, собрався на той ярмарке, сружем пришли и нам бурмистру к шалашам великим многолюдством и бить смертным боем. Бурмистра Илью Журавлеву с товарищами всех разогнали и похвалялись»<sup>29</sup>.

რა თქმა უნდა, მეფე არჩილი უთუოდ იქნებოდა ინფორმირებული ამ გამოსვლების შესახებ. როგორც საბუთებიდან ჩანს, 1703 წ. აგვისტოში, როცა ამბოხება მოხდა არჩილ მეფე მოსკოვში არ იმყოფება: სავარაუდოა, რომ იგი ნიქნი ნოვგოროდის ვოევოდასთან ბოგდან პომასკინთან პირადად ჩავიდა

<sup>26</sup> В. И. Буганов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 118.

<sup>27</sup> ЦГАДА, ф. 110, 1703, опись 1, д. 1, л. 134, 1711 г., л. 1, 60 об.

<sup>28</sup> ЦГАДА, ф. 110, опись 1, д. 1, 1703 г., л. 35.

<sup>29</sup> იქვე, л. 37.



შექმნილი ვითარების უშუალოდ გასაცნობად. ცხადია, იგი ეცდებოდა დაეწყინებინა ამბობებული გლეხები და მართლაც ნიჟნი ნოვგოროდის ვოევოდის იმისათვის, რომ დაეწყინებინა გლეხები, სახელმწიფო მოხელეები, ბაჟის აპკრეფნი ბურმისტრები ილია ჟურავლიოვი და ივანე ანციფოროვი დაუქურბია, მაგრამ ამით აჯანყებული გლეხობა მაინც ვერ დაუწყინარებიათ. მაგალითად, 1703 წ. 28 აგვისტოს ტერუშევოს ვოლოსტის სოფელ კონსტანტინოვოში კვლავ შეიარაღებულ გამოსვლას ჰქონია ადგილი, სადაც სახელმწიფო მოხელეები დაუხოცავთ და სახელმწიფო სამიკიტნოები დაურბევიათ. ამით შეინებულ სახელმწიფო მოხელეები ველარ ბედადენენ გადასახადებისა და ბაჟის აკრეფას. აჯანყებული ტერუშევსკელები არბევენ სახელმწიფო სამიკიტნოებს და ხალხს უკრძალავდენენ ამ სამიკიტნოებში სასმელი ეყიდათ. საბუთში ვკითხულობთ:

«И не престанно де к ним терушевцы на разные кабаки приходя многолюдством сословией и хотять ево парочного убить до смерти, а целовальников бьют и питей берут сильно и питухов бьют же и питей у них отбирают и для того питухи на кабаки ходит ныне не смеют»<sup>30</sup>.

ამ აჯანყების მიზეზი კი ის იყო, რომ ნიჟნი ნოვგოროდის მაზრის ლისკოვოსა და ტერუშევოს ვოლოსტებში, როგორც ზემოთ არის აღნიშნული, განსაკუთრებით განვითარებული ყოფილა არყისა და ლუდის დამზადება. აქ მრავალი სამიკიტნო იყო. 1625 წლიდან არყისა და ლუდის დამზადების მონოპოლია სახელმწიფოს ჰქონია, როგორც გლეხებს, ასევე დიდ მემამულეებს სასტიკად ეკრძალებოდათ თავიანთი საკუთარი არყის სახდელი ქარხნები და სამიკიტნოები ჰქონოდათ, რაც დიდ უკმაყოფილებას იწვევდა ხალხში. თვით არჩილ მეფეც სთხოვდა პეტრე I-სა და თევდორე ალექსის ძე გოლოვინს, რათა მის მამულში ეს სახელმწიფო საბაჟო ხისტემა გაეუქმებინა, ხოლო არყისა და ლუდის სახდელი ქარხნები და სამიკიტნოები მისთვის გადაეცათ. წერილში ვკითხულობთ:

«Милостивый наш Благодетель Государь Федор Алексеевич прошу у тебя Благодетеля нашего... Благоволи донести Милостиво высочайшей державе, чтоб по Его милостивому повелению нам пришьельцам не лишится владения над теми питейными заводами, рыбными ловлями и таможенными доходами, которые обретаются ныне в новопожалованных нам вотчинах. Потому что и прежде нас которые были помещики тамо такими доходами они владели и ныне подобно всему многие во многих местах владеют же невозбранно и ведаем что если твое милостивое к высочайшему о нас ходатайство предварить, Благоволи помиловать нас поданных ево... при сех надеяся на твою Братскую ко мне любовь»<sup>31</sup>.

არჩილ მეფის არც ეს თხოვნა იქნა დაკმაყოფილებული. ვინაიდან საბაჟო გადასახადები და სასმელზე მონოპოლია დიდ მოგებას აძლევდა სახელმწიფო ხაზინას.

<sup>30</sup> ЦГАДА, ф. 110, опись 1, д. 1, л. 39, об.

<sup>31</sup> ЦГАДА, ф. 110, 1703, опись 1, д. 2, л. 9.

აჯანყება ჩააქრეს სექტემბერში სამხედრო ძალების გამოყენებით და აჯანყებულებს სასტიკად გაუსწორდნენ, არჩილ მეფე თხოვნით მიმართავს გოლოვინს:

«Прошу сеятельство о заступлении ко многим прошением, чего уже терпеть не можно. Потому что отовсюду людей моих и крестьян таскают... приходят солдаты человек по шести и больше и из палат где я живу людей моих таскают о чем господину И. И. Бутурлину посылал о таком наглом приходе»<sup>32</sup>.

გენერალ მაიორი ბუტურლინი, რომელსაც გოლოვინთან მიწერილ წერილებში ახსენებს მეფე არჩილი 1700 წ. ნარვის ბრძოლაში, ისევე როგორც არჩილის ძე ალექსანდრე ტყვედ ჩავარდა. ჩანს, ამის შესახებ მეფე არჩილმა არ იცოდა. გოლოვინს არჩილ მეფის თხოვნა არ დაუქმყოფილებია. ამის შემდეგ არჩილ მეფე პეტრე I-ს მიმართავს. მისდამი გაგზავნილ წერილებში შეიარაღებული გამოსვლების მიზეზად ბურმისტრების თავგასულობას თვლიდა და გლეხებს იცავდა და ამართლებდა.

არჩილის მრავალმა თხოვნამ, გლეხების გამო და სახელმწიფო მოხელეებზე (ბურმისტრებზე, რომელთა გადასახადების აკრეფა ევალებოდათ) ჩივილმა, შედეგი გამოიღო. პეტრე I-ის მითითებით ჩატარდა სპეციალური გამოძიება. პეტრე I-ის ბრძანებით 1703 წ-ის ოქტომბერში გამოძიება დაეწავა თევდორე ალექსის ძე გოლოვინს, მაგრამ, სამწუხაროდ, გამოძიებამ არჩილისთვის სასურველი შედეგი მაინც არ გამოიღო. გამოძიებით დაუდგენიათ:

«Из Нижнего чтоб воеводы впредь в ратушские дела не вступали и царя Арчила Вахтангевича приказанные люди у крестьян взборе государевы казны помешательство и бурмистром бою и разорение не чинили»<sup>33</sup>.

როგორც ვხედავთ, არჩილი და ნიჟნი ნოვგოროდის ვოევოდა გააფრთხილეს, რომ სახელმწიფო მოხელეების საქმეებში არ ჩარეულიყვნენ. გამოძიების შედეგად ნიჟნი ნოვგოროდის ვოევოდა ბოგდან პომასკინი გადააყენეს და დანიშნეს ახალი ვოევოდა მ. პავლოვი.

არჩილ მეფე ყოველნაირად ცდილობს გაამართლოს თავისი გლეხები მეფესთან. ამ მიზნით არჩილი და მისი მოურავები ცდილობენ დამნაშავეების დაჭერას. საბუთში ვკითხულობთ:

«В прошлом 1703 году из нижегородских моих вотчин из Тернижковской из Белогороцкой волостей чиновные мои люди отсылали от себя пойманных воровских людей в ниже Новгород в приказную палату для подлинного оправдания себе от тех воровских людей и крестьян моих»<sup>34</sup>.

ხოლო ნიჟნი ნოვგოროდის ახალმა ვოევოდამ მ. პავლოვმა არჩილის მოურავების მიერ დაჭერილი ხალხი დამნაშავედ არ სცნო და პირიქით, დაუწვია არჩილის ვოტჩინის გლეხების დაჭერა და შევიწროება.

მეფე არჩილი რუსეთის სახელმწიფო მოხელეებთან, კერძოდ, ნიჟნი ნოვგოროდის ახალ ვოევოდასთან და გადასახლებისა და ბაჟის ამკრეფ მოხე-

<sup>32</sup> ЦГАДА, ф. 110, 1703, опись 1, д. 2, л. 9.

<sup>33</sup> ЦГАДА, ф. 110, опись 1, д. 1, 1703, л. 41 об.

<sup>34</sup> ЦГАДА, ф. 110, опись 1, 1704, д. 1, л. 8.

ლებთან — ბურმისტრებთან დიდ კონფლიქტშია. იგი შეწუხებული იყო რუსეთის ბიუროკრატიული აპარატის თავაშვებულობით, მექრთამეობითა და უკანონობით. 1703 წ. დეკემბრით დათარიღებულ არჩილ მეფის წერილში პეტრე I-დმი იგი ამხელს ვოევოდას და მოხელეებს მექრთამეობაში. არჩილი წერს, რომ მათი საქმიანობა მძარცველურ ხასიათს ატარებდა და გლეხებს ორმაგად და სამმაგად ახდევინებდნენ გადასახადებს.

«Державеши царь государь милостливейший в жалованных моих вотчинах которые даны мне по имянному твоему государеву указу в Нижегородском уезде в Лысковской, в Терюшевской, в Белгородской волостях у таможенных и кабацких собирают бурмистры присланные из городов и чинят крестьянам моим многие нападки. Потом берут крестьян моих нападкамии двойные и тройные пошлыны и правят приметьваясь безвинно будто многие деньги для своей корысти и держат крестьян моих мучая в железах и на цепях многие дни и многие крестьяне в прошлых и в нынешних 1703 г. воровские люди у крестьян моих пожитки и лошади и скотину крадут и дома поджигают и от того опасно впредь и разорения вотчинам моим безвинно и укрывая он вышеписанные нападки бурмистры пишут к Москве в ратушу вотписках своих ложно будто чиновные мои люди зборно казне чинять остановку а крестьян мои будто не платят явки и на те их ложные описки о чиновных своих людей и крестьян на бурмистров вышеписанных нападках взборе двойных и троинных пошлын берут, а в смертных в нижнем Новгороде многие челобитные а указ неучинено»<sup>35</sup>.

მეფე არჩილი ამავე წერილში თხოვს პეტრეს, რომ მას დაავალოს გადასახადების აკრეფა, რათა თავიდან აიცილოს ის განუკითხაობა, რაც მის გლეხებს დაატეხეს თავს ბურმისტრებმა.

«Всемиловейшии государь. Прошу Вашего величество вели государь из вотчин моих кабаки и таможни за вышеписанными бурмистровами многими нападкамии для многих сорь крестьянского разорения есть в которые места. Пристоно или вотчинах моих таможных и кружечных дворов денежные зборы собирать и в ратуше деньги принимать у меня. По окладу и те кружечные двory и таможни отдать мне с надлежащими всякими заводи против прежнего обыкновения чтоб вышеупомянутые многие крестьяном моим нападки и разорение и смертные убийства и ссоры от бурмистров прекратить»<sup>36</sup>.

ნიენი ნოვეტორდის ვოევოდას, შეუტყია რა არჩილის ჩივილის შესახებ, უფრო გაუძლიერებია მისი მამულის საქმეებში ჩარევა და გლეხების შევიწროება. მას არჩილის მოურავისთვის თავად ბეჟან ფალავანდიშვილისათვის, რომელსაც ლისკოვოს სამეურნეო საქმეების ზედამხედველობა ევალებოდა, შეურაცხოვა მიუყენებია, ხოლო გლეხებს გაროზგვით დამუქრებია.

<sup>35</sup> ЦГАДА, ф. 110, опись 1, 1703, д. 1, л. 69.

<sup>36</sup> ЦГАДА, ф. 110, 1703, опись 1, д. 1, л. 69 об.

1705 წ. ივნისში არჩილი წერილს უგზავნის პეტრე I-ს და თხოვს, რომ ნიჟნი ნოვგოროდის ვოევოდას აუკრძალოს მის საქმეებში ჩარევა:

«Всемиловнейшей государь. Прошу вашего величество дабы ваше Царское величество повелел впредь по прежнему дому моего и чиновных моих ведать в одном свое Государственном Посольском Приказе и в городе Нигде не ведать и о том дать свою Государеву Грамоту. А вышеописанных моих вотчин крестьян и мордву во всяких делах и всякие зборы ведать в городе Арзамасе в Нижнем впредь воеводам не вели»<sup>37</sup>.

საქმის გამოძიება დაევალა ბორის ალექსის ძე გოლიცინს, განტყმულ მექრთამეს, რომელიც განაგებდა მთელი ვოლგისპირეთის საქმეებს. როგორც კლუჩევსკი აღნიშნავს: «Правя казанским двором почти неограничено разори «Поволжье»<sup>38</sup>.

არჩილ მეფის მრავალჯერადი თხოვნის შემდეგ პეტრე I-მა მხოლოდ მცირედონ დათმობაზე წავიდა.

1705 წ. 16 მარტის ბრძანებულებით ნიჟნი ნოვგოროდის ვოევოდას სასტიკად აუკრძალეს არჩილის მამულების საქმეებში ჩარევა, ხოლო გადასახადების აკრეფა დაევალა ქ. არმაზამასის მოხელეებს:

«И нашему великому государя указу из тех волостей крестьян и мордву за взятками и за разорение ни в каких делах ведать тебя не велено»<sup>39</sup>.

მაგრამ პეტრეს ეს ბრძანება ნიჟნი ნოვგოროდის ვოევოდას არ შეუსრულეობია. იგი განაგრძობდა არჩილის ვოტჩინის გლეხების შევიწროვებასა და ვოტჩინის საქმეებში ჩარევას იმ საბაბით, რომ სხვადასხვა ფეოდალი წერდა საჩივარს იმის გამო, რომ მათი მამულებიდან გაქცეულ გლეხობას არჩილის ვოტჩინაში იფარავდნენ.

არჩილის მამულებში ყმა-გლეხების მდგომარეობა შედარებით უკეთესი უნდა ყოფილიყო, ვიდრე სხვა მემამულეთა ყმებისა, წინააღმდეგ შემთხვევაში მემამულეები არ უჩივლებდნენ არჩილს ნიჟნი ნოვგოროდის ვოევოდასთან, გაქცეული გლეხების გამო, რომლებიც არჩილის მამულში შეხიზნულიყვნენ.

სიცოცხლის ბოლო წლებში მოხუცებული და ავადმყოფი არჩილი მის მიერ დაქვემდებარებული მამულების სიშორისა და რუსეთის ბიუროკრატიულ ადმინისტრაციული აპარატის თავაშვებულობასა და განუკითხაობის გამო თავს ვერ ართმევს თავისი მამულების მართვას. შვილის ტყვეობამ და ამით გამოწვეულმა ხარჯებმა, ასევე საკმაოდ მრავალრიცხოვანი ქართული დასის შენახვამ, ცხოვრების ბოლო წლებში მეტად რთულ ფინანსურ მდგომარეობაში ჩაავდო. დიდი ზარალი იყო არჩილისათვის აგრეთვე 1709 წ. ხანძარი. რომელმაც მთლიანად გაუნადგურა მას მოსკოვის სასახლე. საარქივო მასალებიდან ჩანს, რომ არჩილმა არაერთხელ მიმართა მეფესა და ვ. გოლოვიცინს თხოვნით, რათა დახმარებოდნენ მის შეკეთებაში. მაგრამ ამ თხოვნამ ნაყოფი

<sup>37</sup> ЦГАДА, ф. 110, 1705, опись 1, л. 1, л. 37 об.

<sup>38</sup> О. Ключевский, Курс русской истории, т. IV, М., 1989, л. 16.

<sup>39</sup> ЦГАДА, ф. 110, 1706, опись 1, л. 1, л. 58.

არ გამოიღო. მეფე არჩილი იძულებული გახდა თავისი სახსრებით აღედგინა ეს სასახლე. 1709 წ. საბუთში ვკითხულობთ:

«А ныне на том дворе на полатях кровли и прочие строение строятся от него царя на его деньги, а с посольского приказа на то строение дачи ему не было»<sup>40</sup>.

საარქივო მასალების საბუთებიდან ირკვევა, რომ არჩილ მეფეს 1711 წ. საკმაოდ დიდი ვალები აქვს და ამ ვალების გადახდაზე დახმარებას სახელმწიფო ხაზინიდან ითხოვს.

«Сын наш в тамо жестоком аресте живучи волен одолжали и как московским людям так и другим. Всего долгу на нас больше 16000 рублей и того долгу правят на нас безвременно. Прошу мне милостивой твоего доброго совета и помощи, что милостивой государь из казны за нас тот долг платит потому что с крестьян нам взять нечего за многими на них государевыми разными доимками».

იგივე 1711 წ. არჩილი იძულებულია თავისი მამულების ყველაზე დიდი ვოლოსტი, ნიჟნინოვგოროდის ბელგოროდსკის ვოლოსტი იჯარით გასცეს. 1711 წ. 21 ივლისით დათარიღებულ საბუთში ვკითხულობთ:

«Ответчику Москвитину подрядчику Поликарпу Знакову которую понравилась вотчина царя Арчила Вахтангиевича меретинского в Белгородской волости за крестьян с тысячи состава в двадцати содного двора заплатить»<sup>41</sup>.

ა. გოლოვკინის უშუალო დახმარებით და სახელმწიფო სენატის გადაწყვეტილებით მეფე არჩილს დახმარებიან ვალების ნაწილის გადახდაში.

არჩილ მეფე 1713 წ. 16 აპრილს გარდაიცვალა. ანდერძის თანახმად, მთელი მიწები და ქონება მის ქალიშვილს დარეჯანს გადაეცა მემკვიდრეობით.

როგორც ვხედავთ, არჩილი როგორც ქართველი ფეოდალური იერარქიის წარმომადგენელი — ვერ ეგუება რუსეთის ცენტრალურ ადმინისტრაციულ ბიუროკრატიული აპარატის უფლებრივ ჩარევას მისი მამულის საქმეებში. რადგან არჩილი თავისი ფსიქოლოგიით ქართული უმაღლესი ფეოდალური იერარქიის წარმომადგენელია. საქართველოში თავადის მამული — ქართული სენიორია შეუვალაობით (იმუნიტეტით) აღჭურვილი საფეოდალო იყო. რუსეთში კი პირიქით, ცენტრალურ-ადმინისტრაციული აპარატი უფლებამოსილი იყო ფეოდალის შინაურ საქმეებში ჩარეულიყო. ამიტომაც იბრძვის არჩილი მათ წინააღმდეგ, რათა რაც შეიძლება მეტი უფლება მოიპოვოს რუსეთში თავისი მამულების მართვის საქმეში. ამით იყო გამოწვეული ის შრავალრიცხოვანი წერილები პეტრესადმი, სადაც იგი დაჟინებით მოითხოვდა ყველა გადასახადის აკრეფა მას დავალებოდა და ვოევოდას აკრძალადა მისი მამულის საქმეებში ჩარევა. მაგრამ, როგორც ზემოთ დავინახეთ არჩილ მეფემ, როგორც რუსეთის მემამულემ თავი ვერ დააღწია რუსეთის ბიუროკრატიულ-ჩინოვნიკური აპარატის თავგასულობასა და განუკითხაობას, რაც ესოდენ დამახასიათებელი იყო იმდროინდელი რუსეთისათვის და ვერ მოიპოვა სრული უფლება მამულების მართვის საქმეში.

<sup>40</sup> ЦГАДА, ф. 110, опись 1, 1709, д. 1, л. 24.

<sup>41</sup> ЦГАДА, ф. 110, опись 1, 1711, д. 1, л. 30 об.

<sup>42</sup> იქვე, ფ. 60.

როგორც პიროვნება არჩილ მეფე საკმაოდ პროგრესულ და ჰუმანურ პიროვნებად გვევლინება. არა ერთი საარქივო საბუთი ადასტურებს იმ ფაქტს, თუ როგორ ზრუნავს გლეხების ეკონომიურ მდგომარეობაზე. არჩილ მეფე გალატაკებულ გლეხს არ აიძულებს გადაიხადოს გადასახადი, თუმცა როგორც ფეოდალს ამის უფლება ჰქონდა. არჩილი ზრუნავდა ყმის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, ცდილობდა შეღავათი მიეცა თავისი ვოტჩინის გლეხებისათვის სახელმწიფო და საბაჟო გადასახადების გადახდაში, რადგან ის მძიმე ტვირთად აწვა გლეხობას და აჩანაგებდა მათ მეურნეობას.

არჩილის დამოკიდებულება გლეხებისადმი კარგად ჩანს მის შემოქმედებაშიც: „რა ამოწყდეს გლეხი კაცი საქართველო დაძაბუნდეს“. ვფიქრობთ, ამ პრინციპით ხელმძღვანელობდა არჩილი რუსეთში თავის მამულშიც, რადგან იცოდა, რომ გლეხის მეურნეობის გაჩანაგება მას კარგს არაფერს მოუტანდა. არჩილი განსხვავდებოდა იმ ეპოქის რუსი ფეოდალებისაგან, რომლებიც გამოირჩეოდნენ სისასტიკით და დაუნდობლობით. აი, რას წერს ბუგანოვი ამ ფაქტის შესახებ.

«Есть такие помещики безчеловечные, которые пахотную и сенокосную пору не оставляют своим крестьянам ни одного дня работы на себя и крестьянство в ниществе пригоняют».

არჩილი ამ მემამულეებისაგან განსხვავებულ ფეოდალად გვევლინება.

მეფე არჩილის წერილი პეტრი I-ისადმი, 1704 წ. იანვარი

Державнейший царь-государь милостивейший, в прошлом государь, 1703 году из нижегородских моих вотчин из Терюшевской из Белгородской волости чиновные мои люди отсылали от себя поименных воровских людей в Нижний Новгород в приказную палату для подлинного оправдания себя от тех воровских людей и крестьянам моим из Нижегородского воевода и приказные люди в те мои вотчины будто по оговору тех воровских людей в воровствах и со взятков своих для крестьян моих присылают подъячных служилых людей и в Нижнем Новгороде хватают и держат в приказной палате за караулом и с них денег и платьем и лошадьми обирают и тем крестьянам моим чинят разорение и убытки. А по твоему Великого Государя указу и по уложению будет кто приведет воровских людей в губу, а те воровские люди учинят говорить в воровстве на него или на людей ево и на крестьян и тому верить не велено.

Всемилоостивейший государь прошу вашего величества не вели государь впредь из Нижнего Новгорода воеводе приказных подъячих и служилых людей в вышеупомянутые мои вотчины будто по оговору воров для крестьян моих посылать в Нижний Новгород в приказную палату имят и разорение чинить, а вели государь из Государственного Посольского приказа в Нижний Новгород к воеводе дать мне свою государевую грамоту, чтоб крестьянам моим напрасно не ра-

зориться и впредь воровских людей имая приводить в губу было бы опасно. Вашего величества

Подданный царь Арчил Имеретинский, генваря в 4 1704 г. Царя Арчила Вахтанговича Имеретинского стряпчий Петр Гермагул руку приложил.

ЦГАда, ф. 110, опись 1, 1704 г., д. 1, л. 8.

მომხ აჩილის თხოვნა კახეთი 1-ისადმი, ნიშენი მოპროტონის  
1705 წ. ივნისი

Всемиловнейший Государь, прошу вашего величество дабы ваше царское величество повелел впредь попрежнему дому моего чиновных моих ведать в одном своем Государственном Посольском Приказе, а в городе нигде не ведать и о том дать свою Государеву Грамоту спрочотом а вышеписанных моих вотчин крестьян и мордву во всяких делах и всякими зборы ведать в городе Арзамасе, а в Нижнем впредь воеводам не вели Государь их ведать ни чем и о том в Арзамасе послать свою Государеву Грамоту, а на Москве в приказы для ведома разослать памяти. А о ругательстве чиновных моих что ваше царское величество укажет.

Вашего величества поданный царь Арчил Меретинский июня в 1705 году: ЦГАда, ф. 110, опись 1, 1705 г., д. 1, л. 33.

არჩილ მომხის თხოვნა კახეთი 1-ისადმი თავისი მამულების  
ბაგო 1708 წ.

В прошлом 1703 году в декабре месяце в Государственном посольском приказе по челобитью царя Арчила Вахтангиевича Меретинского состоялся великого Государя имянной указ против прежних его великого Государя имянных указов, что дворян и людей крестьян ево ни в котором приказе не в каких делах кроме татных и разбойных и убивственных дел ведать и волочить и убытчить не велено, а указал их велики государь во всяких делах судом и росправою ведать попрежнему в одном посольском приказе и о том для ведома приказы где у них дела были и посольского приказа памяти послать.

А ныне великому Государю царю и великому князю Петру Алексеевичу вся великия и малыя и белыя России самодержцу царь Арчил Вахтангиевич бьет челом, в прошлом 1700

году по его, государеву имянному указы даны ему с сыном ево царевичем Александром Арчиловичем вместо кормовых денег и питеи в нижегородском уезде Терюшевская, Белогороцкая, Лыковская волости вотчину, а в прошлом де 1702 году в декабре месяце в Государственном посольском приказе по его челобитию его государев имянной указ состоялся против прежних его государевых имянных указов, что дворян и люди и крестьян ево ни в котором приказе нивкаких расправных делах кроме татинных и разбойных и убииственных дел не ведать и ведать их в посольском приказе и волочит и убичито в Нижнем Новгороде ни в чем их в том не велено делах не ведать и тогда о том его царского повеления не исполнился он воевода уведав о том ево челобите ныне крестьяном ево чинил лучшее разорение да в прошлом 1705 году марта 12 чиновных ево людей которые по его Великого Государя указу приезжали в Нижнем Новгороде для отдачи сказки у крестьянских дворов. Стольнику князь Федору Мустафину и он же воевода Михайло Павлов призвав к себе на двор бранил их и ругал всячески и держав за ворота хотел бить, а чиновные ево из древних лет и в бытность к в царствующем граде Москве ругательства такового се не видели, а Терюшевской же волости многих крестьян и мордву хотел бить же кнутом.

И великий Государь пожаловал бы ево велел впредь по прежнему дому ево чиновных ево ведат в одном Государственном посольском Приказе, а в городе нигде не ведать и о том дать свою Государственную грамоту с прочетом, а вышписанных ево вотчин крестьян и мордву во всяких делах и всякими зборы ведать в городе Арзамасе, а в Нижнем впредь воеводам их неведать ни в чем и о том в Арзамасе послато свою государеву грамоту а на Москве в приказы для ведома разослатъ Помяти а о ругательстве чиновных ево людей что царское величество укажет.

И в 1705 году марта 17 по указу Великого государя тех ево людей и крестьян по прежнему его государеву указ во всяких расправных делах велено ведать в Государственном Посольском Приказе а в Нижней Новгороде воеводе не ведать, а будет до тех ево людей и крестьянам какое случивца дело в городе их велено ведать в Арзамасе воеводе и для ведома вовсе приказе послать помяти, а в вышепомянутые города к воеводам его Государевы Грамоты с прочетом тако и денежные поборы ведать в том же Арзамасе.

И потому его Великого Государя указ его Государевы грамоты в города и памяти по приказом куды належит посланы.

Справил Михаил Ларионов

ЦГАДА, ф. 110, опись 1, 1708 г., № 1, л. 25 об.

არჩილ მეფის თხოვნა აბრამ I-ისადმი ნიჟნი ნოვგოროდის  
 გავლუბის განთ 1711 წ.

Державейший Царь Государь милостливейший в прошлом Государь 1700 году по твоему великого государя имянном указу дан мне и сыну моему царевичу Александру вместо кормовых денег и питей из дворцовых волостей в нижегородском уезде Терюшевская, Лыковская, Белогородская крестьяне и со всеми угодиями в вотчину и отказаны и на те или вотчины по указу даны нам из приказа большого дворца твой великого Государя жалованные Грамоты а ныне Государь крестьян наших которые нам в тех вотчинах отказаны и в отказных книгах имяны написаны, имянно по челобитью. Разных помещиков спрашивают В нижнем Новгороде в окрестностях к допросам и держат в деловую пору и правых моих крестьян многое время и прошлом 1702 году в декабре месяце в твоем Государственном посольском приказе по моему челобитью твой Государев имянной указ состоялся против прежних твоих великого Государя имянных указов что дворян и людей и крестьян моих и ни в котором приказе на всяких делах кроме тайных и разбойных и убивственных дел ведать и волочить и убытчить не велено а указал ты великий Государь во всяких делах судом просправую ведать попрежнему в государственном посольском приказе и о том для ведома во все приказы где у меня дела были и с посольского приказу памяти а в городе грамоты посланы а буде хто в чем станет бить челом на крестьян моих воеводам не описався к Москве в твой Государственный посольском приказе крестьяном моих таскать и убытчить не велено.

Всемилоостливейший Государь прошу вашего величества не вели Государь своего великого Государя имянного указу нарушить из вышеписанных моих вотчин крестьян которые нам в вотчину отказаны и в отказных книгах имяны написаны имянно безимянного своего великого государя указу отдавать В нижнем Новгороде по челобитью розных помещиков и вотчинников брать и правых крестьян держать по образцу учинить и о том вели Государь из государственного посольского приказу в Казань к бижнему своему Государству боярину и губернатору Петру Матвеевичу Опраксину и В нижнем Новгороде к столнику и воеводе послать свой Государевы Грамоты с прочотом Вашего величество поданный — Царь Арчил Меретинский, июня в де 1711 году.

1711 г. июня в 12 по указу великого Государя послать с прежних отпусков и сего челобитя в Казань.

ЦГАда, ф. 110, опись 1, 1711 г. д. 1, л. 9.

Н. М. ГЕГЕЛАШВИЛИ

## ЦАРЬ АРЧИЛ II КАК КРУПНЕЙШИЙ ЗЕМЛЕВЛАДЕЛЕЦ РОССИИ

Резюме

В 1699 г. Арчил II потерпел поражение в борьбе за имеретинский престол и окончательно вернулся в Россию, в Москву к своей семье. Вернувшись в Москву, в 1700 г. император Петр I одарил его и сына его Александра Арчиловича большими землями с крестьянами в Нижегородском уезде. Таким образом, царь Арчил стал одним из крупнейших землевладельцев России. Он начал устраивать свое хозяйство и пытался освободить крестьян от тяжелого оброка. С этой целью царь не раз обращался к Петру I, но не достиг цели.

В августе 1703 г. в вотчине Арчила в селе Лысково вспыхнуло крестьянское восстание. Недовольство крестьян было вызвано введенной Петром I пошлинной системой. Крестьяне убивали сборщиков пошлыны. Царь Арчил стремился выгородить крестьян и в многочисленных письмах, адресованных Петру I, причиной восстания считал взяточничество чиновников.

Вместе с тем, царь Арчил старался достичь суверенитета в своих владениях, но не сумел добиться абсолютных прав в деле управления своей вотчиной.

Скончался царь Арчил 16 апреля 1713 года. По завещанию владения его были переданы дочери — Дареджан.

N. GEGELASHVILI

## KING ARCHIL THE II AS THE GREATEST FEUDAL OF RUSSIA

(Some Documents from Moscow archives)

Summary

In 1699 King Archil the II, being defeated in his struggle for the throne, left for Russia. He was attended by a group of his supporters. In Russia he and his son Alexandre, on the grounds of Peter the 1st's special order, were presented with the ancestral lands in the district of Nizhni Novgorod (now-town Gorki). Thus, King Archil, being the owner of the greatest latifundium, became one of the richest feudal lords of Russia

King Archil started arranging economy in his lands. In the year of 1703, in the whole District of Nizhni Novgorod as well as in King Archil's Ancestral lands, there were riots and armed revolutionary actions of the peasants. It was inspired by the new fees and taxes, established by Peter the 1st. The armed revolt was suppressed by military forces. King Archil tried to defend his peasants and sent letter by letter to Peter the 1st, assuring him, that the revolt was caused by the lawless actions of the central bureaucratic machinery and by the bribery of the office employees.

King Archil tried to achieve the sovereignty on his lands, but he couldn't. He died on the 16-th of April in 1713. According to his last will, his lands were transferred to his daughter Darejan.

წარმოდგინა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს რუსეთთან ურთიერთობის განყოფილებამ.



კეთილშობილური

მოსე ჯანაშვილის სახელმძღვანელო „საქართველოს ისტორია“

მოსე ჯანაშვილი ქართული კულტურის ისტორიაში შევიდა როგორც საქართველოს ისტორიის, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის, ქართული ენათმეცნიერების, ლიტერატურისა და ფოლკლორის დაუღალავი მკვლევარი. მის სახელთანაა დაკავშირებული საეკლესიო-საისტორიო მუზეუმის საქმიანობა მუზეუმის არსებობის მთელ მანძილზე; ისტორიული საბუთების მოპოვება, აღწერა, კატალოგების შედგენა და გამოქვეყნება, უცნობი ქართული ისტორიულ-ლიტერატურული ძეგლების აღმოჩენა-გამოცემა; საზოგადოებრივი ცხოვრების საჭიროებოთო საკითხებით დაინტერესება; ქართველოლოგიის დარგში გამოქვეყნებული საყურადღებო ნაშრომების რეცენზირება-შეფასება, დაუცხრომელი პედაგოგიური მოღვაწეობა და სახელმძღვანელოების შედგენა საქართველოს ისტორიაში. ყველგან, რასაც კი მ. ჯანაშვილის მუდამ მაძიებელი გონება მისწვდებოდა, მკაფიოდ ვლინდებოდა ამ ჩინებული ადამიანისა და მოქალაქის ჰუმანიტარულ პატრიოტული სული. მან, აკად. ს. ჯანაშვიას ფრთხილი სიტყვით, „ახალმოქცეულის ვნება და აღტკინება შეიტანა თავის საქმეში“<sup>1</sup> და ქართველოლოგიის სხვადასხვა დარგის განვითარებაში საკუთარი სიტყვა ითქვა.

1884 წელს თბილისში გამოქვეყნდა მ. ჯანაშვილის „საქართველოს მოკლე ისტორია“. ამ პატარა, სიყვარულით დაწერილმა, წიგნმა იმთავითვე მიიქცია ქართული საზოგადოებრიობის ყურადღება. იმავე წელს ვახტანგ ორბელიანმა გაზეთ „კავკაზში“ მოათავსა რეცენზია, რომელშიც ამ წიგნის გამოსვლა სასიამოვნო მოვლენად ჩათვალა. „მ. ჯანაშვილის შრომა, — წერდა იგი, — როგორც თვით ავტორიც ამბობს, მეცნიერული გამოკვლევა არ არის, მაგრამ მას დიდი მნიშვნელობა აქვს წმინდა პრაქტიკული მხრივ: საქართველოს ვრცელი მატიაწე, დაბეჭდილი ორ დიდ-დიდ ტომად, ძვირი და ხელმიუწვდომელი უმრავლესობისათვის, ავტორს მოკლედ გამოუთქვამს თავის სახელმძღვანელო წიგნში, და ეს არის მისი უმთავრესი დამსახურება“<sup>2</sup>. აღსანიშნავია, რომ მ. ჯანაშვილის ეს წიგნი მთავრობის ნებართვით სახელმძღვანელოდ იქნა დაშვებული იმ სკოლებში, სადაც ქართული ენა ისწავლებოდა.

მ. ჯანაშვილს კარგად ჰქონდა გათვალისწინებული საქართველოს ისტორიოგრაფიის იმდროინდელი მდგომარეობა, მისი წყაროთმცოდნეობითი ბაზის თითქმის სრული დაუმუშავებლობა და ამის გამო საქართველოს ისტორიის

<sup>1</sup> ს. ჯანაშვილი, მოსე ჯანაშვილი, კრებულში: „ქართული ისტორიოგრაფია“, 2, თბ., 1971, გვ. 134.

მეცნიერული შესწავლა-გადმოცემის დიდი სიძნელე და შეუძლებლობაც კი. „საქართველოს მოკლე ისტორიის“ წინასიტყვაობაში იგი წერდა: „სიბნელე, წყუღიადი, მასალების უქონლობა: მათიანთა, სიგელთა, გუჯართა, ზღაპართქმულებათა გამოუკვლევლობა, კრიტიკული განუხილველობა; უცხოელთა მწერალთა საქართველოზედ და, საზოგადოდ, ამიერ-კავკასიაზედ მოთხრობების და ცნობების შეუკრებლობა და ქართულს ენაზე გადმოუღებლობა; გამოუკვლევლობა გონებითი (ხელოვნება, მოგონება) და ზნეობითი ნამოქმედარისა და ნაღვაწისა; სიმცირე ანუ, უკეთ ვთქვათ, უქონლობა ეთნოგრაფიულის ისტორიისა არა თუ ქართლოსიანთა მოდგმის უმცირეს წარმომადგენლებზე (მესხებ-ჭანებ-მეგრელ-მთიელებზე), არამედ უმთავრესებზედაც (ქართლ-კახელიმერლებზე); ნაკულევეანება ჩვენი მათიანისა (ქართლის ცხოვრება), რომელიც არის მხოლოდ ისტორია საქართველოს პოლიტიკურის ცხოვრებისა და ისიც უსრული; მეცნიერულად გამოურკვევლობა ქართლოსიანთა დასაბამისა და ვინაობისა, აგრეთვე ენის განთვითება-განსაკუთრებისა...“

აი, ის პირობანი, რომლებითაც გარემოცულნი არიან ჩვენნი ისტორიის დამწერნი...“<sup>3</sup>.

ასეთი ვრცელი ამონაწერი შემთხვევით არ მოგვყავს. აქ ნათლად ჩანს, თუ როგორი პასუხისმგებლობით, საკითხის ღრმა ცოდნით და, რაც მთავარია, პროფესიონალი ისტორიკოსისათვის აუცილებელი მოთხოვნილებებით უდგება მ. ჯანაშვილი საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლის საკითხს. მას მეცნიერული კვლევისათვის აუცილებლად მიაჩნია ისეთი საკითხების წინ წამოწევა და მათი ანალიზი, რომლებიც შემდგომში საისტორიო სამეცნიერო დისციპლინების ცალკე დარგებად ჩამოყალიბდნენ. საქართველოს ისტორიის წყაროების (მატიანეების, სიგელ-გუჯრების, ლეგენდა-თქმულებების, უცხოელ ავტორთა ცნობების) კრიტიკული შესწავლა, ქართველი ხალხის ეთნოგრაფიული ყოფის მასალის შეკრება-დამუშავება; ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების ძეგლთა ყოველმხრივი შესწავლა და მათი გამოყენება საქართველოს ისტორიის გასამართავად; ქართული ენის მონაცემების გათვალისწინება და, რაც მთავარია, ქართული ფეოდალური ისტორიოგრაფიის უმნიშვნელოვანესი ქმნილების — „ქართლის ცხოვრების“ კრიტიკული შესწავლა-შეფასება, — აი, ის ძირითადი საკითხები, რომლებიც მთელი სიმკაცრით აღიმართა მ. ჯანაშვილის წინაშე. მას კარგად ესმოდა, რომ მეცნიერი ისტორიკოსისათვის „საქართველოს უნაკლო ისტორიის შედგენა... მეცნიერების ყოველგვარი მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი ისტორიის შედგენა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ყველა მასალები შესახებ საქართველოს ისტორიისა, ცნობაში მოყვანილნი, განხილულნი და შესწორებულნი იქნებიან“<sup>4</sup>.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ, როდესაც მ. ჯანაშვილი ასეთ საპატიო საქმეს შეეჭიდა, იგი 27—28 წლის ახალგაზრდა იყო, რომელსაც არავითარი სპეციალური საუნივერსიტეტო განათლება არ ჰქონდა მიღებული და მხოლოდ ქუთაისისა და თბილისის სხვადასხვა სასწავლებლების მოკრძალებული მასწავლებელი იყო. უთუოდ გასაზიარებელია სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება (ს. ჯანაშია, ვ. თოფურია, კ. გრიგოლაი), რომ

2 მ. ჯანაშვილი, საქართველოს ისტორია, ტ. 1, ტფ., 1906; წინასიტყვაობა, გვ. 7.  
 3 მ. ჯანაშვილი, საქართველოს მოკლე ისტორია, გვ. 1.  
 4 იქვე, გვ. 5.

მ. ჯანაშვილს განსაცვიფრებელი ნიჭი და უტყუარი ალლო ჰქონდა. თუ ამას დავუმატებთ მის ასევე საოცრად დიდ შრომისუნარიანობას და უზომო სიყვარულს სამშობლოსადმი, მაშინ თითქმის ბუნებრივად გამოიყურება მ. ჯანაშვილის ის მრავალმხრივი საქმიანობა, რომელიც მან თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე ისეთი თავდადებით იტვირთა.

და მაინც რას წარმოადგენს მ. ჯანაშვილის „საქართველოს მოკლე ისტორია“? ესაა საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIX საუკუნის 70-იან წლებამდე (1878 წლის ბერლინის ტრაქტატამდე). იგი შედგება ცალკე თავებისა და ქვეთავებისაგან. არის მცირე ფორმატის წიგნი, რომელშიც 240 გვერდია (ტექსტი), წინასიტყვაობის შემდეგ (რომელსაც ავტორი „წინასიტყვაობის მაგიერს“ უწოდებს, ალბათ, მისი სიმოკლის გამო, სულ 1,5 გვერდია), იწყება ე. წ. „მიფიური ნაწილი“, რომელშიც მოცემულია „პირველი ცნობები ქართველებზე და მათი დასახლება კავკასიაში“. მას მოსდევს „ისტორიულ ნაწილი“, რომელშიც გადმოცემულია ფარნავაზის მიერ სამეფოს დაარსების შესახებ და მოყვანილია გეოგრაფიული ცნობები „პირველდროინდელი საქართველოსი“. გეოგრაფიულ ცნობებში საზღვრების შემდეგ აღწერილია ოთხი დიდი ბუნებრივი ხეობა (მტკვრის, რიონის, ენგურისა და ჭოროხის) და ცალკეა გამოყოფილი საქართველოს უმთავრესი მდინარეები, გზები და „მაშინდელი შესანიშნავი ქალაქები“. ასეთი ცნობები მას, ალბათ, ვახუშტისგან უნდა ჰქონდეს აღებული და ნაშრომის ორგანულ ნაწილად გამოიყურებიან. შემდეგ მოცემულია 12 თავი „ბაგრატიონთა შთამომავლობის მეფობამდე“; შემდეგი თავები ვიდრე დავით აღმაშენებლამდე მოტანილია ნუმერაციის გარეშე. შემდეგ, საქართველოს გაყოფამდე (XV ს.) ზოგიერთი თავი ისევ დანომრილია და ყველა თავი დასათაურებული. XV საუკუნიდან მოყოლებული ამგებიც თავებად არის დაყოფილი, აქ სულ 11 თავია, თითოეულ თავს საერთო სათაური აღარ აქვს. ოღონდ სათაურის მაგიერ თავში განხილული საკითხებია ჩამოთვლილი (ასევეა საკითხები ჩამოთვლილი წინა თავებშიც, სადაც ისინი ქვესათაურებად გამოიყურებიან).

„საქართველოს მოკლე ისტორია“, როგორც უკვე აღნიშნულია საისტორიო ლიტერატურაში (ს. ჯანაშია, კ. გრიგოლია, ა. ბარამიძე) ძირითადად „ქართლის ცხოვრების“ სქემას მიჰყვება, გვიანდელი ხანის წყაროებიდან მას შარდენის ცნობები აქვს გამოყენებული (გვ. 193 და სხვ.) ხოლო XIX ს-ის ისტორიისათვის, ავტორს, როგორც ჩანს, რუსული ოფიციალური ისტორიოგრაფიის მონაცემებით უსარგებლია (ბუტკოვი); იყენებს აგრეთვე პლ. იოსელიანის „ცხოვრება მეფის გიორგი XIII-სას“, ა. ვ. ორბელიანის ცნობებს და რუს მოგზაურთა ნაწერებს („მოგზაურობა“ ვლადიკინისა).

ნაშრომში მარტივი, გასაგები ენით არის გადმოცემული საქართველოს ისტორია და როგორც აღნიშნავს ა. ბარამიძე, ავტორი „თავს ვერ ართმევს „ქართლის ცხოვრების“ სქემას და მასში დაცულ ეთნარ-ეპონიმთა ლეგენდურ ამბებს ისტორიულ რეალობად თვლის“<sup>5</sup>.

1895 წელს მეორედ ქვეყნდება მ. ჯანაშვილის „საქართველოს ისტორია“, „ერთი-ორად ვრცელი წინანდელზე“ (მ. ჯანაშვილი). ამ გამოცემამაც მიიქცია ქართული საზოგადოებრიობის ყურადღება. დაიწერა ბევრი წერილი ამ წიგნის როგორც ღირსებაზე, ისე ნაკლებეც. გ. წერეთლის გაზეთი „კვალი“ წერდა:

5 ა. ბარამიძე, მოსე ჯანაშვილი, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1980, № 2, გვ. 199.

„ჩვენ მივიღეთ ჩინებული გამოცემა ახლად შემუშავებული და შევსებული საქართველოს ისტორია მ. ჯანაშვილისა. ეს პირველი წიგნია, რომელსაც მისწრაფებით უნდა საჭიროებდეს ყოველი ქართველი... იგი იწყება ისტორიული დასაბამიდან ქართველი ერისა და მოყვანილია დღევანდელ დღემდე. რაც უნდა ნაკლულევანება ჰქონდეს ასეთს სახელმძღვანელოს, მაინც იგი დარჩება ერთ საუკეთესო და სასიამოვნო მოვლენათ ამ დროის ქართულ ლიტერატურაში... სწორედ მაღლობის ღირსია... ასეთი წიგნის გამოცემისათვის“<sup>6</sup>.

ამ ნაშრომის გამოცემას გაზეთი „ივერია“ გამოეხმაურა. აღნიშნული იყო წიგნის მნიშვნელობა ქართველთა ეროვნული თვითშეგნების გაღვივება-განვითარებაში და მისი როლი მშობლიური ქვეყნის ისტორიის შესწავლის საქმეში. ერთ-ერთ რეცენზიაში შენიშნულია ნაშრომის მეცნიერული ღირებულება: „...ჯანაშვილი თავის მოკლე ისტორიაში შეძლებისა და გვარად ასრულებს ისტორიის ფილოსოფიის მოთხოვნილებასაც: გვამცნობს არა თუ მარტო ქართველთა ომებს, არამედ მათს კულტურულ ცხოვრებასაც, იმდენად, რამდენადაც საქართველოს ისტორიული წყაროები ნებას აძლევენ მას“<sup>7</sup>.

„საქართველოს ისტორიის“ მეორე გამოცემა პირველთან შედარებით ორჯერ მეტია მოცულობით (503 გვ.). ნაშრომში მოთხრობილია საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIX ს-ის 70-იან წლებამდე. სტრუქტურის მხრივ იგი დიდად არ განირჩევა პირველი გამოცემისაგან. აქ ტექსტი თავებდად არის დაყოფილი; ბარაგრაფებად დაყოფილია მხოლოდ ზოგიერთი თავი, რომლებშიც უფრო ფართოდ არის განხილული ესა თუ ის ისტორიული მონაკვეთი (თამარ მეფის, ერეკლე მეორის ისტორია). ნაშრომში გარკვეულად ჩანს „ქართლის ცხოვრების“ გარდა, რომელსაც ძირითადად ეყრდნობა ავტორი, სხვა წყაროების, როგორც ქართველ ავტორთა, ისე უცხოელ ავტორთა თხზულებების, გამოყენების წარმატებითი ცდა.

ქართული წყაროებიდან მ. ჯანაშვილი იყენებს: „მესხური დავითნას ქრონიკას“ (გვ. 273—275), „ქსნის ერისთავთა მატეანეს“ (გვ. 291—292), არჩილ მეფეს (გვ. 287, 293), ვახუშტის (გვ. 417—418), პაპუნა ორბელიანს (გვ. 414), ომან ხერხეულიძეს (417—418), იოსებ თბილელს (288, 295); ქართულ ისტორიოგრაფიას (XIX ს-ის I ნახ.) — პლ. იოსელიანს (გვ. 468—469), თეიმურაზ ბატონიშვილს (გვ. 472), მარი ბროსეს (გვ. 494); რუსულ ისტორიოგრაფიას — ბუტკოვი (გვ. გვ. 454, 456, 458, 478, 482 და სხვ.). ნაშრომში გამოყენებულია აგრეთვე ქართული საისტორიო დოკუმენტები — 1764 წლის სიგელი (გვ. 417), 1783 წლის ხელშეკრულება (გვ. 456), ერეკლე მეორის წერილები და ბარათები დისადმი (გვ. 418, 472), თავად ლ. მაღალაშვილის სახარების წარწერები (გვ. 205—209); უცხოელ ავტორთა ცნობები: პეისონელი (გვ. 293), არაქელა (გვ. 295), შარდენი (313, 335, 341), დე ლა პორტი (459, 461), ტურნეფორი (461) და სხვ. ავტორი იცნობს და იყენებს „ოსმალეთის ისტორიას“ გ. სააკაძესთან დაკავშირებით (313—315).

ასე რომ, მეორე გამოცემაში, პირველთან შედარებით, მ. ჯანაშვილი უფრო მეცნიერულად შეიარაღებული — ქართულ და უცხოურ წყაროთა ვათვალისწინებით — იხილავს საქართველოს ისტორიის მრავალ მნიშვნელოვან საკითხს.

<sup>6</sup> გაზ. „კვალი“, 1895, № 12 (მ. ჯანაშვილი, საქართველოს ისტორია, ტ. I, 1906, გვ. 6).

<sup>7</sup> გაზ. „ივერია“, 1895, № 77; (მ. ჯანაშვილი, საქართველოს ისტორია, ტ. I, გვ. 6).



აღსანიშნავია ისიც, რომ „საქართველოს ისტორიის“ ამ გამოცემაში, როგორც უკვე თავის დროზე იყო მითითებული ვაზეთ „ივერიის“ მიერაც, მ. ჯანაშვილი უხვ ცნობებს იძლევა ქართული კულტურის ისტორიის შესახებ როგორც X—XII საუკუნეებში, ისე გვიანფეოდალურ ხანაში (გვ. 79—81; 107—112; 341—349; 399—413; 492—497). უნდა შეინიშნოს ისიც, რომ ამ გამოცემაში მ. ჯანაშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ქვეყნის შინაგან ცხოვრებას, იგი უფრო ფართოდ და თავისებურად მიმოიხილავს „ქვეყნის შინაურს ცხოვრებას“; მას ცალკე აქვს გამოყოფილი საკითხი „ერის შინაური ცხოვრება“, რომელსაც ფრანგი მოგზაურის ე. შარდენის მონაცემებზე დაყრდნობით განიხილავს (გვ. 350—354).

თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში სათანადოდაა გაშუქებული მ. ჯანაშვილის „საქართველოს ისტორიის“ მეორე გამოცემა. ს. ჯანაშვიას აზრით, „ამ წიგნის მეორე, გადამუშავებული და მნიშვნელოვნად განვრცობილი გამოცემა... უკვე წარმოადგენდა ცდას მეტ-ნაკლები დამოუკიდებლობით შემუშავებული სურათის წარმოსადგენად ქართული ისტორიული პროცესის შესახებ, და ამავე დროს ავტორისათვის შეადგენდა საფეხურს უკვე მსხვილი გამოკვლევის გამოქვეყნებისათვის...“<sup>8</sup>.

ა. ბარამიძეც შენიშნავს ამ გამოცემის ბევრ დადებით მომენტს — „ქართლის ცხოვრების“ ტრადიციული სქემის შეცვლის ცდა, საზოგადოების სოციალ-ეკონომიკური ისტორიის შესწავლის მნიშვნელობა და მისი უპირატესობა ქვეყნის პოლიტიკურ ისტორიასთან შედარებით, უცხოელ ავტორთა ცნობების გამოყენება საქართველოს ძველი ისტორიის, მოსახლეობის ყოფაცხოვრებისა და ზნე-ჩვეულებების აღწერისას, ეთნოგრაფიული მასალის მოხმობა, „რაც, ცხადია, ახალი სიტყვა იყო XIX საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში“<sup>9</sup>. ამასთან ერთად, ა. ბარამიძეს სწორად მიაჩნია ავტორის ცდა ამა თუ იმ მოვლენის მიზეზთა ძიების, მიზეზ-შედეგობრივი მიმართებების დადგენის დროს. „ეს შეეხება, კერძოდ, ისეთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ-კულტურულ და სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას, როგორცაა საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოშობის, ანუ პოლიტოგენეზის საკითხი. მართალია, მ. ჯანაშვილს საკმაოდ ლაკონურად და სქემატურად აქვს წარმოდგენილი ამ რთული ორგანიზაციის დაარსებისა და ჩამოყალიბების პროცესი, მაგრამ სახელმწიფოს წარმოშობაზე მოტანილი ავტორისეული კომპონენტები იმკამინდელი დროისათვის მაინც ანგარიშგასაწევი“<sup>10</sup>. ა. ბარამიძეს სწორად მიაჩნია ავტორის მოსაზრება ქართული სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის შემადგენლობის შესახებ, რომელიც თავადთა, აზნაურთა, მოქალაქეთა და გლეხთაგან შედგებოდა (მ. ჯანაშვილი). აქ ა. ბარამიძე სამართლიანად მიუთითებს მ. ჯანაშვილის შეცდომაზე — თავადობა გაცილებით გვიანი მოვლენაა ქართულ სინამდვილეში, მაგრამ საკითხის არსში — პირველი ქართული სახელმწიფოს შინაგანი ბუნების გარკვევაში — ავტორის პოზიცია და მაკმაყოფილებლად მიაჩნია.

ა. ბარამიძე უყურადღებოდ არ ტოვებს მ. ჯანაშვილის კიდევ ერთ მხარეს — „ავტორი ...ზშირად ვერ იცავს მარტივი, ელემენტარული კრიტიკის ჩვე-

8 ს. ჯანაშვილი, მოსე ჯანაშვილი, კრებ., „ქართული ისტორიოგრაფია“, 2, გვ. 132.

9 ა. ბარამიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 199.

10 იქვე, გვ. 199—200.



ვებსაც კი<sup>11</sup> და ვერც პრაგმატულ სისტემაზე აგებულ ისტორიულ შრომად შეიძლება ჩაითვალოს იგი<sup>12</sup>.

მ. ჯანაშვილის „საქართველოს ისტორია“ მესამედ გამოიცა 1906 წელს. ეს გამოცემა ბევრად გამოირჩევა წინა გამოცემებისაგან — „...მას მეცნიერული გამოკვლევის თვისებები მნიშვნელოვანწილად ჰქონდა კიდევ შექმნილი“, — აღნიშნავს პროფ. კ. გრიგოლია<sup>13</sup>.

თავისი სტრუქტურითაც „საქართველოს ისტორიის“ აღნიშნული გამოცემა თავის წინამორბედებთან შედარებით მნიშვნელოვნად განსხვავდება. ჯერ ერთი, იგი გამიზნული იყო ოთხ ტომად, თითოეული მათგანი ცალკე პერიოდებს მოიცავდა და ასე ჰქონდა ავტორს წარმოდგენილი: I ტომი — უძველესი დროიდან ქართლისა და აფხაზეთის გაერთიანებამდე 985 წ.; II ტომი — საქართველოს ისტორიის ბრწყინვალე ხანა (ბაგრატ III — თამარ მეფე); III ტომი — განდგომილების ხანა (ლაშა-გიორგი — გიორგი XII); ახალი დრო (IV ტომი) — 1800 წლიდან XX ს-მდე.

განზრახული ოთხი ტომიდან, როგორც ცნობილია, დაიბეჭდა მხოლოდ პირველი ტომი, სახელწოდებით „საქართველოს ისტორია“. ტომი I უძველეს დროიდან 985 წლ. ქრ. შ. წიგნს ერთვის წინასიტყვაობა და ბიბლიოგრაფია („ზოგიერთი წყაროები და მასალანი“), 86 დასახელების ნაშრომია აქ მოხსენიებული. ასეთი სია სხვა გამოცემებს არ ჰქონია. ამას გარდა, წიგნს დართული აქვს ოთხი რუკა და ქრონოლოგიური ტაბულები ქართველ, სომეხ და სპარსელ მეფეებისა და არაბთა ხალიფების გენეალოგიის ჩვენებით.

ძირითადი ტექსტი (ტაბულების გარეშე) შეიცავს 368 გვერდს წინასიტყვაობის V—VIII გვერდები.

ყურადღებას იქცევს ტომში მოთავსებული მასალის პერიოდიზაცია: I. უძველესი ხანა, რომელიც 3 განყოფილებად იყოფა და მოიცავს პერიოდს უძველესი დროიდან V საუკუნემდე; II. საშუალო ხანა, რომელიც 2 განყოფილებისაგან შედგება და ასახავს პერიოდს V ს-დან X ს-ის დასასრულამდე — საქართველოს გაერთიანებამდე. განყოფილებებიც, თავის მხრივ, ცალკე თავებდად იყოფა, თავები — ქვეთავებდად.

თავისი წიგნის წინასიტყვაობაში მ. ჯანაშვილმა თავადვე განსაზღვრა ის ძირითადი მოთხოვნილებები, რომლებიც, მისი აზრით, აუცილებელია საისტორიო ნაშრომისათვის. მანვე მიუთითა იმ სიძნელეებზე, რომლებიც აბრკოლებენ ამ მოთხოვნილებების შესრულებას და სრულფასოვანი შრომის შექმნას. მას კარგად ესმის, რომ სამეცნიერო ნაშრომებში საკითხები უნდა განხილულ იქნეს არა „მატიანეს წესით“, არა მოვლენების მხოლოდ ქრონოლოგიური აღწუსების გზით, არამედ ისტორიულ მოვლენებს შორის არსებულ მიზეზ-შედეგობრიობის მიხედვით, „შინაგან ძალთა მიხედვისამებ“. ეს ფრიალ საყურადღებო დაკვირვება, რომელიც უკვე არსებითად დანერგილი იყო XIX ს-ის ევროპულ ისტორიოგრაფიაში, მ. ჯანაშვილის როგორც ისტორიკოსის შეფასებისათვის, უაღრესად მრავლისმეტყველი ფაქტია. სხვა საკითხია, არის თუ არა კვლევის ეს მეთოდი მის საისტორიო ნაშრომებში მთელი სისრულით გატარებული.

11 იქვე, გვ. 199.

12 იქვე.

13 კ. გრიგოლია, მოსე ჯანაშვილი როგორც საქართველოს ისტორიის მკვლევარი, კრებ. „მოსე ჯანაშვილი“, გვ. 15.

12. „მაცნე“, ისტორიის სერია“, 1991, № 3

მ. ჯანაშვილმა, როგორც ჩანს, საქიროდ მიიჩნია, წინასიტყვაობაში მკითხველის ყურადღება გაემახვილებინა კიდევ ერთ გარემოებაზე. კერძოდ, მიუთითებს რა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის (კეთილმეზობლური თუ მტრული) შესახებ სხვადასხვა ხალხთან, ავტორი წერს: „...ყველა ამ ხალხების შესახებ ჩვენ წიგნში შევიტანეთ მოკლე ცნობები. მათი ამბავი, მეტადრე ბერძნებისა, არაბებისა და სპარსების, ნათელს ფენს საქართველოს, და საზოგადოდ, კავკასიის წარსულს და ხშირად აღადგენს და ასწორებს „ქართლის ცხოვრების“ ცნობებსა და ქორონიკონებს“<sup>14</sup>. უაღრესად საკულისხმო ფაქტია ასეთი განცხადება! ჯერ ერთი, ასეთი მასალის შემოტანით მან გაამდიდრა თავისი ნაშრომის წყაროთმცოდნეობითი ბაზა და მეორეც, იმ დროისათვის იგი აუცილებელი და გამართლებული იყო შემდეგი მიზეზით: იმ დროის ქართველი მკითხველი სრულიადაც არ იყო განებივრებული მშობლიურ ენაზე მსოფლიო ისტორიის არათუ სახელმძღვანელოების, არამედ პოპულარული საკითხავი წიგნების არსებობითაც კი.

პირველი ტომის წინასიტყვაობაში აღნიშნულია ისიც, თუ რა ძირითად წყაროებსა და ლიტერატურას ეყრდნობოდა ავტორი, და ქართული ისტორიოგრაფიის გვერდით იხსენიებს ევროპულ ისტორიკოსებსაც (ვიბონს, შლოსერს, ლენორმანს). ნაშრომის ბოლოში დართული სია გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის შესახებ იმის დასტურია, რომ ამ გამოცემისათვის მ. ჯანაშვილს დიდი შრომა გაუწევია.

როგორც უკვე ითქვა ზემოთ, „საქართველოს ისტორიის“ პირველი ტომი მოიცავს პერიოდს უძველესი დროიდან X საუკუნის დასასრულამდე — საქართველოს გაერთიანებამდე. უნდა აღინიშნოს, რომ გარდა მდიდარი წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული ბაზისა, ეს ნაშრომი იმითაც გამოირჩევა აღრინდელი გამოცემებისაგან, რომ მასში მეტ-ნაკლებად არის გამოყენებული ლეგენდა-გადმოცემები, ეთნოგრაფიული მასალა და ენობრივი მონაცემები. ხშირ შემთხვევაში ენობრივი მასალის ანალიზის შედეგად მეტად მახვილგონივრული დასკვნებია მიღებული.

მ. ჯანაშვილის ზემოაღნიშნული ნაშრომის შესახებ უთუოდ გასაზიარებელია ა. ბარამიძის შემდეგი დაკვირვება: „მესამე გამოცემა... შინაარსობრივად, ფაქტოლოგიურად და მეთოდოლოგიურად უფრო მდიდარია, ამასთან XIX ს-ის ისტორიოგრაფიის გაგებით იგი დგას პრაგმატიზმის პოზიციებზე და საზოგადოების ახალ მოთხოვნილებებს ემსახურება“<sup>15</sup>...

თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია დადებითად აფასებს მ. ჯანაშვილის (ერთ-ერთი პირველის) ცდას საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის შემუშავების საკითხში. „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ მეორე ტომის შესავალ ნაწილში, რომელიც ეძღვნება აღრეფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციას, ნათქვამია: „ბურჟუაზიული ხანის ქართულ ისტორიოგრაფიაში აღრეფეოდალური საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციამ შედარებით დასრულებული სახე XX ს-ის დამდეგიდან მიიღო. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს მ. ჯანაშვილის „საქართველოს ისტორიის“ პირველი ტომის მესამე (1906 წ.) გამოცემა, სადაც მოცემულია საქართველოს ისტორიის

14 მ. ჯანაშვილი, საქართველოს ისტორია, ტ. I, გვ. 6.

15 ა. ბარამიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 201.

პერიოდიზაციის ცდა<sup>16</sup>. ამ უკანასკნელმა (ს. ბარათაშვილსა და დ. ბაქრაძესთან ერთად) კი, მიუხედავად სხვადასხვა არსებითი ხასიათის ხარვეზისა, უძველესად ხელი შეუწყო მეცნიერული პერიოდიზაციის შემუშავებასა და დამკვიდრებას ქართულ ისტორიოგრაფიაში<sup>17</sup>.

К. С. ТОПУРИДЗЕ

УЧЕБНИК «ИСТОРИЯ ГРУЗИИ»  
МОСЭ ДЖАНАШВИЛИ

Резюме

Вышедшая впервые более чем 100 лет назад (1884) «История Грузии» тогда еще совсем молодого учителя грузинской словесности и истории М. Джанашвили — необычайно интересное явление в грузинской историографии. Работа выдержала три издания, приобретая все более глубокий научный характер. Книга была допущена как учебное пособие в средней школе. Гуманист и истинный патриот, грузиновед с широкими научными и общественными интересами, М. Джанашвили с особой любовью относился к истории Грузии, изучал и широко пропагандировал ее. Современная грузинская историография критически воспринимая в целом богатое наследие М. Джанашвили, полностью разделяет позицию автора в вопросе периодизации истории средневековой Грузии.

К. ТОПУРИДЗЕ

TEXTBOOK «THE HISTORY OF GEORGIA»  
BY MOSE DJANASHVILI

Summary

«The History of Georgia» first published more than a hundred years ago (1884) written by, then a very young teacher of Georgian literature and history M. Djanashvili, is a noteworthy event in the Georgian historiography. The work has been published three times taking more and more deep scientific character. It was used at secondary school as a textbook. Humanist and a real patriot, the teacher of social sciences, a man with wide scientific and social interests, M. Djanashvili had a special attitude to Georgian history he studied and widely popularized it. Modern Georgian historiography criticizing the rich literary heritage of M. Djanashvili as a whole, completely shares the author's view on the question of the division in to periods the history of medieval Georgia.

წარმოადგინა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიისა და ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ახალი ისტორიის განყოფილებამ



**უპასუხისმგებლობა თუ...?**

გამომცემლობა „მეცნიერება“ 1989 წ. გამოაქვეყნა მ. ჯანთარიას წიგნი „Экологические аспекты традиционной хозяйственной культуры народов Северного Кавказа“, რომლის 195-ე გვერდზე წერია: „Многие народы начинали новый год в соответствии с хозяйственными сезонами, например по грузинскому языческому календарю, новый год начинался с августа. Н. Брегадзе связывает это с началом сева безостой пшеницы (4.57, с. 73)“. აღნიშნულის წყაროდ მითითებულია (გვ. 251) ჩემი ნაშრომი „К вопросу о локализации ареала пшеничных очагов земледелия Грузии“=СЭ.—1975.— № 4\* (სახვასმა ჩემია—ნ. ბ.)

მ. ჯანთარიას წიგნიდან ზემოთხსენილი ამონაწერი მეორდება მისსავე სტატიაში — „Вселенная в представлениях вайнахов и осетин“ СЭ.—1990.— №2, с. 106. ამჯერად წყაროდ დასახელებულია (გვ. 110) — „Брегадзе Н. А. О зерновых культурах в Рача-Лечхуми“ Вест. общественных наук АН ГССР. 1960, № 3, с. 73 (на груз. яз)“.

სრული უპასუხისმგებლობით ვაცხადებ: არასდ, არც ერთ ჩემს პუბლიკაციაში არ მოიხილება უპასუხისმგებლობა, რომელსაც მომაწერს მ. ჯანთარია მის ზემოთხსენებ, რუსულად გამოქვეყნებულ ნაშრომებში, რომელთა წყაროებით შეცდომაში შევა მკითხველთა არცთუ ვიწრო წრე. ესოდენ მნიშვნელოვანი მოვლენა, როგორცია სამეურნეო (და მასზე დამყარებული კალენდარული) წლის დასაწყისი, არ შეიძლება უკავშირდებოდეს მორფოლოგიური ნიშნით (ფხიანობა და უფხოობა) შერჩეული ხორბლის თესვას. ამასთან, საქართველოს მიწათმოქმედებისათვის უფხო ხორბალი არც კი წარმოადგენს უძველესსა და ისტორიულად რამდენადმე მნიშვნელოვან კულტურას.

მ. ჯანთარიას მიერ ჩემ გამოხატულებად გამოქვეყნებული, ზემოთხსენილი მოსაზრებისაგან სრულიად განსხვავებული მსჯელობა ძველქართული და აგრარული კალენდრების ურთიერთმიმართების, აგრეთვე საქართველოში მწარმოებლური მეურნეობის წარმოშობა-განვითარების ისტორიაში ხორბლის სახეობათა მნიშვნელობისა და მათი თესვის ვადების შესახებ მოცემულია ჩემს წიგნში „Очерки по агроэтнографии Грузии“ (თბ., 1982), რომელიც იგნორირებულია მ. ჯანთარიას მიერ. სამაგიეროდ მან, ჩემი სხვა ნაშრომების სრულიად უსაფუძვლოდ დამოწმებისას, დაარღვია გამოყენებულ ლიტერატურაში მითითების ელემენტარული წესები. პირველ შემთხვევაში: გარდა იმისა, რომ უპასუხისმგებლად დაყვანილი ჩემს ნაშრომში მოცემული მსჯელობა (ისიც 73 გვ-დან), დამაბინჯებელია სათაურიც (უნდა იყოს „...первичных очагов...“). მეორე შემთხვევაში კი, მითითებულ ნაშრომში (იქაც უნდა იყოს—„Вестник Отделения общественных наук...“) არა თუ საერთოდ არაფერია კალენდარის შესახებ, მით უფრო, წლის დასაწყისსა და უფხო ხორბლის თესვის ვადებს შორის კავშირზე, არამედ ასევე საერთოდ არაა გვ. 73.

ამდენად, იქმნება შთაბეჭდილება, რომ წინააღმდეგ მეცნიერული ეთიკისა, მ. ჯანთარია არა მარტო მომაწერს მცდარ მოსაზრებას, არამედ მისთვის სულერთია თუ რას დაიმოწმებს, ოღონდ არ გაისარგოს ნამდვილი წყაროს დასაზუსტებლად (მით უფრო, რომ ასეთი არც არსებობს!). ხოლო ქართულ პუბლიკაციაზე მითითებით იგი უსპობს საკითხით დაინტერესებულ მკითხველთა უმეტესობას ჩემი სახელით გამოქვეყნებული უპასუხისმგებლობისა და მითითების საშუალებას.

**Ю. А. АНЧАБАДЗЕ, Н. Г. ВОЛКОВА, СТАРЫЙ ТБИЛИСИ,**  
**город и горожане в XIX веке М., «Наука», 1990, с. 269.**

1990 წელს მოსკოვში გამოცემილია „ნაუკაში“ დასტამბა ი. ანჩაბაძისა და ნ. ვოლკოვას წიგნი „ძველი თბილისი (ქალაქი და ქალაქელები XIX ს.)“. წიგნის რედაქტორია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ს. არუთინოვი, რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატები ი. ზუღუნა და ი. ზვერცვა. წიგნის ანოტაციაში ნათქვამია, რომ ავტორთა მიზანს შეადგენდა ქალაქის ისტორიის ჩვენება საუკუნის მანძილზე, საქართველოს რუსეთთან შეერთებიდან XX ს-ის დასასრულამდე. აღნიშნულია, რომ თბილისი, ყოველთვის იყო მრავალფეროვანი ქალაქი, მაგრამ XIX ს-დან იგი ხალხების, ენების, რელიგიის ნამდვილი კონგლომერანტია. ავტორები იძლევიან თბილისის ეროვნული თემების და ქალაქის სამეურნეო ყოფის დახასიათებას, განიხილავენ ოჯახს და მის წეს-ჩვეულებებს, ქალაქური ჭკადობისა და დღესასწაულის სურათებს.

ნაშრომი შედგება შესავლისა და ექვსი თავისაგან, ბოლოში მას ერთევის დასკვნა, ილუსტრაციებისა და შემოკლებათა სიები, ეთნიკურ სახელწოდებათა სამიხელო. წიგნი უხვად არის ილუსტრირებული დ. ერმაკოვისა და ა. როინიშვილის უნიკალური ფოტოებით, საქართველოს სახელმწიფო, ი. გრიშაშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმებისა და ცენტრალური სახელმწიფო არქივის კინოფოტოკოლექციონტორს მასალით.

შესავალში ავტორები ასახელებენ ქალაქის ეთნოგრაფიული შესწავლის აუცილებლობას, აღნიშნავენ, რომ ეთნოგრაფიულ კავკასიათმცოდნეობის ზღვა მასალაში არ არის გამოკვლეული ქალაქის ეთნოგრაფია (გვ. 6), რაც საერთოდ იმით იყო გაპირობებული, რომ ქალაქი მიაჩნდათ ტრადიციული კულტურის შემრყუნელად, ყოველგვ ეთნიკურის დამორგუნველად. მხოლოდ ჩვენი საუკუნის 60-იანი წლებიდან ზდება ქალაქი ეთნოგრაფია კვლევის ობიექტი და აქედან იწყება მისი დამოკლებულ მეცნიერულ მიმართუ-

ლებად ჩამოყალიბება. მართალია, ქალაქის ეთნოგრაფიის შესწავლა დაიწყო თანამედროვეობით, მაგრამ მის პარალელურად ისწავლებოდა ქალაქის ტრადიციული ყოფაც, რის გამოც, როგორც ავტორები აღნიშნავენ, შეიქმნა ორი მიმართულება ქალაქის ეთნოგრაფიულ კვლევაში. პირველი ხორციელდებოდა ქალაქთა ჭკულების შესწავლით, ხოლო მეორე მხრივ, ისწავლებოდა მსხვილი ურბანიზებული ქალაქი — პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცენტრი. ავტორებმა ც თავიანთი კვლევის სფეროდ სწორედ ეს მეორე გზა აირჩიეს გარკვეული ქრონოლოგიური ჩარჩოთი XIX ს-ის დასასრული — XX საუკუნის დასაწყისი.

ნაშრომს საფუძვლად უდევს უმდიდრესი საარქივო მასალა — სტატისტიკური აღწერები, კამერალური მასალები, საოჯახო სიებისა და პერიოდული პრესის მონაცემები, სპეციალური ლიტერატურა. შესავალშივე მოცემული ქალაქის მოკლე ისტორია მისი დაარსებიდან ვიდრე რუსეთთან შეერთებამდე.

I თავი — მ რ ა ე ლ ე რ ო ვ ა ნ ი თ ბ ი ლ ი ს ი — აქ ძირითადად განხილულია მოსახლეობის რიცხვითი ოდენობა, აღნიშნულია, რომ თბილისი იზრდებოდა ძირითადად მიგრაციის საფუძველზე. ცალკეა წარმოდგენილი თბილისის მოსახლეობის სოციალური შემადგენლობა, აღნიშნულია მოსახლეობის ძირითადი კატეგორიები: გლეხი, მუშა, ხელოსანი, ყაჭპარი, მოქალაქე, სასულიერო პირი, თავდაზნაურობა. მას მოსდევს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის დინამიკური სურათი. ნათქვამია, რომ თბილისი, როგორც ქართლის შუაგული, დასახლებული იყო ძველთაგანვე აღმოსავლეთ საქართველოს მცხოვრებლებით, ძირითადად ქართლებით, კახლებითა და მთიელებით, აგრეთვე დასავლეთ საქართველოს წარმომადგენლებით, სხვა ეროვნებათაგან აღსანიშნავია სომხები, რომლებიც მოდიოდნენ სპარსეთიდან, ახალციხის საფაშოდან; თათ-



რები — აზერბაიჯანელები და თურქები; სპარსელები, ბერძენები, ოსები, აფხაზები, ჩეჩენები, ინგუშები, რუსები, უკრაინელები, ებრაელები, მათ შორის რუსი და ევროპელი ებრაელები. ზემოაღნიშნული ეთნიკური ერთეულების კონფესიონალური შემადგენლობა იყო მართლმადიდებლური, გრიგორიანული, კათოლიკური, მუსლიმანური, იუდეველური; მალაქები და დუხამორები, ბაბტისტები, პროტესტანტები — ანგლიკანები, ლუთერანები, ლუთერან-ევანგელისტები; იუდაიზმისა და იეზუიტების მიმდევარნი.

თავი II. — ქალაქელთა ძირითადი სამეურნეო საქმიანობა, აღწერილობა ხელოსანთა სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთა ყოფა; თუღუხის, მეყინულის, დალაქის, მეზურნის, საზანდრის, აშუღის, კინტოს საქმიანობა. არ არის დავიწყებული არც ბერძენი ქვისმთელი და არც სპარსელი მე-აფურე, ექიმბაშისა და სხვა პროფესიის წარმომადგენელთა საქმიანობა. აღწერილია სავარუებნო მეურნეობის (მებაღეობა-მეხივობის, რძის პროდუქტების წარმოება), მიწათმოქმედების, მესაქონლეობის როლი თბილისელთა ცხოვრებაში.

თავი III — მატერიალური კულტურა. ნაშრომის ამ ნაწილში ავტორები აგვიწერენ თბილისის ციხეებსა და სასახლეებს, მის მოედნებს, ქუჩებს, ბაღებს, ბაზრებს, დეკანებს, ქარავლებს, ყაფახანებს, მტკვარზე მოქმედ წისქვილებს, აბანოებს, ეკლესიებს, ხიდებს, სასაფლაოებს.

ცალკე გამოყოფილ ქვეთავში ავტორები სავაგებოდ ჩერდებიან ქალაქისათვის დამახასიათებელ ნაგებობათა ტიპებზე: დარბაზებზე, მიწურ-ბანიან, ორსართულიან ქვისა და აგურის, ევროპული ტიპის ორსართულიან შუშაბანიან და თბილისისათვის დამახასიათებელ ე. წ. შემოსავლიან სახლებზე.

შემდეგი პარაგრაფი ეძღვნება ქალაქელთა სამოსს. აქ დაწვრილებითაა წარმოდგენილი ქალისა და მამაკაცის სამოსი — ქართული კაბისა და ჩოხა-ახალუხის მთლიანი კომპლექსები. აღწერილია თითოეული მათგანის ცალკეული ელემენტები. აქვეა განხილული თბილისში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ერთეულების (სპარსელი, ბერძენი, ქურთი) წარმომადგენელთა ეროვნული კოსტუმის სახეები. გახაზულია საერთო თბილისური ჩოხა-ახალუხის ვარიანტის არსებობაც. სავაგებოდ აგვიწერენ ავტორები ყარაჩოღლისა და კინტოს სამოსს. აღნიშნავენ იმ ცვლილებებსაც,

რაც XIX ს-ის 30-იანი წლებიდან შეინიშნებოდა ქართულ ნაციონალურ სამოსში. ეს ცვლილებები — ე. წ. „ევროპიზაცია“ ქალის ჩამოშლილობაში შეინიშნებოდა, რაც ფეხსაცმლით იწყება, შემდეგ ქვედა სამოსში გადადის, ჩნდება ევროპული „კრინოლინი“ — „ხაბარა“, რასაც მოსდევს გარკვეული ტიპის სამოსის — „პრინცესას“ გავრცელება. ამ ტანსაცმლის სახეობაში ეროვნული მხოლოდ თავხურა რჩება, მამაკაცის კოსტუმშიც იცვლება, მაგრამ ის მაინც შედარებით მდგრადობით გამოირჩევა.

მატერიალური კულტურის განყოფილებას შემდეგ ქვეთავში განხილულია თბილისელთა მენიუ. წარმოდგენილია მათი კვების სისტემაში გვაბტონებული პროდუქტები; ესენი ძირითადად ხორბლეული — პური და მასსხვადასხვა სახეები; ხორცი — ცხვარი და საქონელი, რძე და რძის პროდუქტები — ყუფლი, კარაქი; მარკონები — ლობიო; თევზეული, ბოსტნეული, ხილი და განსაკუთრებით მწვანილი, რომელიც დიდ როლს ასრულებდა თბილისელთა მენიუში. ასევე ხმაგრებში სხვადასხვა სახელებელი, თაფლი და სასტოლი — ღვინო და არაყი. ასევე მდიდრად იყი წარმოდგენილი თბილისელთა კვების რაციონში რიტუალური საკვები — პურები, ნაჭუქები, ქაღები, ქუმელი და ხალიფაფა, შილფლაი, სამსხვერპლო ცხოველი — ცხვარი და ბატკანი.

ტრანსპორტის მრავალი სახეობის არსებობას ამირობებდა ის, რომ თბილისი ძველთაგანვე წარმოადგენდა მასზე გამავალი სტრანზიტო თუ საქარავნო მარშრუტების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პუნქტს. ტრანსპორტის გამწვევ ძალას შეადგენდა სახეივარი, ცხენი, კამეჩი, ხარი, აქლემი და თვით ცოცხალი ადამიანი — კურტიანი მუშა, ხოლო ტრანსპორტის ძირითად სახეობას — ორბორბლიანი ურემი აქ მისი მომწრო ნაირსახეობა სახედრით აქცენით, ტაბატრენი ქალებისათვის და ბოლოს ევროპული ეკიპაჟები — „დროშები“, ხოლო რეფორმის შემდეგ „აუტონი“ და ეტლები, კონკა, ტივი მტკვარზე.

თავი VI — ოჯახი და საოჯახო ყოფა. თბილისელთათვის ოჯახის ტიპურ ფორმად ავტორები მიიჩნევენ პატარა, ინდივიდუალურ ორთაობიან ოჯახს მშობლებითა და მათი შვილებით, თუმცა არც მრავალრიცხოვანი, დიდი ოჯახის არსებობასაც უარყოფენ. აღწერილია ოჯახის სტრუქტურა, საოჯახო ურთიერთობა, დამოკიდებულება მშობლებსა და შვილებს შორის. ცალ-ცალკეა განხილული მამაკაცისა და ქალის უფლებამოსილებები ოჯახში, მზითვეი, სათაფნო, ცალ-

კვა წარმოდგენილი ბავშვების — ბიჭისა და გოგონას აღზრდის წესები, ინდივიდის სოციალიზაციის პირობები, მამაკაცთა სპარტანული აღზრდა, ქალთა წრეში ოსტატ-მეფიერლობის გავრცელებული წესი. პრივილეგიურებულ ოჯახებში აღმზრდელების — „ბუვერნიონების“ არსებობის პრაქტიკა, უცხო ენათა სწავლების აუცილებლობა ოჯახში.

აქვეა წარმოდგენილი ქალაქური ქორწინება, ადრეული ქორწინება მამაკაცებში არ შეინიშნებოდა, დადგენილია ქორწინების ასაკი ორივე სქესის ახალგაზრდებისათვის, გაყრის შემთხვევები და მიზეზები. საგანგებო ყურადღება ექცევა მატერიალობის ინსტიტუტის განხილვას; ავტორთა თქმით, მოტაცება იშვიათად დასტურდება.

ქალის გასინჯვა ზღბოდა აბანოში, მოწონების შემთხვევაში მას მოჰყვებოდა ნიშნობა, სასიძოს ნახვა, ქორწილი, ქალის მოყვანისას პირისსანახავის პირობები. საგანგებოდა წარმოდგენილი მშობიარობის წესებიც. იგი ზღბოდა ოჯახში, თუმცა ამ დროისათვის უკვე იყო სამშობიარო სახლებიც, მაგრამ ამჟამინდებ ოჯახში მშობიარობას. მასში მთავარ როლს ასრულებდა ბებია ქალი. აღწერილია ჩვილი ბავშვის მოვლის წესები: აყვანი, ძეობა, ნათლობა, აქვეა განხილული დაკრძალვის წესები თბილისის სხვადასხვა ერთეულ ერთეულებში; აღწერილია მიცვალებულთა რიგების (მე-7, მე-40 დღეები, წლისთავი) გამართვის წესები, მსუდრებისა და მოზარის მოვალეობანი. აღნიშნულია სამგლოვიარო განცხადებების გახეთქი მითაფსების შემთხვევები, როგორც შედარებით გვიანდელი მოვლენა, სასაფლაოები, მიცვალებულის სხენების დღეები და მათთან დაკავშირებული რიტუალები.

თავი V — დასვენება — ტრადიციული დღესასწაული და გართობანი. ნაშრომის ამ ნაკვეთში წარმოდგენილია თბილისელთა გართობისა და დასვენების სხვადასხვა სახე: ქალაქგარეთ გასეირნება, ლბინი ორთაქლისა და კრწანისის ბაღებში, აბანოში, აბანო იყო დასვენების, დროის გატარების, გართობის საუკეთესო საშუალება. სალაყბო — ქალაქის ახალი ამბების გასაგებად შეკრებილთა საყვარელი ადგილი; კრივი, ცხენით ჭირითი, კიბობა ორთაქალაში, ქალთა შორის მკითხაობა; ცირკი, ჯამბაზი, მასხარა.

დიდი ადგილს უთმობენ ავტორები წიგნში კალენდარული დღეობების აღწერას თითოეული ეთნიკური ერთეულის მიხედვით, რაც შემდეგი თანმიმდევრობითაა წარმოდგენილი: ახალი წელი, ნათლისღება, ნინობა, აბოობა,

სურბსარქისობა, ყველიერი, შიობა (საქანლა და „ბუქნობა“), ბერეობა-ყვენობა, აღდგომა, უძოს წმენდა გიორგობა, დოდობა, კვირაცხოვლობა, 7-მისობა, რამაზანბაირამობა, ამაღლება-თელეთობა, მამადავითობა, იონაწმენდაწმენობა, კათოლიკეთა დღეობა მაცხოვრის ეკლესიაში; ქუბრბაჟაბეობა, მიძინება — ფეხბანის ეკლესიაში, მოპარამი — სექტემბერში, გიორგობა 10 ნოემბერს ქაშეთში და სხვ.

თავი VI — ეთნიკური პროცესების ზოგიერთი ასპექტები. ავტორები საგანგებოდ აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ პოლიეთნიურობა იყო თბილისისათვის ისტორიული ტრადიცია. ქალაქის ძველ მოსახლეობად ისინი მიიჩნევენ სომხებს; დანარჩენი მათი თქმით, XIX საუკუნეშია გადმოსახლებული თბილისში, მდიდარი საარქივო მასალის საფუძველზე, განსაკუთრებით კი 1886 წ. საოჯახო სიების ანალიზის საფუძველზე ისინი აღგენენ, რომ სომხებისათვის ქართული იყო ე. წ. „შინაური“ ენა, რომელზედაც ზღბოდა ინდივიდის სოციალიზაცია. სომეხ ქალებს ქართული ენა ეცვათ, ენაც ქართული ჰქონდათ, მაგრამ მიუხედავად სომხების გაქართულებისა, ისინი ეროვნული თვითშეგნებით მაინც სომხებად რჩებოდნენ. ამაში მთავარ როლს, ავტორთა თქმით, მათი კონფესიური მიკუთვნებულობა ასრულებდა, რელიგია არ აღევადა მათ საშუალებას მართლმადიდებლად დაწერილიყვნენ. რელიგია განაპირობებდა ეროვნულ თვითშეგნებას. ამდენად, დაასკენიან ავტორები, სომხური თემი იყო ყველზე მტკიცე თბილისში.

მაჰმადიანთა თემი სხვადასხვა ეროვნებისაგან შედგებოდა, ესენი იყვნენ: სარსელები, აზერბაიჯანელები, ყაზანის თათრები, თურქები და სხვ. ამიტომ კონფესური ხაზით ეს თემი არ იყო მდგრადი.

საგანგებოდ ჩერდება ავტორებმა შერეული ქორწინების საკითხებზე. ისინი თბილისში აღგენენ 20 საჭორწინო წყვილის არსებობას, ცოლქმრის ენა იყო: ქართული ან რუსული, თუმცა სხვადასხვა ეროვნებისა იყვნენ. შვილების ეროვნება განისაზღვრებოდა მამის ხაზით, იშვიათად დედის ეროვნების მიხედვით. რა ენაზეც ზღბოდა ბავშვის სოციალიზაცია, ის იმ ეროვნებად ითვლებოდა. ხშირი იყო ერთი რელიგიიდან მეორეში გადასვლა ხელახლა მონათვლის შემთხვევები, რაც უფრო სექტანტებში შეინიშნებოდა. რელიგიას იცვლდნენ ძირითადად შერეულ ქორწინებაში შემაკალი წყვილები. ქალაქი გამოდიოდა კატალიზატორის როლში ეთნოკულ-



ტურული განვითარებაში. ამდენად, ქალაქი ასკენიან ავტორები, ამდღირებს ეროვნულ კულტურას, აძლევს მას საშუალებას აითვისოს მოქმედების ახალი მიმართულება, რომელიც საერთო ისტორიულ პერსპექტივაში ხელს უწყობდა მის თანდათან წინსვლას (გვ. 256). ქართველი ხალხის ეთნიკური განვითარებაში დიდი როლი შეასრულა იმან, რომ თბილისი XIX ს. წარმოადგენდა ერის ინტელექტუალური ცხოვრების საფუძველს.

დასკვნაში ავტორები კვლავ განაზღვრენ თბილისის მრავალეროვნულობას, როგორც მისთვის დამახასიათებელ ისტორიულ ძირითად თავისებურებას. ეთნიკური კულტურის ურთიერთგავლენანი, წერენ ავტორები, იყო ბუნებრივი და კანონიერი შედეგი თბილისური ცხოვრების ისტორიულად ჩამოყალიბებული სპეციფიკისა (გვ. 263).

ასეთია წიგნში განხილული ძირითადი საკითხები. ნაშრომი დაწერილია საქმის ღრმა ცოდნითა და სიყვარულით უმდიდრესი საარქივო მასალების საფუძველზე, რაც, ავტორთა საბედნიეროდ, რუსულ ენაზეა დაცული და რამაც განსაკუთრებით გაუადვილა მათ ამ რთული სამუშაოს შესრულება. წიგნი ბოლოგრაფიულად ბრწყინვალედ არის გამოცემული. გვაქვს გარკვეული შენიშვნები, რომლის მიზანია წიგნში წამოჭრილი ზოგიერთი ხაზითხის გარკვევა-დაზუსტება.

1. ძირითადი ჩვენი შენიშვნა შეეხება ავტორთა მიერ ეთნოგრაფიული მასალის გაუთვალისწინებლობას. არ ჩანს საკუთრივ ავტორთა მიერ ველზე მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალა, მართალია, ავტორები წიგნის სათაურისმეგ განსაზღვრავენ თაიანთი კვლევის ჩარჩოებს — XIX სუკუნეს, მაგრამ მთხრობელთა მიერ მოწოდებული, ველზე შეკრებილი მასალაც ხომ ძირითადად ამ დროისაა, XIX ს-ის მეორე ნახევარი — XX ს-ის დასაწყისი. ამდენად, გაუგებარია, რატომ არის იგნორირებული ავტორთა მიერ ეთნოგრაფთა ეს ძირითადი წყარო. ჩვენთვის კარგად არის ცნობილი ნ. ვოლკოვას მონაწილეობა ქართველ ეთნოგრაფებთან ერთად მრავალ ექსპედიციაში საქართველოში მიმდინარე ეთნიკური პროცესების ირგვლივ და გ. ჭავჭავიძელთან თანაავტორობით შესრულებული ნაშრომი ქართველთა ყოფითი კულტურის შესახებ მით უფრო ადვილი იყო ავტორისათვის მასალის მოპოვება მისი თბილისში ხში-

რო მივლინებების დროს, როდესაც ის საგანგებოდ მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო ისტორიულ არქივში. თბილისის ძველ უბნებში მას არც მუშაობა გაუძნელებდებოდა ენის უცოდინარობის გამო, რადგან ამ უბნებში (ხარუხი, ავლაბარი, წყაროთუბანი) მოსახლეობა ქართულად ერთად ზმირად რასდენიმე ენას (სომხურს, ბერძნულს, აზერს, იჯანულს) და მათ შორის რუსულსაც კარგად ვლობს. ველზე მუშაობა ავტორებს მათ მიერ გამოყენებული საარქივო მასალების უფრო ზუსტად ინტერპრეტირების საშუალებას მისცემდა და ხშირ შემთხვევაში ზოგიერთი უზუსტობისგანაც დაიცავდა.

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ნ. ვოლკოვას თბილისში მივლინების წლებში (დაახლოებით 1981—1983) ისტორიის ინსტიტუტის 12 თანამშრომელი თბილისის ეთნოგრაფიის საკითხზე მუშაობდა, რაც თბილისის ისტორიის სამტომეულის შემადგენელ სამუშაოს ვარაუდობდა, კერძოდ, ეთნოგრაფთა მიერ შესრულდა ნაკვეთი „თბილისის მოსახლეობის XIX ს-ის II ნახ. — XX ს-ის დასაწყისის ყოფა და კულტურა“, რომელიც აღნიშნული სამტომეულის მეორე ტომში შევიდა (რედაქტორი გრ. მარჯანი). ამდენად, მას შესაძლებლობა ექნებოდა ჩვენთანაც ემუშავა, როგორც ის სხვა შემთხვევაში ამას აკეთებდა. მით უმეტეს, რომ ჩვენი კოლექტივის მიერაც მუშავდებოდა ქალაქის (თბილისის) ეთნოგრაფიის ზუსტად ის საკითხები (მატერიალური კულტურა და მეურნეობა, სოციალური ურთიერთობანი, სულიერი კულტურა), რომლებიც ამ წიგნშია განხილული. ამდენად, შესრულდა ერთმანეთის პარალელურად, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ორი სამუშაო, რომელთაგანაც ერთი უკვე სახეზეა, ხოლო მეორე დიდი ხანია სტამბაშია და ელის დაბეჭდვას, რამეთუ პირველი ტომი თითქმის წელიწადნახევრის დეკვიანებით მხოლოდ ახლა გამოვიდა. მე მგონი მაინც უნდა გვეცოდნოდა ავტორებს ერთმანეთის სამუშაოს შესახებ, რაღაც კოორდინაცია ჩვენი ინსტიტუტებს შორის ყოველთვის არსებობდა, ჩვენი თემატიკა ადრე ხომ მოსკოვის გარეშე არ მტკიცდებოდა. ამდენად, ძნელი დასაყრებელია, რომ ავტორებს ჩვენი ამ სამუშაოს შესახებ რაიმე არ სცოდნოდათ. ყოველ შემთხვევაში გარკვეული კოორდინაციის დაცვა აუცილებელი იყო.

<sup>1</sup> Н. Г. Волкова, Г. Н. Джавахишвили, культура Грузии XIX—XX еков. тра диции и инновации, М., 1982.

2. მიუხედავად იმისა, რომ ავტორებმა კარგად იციან, რომ საქართველო მოიცავს რამდენიმე ისტორიულ-ეთნოგრაფიულ კუთხეს (ქართლს, კახეთს, იმერეთს, გურიას, სამეგრელოს და ა. შ.), რომ ქართველების ეთნოგრაფიულ ჯგუფებს წარმოადგენენ ქართლელი, კახელი, იმერელი, გურული და სვანები (გვ. 33), მაინც იმერლებს და ქართველებს სხვადასხვა ეთნოსებად წარმოგვიდგენენ. მაშ რას უნდა ნიშნავდეს ის განთავსება, რომ იმერეთიდან თბილისში სამეგრელო მოდიოდნენ ქართველები (გვ. 73). იმერეთს განა საქართველო არ არის? ყოველ შემთხვევაში ეს კონტრასტი დაზუსტებას მოითხოვს.

3. ეთნიკური პროცესების ასპექტები ავტორებს ცალკე თავად აქვთ გამოყოფილი. საარქივო მასალების საფუძველზე ავტორები დაწვრილებით იხილავენ თბილისში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნოსის ჩამოსახლების ისტორიას და მათ ურთიერთობას ქართველებთან. გასაგებია მიზეზების გამო ისინი სავანგებოდ ჩერდებიან სომეხებზე და აღნიშნავენ, რომ მათ განიცადეს მხოლოდ ენობრივი ასიმილაცია და ბოლო დრომდე შეინარჩუნეს თავიანთი ეროვნული თვითშეგნება. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ყოველთვის ასე არ იყო. ცნობილია, რომ აღრე ჩამოსახლებული სომეხები, განსაკუთრებით შუა საუკუნეებში, თითქმის მთლიანად გაქართველდნენ — ენითაც და თავიანთი ეროვნული თვითშეგნებითაც. მხოლოდ გვიანები ჰქონდათ სომეხობა, რის გადაკეთებასაც ინტენსიურად ცდილობდნენ, ხოლო 1989 წლის აღწერით ყველა მათგანი ქართველად დაწერა. ავტორები ჩერდებიან მხოლოდ სომეხების გაქართველებაზე და არაფერს ამბობენ ეთნიკური პროცესების მონაწილე მეორე მხარეზე — თვით ქართველებზე, რომ ხშირად იყო ქართველების გასომეხების შემთხვევებიც, რაც სწორედ ავტორთა მიერ გამოყენებული საარქივო მასალებში, და კერძოდ, 1886 წლის საოჯახო სიებში არის ასახული. ჩვენი აზრით, ეთნიკური პროცესების ამ ორმხრივი, ურთიერთმომკველი მხარეების გათვალისწინება აუცილებელი იყო. სწორედ ამასია ეთნიკური პროცესების ბუნებრივების ძირითადი არსი, რაც საგანგებოდ

არის გახაზული ჩვენს შრომაში<sup>2</sup>. მართალია, მას „თანამედროვე“ ეწოდება, მაგრამ იგი ისტორიულ კრილშია წარმოდგენილი სათანადო საარქივო მასალების, მათ შორის სწორედ 1886 წ. საოჯახო სიების მონაცემების გათვალისწინებით. ავტორები, ალბათ, მას არ იცნობენ, ყოველ შემთხვევაში არ ასახელებენ, თუმცა იმავე წელს დაბეჭდილ თ. ოჩიაურის ნაშრომში კი იმორწმუნენ, მაგრამ ეთნიკური პროცესის იმ ძირითად არსს, რაც ჩვენს მიერ ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე მკაფიოდაა ნაჩვენები, რატომღაც უყურადღებოდ ტოვებენ.

4. ეხებიან რა ეთნიკური პროცესების ბუნებას მაჰმადიანთა შორის, ავტორები აღნიშნავენ, რომ ქალაქის მაჰმადიანთა თემი არ იყო ერთგვაროვანი შიიზმისა და სუნიზმის გამო, რომ მათ ჰქონდათ სხვადასხვა მეჩეთი და სხვადასხვა ებანი სასაფლაოზე და რომ საეცებით გამოირჩეული იყო მათი საერთო მონაწილეობა დღესასწაულებსა და სხვა საზოგადოებრივ საქმიანობაში (გვ. 242). მაგრამ ხომ კარგადაა ცნობილი, რომ თბილისელი მაჰმადიანები მათ ტრადიციულ დღესასწაულს მოჰპარამს (თბილისში „შახსეი ვახსეის“ სახელით ცნობილს) ერთად იხდიდნენ ერთ მეჩეთში, რაც საერთოდ უცნობია მთელი მაჰმადიანური სამყაროსათვის. ასეთი სპეციფიკურობით ჩასიათლებოდა ეს აღმოსავლური დღესასწაული თბილისში. მართალია, ეს თითქოს შედარებით გვიანდელი მოვლენა უნდა იყოს და უკავშირდებოდეს, ალბათ, შიიტური მეჩეთის დანგრევას რიყეში, მაგრამ ეს უპრეცედენტო შემთხვევა, რაზედაც საგანგებოდ მიუთითებს გ. გოცირიძე თავის შრომაში<sup>3</sup>, უნდა გაეთვალისწინებინათ ავტორებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მიუთითებენ გ. გოცირიძის ამ ნაშრომზე, მაგრამ ავტორის ამ დამახაზურებაზე არაფერს ამბობენ. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ისინი მხოლოდ რუსული რეზიუმეთი იცნობენ ქართველთა ნაშრომებს, რის გამოც ნაშრომში გატარებული ძირითადი არსი კვლავ გაუთვალისწინებელია.

5. არ არის სწორი ავტორთა ცნობა იმის შესახებ, რომ აბო იყო სპარსელი (გვ. 224). ცნობილია, რომ იგი იყო არაბი და თავისი

2 ნ. აბესაძე, თანამედროვე ეთნიკური პროცესები თბილისში, კრ. „ქართველი ხალხის თანამედროვე ყოფა და ტრადიციები, თბ., 1988, გვ. 59.  
3 თ. ოჩიაური ეთნიკური პროცესები, თბილისში, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1988, № 2.  
4 გ. გოცირიძე, მუსლიმანური დღესასწაული „მოპარამი“ თბილისში, 1988, გვ. 54.

სარწმუნოების უარყოფის გამო, ის არაბებმა აწამეს.

6. ავტორები ე. დანევსკის ნაშრომებზე ნ. დაყრდნობით ამტკიცებენ მსუღრამეზარის პროფესიის იდენტურობას. სინამდვილეში მსუღრავე მიცვალებულის გამაპტიოსნებელი იყო, იგი ბანდა მას და აცმედა, ხოლო მოტირალე-მეზარე ცალკე პროფესიაა და მას მხოლოდ მიცვალებულის დატარება ევალებოდა.

7. საეჭვოა, რომ ქორწილის დღეს სასიძო საპატარძლოს ჯვრისწერისას ეკლესიაში ელოდებოდეს და თითონ არ მიდიოდა მის წამოსაყვანად (გვ. 192). თუმცა ავტორები ამის შესახებ დასძენენ, რომ ეს შედარებით ახალი წესიაო, მაგრამ ეს ცნობა ისევე დასაზუსტებელია, როგორც მომდევნო, რომ თითქოს ჯვრისწერა ეკლესიაში ხდებოდა შუალამისას, ხოლო ქორწილი კიდე უფრო გვიან.

8. ავტორებმა თუმცა იციან, რომ კურტნის მუშები თბილისში იყვნენ დასავლეთ საქართველოდან მოსული რაჭველები (გვ. 65),

მაგრამ მაინც ყოველთვის მათ იმერლებად მოიხსენიებენ. საერთოდ ცნობილია, რომ ხალხი დასავლეთ საქართველოდან ყველა მოსულს იმერელს უწოდებს. მაგრამ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ამ გარესამუშაოზე სწორედ რაჭველები გადიოდნენ, რაც მათი ძირითადი საქმიანობის დამატებით საშემოსავლო წყაროს შეადგენდა.

9. შესასწორებელია ავტორთა მიერ წიგნში მოტანილი ზოგიერთი ტრანსკრიპცია; მაგალითად, უნდა იყოს „თათრის მეიდანის“ და არა „თათრის მოიდანის“ (გვ. 91), ან „ბატონის მოედანი“, „ზედსიძე“ და არა „ზედასიძე“ (გვ. 191), „დიპლიბიტო“ და არა „დიმპლიბიტო“ (გვ. 191, 196, 250).

დაბოლოს კვლავ გვინდა გავიმეოროთ, რომ ყველა ზემოაღნიშნული შენიშვნის საფუძველია სავლეთ ეთნოგრაფიული მასალის გაუთვალისწინებლობა. ეს შენიშვნები არ ამცირებენ წიგნის საერთო ღირსებას, იგი ეთნოგრაფიული მკვლევების ძვირადღეობის შენაძენია.

ნანული აბისაძე

<sup>5</sup> Даневский В., Грузинские народные типы-мудрави женщины плакальщицы, К., 1901, зб. 87.

<sup>6</sup> დ. გიორგაძე, დაკრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში, თბ., 1987, გვ. 8; 37.

ჩვენი ქურნალის მკითხველთა სურვილები

ჩვენი ქურნალის გასული წლის მესამე ნომერში დაიბეჭდა „ჩვენი ანკეტა“, რომლის მიზანიც იყო საგანგებოდ შერჩეული კითხვარის მეშვეობით დაგვედგინა, თუ რა მოსწონთ და რა არ მოსწონთ მკითხველებს ქურნალის ფურცლებზე, როგორი პერიოდულობით კითხულობენ ისინი ჩვენ ქურნალს, როგორია მათი სურვილები ქურნალის სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით.

მას შემდეგ მოგვივიდა რამოდენიმე გამოხმაურება, მათ შორის ისრაელიდან, რომლის ავტორია ჩვენი ყოფილი თანამემამულე, იერუსალიმის ბენ-ცვის სახ. ინსტიტუტის თანამშრომელი გერმონ ბენ-ორენი (წიწუაშვილი).

გამოხმაურებებს ბევრი რამ აქვთ საერთო, ამიტომ მათი ტიპოლოგიზაცია ადვილად ხერხდება. ძირითადად ესენი არიან ადამიანები, რომლებიც 10 წელზე მეტს ხნის განმავლობაში რეგულარულად კითხულობენ ქურნალს, ისინი კმაყოფილნი არიან ქურნალის ფორმატით, გაფორმებით, საცალო ფასით და ნაკლებ კმაყოფილნი გამოცემის პერიოდულობით. მათი აზრით უკანასკნელი 2—3 წლის განმავლობაში ქურნალში განოქვეყნებული მასალები შინაარსში შესამჩნევია ცვლილებები უკეთესობისაკენ. კითხვაზე, თუ რაში გამოიხატება იგი, მკითხველები იდენტურ პასუხებს იძლევიან — თავისუფალი აზროვნება წინა წლებთან შედარებით. მათ ძირითადად აკმაყოფილებთ საქართველოს ისტორიის საკითხებზე პუბლიკაციების რაოდენობა და მათი ხარისხი. უმრავლესობა გამოთქვამს სურვილს, რომ ქურნალის მომავალ ნომერში უნდა იბეჭდებოდეს საქართველოს ისტორიისადმი მიძღვნილი ისეთი სახის სტატიები, რომლებიც ფართო მკითხველისათვის არის გათვალისწინებული. მკითხველის სურვილია, აგრეთვე, რომ ქურნალის ფურცლებზე იხილონ მსოფლიოს გამოჩენილი ის-

ტორიკოსთა და ქართველოლოგთა სტატიები, საზღვარგარეთის გამოჩენილ ისტორიკოსთა კლასიკური შრომების თარგმანები, ისტორიულ პიროვნებათა მემუარები, პირადი წერილები, ქართველ ისტორიკოსთა ისტორიული და სოციოლოგიური მემკვიდრეობა. კითხვაზე, კიდევ რას ისურვებდით თქვენ პირადად ქურნალის მუშაობის გაუმჯობესების თვალსაზრისით — გერმონ ბენ-ორენს (წიწუაშვილს) მიაჩნია, რომ ქურნალში რაც შეიძლება ფართოდ უნდა იყოს წარმოდგენილი საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა ისტორიისა და კულტურისადმი მიძღვნილი გამოკვლევები. „სანამ ოსების საკითხი პოლიტიკურად არ გახდა აქტუალური, მანამ არაფერი არ დაბეჭდილა. აფხაზებზეც ცოტა იბეჭდება, ხოლო ებრაელებზე, ბერძნებზე და მუსლიმანებზე ხომ თითქმის არაფერი იბეჭდება. ასეთი სტატიები თავისუფალი უნდა იყოს პოლიტიზაციისაგან“ — სავსებით სამართლიანად გვწერს ჩვენი იერუსალიმელი კორესპონდენტი.

რედაქციაში შემოსული გამოხმაურებების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქურნალის მუდმივ მკითხველებს შორის არიან, როგორც სხვადასხვა სამეცნიერო წოდებათა მქონე აკადემიური დაწესებულებების თანამშრომლები, ასევე უმაღლეს და საშუალო განათლების დაწესებულებებში მოღვაწე ადამიანები.

ქურნალის სარედაქციო კოლეგია დიდ მადლობას მიახსენებს თითოეულ მათგანს ყურადღებისა და თანამშრომლობისათვის და არწმუნებს ჩვენს ერთგულ მკითხველებს, რომ მათი უაღრესად საყურადღებო სურვილები მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული, რაც თავის მხრივ, იმის საწინდარია, რომ ქურნალი კიდევ უფრო მრავალფეროვანი, მეცნიერული ღირებულების მქონე და მიზნიდევლი გახდება.



### კონრად ადენაუერის ინსტიტუტი

კონრად ადენაუერის ინსტიტუტი დაარსდა 1964 წელს აიხპოლცის პოლიტიკური აკადემიის საფუძველზე. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ჩამოყალიბდა 1956 წელს ქრისტიანულ-დემოკრატიული საზოგადოების სამეცნიერო ნაწილიდან.

ინსტიტუტის წინაშე დგას შემდეგი ამოცანები: ხელი შეუწყოს პოლიტიკურ ფორმირებებს; ხელი შეუწყოს ნიჭიერი და პროფესიონალურად ვარგისი ახალგაზრდობის მეცნიერულ განვითარებას და კვალიფიკაციის ამაღლებას; მეცნიერული კვლევის შედეგად შეიმუშაოს პოლიტიკური მოქმედებების ძირითადი დებულებები; განახორციელოს საერთაშორისო თანამშრომლობა ინფორმაციის, კონტაქტისა და მგობრული დახმარების საშუალებით; მხარი დაუჭიროს ევროპის მისწრაფებას თანამობისაკენ; გამოიკვლიოს ქრისტიანულ-დემოკრატიული მოძრაობის ისტორია და საქმიანობა; მიღებული შედეგების საფუძველზე შექმნილი ნაშრომების გამოქვეყნებით შესაძლებელი გახადოს მათი გაცნობა ფართო საზოგადოებრიობისათვის.

კონრად ადენაუერის ინსტიტუტს აქვს რეგისტრირებული ორგანიზაციის იურიდიული სტატუსი. იგი მოწოდებულია ემსახუროს წმ. ავგუსტინეს ფინანსური მართვის ღირსეულ და საყოველთაოდ აღიარებულ მიზნებს. საშუაოების დაფინანსება ხდება დახმარების, ნებაყოფლობითი შესაწირისა და გადასახადების საშუალებით.

კონრად ადენაუერის ინსტიტუტის ორგანოა საერთო საკრებულო, გამგეობა და მზრუნველთა საბჭო.

საერთო საკრებულო ინსტიტუტის უმაღლესი ორგანოა. მისი დანიშნულებაა თათბირებისა და დადგენილებების წინ ინსტიტუტის გენერალური ხაზის შემუშავება, ასევე გამგეობის არჩევა. საერთო საკრებულოში გაერთიანებულია 45 საზოგადოებრივი მოღვაწე.

გამგეობაში შედის თავმჯდომარე, თავმჯდომარის დროებითი შემცვლელი ან მმართველი, ხაზინდარი და თერთმეტამდე დამატებითი წევრი. გამგეობა ახდენს საზოგადოების და საქმებას და განაგებს მის ქონებას. ყველა ამოცანის გადაჭრა შედის მის ფუნქციას. მასვე ეკისრება იმ პრობლემების მოგვარება, რომლებიც არ შედიან საერთო საკრებულოს წესდებაში და მზრუნველთა საბჭოში.

მზრუნველთა საბჭო განიხილავს და მხარს უჭერს გამგეობას გეგმების შედგენასა და დასაბუთებულ მიზნების ნახორციელებაში. იგი შედ-

გება მინიმუმ 10 და მაქსიმუმ 20 წევრისაგან.

კონრად ადენაუერის ინსტიტუტი თავის საქმიანობაში აერთიანებს შვიდ ინსტიტუტს. მისი განლაგებული არიან კონრად ადენაუერის ინსტიტუტის ცენტრალურ კორპუსში, ავგუსტინეს ქუჩაზე, ბონში. ეს ინსტიტუტებია: საერთაშორისო ინსტიტუტი; ინსტიტუტი განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ პირთა შესაძლებლობების განვითარებისათვის; სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი; სამეცნიერო-კომუნალური ინსტიტუტი; ქრისტიანულ-დემოკრატიული პოლიტიკის არქივი, ასევე აიხპოლცის სასახლე ვესელინგში; პოლიტიკური აკადემია; პოლიტიკური განათლების ინსტიტუტი.

პოლიტიკური განათლების ინსტიტუტს მიეკუთვნება სახალხო (სალამოს) უნივერსიტეტი. მისი ცენტრალური საგანმანათლებლო პუნქტი მდებარეობს აიხპოლცის სასახლეში, სამუშაო უნივერსიტეტები — ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ-ლიაში, ჰესენში, ბადენვიურტემბერში, რაინალ-ფელციში და სარში, ასევე დამაკავშირებელი რგოლი ბერლინში.

საერთაშორისო თანამშრომლობისათვის კონრად ადენაუერის ინსტიტუტს ჰყავს თავისი წარმომადგენლობანი ათენში, ბრიუსელში, ბუდაპეშტში, ლისაბონში, მადრიდში, პარაზში, რომში, ტოკიოში, ვარშავაში, ვაშინგტონში და ვენაში. ასევე აქვს საერთაშორისო კონფერენციენტრი ვილა „და კოლინა“ კადენაბიაში (იტალია).

კონრად ადენაუერის საერთაშორისო ინსტიტუტის ამოცანაა ინდუსტრიულ და განვითარებად ქვეყნებთან ურთიერთთანამშრომლობა. ამასთანავე საერთაშორისო ინსტიტუტის საქმიანობა ორიენტირებულია კონრად ადენაუერის საგარეო პოლიტიკის პრინციპებზე. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დასავლეთის ხელშეკრულება, ატლანტიკური თანამშრომლობა, ევროპის გაერთიანება და მსოფლიო განვითარება. ინსტიტუტის პრიორიტული ამოცანაა აღმართის უფლებების დაცვა. აღმართის უფლებები დაცულია თავისუფალ აზროვნებაზე დაფუძნებული, პულრალისტური წყობილების სახით. განვითარების პოლიტიკა გულისხმობს დემოკრატიულ პოლიტიკას.

მესამე სამყაროს პოლიტიკურ პარტნიორებთან საერთაშორისო ინსტიტუტი თანამშრომლობს სოციალურ, საზოგადოებრივ და ეკონომიკურ სფეროში. თანამშრომლობა განვითარებად ქვეყნებთან ემყარება მათი პოლიტიკურ-

ეკონომიკური ინტერესებისა და კულტურის პარტიის ცემას.

საზღვარგარეთ კონრად აღენაურის ინსტიტუტის პარტიორები არიან დემოკრატიული და პოლიტიკური პარტიები, განსაზღვრის ორგანიზაციები, სამეცნიერო ინსტიტუტები, პროფკავშირები, საკომუნისტური საშუალებების ორგანიზაციები, მცირე და საშუალო ინდუსტრიის კავშირები, საზოგადოებრივი მართვის სფეროს ორგანიზაციები, ამხანაგობები და ოფლის განვითარების სფეროს ორგანიზაციები.

ლათინური ამერიკის, აზიის, აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის განვითარებად ქვეყნებში მოქმედებენ საზღვარგარეთის ქვეყნებთან თანამშრომლობის ინსტიტუტები.

ინდუსტრიულ ქვეყნებში კონრად აღენაურის ინსტიტუტს აქვს საკონტაქტო ბიუროები. მათთან ერთად მუშავდება დიპლომის ძირითადი დებულებები, რომლის საფუძველიც არის ევროპის მისწრაფება თანამშობისა და ატლანტიკური თანამშრომლობისაკენ.

კონფერენციები, ექსპერტთა საბჭოები და საინფორმაციო პროგრამები ქმნიან პლატფორმას მეცნიერთა და მკვლევართათვის, ჟურნალისტებისათვის, საკომუნისტური და პოლიტიკური ინსტიტუტებისათვის, რაც ხელს უწყობს ახლო გაცვლის აქტიურ საკითხების ირრვლივ, როგორცაა შორეული პერსპექტივა, ასევე საგარეო პრობლემები, საშინაო ეკონომიკური პოლიტიკა და განვითარების პოლიტიკა.

გარდა ამისა, კონრად აღენაურის ინსტიტუტი მონაწილეობს ლებულობს დიპლომაში, რომელიც იმართება აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან.

კონრად აღენაურის საერთაშორისო ინსტიტუტს თავისი წვლილი შეაქვს საერთაშორისო პოლიტიკის განვითარების საქმეში: აწყობს ღია დისკუსიებს, ლექციებს, მიძღვნილ მნიშვნელოვანი საერთაშორისო თემებისადმი და გამოსცემს ყოველთვიურ საინფორმაციო ბიულეტენს „იკა — საერთაშორისო ინფორმაცია“.

კონრად აღენაურის ინსტიტუტის პოლიტიკური აკადემია წარმოადგენს საკარო დიპლომა მეცნიერების, რელიგიის, პოლიტიკის, ეკონომიკის, პროფკავშირებისა და მართვის საკითხებზე. დემოკრატიის არსებობა გამოიხატება მოქალაქეთა აქტიური გამოსვლით თავისუფლების, სამართლიანობის, სოლიდარობის დასაცავად, მათ აქვთ პასუხისმგებლობა საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე.

მრავალფეროვანი ღონისძიებები და პუბლიკაციები აყენებენ თანამედროვეობის აქტიურ საკითხებს, იძლევიან გონებრივ ბიძგებს

და ზემოქმედებას ახდენენ საზოგადოებრივ აზრზე. ამასთანავე ჩამოყალიბებულია მოღვაწეობის ხუთი სპეციფიკური მიმართულება: ეკონომიკური და ფინანსური პოლიტიკა; სოციალური პოლიტიკა; პოლიტიკა და ეთიკა; სამართლებრივი და საშინაო პოლიტიკა; კულტურა და განათლება; გერმანია და ევროპის პოლიტიკა.

პოლიტიკური აკადემიის კონცეპტუალურ პროგრამას ადგენს „დამგვემავი“ სამუშაო გგუფი, რომელიც იყენებს აკადემიურ წრეებსა და ექსპერტთა საუბრებს.

პოლიტიკური აკადემია მისწრაფვის აკადემიური სფეროს მალაკვალიფიკირებულ სპეციალისტებთან უწყვეტი თანამშრომლობისაკენ. ეს არის მეცნიერება, პოლიტიკა, საზოგადოებათმცოდნეობა, პრაქტიკული საქმიანობა და ა. შ.

სამუშაო გგუფი „სპეციალური კონგრესი“ აწყობს ღია, საზოგადოებრივად აქტიურ სპეციალურ კონფერენციებს, საღამოებს. სიმპოზიუმებს და ფორუმებს. მათ კომპეტენციაში ასევე შედის აკადემიური პუბლიკაციების რედაქტირება.

სამუშაო გგუფი „საერთაშორისო ევროპული სტოდები“ აწყობს ყოველკვირეულ საინფორმაციო სემინარებს და სამუშაო სტოდებს, რომლებშიც მონაწილეობს ლებულობენ ევროპის ქვეყნების მეცნიერები და ტექნიკის დარგის სპეციალისტები. ეს სემინარები ეძღვნება თემას — გერმანიის პოლიტიკა გერმანიის საზღვრებში და ბერლინში.

კონრად აღენაურის ინსტიტუტთან არსებული პოლიტიკური განათლების ინსტიტუტს შემუშავებული აქვს ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები. ინსტიტუტი ყოველწლიურად ატარებს დაახლოებით 1500 ღონისძიებას, რომლებსაც ესწრება დაახლოებით 50 000 მონაწილე. მასში გაერთიანებულია: აინპოლიცის სახალხო (საღამოს) უნივერსიტეტის ცენტრალური სასწავლებლები, რომელთა ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ფედერაციის ყველა ტერიტორიას და ბერლინს.

თერთმეტი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც რეგიონალური საგანმანათლებლო დაწესებულების სახით წარმოდგენილია ხუთ ფედერაციაში (აპკანი, დორტმუნდი, ფრაიბურგი, კარსრუე, კელნი, მიანიცი, მარბურგი, მიუნსტერი, რვენსბურგი, საარბრუენი, შტუტგარტი), ასევე საკონტაქტო გგუფები ბერლინში, რომელთა დანიშნულებაა ღონისძიებების მომზადება და ჩატარება ბერლინში.

პოლიტიკური განათლების ინსტიტუტის ღონისძიებები ეფექტურია, ვინაიდან ისინი ხელს უწყობენ თანამედროვე ისტორიის და პოლი-



ტიკის შესახებ შეძლებისდაგვარად ობიექტური ინფორმაციის გავრცელებას, ამოღებენ პოლიტიკურ შეგნებას და პოლიტიკურ კომპეტენციას; აძლევენ პოლიტიკური აქციების მიმართ მზადყოფნასა და მიდრეკილებას; ნერვოზად დემოკრატიულ ქვეყანა და დემოკრატიული ცხოვრების წესს.

პოლიტიკური განათლების ინსტიტუტის ღონისძიებები ხელმისაწვდომია ფართო საზოგადოებისათვის. შინაარსის მიხედვით ღონისძიებები შედგენილია ნახევარი წლის პროგრამების სახით. მსურველთა შეუძლიათ გამოითხოვონ ისინი ინსტიტუტიდან.

კონრად ადენაუერის ინსტიტუტი დახმარებას უწევს ნიჟერ გერმანელ და უცხოელ სტუდენტებს. მათთვის ინსტიტუტი გამოყოფს მიზნობრივ სტიპენდიას და ამზადებს საგანმანათლებლო პროგრამას.

სტიპენდიანტებს საშუალება ეძლევათ განვიტოლონ თავიანთი შესაძლებლობანი, რათა მომავალში გადაჭრან საპასუხისმგებლო სახელმწიფო და საზოგადო პრობლემები გერმანელი სტუდენტებისათვის და მეცნიერებისათვის, ასევე უცხოელი მოსწავლეებისათვის. მათთვის შემუშავებულია სპეციალური პროგრამები.

ინსტიტუტს ყოველწლიურად ჰყავს 1700 სტიპენდიანტი, 3000 მეტი გერმანელი და 1200 უცხოელი. სწავლის დამთავრებისას მათ ჩამოყალიბებული აქვთ მეცნიერული აზროვნება და უსახებელი კონრად ადენაუერის ინსტიტუტთან შემდგომი მჭიდრო თანამშრომლობის პერსპექტივა.

ნიჟერთა მიღება ხდება სპეციალური შერჩევის საფუძველზე. განცხადება მიღების თაობაზე და ინფორმაცია დახმარების თაობაზე შეიძლება გამოთხოვილი იქნეს ინსტიტუტიდან. ყველა კონკრეტულ შემთხვევაში პრეტენდენტმა უნდა დაასაბუთოს თავისი მიღწევები სკოლასა თუ უმაღლეს სასწავლებელში, ასევე პოლიტიკური და სოციალური აქტივობა. ასევე მან უნდა წარადგინოს დახასიათებები პირადი თვისებების გარანტიით, რაც აუცილებელი პირობაა წარმატებით სწავლისათვის. გერმანელ განმცხადებელს მოეთხოვება უმაღლესი სკოლის დამთავრების მოწმობა, ან სამეცნიერო ხარისხი. უცხოელთა დახმარების პროგრამით უპირატესობა ენიჭება სამეცნიერო ხარისხის მქონეს. პრეტენდენტებს, რომლებმაც ვაიარეს თვალდღერი გამოცდები, გზა ეხსნებათ ძირითადი სწავლებისაკენ. ინსტიტუტი ნიჟერთა დახმარების პროგრამებით მიზნად ისახავს აზრთა გაცვლას მეცნიერებასა და პოლიტიკაში.

კონრად ადენაუერის კვლევითმა ინსტიტუტმა შეიმუშავა პოლიტიკის მართვის მეცნიერული დეპარტამენტი როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

კვლევის მიზანია შეისწავლოს ვარსკვლავთმცოდნეობის პრაქტიკული და პოლიტიკური საქმიანობა, ასევე შეისწავლოს პოლიტიკური ინსტიტუტები შედარების საფუძველზე, ასევე გერმანიისა და ევროპის პოლიტიკა, საშინაო და საგარეო პოლიტიკა, აზლის გაეცნოს კონფლიქტურ რეაქციებს და მესამე სამყაროს.

კონრად ადენაუერის კვლევითი ინსტიტუტი მიერ გაწეული სამუშაო ასახავს პოულობს სამეცნიერო გამოკვლევებში, გამოქვეყნებულ სოლოიდურ მონოგრაფიებში, კრებულებში, „საშინაო გამოკვლევებში“, მოხსენებებში, გერმანულ და საერთაშორისო სპეციალურ ჟურნალებში.

ამასთანავე ინსტიტუტში მნიშვნელოვან თემებს ეძლევათ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები, საგარეო და საშინაო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებს — კოლოკვიუმები, რომლებიც მიზნად ისახევენ მეცნიერებასა და პოლიტიკაში აზრთა გაცვლას. გარდა ამისა, ინსტიტუტის თანამშრომლები თავიანთი კვლევითი სამუშაოების შედეგებს მოახსენებენ და მსჯელობენ სიმპოზიუმებზე, კონფერენციებზე, ექსპერტთა საუბრებზე.

ორგანიზაციულად ინსტიტუტი იყოფა კვლევის ექვს სფეროდ: ემპირიული სოციალური კვლევა, ინსტიტუტების შედარებითი კვლევა, საგარეო და უშიშროების პოლიტიკა, ევროპული და გერმანული პოლიტიკა, მონაცემების გაერთიანებული ბანკი და გამოკითხვის ბანკი ასევე გამოთვლითი ცენტრი.

კონრად ადენაუერის სამეცნიეროკომუნალური ინსტიტუტი ისახავს სამ ამოცანას: წარმართოს კვლევა გამოყენებითი მიზნადსახელებებისათვის, გასცეს პრაქტიკული ხასის კონსულტაციები, ჩართოს ეს მასალები კონფლიქტურ-პოლიტიკურ აღმზრდევლობით პროგრამაში.

აქტუალური თუ პრინციპული პრობლემების კვლევის პრაქტიკული მიზნებისათვის დასაქვემდებარებლად იქმნება საპროექტო ჯგუფები ექსპერტთა და მეცნიერთა მონაწილეობით. საპროექტო ჯგუფებში გაერთიანებული არიან ინსტიტუტის თანამშრომლები და სხვადასხვა დარგის — ეკონომიკის, მეცნიერების, პოლიტიკისა და მართვის — ექსპერტები.

მრავალ ცალკეულ გამოკვლევაში, დასკვნაში, კონცეფტიაში, ინიციატივაში და დისკუსიაში წარმოჩინდება საპროგრამო, საკანონმდებლო თუ საორგანიზაციო ხასიათის წინადადებები, რომლებიც მოპოვებულია პრაქტიკულ გზით, შეფასებულია სხვადასხვა მიმართულებების ექსპერტების მიერ და ექვემდებარებიან პუბლიკაციას.

კონრად ადენაუერის სამეცნიერო-კომუნალური ინსტიტუტი კვლევითი სამუშაოების

გარდა ეწევა საკონსულტაციო მოღვაწეობას, რომლის მიზანია კვლევის შედეგების და სხვადასხვა პროგრამების მონაცემების პრაქტიკული რეალიზაცია.

ინსტიტუტის საკონსულტაციო აქტივი წარმოდგენილია შემდეგნაირად: რეგიონალური სექციონარი (მაგალითად, სოფლის განვითარების); დახურული ყრილობები (მაგალითად, ეკონომიკური კონსოლიდაცია, კრიტიკა და დაგეგმვა); ექსპერტთა საუბრები (მაგალითად, ქალაქთმშენებლობა, ბინათმშენებლობა, მუნიციპალური, სოციალური, კულტურული და ახალგაზრდული პოლიტიკა); სიმპოზიუმები (მაგალითად, სიმპოზიუმები პატარა და საშუალო მეწარმეთა დასახმარებლად); სპეციალური კონგრესები (მაგალითად, კომუნალური პოლიტიკა ევროპაში, გარემო და ტექნიკა, ქალაქის მომავალი); გამოყენებითი ცენტრი (მაგალითად, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნიკა პანოვერის ბაზრობის მაგალითზე).

დამოლოს, სამეცნიერო-კომუნალური ინსტიტუტი პრაქტიკული კომუნალური პოლიტიკის საეთხებზე გამოსცემს დამხმარე საცნობაროს, რომლის მიზანია ქალაქის მუნიციპალიტეტებისა და რაიონების უმნიშვნელოვანეს სფეროებში კომუნალური სამანდატო სისტემის შეტანა.

ქრისტიანულ-დემოკრატიული მოძრაობის კვლევის მიზნები და შედეგები წარმოდგენილია კონრად ადენაუერის ინსტიტუტის ქრისტიანულ-დემოკრატიული პოლიტიკის არქივში. ეს ინსტიტუტი შედგება სამი განყოფილებისაგან: საისტორიო არქივი, დოკუმენტაცია და ბიბლიოთეკა.

საისტორიო არქივში იკრიბება და ინახება გერმანიის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის საარქივო საქმეები, მისი კომისიების, ორგანიზაციების, წამყვანი წარმომადგენლების, წინამორბედებისა და პარტიოების საქმეები, რომლებიც ინტეგრირებულნი არიან, ან არაპირდაპირად არიან გაერთიანებულნი კავშირში. ამ განყოფილების მიზანი ასევე გახლავთ

ვერობის გაერთიანების ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ნაბეჭდი შრომების დაცვა. უამრავ ნაბეჭდ მასალასთან ერთად არქივში იკრიბება ვიდეო შრომები: თანამედროვე სურათების არქივი, ფილმების არქივი — 500 მეტი ფილმი, პლაკატების არქივი — 10 000 მეტი პლაკატი და ფონოტეკა — დაახლოებით 4000 მაგნიტოფონის ლენტი და გრამფირფიტა. მასალები წარმოადგენენ ისტორიულ გამოკვლევას. პუბლიკაციებით სარგებლობა ხდება მხოლოდ ინსტრუქციის მიხედვით. თანამედროვე თემებს არქივი აქვეყნებს სათაურით: „გამოკვლევება და წყაროები თანამედროვე ისტორიის საკითხებზე“.

დოკუმენტაციის განყოფილებაში ინახება საკომუნიკაციო და ნაბეჭდი დოკუმენტაცია. ნაბეჭდი დოკუმენტაცია იყენებს ყოველდღიურ და ყოველკვირეულ გაზეთებს, საინფორმაციო სამსახურის მასალებს. ეს მასალა-დასაბუთებელი დეტალები სხვადასხვა სფეროსა და ადამიანების შესახებ — გამოიყენება პუბლიკისტიკაში, მეცნიერებასა და პოლიტიკაში. საკომუნიკაციო დოკუმენტაცია იძლევა ტელეგადაცემებს, ცნობებსა და ილუსტრირებულ თურნალებს, ასევე ისტორიულ და საარქივო დოკუმენტაციებს.

ბიბლიოთეკაში თავმოყრილია პნიშვნელოვანი რაოდენობის წიგნები — 100 000 ტომამდე, რომელზედაც ხელი მიუწვდებთ კონრად ადენაუერის ინსტიტუტის ყველა თანამშრომელსა და სტუმარს. უმნიშვნელოვანესია, რა თქმა უნდა, თანამედროვეობის განყოფილება.

კონრად ადენაუერის ინსტიტუტი აქვეყნებს პოლიტიკურ პერიოდიკას: წერილებს (კვარტალურად); საუბრებს (კვარტალურად); ქალი ჩვენს დროში (კვარტალურად); ჯერმან ქომენტოს (კვარტალურად, ინგლისურ ენაზე).

ასეთი გახლავთ მოკლედ კონრად ადენაუერის ინსტიტუტი თავისი ამოცანებითა და მიზნებით, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკის საზინაო და საგარეო ცხოვრებაში.

# ყურადღება!!!

## ღრმულად გაეოინერათ

### „მ ა ც ნ ე“

#### (ისვოკიის სეკია)

ჟურნალის მამავალი წლის ნომრებში კვლავ გაგრძელდება საინტერესო მასალების ბეჭდვა საქართველოს ისტორიის აქტუალურ საკითხებზე. გათვალისწინებულია ახალი საარქივო მასალებისა და მემუარული ლიტერატურის გამოქვეყნება და ამით საქართველოს უახლესი წარსულის ობიექტურად გაშუქება, თეთრი ლაქების შევსება. ჟურნალი დიდ ადგილს დაუთმობს ქართველი ხალხისა და საქართველოში მცხოვრებ სხვა ხალხების ისტორიულ ურთიერთობათა განხილვას, მკითხველს გააცნობს მსოფლიო ისტორიის საინტერესო ფურცლებს, ვარკვეული ადგილი დაეთმობა, ახალგაზრდა ისტორიკოსების შემოქმედებას.

ჟურნალის ინდექსია 76197, წლიური ფასი 8 მან. მისი გამოწერა შეიძლება „სოიუზპეჩატის“ განყოფილებებში.

48 2/1

განი 2 მან.

  
ინტერნეტ-სერვისი 76107  
სტრ.: ი. ჯავახიშვილი